კვირის პალიტრა

ფეხი

N34 (219) 19/VIII.-25/VIII.2004

ფასი 60 თ.



ფრთხილად, დიდ ომში გვითრევენ!

„ლალის სანაპიროსთან ჩავუსაფრდი...“

1168
2004

თემა: სიყვარული ზღვაზე – დაუვიწყარი თავგადასავლები

ბედი კაცისა – ავტოავარიის შემდეგ ექიმი ბერად აღიკვეცა



სასიძო – ვეძებ პუტკუნა გოგონას, მხოლოდ ორი კაბით

გიორგი კალანდია: „ლაზი და გურჯი ქალებით აღტაცებული დავრჩი“

როგორ უნდა მოიქცეს ახალგაზრდა, რომელ მშობლებს სადმე არ უშვებენ

ტრანსპორტიანის

ფესვები

გვანცა ითონიანი ეფექტური

TV ფესვები

ხანგრძლივი ეკონომია

ყველაზე საინტერესო ჟურნალები

 კვირის პალიტრა
ზვა
№34 (219)
19 – 25 აგვისტო 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ვარდების რევოლუციიდან“
„შარდების რევოლუციამდე“ 3
კონფლიქტი
ფრთხილად – დიდ ომში გვითრევენ!
რეპორტაჟი ფრონტის ხაზიდან 4
სასიძო
ვისი ფეხების შურს გიორგი
კალანდიას – ვეძებ პუტკუნა
საპატარძლოს მხოლოდ ორი კაბით 7
საპატარძლო
„მე ძენ პირველი კლასიდან მიყვარდი“ 9
კურიოზი
„გზა“, რომელმაც „ქართუ
უნივერსალთან“ დაგვაკავშირა
ანუ უცნაური აღრევა... მეორედ 10
სიახლე
საპატრულო პოლიცია – კანონისა
და მოქალაქეების სადარაჯოზე 12
კრიმინალი
XX საუკუნის საშიში აფერისტები
უწოდეს თბილისელ ცოლ-ქმარს 14
იმედი
მომავალი ქართველი
ოლიმპიელები უკვე ათობით
მედლის მფლობელები არიან 18
თემა
სიყვარული ზღვაზე 20
მარტივი კითხვები
როგორ უნდა მოიქცეს ახალგაზრდა,
როცა მშობლები სადმე არ უშვებენ? 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი
გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
საზოგადოება
ძალადობა ოჯახში – პრობლემა,
რომელსაც საქართველოში ჩქმალავენ 24
გზავნილები
„ვფიქრობ, ფსიქიატრიც ველარ
მიშველის...“ 27
ჯანმრთელობა
- მიირთვით საგამთრო 30
- ნუ დარჩებით მარტო 30
- ალკოჰოლური მექანიკა 31
- კითხვა-პასუხი 32

სილამაზე
სახის კანს უხდება სალათა და
არ უხდება ხორციანი კერძები 33

ფრთხილად – დიდ ომში გვითრევენ! რეპორტაჟი ფრონტის ხაზიდან

„დაჭრილს ორი ახალგაზრდა მოჰყვება, გვეუბნებიან – თქვენს იმედად ვტოვებთო, – თავად კი, კვლავ საგუშაგოებზე ბრუნდებიან. მათ კარგად ესმით ის, თუ რას წარმოადგენენ, რა ევალებათ და რისი გაკეთება სურთ. ეს უკვე პროფესიონალი ჯარისკაცის ნამდვილი სახეა.“

4

ვისი ფეხების შურს გიორგი კალანდიას

„...ვიცი მე მეგრელი ქალების ამბავი. მოკლედ, ძალზე მოვიხიბლე ამ შავგვრემანი, ცისფერთვალება ქალებით. საერთოდ, უპირატესობას შავგვრემან ქალებს ვანიჭებ და თუ მექნება საშუალება, არჩევანი გავაკეთო გამხდარსა და მსუქან ქალს შორის, არჩევანს პუტკუნა ქალზე შევაჩერებ...“

7

XX საუკუნის საშიში აფერისტები უწოდეს თბილისელ ცოლ-ქმარს

ქართველ ცოლ-ქმარს – ვიტალი და მაია კაკაბაძეებს დიდი მანსი აქვთ, ისტორიაში შევიდნენ, მათ ათამდე აფერაზე სანქტ-პეტერბურგის პროკურატურაში 4 წლის მანძილზე იწერებოდა სისხლის სამართლის საქმის ტომები...

14

სიყვარული ზღვაზე

ამბობენ, ზღვა გრძნობებს ამძაფრებსო. იქნებ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ჩემს რესპონდენტებს სიყვარული სწორედ ზღვაზე ეწვიათ. ისინი თავიანთი სასიყვარულო ამბებით, ალბათ, უამრავ ადამიანს გაახსენებენ ზღვასთან დაკავშირებულ დაუვიწყარ თავგადასავალს.

20

ᲬᲐᲙᲐᲠᲘ

რომელი საღვთისმსახურო წიგნები გამოიყენება სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს 34

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲬᲔᲠᲘᲡᲡᲕᲐᲚᲔᲑᲐ 35

ᲑᲔᲓᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲐᲕᲢᲝᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲑᲔᲠᲐᲓ ᲐᲦᲘᲙᲕᲔᲪᲐ 36

ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲑᲘᲭᲕᲜᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ 37

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ 38

ᲐᲕᲢᲝ 41

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ. ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 42

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ, ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ... XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ 46

ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲦᲘᲪᲘᲐᲖᲔ 48

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲧᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐᲡ ᲬᲧᲕᲔᲝᲑᲐᲛᲓᲔ... 49

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

„ᲡᲢᲝ ᲓᲝᲚᲐ“ ᲓᲐ „ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ“ ᲖᲣᲛᲑᲐᲡᲐᲒᲐᲜ 52

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ, ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ ᲐᲗᲔᲜᲘᲡ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ 54

ᲢᲔᲡᲢᲘ

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 55

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

P!NK: „ᲛᲔ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲨᲔᲜᲘᲗ!“ 56

ᲑᲝᲛᲝᲜᲓᲘ 58

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (23-29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ 60

ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘ 61

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ 62

ᲢᲔᲡᲢᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲮᲐᲠᲗ? 63

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲰᲠᲔᲚ-ᲰᲠᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 64

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲠᲬᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲛᲐᲗᲔ ᲙᲑᲘᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲙᲣᲠᲘᲡ Ქ. №8
ᲢᲔᲚ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“

ᲯᲝᲜᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲐᲛᲓᲔ...



ᲐᲡᲔ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲮᲔᲓᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐᲡ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲔ. ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠ-ᲩᲐᲛᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲓᲝᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲦᲘᲛᲐ ᲓᲐ... ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ.

49

„ᲡᲢᲝ ᲓᲝᲚᲐ“ ᲓᲐ „ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ“ ᲖᲣᲛᲑᲐᲡᲐᲒᲐᲜ

„ᲜᲘᲙᲝ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲩᲐᲘᲧᲠᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲕᲠᲔᲑᲘ. ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲡ ᲓᲐᲬᲣᲠᲐᲕᲔᲜ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ. ᲕᲘᲜᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲓᲐᲬᲣᲠᲐᲕᲡ, ᲓᲐᲦᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲡᲮᲐᲛᲐᲗ ᲓᲐ 50-100 ᲑᲝᲗᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲔᲛᲗ...“

52

P!NK: „ᲛᲔ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲨᲔᲜᲘᲗ!“

ᲡᲕᲘᲠᲘᲜᲒᲔᲑᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲑᲐᲘᲙᲔᲠᲛᲐ, ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ, ᲣᲠᲗᲣᲚᲔᲡᲘ ᲢᲠᲘᲣᲙᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲓᲐᲘᲛᲢᲕᲠᲐ. ᲗᲐᲕᲓᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ, ᲡᲣᲞᲔᲠᲑᲐᲘᲙᲔᲠᲛᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ...

56

ᲛᲪᲕᲪᲔᲚᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲪᲘᲜᲥᲪᲘ

ᲔᲡ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲭᲠᲘᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲐ. ᲛᲔᲒᲘᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲙᲐᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲨᲔᲛᲓᲐ: ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲘᲡ ᲔᲢᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲐᲮᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲒᲝᲠᲔᲑᲓᲐ, ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ, ᲣᲙᲣᲠᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲐᲓ „ᲒᲐᲛᲝᲮᲠᲣᲚᲘ“ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ ᲘᲮᲓᲐ...

42

„ვარდების რევოლუციიდან“ „შარდების რევოლუციამდე“

იმდენს, ცხონებული ბებიაჩემიც კი ხვდებოდა, რომ 200 გრამი „ფოჩიანი“ კანფეტები ისე უნდა გამოეზოგა შვილიშვილებისთვის, რომ შემდეგი პენსიის აღებამდე ჰყოფნოდა. მაგრამ ამას, გვარს არ დავასახელებ და ჩვენი ქალაქის რევოლუციონერი უსტაბაში და მისი „სასტავი“ მგონი ვერ ხვდება – რადგან იმდენი სიხარული „მოგვაყარეს“ ერთბაშად, შემდეგ არჩევნებზე რაღას იზამენ, მაგასაც ვნახავ...

ისე, რევოლუციის ბაცილა გადამდები და თანაც ციკლურ-პერიოდული რომ ყოფილა, ფაქტია. თუ ქვეყნის მასშტაბით „ვარდების რევოლუცია“ გვქონდა, 9 თვის შემდეგ დედაქალაქის დონეზე, „შარდების რევოლუცია“ მივიღეთ... უსტაბაში პირველი თავად გამოცხადდა ანალიზების ჩასაბარებლად: დედა, ისეთი ანალიზი ჰქონია, გადარეულან ექიმები – გაკრიალებული, სუფთა და ქარვასავით. „შარდების რევოლუციას“ მარტო დედაქალაქის ხელისუფლებიდან აგერ ახლა ექვსი კაცი შეეწირა. ერთზეც აქვთ ეჭვი, მაგრამ ნერვიულობის (თუ შიშის) ნიადაგზე შეკავება დაემართა თურმე და ახლა ეს კაი კაცი, იქით აპირებს ჩივილს. სხვათა შორის, ქართველები რომ ტემპერამენტიანი ხალხი ვართ, აქაც გამომჟღავნდა: თუ ერთი ნარკომანობაში ეჭვმიტანილი უსტაბაშს მიუვარდა და კარზე მუშტების ბრახუნით უყვიროდა „შე ბოზო“ გამოდი მანდედანო, მეორემ ტელეჟურნალისტების წინაშე ისეთი ბრიფინგი მოაწყო: „კაროჩე“, მეე... ტო, ვსვამდი, ვსვამ და დავლევ კიდეც, ნარკომანობის კი არაფერი გამეგებაო, – ეჭვიც კი შემეპარა, ანალიზი ხომ არ შეუცვალეს-მეთქი...

სანამ მოუსყიდავი ექიმ-ნარკოლოგები ჩინოვნიკებს სუდნოებითა და კათეტერებით დასდევენ, ჩვენმა მერცხალა ბიჭებმა პოლიციას დაადგეს თვალი, ჯერ „ღიპების რევოლუცია“ მოაწყვეს, „დოლჩე და გაბანას“ მოდელებს დაუწყეს ძებნა და კონკურსიც გამოაცხადეს საპატრულო სამსახურში სამუშაოდ. თუმცა, ამით კორუფცია დიდად არ დაზარალებულა, რადგან როგორც თვითმხილველები ამბობენ, კონკურსის დროს ისეთი აღებმიცემობა გამართულა, რომ თვით ყველაზე მთავარი პოლიციელიც კი იძულებული გამხდარა, ჩარეულიყო. ახალი ექსპერიმენტის საცდელი პოლიგონობა ისევ დედაქალაქს დაეკისრა და კადრების მომზადებაც უმაღლეს დონეზე დაიწყო...

დადგა ნანატრი 15 აგვისტო და 130 ცალი ახალთახალი „ფოლკსვაგენი“ ერთად შემოგრიალდა ქალაქში. პირველი მანქანის საჭესთან, რა თქმა უნდა, „ევო სიატელსტვო სამ კნიაზი“ იჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად ნანობდა, – „ნეტა პოლიციელი გამოვსულიყავიო... რას იზამ, ყველას როდი უმართლებს: კაცი პოლიციელობაზე ოცნებობდა და პრეზიდენტი გახდა... სამაგიეროდ, თბილისელებს დაგვეცა ტუზი და კრიმინალების შიშისაგან გატანჯულებმა სული მოვითქვით. აბა, ის იყო ცხოვრება?! ბავშვი პურზე რომ გაგეგზავნა მაღაზიაში, სიგნალიზაცია უნდა დაგეყენებინა. აწი, შეგვიძლია თამამად გამოვაღოთ ფანჯრები და მშვიდად ვიძინოთ, რადგან საპატრულო პოლიციის სირენები გვიმღერებენ „იავნანას“.

ამ ბედნიერების გააზრებაც ვერ მოასწრო ხალხმა, რომ ხელისუფლებამ მორიგი სასიხარულო ბრძანება დაგვაჯახა, რითიც ვაკეში მიმდინარე მშენებლობების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნა: ხუთსართულიანზე მაღალი სახლი ვაკეში არ უნდა აშენდეს... რაც უკვე აშენებულია, უნდა შემცირდეს... თუმცა, ეს ოპერაციები ძვირი დაუჯდება ჩვენს ბიუჯეტს და ამიტომ, მე ვთავაზობ იდეას: ვინც ვაკეში მდებარე სახლში მეხუთეზე მაღლა ცხოვრობს, არ ჩაითვალოს ნამდვილ ვაკელად და ეწოდოს პროვინციელი, ანუ გლდანელი ან ვარკეთილელი. შესაბამისად, მე-6-დან ზემო სართულებზე მცხოვრებლები კი იცხოვრებენ ვაკეში, მაგრამ იქნებიან, მაგალითად, გლდანელები. ასე რომ, ვაკიდან გლდანამდე აღარც ტაქსი დაგჭირდება და აღარც „მარშრუტკა“, პირდაპირ ლიფტით იმგზავრებ სწრაფად და კომფორტულად...

P.S. ვაკეში, მეექვსე სართულზე მცხოვრებ ბიჭს ქვედა სართულზე მცხოვრები გოგონა შეუყვარდა, ოჯახში ეწვია და სასიმამროს ქალიშვილის ხელი სთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო: – ეგლა მაკლია, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ვიღაც გლდანელს მივათხოვოო...

პროვოკატორი

ფრონტზე — დიდ ომში გვითრევენ!

რეპორტაჟი ფრონტის ხაზიდან

დღისით — მოლაპარაკებების წარმოება, ღამით — ომი, ეს ედუარდ კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლების უკვე ჩვეული ხელწერაა. შებინდებისას, ოსურ შეიარაღებულ ფორმირებებს იერიში მიაქვთ კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებზე. თითქმის ყოველღამე იღუპებიან ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და მშვიდობიანი მოქალაქეები. ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი განგაშს ტეხს. პრეზიდენტი მსოფლიო საზოგადოებას საგანგებო მიმართვას უგზავნის. თუმცა, მის რეაგირებამდე, ფრონტის წინა ხაზზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა ღამეს სარდაფებში ატარებს...

ხათუნა მაღრაძე

სოფლის მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება იყენებს ტანკებს, მძიმე არტილერიას, ასევე არის ზალპური ცეცხლსასროლი სისტემა „გრადის“ გამოყენების შემთხვევებიც. რეგიონის მოსახლეობა თვე-ნახევრის განმავლობაში თითქმის ყოველ ღამე იმის მომსწრეა, თუ როგორ წითლდება ცა, დაბომბვისგან ზანზარებს სახლები, ჰაერში დენთის სუნი დგება... ცეცხლის გახსნასთან ერთად, ღამის სიბნელეში დრო ჩერდება... ამ შემზარავ სანახაობას კონფლიქტის ზონიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ტყვიავის საავადმყოფოს მედპერსონალი კლინიკის შენობის მეორე სართულიდან ადევნებს თვალს. გამთენიისას, ტყვიავის საავადმყოფოს თანამშრომლები დაჭრილი სამშვიდობოებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების გამოსაყვანად სოფელ ერედვისკენ მიემართებიან, რადგან გეგმის მიხედვით, დაჭრილ სამხედროებს პირველადი სტაციონარული დახმარება სწორედ მათ უნდა აღმოუჩინონ. ტყვიავში იწყება ახალი ბრძოლა, ოღონდ ახლა უკვე კეთილშობილური — ბრძოლა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად...

ერთი შეხედვით სოფელი ტყვიავი კვლავ ძველი რიტმით ცხოვრობს. ქუჩაში უამრავი ადამიანია, სოფლის „ბირჟებზეც“ ხალხმრავლობაა. შეიძლება, ვერც კი წარმოიდგინოს კაცმა, რომ აქედან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ბოევიკები მორიგი პროვოკაციისთვის ემზადებიან. თუმცა, ეს მოჩვენებითი სიმშვიდის განწყობა უმალვე ქრება, როცა ტყვიავის ბლოკპოსტს მიუახლოვდები და მის გვერდით მდებარე საავადმყოფოს ეზოს მოავლებ თვალს.

*თვალში გხვდება „სასწრაფო დახმარების“ მანქანების კოლონა და ღამენათევი ექიმები, რომლებიც დაჭრილების მისაღებად მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებიან. პირველი, ვისაც ტყვიავის საავადმყოფოს დერეფანში შეხვდებით, მისი მთავარი ექიმი **აკაკი ძრისტესიაშვილია,** რომელიც სიტუაციის მაქსიმალურად გაკონტროლებას ცდილობს. ბატონი აკაკი ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში არსებულ პრობლემებზე არ საუბრობს. მისი თქმით, ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა საიმისოდ, რომ დაჭრილებს დროული და ეფექტური დახმარება აღმოუჩინონ.*

— ჩვენთან შემოსულ თითოეულ პაციენტს განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობით. მათთვის გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად, საავადმყოფოში ყველა პირობაა შექმნილი. მოგვიანებით დაჭრილები გორისა და თბილისის საავადმყოფოებში გადაგვყავს და ახალი ნაკადის მისაღებად ვემზადებით.

— ბატონო აკაკი, ძირითადად რა დროს ხდება დაჭრილების ინტენსიური შემოყვანა?

— ღამის საათებში, როცა კონფლიქტის ზონაში სროლები მიმდინარეობს, ცხელი წერტილებიდან დაჭრილების გამოყვანა ვერ ხერხდება. ეს პროცესი გამთენიისას იწყება. დაჭრილი სამხედროები ერედვში ჩაჰყავთ, სადაც ჩვენი თანამშრომლები დილით „სასწრაფო

დახმარების“ მანქანებით ელოდებიან და დაშავებულები საავადმყოფოში გადმოჰყავთ.

— **თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა განწყობა აქვთ დაჭრილ სამხედროებს?**

— ჩემდა გასაოცრად, თითოეულ მათგანს უკან დაბრუნება უნდა. უფრო მეტიც — ამჟამად რამდენიმე დაჭრილია დარჩენილი თავ-თავის პოსტზე; არც ერთი მათგანი საგუშაგოს დატოვებას არ აპირებს. მათ ადგილზე უტარდებათ სამედიცინო დახმარება, რადგან ისინი საავადმყოფოში გადმოსვლაზე უარს აცხადებენ. უნდათ, რომ თავიანთი მოვალეობა ბოლომდე შეასრულონ და ასრულებენ კიდეც.

ტყვიავის საავადმყოფოს ერთ-ერთი „სასწრაფო დახმარების“ მანქანას ადგილობრივი მკვიდრი ***აკაკი ძანაშვილი*** *მართავს. მთავარი ექიმის კაბინეტიდან გამოსულებს, თვალში სწორედ მისი ნერ-*

ვიული ნაბიჯები გვხვდება. ჭარმაგი მძღოლი დაჭრილებსა და გარდაცვლილებზე საუბრისას, ცრემლების დამალვას ამაოდ ცდილობს.

— „სასწრაფო დახმარების“ მანქანები ფაქტობრივად, 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ხელისუფლების და ქვეყნის ინტერესების დაცვას ჩვენ ჩვენებურად ვემსახურებით და ვამყობთ კიდეც ამით.

— **ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომელი იყო ყველაზე მძიმე სამუშაო დღე თქვენთვის?**

— ყოველი დღე მძიმეა, როცა გარდაცვლილის გადმოყვანა გვიწევს. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევა არცთუ ისე ხშირია. სამხედროების გარდაცვალების მიზეზი ძირითადად, შეტაკების ადგილებიდან დაჭრილების დაგვიანებით გამოყვანაა: ღამის საათებში, როცა ყოველი მხრიდან ტყვიას ისვრიან, სამხედროების გამოყვანას ვერანაირად ვერ მოახერხებ, გათენებას უნდა დაელოდო. მძიმედ დაჭრილს კი, ეს ლოდინი არ შეუძლია... — *ამბობს ბატონი აკაკი და ვინ იცის, მერამდენედ იმშრალებს თვალზე მომდგარ ცრემლს. მისი ემოცია გასაგები და გადამდებია.*

— ჩვენი მხრიდან მსხვერპლი დიდი არ არის, — *საუბარში ერთვება მისი კოლეგა* ***ზაურ ბაძნიძე,*** *რომელიც*

დაჭრილებს უპატრონოდ მიტოვებულ დაქირავებულ ბოევიკთა გვამებზეც წუხს. — ჩვენს დაჭრილებს უპატრონოდ არავინ დატოვებს, კოკოითის მიერ დაქირავებული, გარდაცვლილი სნაიპერები და უცხოტომელი ბოევიკები კი, როგორც ჩანს, არავის ანაღვლებს. ეტყობა, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები დაჭრილებს სათანადო დახმარებას არ უწევენ. გარდაცვლილები კი, მიწას რომ მიაბარონ, ამაზეც არავინ ფიქრობს.

— **თქვენ რა იცით, რომ გარდაცვლილები, კოკოითის მიერ დაქირავებული ბოევიკები არიან?**

— აქ არაფერი იმალება. შეიძლება, კოკოითს, გარკვეული დროის შემდეგ, თავად უნდა ბოევიკების თავიდან მოშორება, რომ მათ დაპირებული გასამრჯელო არ გადაუხადოს, სანაცვლოდ კი, ახალი „კადრები“ აიყვანოს, რომლებსაც შემდეგ, ასევე უპატრონოდ და უსაფლავოდ დატოვებს... ბრძოლაში ოსები არ მონაწილეობენ, მათმა უმეტესობამ უკვე დატოვა ცხინვალის რეგიონი, რადგან იციან, რომ ეს კონფლიქტი რამდენიმე კვირაში დამთავრდება. საქართველოს ხელისუფლების ძალას კოკოითიც გრძნობს და მისი მიმყოლ-მიმდევრებიც, ამიტომ ვისაც შეუძლია, გარბის.

ბატონი ზაურის ოპტიმისტური პროგნოზით დაიმედებულებმა, შებინდებისას დავტოვეთ ტყვიავის საავადმყოფოს ტერიტორია, რომელიც ყოველდღე, ძრწოლით ელოდება კონფლიქტის ზონაში დაღამების მოახლოებას... ჩვენ კი გეზი კონფლიქტის ზონაში მოქცეული სოფლებისკენ ავიღეთ.

როცა პრემიერ-მინისტრის ესკორტს ცეცხლს უხსნიან და პარლამენტის თავმჯდომარის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფაც ვერ ხერხდება, ცხინვალისკენ მიმავალ გზაზე უნებლიეთ, სნაიპერზე ფიქრი აგეკვიატება. სადღაც იქ, შორს ან ახლოს ხომ კოკოითის მიერ დაქირავებული ბოევიკები მორიგ მსხვერპლს ელოდებიან...

სულის შემხუთავი სიჩუმე მორიგი შეტაკების დაწყებამდე ყველაზე მძაფრად ალბათ, სწორედ აქ იგრძნობა. სამშვიდობოებს ინტერვიუსთვის არ სცალიათ. მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გვიხსნის საკუთარ სამშვიდობო ფუნქციას და შემდეგ

ზაურ ბაქანიძე

აკაკი ქანამვილი



ნუკრი ჯოხაძე

გვთხოვს, კონფლიქტის ზონა დავტოვოთ:

— ჩვენი მთავარი მიზანია, თავიდან ავიცილოთ დიდ, ფართომასშტაბიან ომში საქართველოს ჩათრევის მცდელობა...

კონფლიქტის ზონიდან გამოსვლის შემდეგ, დაჭრილი სამხედროების მოსანახულებლად გორის საავადმყოფოს მივაშურეთ. მაგრამ სტაციონარის ხელმძღვანელობამ მათ შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარი განაცხადა. დაძაბული და ემოციურად დატვირთული მრავალი სამუშაო დღის შემდეგ, საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ნუკრი ჯოხაძე** *ჟურნალისტებს გაღიზიანებული და დაღლილი გვხვდება. ერთადერთი, რაზეც ბატონი ნუკრი აღფრთოვანებით ლაპარაკობს, ქართველი ჯარისკაცების ღირსეულ მოქმედებაა:*

— მე სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ჩვენი ჯარისკაცების ორგანიზებულობითა და თავდაჭერილობით. რამდენიმე დღის წინ, ჩვენთან გარდაცვლილი ოფიცერი მოასვენეს. მისმა ძმამ (ასევე სამხედრო ოფიცერმა) დედმამიშვილის დაღუპვის ამბავი გორის საავადმყოფოში შეიტყო. მას ისე ღირსეულად ეჭირა თავი, როგორც ნამდვილ სამხედროს შეეფერება.

— ჯარისკაცების მხრიდან მედპერსონალის მიმართ მუქარისა და ზეწოლის ფაქტები აღარ არსებობს?

— რამდენიმე წლის წინ, სამაჩაბლოში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს, ერთ დაჭრილს 30 გულშემატკივარი მოჰყვებოდა, იყო მუქარა და მუშტების ბრაგუნი: თუ მოკვდა, ზედ დაგაკლავთო! — გვეუბნებოდნენ... ახლა აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა. დაჭრილს ორი ახალგაზრდა მოჰყვება, გვეუბნებიან — თქვენს იმედად ვტოვებთო, — თავად კი, კვლავ საგუშაგოებზე ბრუნდებიან. მათ კარგად ესმით ის, თუ რას წარმოადგენენ, რა ევალებათ და რისი გაკეთება სურთ. ეს უკვე პროფესიონალი ჯარისკაცის ნამდვილი სახეა.

— ბატონო ნუკრი, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, თქვენთან დაჭრილი მშვიდობიანი მოქალაქეებიც მოჰყავთ, მათ შორის ოსი ეროვნების ადამიანებიც თუ არიან?

— გორის საავადმყოფოს ოსი პაციენტები ყოველთვის აკითხავდნენ. მაგრამ სიტუაციის დაძაბვის შემდეგ, მათ ჩვენთვის აღარ მოუმართავთ. თუმცა, ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე მივიღოთ და სათანადო დახმარებაც აღმოვუჩინოთ.

ექიმებიც მზად არიან, დახმარება აღმოუჩინონ ნებისმიერი წარმოშობის პაციენტს; ადამიანებიც — გვერდიგვერდ იცხოვრონ, განურჩევლად ეროვნებისა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებს მოსვენებას არ აძლევთ ფიქრი იმაზე, რომ შესაძლოა, საქართველოში სიმშვიდემ დაისადგუროს. ჩვენ მაინც იმედით შევცქერით მომავალს.

■

ჰილი ჰილბილ ჭურა ჯორჯი კალანდია

ვეძებთ პუტკუნა საპატარძლოს მხოლოდ ორი ჯაბით

ჩვენი დღევანდელი „სასიძო“ ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტი, გიორგი კალანდია გახლავთ. გიომ ამ ბოლო დროს თურქეთში სიარულს მოუხშირა და იქაურმა ქართველმა გოგონებმა მეტისმეტად მოხიბლეს კიდეც. მისი ინტერვიუდან შეიტყობთ: ვის ფეხებს შენატრის ჩვენი „სასიძო“, ვინ არის ის „პატარა“, რომელიც მისი ფავორიტია, რით მთავრდება მისი ყველა სიმთვრალე და ვისი მოფერება უყვარს ყველაზე მეტად. წინასწარ კი გეტყვით, რომ მისი გულის მოსაგებად, შეუძლიათ იაქტიურონ პუტკუნა და შავგვრემანმა გოგონებმა.

მარი ხაფარიძე

— **„სასიძომ“ აუცილებლად უნდა გაგვაცნოს ოჯახი...**

— ვცხოვრობ დედასთან და მამასთან ერთად. მამა ზვიად გამსახურდიას მთავრობის დროს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო და ამის გამო უამრავი პრობლემაც შეგვექმნა შემდგომ. დედა არის ექიმი-ჰიგიენისტი. მყავს და, რომელიც გათხოვილია და მოსკოვში ცხოვრობს. ასევე ჰეკინესის ჯიშის ძაღლი კიკი, რომელიც, ლომის, მიმუნისა და ძაღლის ნაჯვარი გახლავთ. ის ოჯახის სრულუფლებიანი, საყვარელი და ყველაზე პატივდებული წევრია. ეს გახლავთ ჩემი ოჯახი.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 28-ის და თანაც ვატყობ, რომ ნელ-ნელა უკვე სოლიდურ ასაკში შევდივარ, თუმცა, გული არ მიბერდება და ყველანაირად ვცდილობ, გარეგნულადაც ახალგაზრდული იერი შევინარჩუნო. ბოლო პერიოდში აქტიურად დავიწყე ცხენოსნობა ჩემს მეგობრებთან, ირაკლი ინნაიშვილთან და ინგა დადიანთან ერთად. ამიტომ ვფიქრობ, რომ ცხენით აქტიური ჯირითი ხელს შეუშლის ჩემს „აქტიურ“ დაბერებას.

— **ახლა დაგვიხასიათე საკუთარი თავი.**

— მხოლოდ თავის ქება არ გამომივა, რადგან ძალზე ბევრი უარყოფითი თვისებაც მაქვს. მაგალითად ის, რომ ყველას ყველაფერს ვაპატიებ და არ შემიძლია წყენა გულში ჩავიტოვო. მოდი, ჯერ კარგ თვისებებს ჩამოთვლი: ვარ შრომისმოყვარე, პრინციპული და არ მიყვარს ჭორაობა. ყველაზე ცუდ თვისებად კი ის მიმაჩნია, რომ ყველას ყველაფერს ვპირდები და ვერ ვუსრულებ. იმდენ დაპირებას ვიძლევი და იმდენ სფეროში, რომ უბრალოდ, ვერ ავუდივარ და გამოდის, ვატყუებ. მაქვს სპეციალური ბლოკნოტი, სადაც ჩემს დაპირებებს ვიწერ. გაკეთებულ საქმეს პლუსებს ვუწერ ხოლმე, მაგრამ ეს სია არასოდეს მთავრდება და ყოველთვის მინუსებით არის სავსე. რაიმეს რომ მთხოვენ, უარს ვერ ვეუბნები. ისე, ჩემი ბრალიც არის. ამას წინათ პარლამენტის შენობასთან ვიდექი. იქვე, შავებში ჩაცმული ქალი დაცვის ბიჭებს ეხვეწებოდა, რომ შიგნით შეეშვათ. მართალია, არავინ მეკითხებოდა, მაგრამ მივედი და დავინტერესდი, რა პრობლემა ჰქონდა ამ ქალს. აღმოჩნდა, რომ შვილისთვის სამსახური უნდოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. შევპირდი, დაგეხმარები-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა უკვე ვცდილობ, არავის არაფერს შევპირდე. ოჯახში მეუბნებიან, რომ ცუდი თვისება მაქვს, ღამით გვიან რომ ვიძინებ, მაგრამ სამაგიეროდ, ექვსი საათი ძილი მყოფნის და ადრეც ვდგები. უჰ, კიდევ იმდენი ცუდი თვისება მაქვს, რომ აქ ვერ ჩამოვთვლი... ისე, ადრე რომ ვიღვიძებ, ეს ხომ კარგი თვისებაა? მით უმეტეს, ახლა უფრო ადრე ვდგები, რადგან, იპოდრომზე დავდივარ... მყავს ჩემი ფავორიტი ცხენი. ძალზე მომწონდა ერთი ლამაზი ცხენი, რომელზეც ვამბობდი, რომ „გოგოა“-მეთქი, რადგან გოგოსავით ლამაზი ვარცხნილობა ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ბიჭი“ ყოფილა. ამიტომ გადავფიქრე და ვთქვი, რომ ჩემი ფავორიტი აღარ იქნება-მეთქი. ახლა სხვა მომწონს, მას „პატარა“ ჰქვია და მინდა, მასზე დავჯდომა და ჯირითი შევძლო. როცა ეტყვი, — შემსუბუქება ნავარდით, — იწყებს ნავარდს და თან ისე ლამაზად, რომ გული მწყდება, მსაგავსი ლამაზი ფეხები რომ არ მაქვს.

— **ჯუჯლუნი თუ გიყვარს?**

— ო-ო აბა რა! სამსახურში ყველამ იცის, რომ მაქვს მიზეზი თუ არა, ყოველთვის ვჯუჯლუნებ. ეს კიდევ ერთი ცუდი თვისებაა, რადგან ვიცი, რომ ამის გამო ბევრ ახლობელ ადამიანს დისკომფორტს ვუქმნი. შინ ვერ ვჯუჯლუნებ, რადგან ისეთ დროს მივდივარ, ამის დრო არ მრჩება, დილით კი ისეთ დროს გამოვდივარ — ველარ ვასწრებ. ისე, დედაჩემი სულ ჯუჯლუნას მეძახდა.

— **გაბრაზებას როგორ გამოხატავ?**

— საერთოდ, ხშირად არ ვბრაზდები, მაგრამ ამ ბოლო დროს, ალბათ ასაკის გამო, ძალზე ადვილად ვფეთქდები; ისე, რომ ველარც კი ვასწრებ გაბრაზებას, რატომ ვბრაზდები. ამ დროს ვყვირი ბოლო ხმაზე, მაგრამ ეს გრძელდება სულ ცოტა ხანს. დიდხანს რომ გასტანოს, შესაძლოა, ძალზე ცუდად დამთავრდეს ან ჩემთვის, ან მოწინააღმდეგე მხარისთვის. სულ ცოტა ხნის შემდეგ კი, ვფიქრობ ხოლმე: — რა მინდოდა, რატომ ვყვიროდი, რა მაბრაზებდა? — ეს აღელვება იქვე მთავრდება, რადგან ასეთი ჩვევა მაქვს, იქვე გავარკვიო უკმაყოფილების მიზეზი და გულში არ ჩავიტოვო.

ერთი ტაბლეტი ხეტოხოლი
თქვენს ტკივილს
სწრაფად და უკვალოდ გააქრობს!
ხეტოხოლი - დაემშვიდობეთ ტკივილს!
GMP
ჯი-ემ-პი

საერთოდ, უპირატესობას შავგვრემან ქალებს ვანიჭებ და თუ მექნება საშუალება, არჩევანი გავაკეთო გამხდარსა და მსუქან ქალს შორის, არჩევანს პუტკუნა ქალზე შევაჩერებ... (ყირგიზეთი, 2004 წ. აპრილი)

მერე თავს კომფორტულად ვგრძნობ... თუ ბოდიში მაქვს მოსახდელი, იქვე მოვიხდი ბოდიშს და მორჩა...

— **ცხელ გულზე გინება თუ გჩვევია?**

— ამასთან დაკავშირებით ლეგენდები დადის. უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი ისე დავამთავრე და რუსეთი და ევროპა ისე მოვიარე, რომ გინება არ ვიცოდი. გინების მასწავლებელს მივაგენი მაშინ, როდესაც სტუდია აუდიენციაში დავიწყე მუშაობა. თანაც ისე კარგად ავითვისე ბილწსიტყვაობა, რომ ჩემი „მასწავლებლები" გაოცებული დავტოვე. სამ დღეში საუკეთესო შედეგს მვაღწევ და ყველა თვალებდაჭყეტილი შემომყურებდა. თანაც ისეთი რაღაცები ვთქვი, რომ მათ გაგონილიც კი არ ჰქონდათ და უკვე ჩემგან სწავლობდნენ გინებას. თან წარმოიდგინეთ, რომ დავდიოდი პიკაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილი, სათვალით და ძალზე კლასიკური გარეგნობა მქონდა.

— **საპატარძლოს ოჯახის წევრები ყოველთვის ინტერესდებიან, როგორი სიმთვრალე აქვს სასიძოს...**

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი დათრობა ძალზე ძნელია. ეს გენეტიკურად მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ მე და მამას არ გვაქვს დიდი ღიპები და არც ტანად ვართ გოლიათები, ჩვენი დათრობა თითქმის შეუძლებელია. ძალიან ბევრს ვსვამ და მაინც არ ვთვრები. ამის გამო გარკვეულწილად დისკომფორტს განვიცდი ხოლმე, რადგან როდესაც ვქეიფობ, ეს დროს ტარება მთავრდება იმით, რომ ბოლოს ყველა მთვრალია, მე — ფხიზელი და ყველა სახლებში უნდა ჩამოვარიგო. მეორე დღეს მეკითხებიან ხოლმე, გუშინ რა გავაკეთეთ? როგორ ვიქცეოდითო? მეც, რაღა თქმა უნდა, ვუყვები ხოლმე, თან ცოტას წავამატებ, ცოტას გავაფორმებ და მე შენ გეტყვი, ვინმე შემედავება თუ რა? ჩემ გარდა არავის არაფერი ახსოვს. მერე დარცხვენილი ბავშვებივით ზოგიერთები საბნის ქვეშ ძვრებიან ხოლმე. კარგად მახსოვს ჩემი პირველი სიმთვრალე. სტუდენტი ვიყავი, ვიქეიფე, დავთვერი და შინ მივედი. „დედაენა" ავიღე ხელში და დაჟინებით დავკურებდი, რადგან ვიფიქრე, თავს წიგნით გამოვიფხიზლებ-მეთქი, ხელში კი „დედაენა" მომხვდა. ძალზე „კომპეტენტური" სახით ვუყურებდი, თან მიხაროდა, რომ რა კარგია, ოჯახის წევრები ვერც კი ამჩნევენ, მთვრალი რომ ვარ-მეთქი, მაგრამ თურმე წიგნი უკულმა მეჭირა და ისე „ვკითხულობდი"! ახლა, როდესაც დავლევ, ვცდილობ, დროზე მივიდე საწოლამდე, რომ დავწვე, რადგან არ მიყვარს, როცა თავს ვერ ვაკონტროლებ. გარშემო მყოფები ჩემს სიმთვრალეს იმით ხვდებიან, რომ ძალზე ბევრს ვიცინი, თანაც უაზრო რაღაცებზე. შარიანი არ ვარ. თუ ვინმე შარიანობს, ვცდილობ, დავაშოშმინო ხოლმე. გაშველების დროს ვერვერაერობით არ მომხვედრია.

— **გიყვარს, როცა გადამეტებულად ზრუნავენ შენზე?**

— არა, არა... ოჯახის წევრებისგან თუ გადამეტებულ მზრუნველობას ვგრძნობ, ვცდილობ ხოლმე, მაშინვე აღვკვეთო ეს. მამისგან ვისწავლე ის, რომ ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო...

— **გიყვარს, როცა გეფერებიან?**

— მანდილოსნის მოფერება რომ არ მიყვარდეს, ავადმყოფი ვიქნები. ოჯახის წევრები რომ მეფერებიან, არ მიყვარს, რადგან უკვე გავიზარდე და მიმაჩნია, რომ ახლა მე უნდა ვეფერებოდე მათ, თუმცა, ძალზე მიყვარს, როდესაც ჩემი და მეფერება, რადგან ის არის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი დედამიწის ზურგზე. ამიტომ მისი მოფერება მიყვარს.

— **გაგვიმხილე, როგორი მანდილოსნები მოგწონს?**

— ამ ბოლო დროს სამსახურის გამო ხშირად მიწევს თურქეთში სიარული. ახლა ვამზადებ ფილმს „გელინი" და ყველა მეკითხება, რა არის ეს „გელინი"? მაგრამ არავის ვეუბნები. პირველად შენ გეტყვი, ეს რას ნიშნავს. ეს არის მითური ქალის სახელი, რომელიც არის პატარძალი. თურქეთში ვნახე ლაზი და გურჯი ქალები და აღტაცებული დავრჩი მათი სილამაზით. გურჯი ქალები განსაკუთრებით მომწონა. ჩვენი ექსპედიციის წევრი, გუგა კუდავა, განსაკუთრებულად პატრიოტულ რჩევას მაძლევდა, რომ ცოლად გურჯი ან ლაზი ქალი მომეყვანა, რადგან ეს ქვეყანასაც გამადგება, ჩვენ საქმესაც და შენც კმაყოფილი იქნებიო, მაგრამ იქაური ქალი რომ ითხოვო, მის მშობლებს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადო, ცხვრები, ძროხები და ღორები უნდა მიუყვანო... თანაც ლაზები იგივე მეგრელი სისხლის ხალხია და ვიცი მე მეგრელი ქალების ამბავი. მოკლედ, ძალზე მოვიხიბლე ამ შავგვრემანი, ცისფერთვალება ქალებით. საერთოდ, უპირატესობას შავგვრემან ქალებს ვანიჭებ და თუ მექნება საშუალება, არჩევანი გავაკეთო გამხდარსა და მსუქან ქალს შორის, არჩევანს პუტკუნა ქალზე შევაჩერებ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ქალის ხასიათსაც. თუ შევატყობ, რომ ერთმანეთს ვერ გავუგებთ, მის გარეგნობას არანაირ მნიშვნელობას არ მივანიჭებ.

— **ახლა გვითხარი, რა უნდა მოიტანოს მზითვად პატარძალმა?**

— ვერ გეტყვით, რა არ უნდა მოიტანოს: წიგნები, რადგან ძალზე ბევრი წიგნი გვაქვს და აღარ ვიცით, სად წავიღოთ; არ უნდა მოიტანოს ჭურჭელი, რადგან გვაქვს და აღარ გვჭირდება; კიდევ... არ უნდა მოიტანოს ბევრი ტანისამოსი, რადგან ვკობია, ჰქონდეს სულ ორი ხელი ტანისამოსი, რადგან ჩემს დას ყოველთვის უზომოდ ბევრი კაბა, შარვალი, მაისური ჰქონდა... ამის გამო ყოველთვის ნერვები მეშლებოდა. სანამ ამოარჩევს, სანამ ჩაიცვამს, ჩემი დამემართება ხოლმე. ცოტა რომ ექნება, სწრაფად გაემზადება და ლოდინი არ დამჭირდება. მზითვად მოიტანოს კარგი ხასიათი, არ მეწყინება, თუ მანქანაც ექნება მზითვად... მთავარი კი ის არის, სუფთა გული და სიყვარული მოჰყვეს.

— **შენ რას დაახვედრებ?**

— ბინას დიდ დიღომში, სადაც ახლა ვცხოვრობ და გამოქაბულს ვეძახი. ეს ხუთოთახიანი ბინაა. კიდევ მაქვს ბევრი ნახატი, რომელიც ძალზე ძვირფასია ჩემთვის.

— **რომელი ნახატით შეგიძლია იამაყო?**

— ეს არის ქართველებისთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ამერიკაში საკმაოდ პოპულარული მხატვრის, ნიკა ჯაფარიძის „ქალი დაირით". მაქვს ასევე მირზაშვილის ნახატებიც. რამდენიმე წლის წინ შევაგროვე 150 მხატვრის ნახატი. მათ შორის რუსუდან ფეტვიაშვილისა და ლადო გუდიაშვილის ნახატებიც გახლდათ და საჩუქრად გადავეცი დადიანების სასახლეს, ზუგდიდში. ეს სასახლე ძალზე მიყვარს და იმიტომ...

— **ჩვენ შენს მზითვზე ვლაპარა-**

კობდით.

— ჰო, ცოლს დავახვედრებ ჩემს მშობლებს, დას, ძალს, ასევე სახლს ზუგდიდში, რომელიც დადიანების სასახლის უკან არის და შეეძლება, როცა მოესურვება სასახლის ეზოში ისეირნოს. მყავს „მერსედესის“ მარკის მანქანა და... მეტი არაფერი. საერთოდ, მანქანის არაფერი გამეგება. ამას წინათ, ორი დღე ვიარე ზეთის გარეშე. ძალიან რომ დაიწყო გრუხუნი, ხელოსანთან მაშინ მივიყვანე. ასე რომ თუ ჩემს მომავალ მეუღლეს მანქანების სფეროში ექნება განათლება, უკეთესი იქნება. რომ გაგვიფუჭდეს, გაკეთებაში მაინც დამეხმარება.

სწორედ ამ დროს მეგობარმა მანქანის „ნასოსი“ სთხოვა.

— ჩემს მანქანას „ნასოსი“ არ სჭირდება, კაურუკის „პაკრიშკები“ აქვს, არ იბერება...

— რას ამბობ, ბიჭო, ასეთი სპურავი არ არსებობს...

— ჰო? ესე იგი, ჩემი მანქანა ასეთი...

— ბიჭო, „ბეზკამერნი“ იქნება, კაურუკის „პაკრიშკები“ არ გამოგია...

— რა ვქნა, მანქანის არაფერი მესმის და აი, ერთი კურიოზიც გამოცხვა...

იქვე, მოგროვილმა ტელევიზიის თანამშრომლებმა კარგად იხალისეს გიორგის დილეტანტობის გამო საავტომობილო სფეროში და ჩვენი ინტერვიუ კურიოზების გასსენებით განვაგრძეთ:

— მანქანასთან დაკავშირებით ხშირად ვხვდები კურიოზულ სიტუაციაში. ყოველდღე მიწევდა გმირთა მოედანზე გავლა. წინათ იქ ინსპექტორები იდგნენ ხოლმე. მოძრაობის წესებს არ ვიცავდი და ყოველთვის მაჩერებდნენ — ხუთი ლარი ვჯარიმა — მეტყოდნენ ხოლმე. — არ მაქვს ხუთი ლარი, მე ესა და ეს ადამიანი ვარ და უნდა გამიშვათ-მეთქი. ერთხელ, ისე დავარღვიე მოძრაობის წესი, რომ საავარიო სიტუაცია შევქმენი. ინსპექტორმა მითხრა: — შენ უკვე ორმოცდაათი ლარის გაქვს დარღვეული და ახლა ათი ლარი მაინც უნდა გადაიხადო. უარი რომ ვუთხარი, მირჩია, ან მანქანის ტარება ისწავლე, ან აქ აღარ გამოიაროო... ხშირად მიხდება კურიოზულ სიტუაციაში მოხვედრა იმის გამო, რომ ნერვიულობის დროს რუსულად ძლივს ვახერხებ საუბარს: განსკუთრებით ვურეკ მდედრობითი და მამრობითი სქესის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ვცხოვრობდი რუსეთში და ამ ენას ბრწყინვალედ ვფლობ. აუდიენციაში მუშაობის დროს გამაგზავნეს გალში, სადაც დაძაბული სიტუაცია იყო. ოპერატორთან ერთად ვიყავი. საზღვართან ჩავვსვეს ვკავშანტრანსპორტიორში და ისე გადავდივართ. მე მაქვს „ვესტის“ კორესპონდენტის სბუთები, რომლის მიხედვითაც ეროვნებით რუსი ვარ. აეხაზებმა გაგვაჩერეს, ნახეს ოპერატორის სბუთები, დაუბრუნეს. შემდეგ ნახეს ჩემი, დამიბრუნეს, მაგრამ მეტიჩარა რომ ვარ, თავი გამოვიდე და ვეუბნები: „ია რადილას ვ მოსკვე“... აი, მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. რომ არა ქართველი სამშვიდობოების ძალისხმევა, იქიდან ვეღარ გამოვიდოდი. ერთხელ, მოსკოვში ტაქსით მგზავრობისას ძალზე ნაციონალისტი მძღოლი შეგვხვდა. დაიწყო ჩეჩნებისა და ქართველების ლანძღვა. მე ვფიქრობ: — ხმა არ უნდა ამოვიღო, ჩემი საქმე არ არის... — მაგრამ ვერ მოვითმინე და ვეუბნები: Ты знаешь, какое у нас положение? Мы не можем карач купить. Если карач купили, света нету, что, в машина хранить. ტაქსის მძღოლმა გოცებულმა მოქნა და მითხრა: – Даа! С вами точно нужно границу ставить... კიდევ, რიონ მეტრეველთან უნდა ჩამეწერა ინტერვიუ რუსულ ენაზე. მივედი ოპერატორთან ერთად, მიზეზი კი ის იყო, რომ ბატონი რიონი დასახელდა უნივერსიტეტში ყველაზე პოპულარულ ადამიანად. მოვემზადე და კითხვა დავსვი: Господин Роин, наши социологические человеки установили, что вы самый популярный человек, среди всех человеков... — ხომ მაგარია? და კიდევ ერთი კურიოზი, რომელიც მოსკოვში შემემთხვა: ჩემი დიდი თხოვნითა და დედაჩემის „ლობირებით“, როგორც იქნა, მამამ ვიდეოკამერა მიყიდა. მაშინ ძალზე იშვიათი იყო, ვინმეს შინ კამერა ჰქონოდა. მოსკოვის იუბილესთან დაკავშირებული ზეიმი იყო. მთელი ოჯახი წავედით გორკის პარკში. მე მივდივარ გაბადრული სახით და ვიღებ კამერით. ცალი თვალი დახუჭული მაქვს და უცებ, კადრში ორი ლამაზი რუსი გოგო გამოჩნდა. თან ვიღებ, თან გაცნობას ვთავაზობ. გოგონები უარზე არიან. მე თავს არ ვანებებ და... უცებ, ბოძს დავეჯახე და გადავყიროვდი. კამერამ დაფიქსირა ცა და ამ გოგონების გაკვირვებული სახეები, რომლებიც ზევიდან დამყურებენ. ერთი დღის ნაყიდი კამერა კი გადასაგდები გახდა...

— კარგი, იმ გამოხმაურებებით თუ დაინტერესდები, რომელიც ამ ინტერვიუს მოჰყვება?

— ასეთ კითხვებზე პირველად ვუპასუხე და მინდა გითხრა, რომ კარგად ვიხალისე... აუცილებლად გავეცნობი ყველა გამოხმაურებას და გულმოდგინედ წავიკითხავ.

თუ ჩვენი სასიძო მოგეწონათ, შეგიძლიათ მისი გულის მოსანდირებლად აქტიურობთ და გამოგზავნოთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე (8.77) 45.68.61 ■

„...მე შენ პირველი კლასიდან მიყვარდი“

მარი ხაფარიძე

ბედი მაქვსო, ნინო ჟიჟილაშვილმა უნდა თქვას. ისეთი თაყვანისმცემლები გამოეხმაურნენ, რომ ბევრს არც კი დაესიზმრება. ნინოს ძველი თაყვანისმცემელიც გამოეხმაურა და უფრო მეტიც — მის გაუთხოვარ დეიდასაც გამოუჩნდა მთხოვნელი... ახლა კი მის სახელზე მოსულ მესიჯებს გადავხედოთ.

„დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ნინოს, თუ ასაკი არ იქნება პრობლემა. ვარ ძალზე თბილი, ძალზე მკაცრი და მომთხოვნი. თუ რაიმე კითხვა გაუჩნდება ნინიკოს, მზად ვარ პირადად მას გავცე პასუხი“.

„მე შენ პირველი კლასიდან მიყვარდი, ჟიჟი. შენ კი სულ მეჩხუბებოდი. ახლაც მიყვარხარ, მაგრამ უკვე ვერ გიკავშირდები. იცი, შენ ჩემი შემოქმედების მუზა ხარ“.

„ნინო, თუ არ გინდა დეიდაშენივით გაუთხოვარი დარჩე, მე გამომყევი ცოლად. დედოფალივით გაცხოვრებ“.

„არ ვიცი ახლა ჩემი ფიქრით ვის არ ვეხები, ვერ შეგელევი, მთელ ქვეყანას მტლად დავედები, მე უშენობას ვეღარ ვიტან, ნუთუ ვერ ხვდები? შენზე ვოცნებობ, ვფიქრობ, ვდარდობ და ვეფერები“.

„ნინო, ძალზე დავინტერესდი შენით. შენმა გარეგნობამ მომაჯადოვა და ლექსების წერა დამაწყებინა“.

„გამარჯობა, ნინო. შენი ფოტო ვნახე, ძალზე ლამაზი და კარგი ხარ, ქალური აღნაგობა გაქვს და მომწონხარ. გიორგი, 27 წლის.“

,,მოდი! გეძახი ათას წლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა''...

,,ნინო, თუ ასე გააგრძელებ, დარჩები ,,სტარაია დევად'' და ვერასოდეს გათხოვდები. ასე როგორ შეიძლება?''

,,ნინუცი, ძალზე კარგი და კეკლუცი ხარ. მომწონს შენნაირი თავშეკავებული გოგონები. ჩვენ კარგად გავუგებთ ერთმანეთს. სოსო''.

,,ახლაც მეცინება, შენს დაბნეულ სახეს რომ ვიხსენებ, როცა ბენდუქიძემ ძალზე შორს გააგზავნა გაჩეჩილაძე. მაგარი იყო, არა? არ გეგონოს, ,,ვახურებ'' და შენც იგივე არ მითხრა, მართლა მომწონხარ. დამირეკე და ვისაუბროთ. გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე, თუ ვინმე კვლავ მოიქცევა ეკონომიკის მინისტრის მსგავსად...''

,,გოგო, არ გეპატიება, მჭადის ცხობა რომ არ იცი, არ გრცხვენია? კი, მაგარი ჟურნალისტი ხარ, გეთანხმები, მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ ქალმა პირველ რიგში ოჯახის საქმე უნდა აკეთოს. თეთრხელება ცოლი ვის აწყობს? პრაქტიკა კი გაქვს მიღებული და ქმარი რომ გეტყვის, სადილად რა გვაქვს? უპასუხე: – иди на... – ჩემი შარვალი გარეცხე? – иди на... – სახლი რატომ რა მიალაგე?! – иди на... – ჰოდა, მერე ისიც გეტყვის, გაჩეჩილაძისნაირ პასუხს და მოხდება ომი, აბა რა იქნება? ჰო, კარგი, კარგი, მივდივარ...''

,,ნინო, დეიდაშენი გამირიგე, რა? მეც ექიმი ვარ, 48 წლის, უცოლო. ჩემზე უფროსი ალბათ არ იქნება. საიმოვნებით გავხდები შენი ბიძა. თუ გინდა, მზითევში შენც გამოჰყევი. ერთად ვიცხოვრებთ. შენი დეიდა უკვე მიყვარს. გკოცნი მომავალი ბიძა''.

,,კარგი გოგო ჩანს ეგ თქვენი ,,საპატარძლო'', ჭკვიანი, პატიოსანი, გულისხმიერი და თუ მჭადის გამოცხობასაც ისწავლის, მთლად უკეთესი, თორემ იმერელი ბიჭი ვარ და სირცხვილი არ არის, ჩემმა ცოლმა მჭადისა და ხაჭაპურის გამოცხობა რომ არ იცოდეს?''

,,აუ, გადაირია დედაჩემი, ეს რა მაგარი ,,საპატარძლოა''. ეშმაკივით შემიჩნდა, დაურეკე მარის და დაურეკეო, მაგაზე უკეთეს რძალს ვერც ვინატრებო, ბენდუქიძის არ ეშინიაო და ძალიან მაგარიაო. აჰა, გიმესიჯებ მარი და ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს''.

,,ვოლგა'' გარაჟში რომ არ გეყოლება, ვიცი, მაგრამ მანქანა სულ არ გყავს? აბა, რით დადიხარ აქეთ-იქით? ფეხით რომ დადიოდე, ასეთ კარგ გოგოს მოგიტაცებდნენ. მოდი რა, მოსინჯე და დარეკე ჩემთან, გეუბნები, ჩემზე უკეთესი არავინ გამოგეხმაურება. იცი, რა მაგარი ტიპი ვარ? აუ, მიდი რა? მიდი, რა?''

,,ნინო, ძმა მყავს შენი შესაფერისი. ისეთი წყვილი იქნებით, როგორც ,,ტვიქსები'', ტკბილები და გემრიელები''. ■

„გზის" წინა ნომერში, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა, რომლის გამოქვეყნებისას რედაქციას უნებლიეთ, კურიოზი მოუვიდა: ბატონი ზაზას ნაუბარს სხვა პიროვნების ფოტო დავურთეთ თან...

შპს „ქართუ უნივერსალის" გენერალური დირექტორი ბატონი დავით კილურაძე (რომელიც, როგორც ბიზნესმენი, „კვირის პალიტრის" რესპონდენტი ყოფილა და მისი ფოტოსურათიც ჩვენს არქივში ინახება) მართლაც, ჰგავს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, რაც ოდნავ მაინც ამსუბუქებს ჩვენს შეცდომას. თუმცა, რასაკვირველია, ორივე მათგანს მოწიწებით ვუხდით ბოდიშს. ამასთანავე გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გაგაცნოთ პიროვნება, რომლის ფოტოსურათი ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა.

„გზა", ჰომერმაც „ქართუ უნივერსალთან" დაგვაკავშირა ანუ უცნაური ალრევა... მეორედ

დავით კილურაძე:

– როგორც კი ჟურნალი გამოვიდა, მაშინვე უამრავმა ადამიანმა დამირეკა. სამწუხაროდ, უმეტესობა, პუბლიკაციას ბოლომდე არ კითხულობს და დასკვნას სათაურის მიხედვით აკეთებს. იყო დაბეჭდილი ჩემი ფოტო, გვერდით კი – წარწერა: ,,მთაწმინდის პარკის მფლობელი ჯერ უცნობია''... სწორედ ამ სათაურის გამო მეკითხებოდნენ: ნუთუ, მთაწმინდის მფლობელი ხარ და ინიღბებიო?.. ჩემს ცხოვრებაში პოლიტიკური ამბიცია არ მქონია და არ მინდა, ზაზა ბეგაშვილმა იფიქროს, საკუთარ თავს აპიარებსო... მსგავსი ეჭვი ბევრს გაუჩნდა. წარმოიდგინეთ, ძირითადად, ის ადამიანები მირეკავდნენ, რომლებსაც წესით არ უნდა ეცალოთ ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად. მე ასე მეგონა, თურმე ვცდებოდი.

— თუ გახსენდებათ სხვა შემთხვევა, როცა ზაზა ბეგაშვილს მიგამსგავსეს? ვინმეს უთქვამს თქვენთვის, საკრებულოს თავმჯდომარეს ჰგავხართო?

– ასეთი მაღალი რანგის ჩინოსნისთვის ნამდვილად არავის მივუმსგავსებივარ. თანამშრომლებმა ,,გზა'' რომ მომიტანეს, გაოცებული დავრჩი. ბეგაშვილის ინტერვიუსთან ჩემი ფოტო რით იყო დაკავშირებული, ვერაფრით მივხვდი. მე და ზაზა ბეგაშვილი ერთმანეთს არც ვიცნობთ. თუმცა ახლა, უკვე საამისოდ საბაბი გვაქვს და იქნებ, თქვენმა ჟურნალმა და ამ უმტკივნეულო შეცდომამ ჩვენს მეგობრობასაც დაუდოს საფუძველი...

— თქვენს ცხოვრებაში მსგავსი კურიოზი ადრეც თუ ყოფილა?

– მოსკოვის ვეტერინარულ აკადემიაში ვაბარებდი. გამოცდები თბილისში ტარდებოდა. ეს იყო 1979 წელს. პირველი გამოცდა ბიოლოგიაში მქონდა. გამოცდას მშობლებიც ესწრებოდნენ. გამოცდებზე ექსპერიმენტი ხორციელდებოდა. ბოლოს დავრჩით ორი ვაჟი და სამი გოგონა, ბილეთები ავიღეთ

და მოსაფიქრებლად დავსხედით. იმ ბიჭმა ითხოვა – 5 წუთით გამოცდიდან გავალო. გაუშვეს. მე 17 წლის ვიყავი, ის ყმაწვილი ასაკით ჩემზე უფროსი გახლდათ. თუმცა, ასაკთან შედარებით დიდის შეხედულება მქონდა... გაიღო კარი და შემოვიდნენ კომისიის წევრები, რექტორთან ერთად. რექტორმა შემომხედა და თქვა: ეს ჩვენი ავღანეთში ნამსახურები აბიტურიენტიაო. კამათს ხომ არ დავუწყებდი?! თავი ჩავღუნე და გავჩუმდი. ჩემმა გამომცდელებმა ეს ფრაზა ერთგვარ „პაროლად“ მიიღეს. ალბათ, ის ყმაწვილი იყო „ავღანელი“, 5 წუთით გასვლა რომ ითხოვა... გამომცდელმა მთხოვა: ავღანეთის შესახებ მიამბეო. მაშინ პროგრამა „ვრემია“ გადმოსცემდა ხოლმე სიუჟეტებს ავღანეთიდან, ამიტომ ბრძოლის სცენის აღწერა და რამდენიმე დუშმანის სახელის გახსენება არ გამჭირვებია. გამომცდელმა შემაჩერა და თანაგრძნობით მითხრა: ახალგაზრდა კაცმა ისეთი განსაცდელი გამოიარე, ჩვენგან დადებითი შეფასება ნამდვილად გეკუთვნისო. ბიოლოგიიდან ერთი კითხვაც კი არ დაუსვამთ. აი, ასე, შეცდომით გავხდი სტუდენტი. სულ მაინტერესებდა იმ ყმაწვილის ამბავი, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია. ავღანელი ბიჭები სერიოზული სტრესის ქვეშ იმყოფებოდნენ; ალბათ, დაბაბულობას ვეღარ გაუძლო და ამიტომაც მიატოვა გამოცდა...

— ეი. განათლება მოსკოვში მიიღეთ?

– არა. სტუდენტობის დროს მშობლებმა აღმოაჩინეს, რომ რესპუბლიკის გარეთ ჩემი გაშვება არ ხიბლავდათ. თანაც, ვეტერინარულ აკადემიაში ქულები დამაკლდა და გადამიყვანეს კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიურ ფაკულტეტზე. არ გაინტერესებთ, რა სპეციალობას ვეუფლებოდი?.. მემხეცეობისა და მეირმეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ყველაფერი კარგად რომ აწყობილიყო, ახლა მინიმუმ, ჩუკოტკის ან იაკუტიის რომელიმე მეურნეობას მაინც ჩავიბარებდი, სამთავრობო სტრუქტურას თუ არა... თბილისში, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში გადმოვიტანე საბუთები, ოღონდ, რუსულ სექტორზე. რუსული კარგად ვიცოდი, მაგრამ კონსპექტების წერა პრობლემად მექცა. ამიტომ გამოვაცხადე: ქართული სკოლა მაქვს დამთავრებული და ლექციის რუსულად ჩაწერას ვერ ვახერხებ-მეთქი. 3 კურსი ასე დავხურე. მერე ქართულ სექტორზე გადავედი. მთელმა ინსტიტუტმა იცოდა, რომ კილუ-

მე და ზაზა ბეგაშვილი ერთმანეთს არც ვიცნობთ. თუმცა ახლა, უკვე საამისოდ საბაბი გვაქვს (დავით კიღურაძის ფოტო, რომელიც „გზის“ წინა ნომერში გავიდა)

ზაზა ბეგაშვილი

რაძე რუსული სექტორიდან იყო გადმოსული, ამიტომ კონსპექტების წერას არ მავალებდნენ. ასე ავიცილე თავიდან ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო რამ – კონსპექტების წერა... ჩემი მომავალი მეუღლე ნატო ოჩიგავა ინსტიტუტში გავიცანი. ის ჩემი თანაჯგუფელი და ჯგუფხელი იყო. მყავს 23 წლის ვაჟი, რომელიც „ჯი-პი-აი-ჰოლდინგში“ დეპარტამენტის უფროსია და 20 წლის გოგონა. ის სტუდენტია.

— თქვენი ცხოვრება ნაყინის წარმოებას როდის დაუკავშირდა?

– „ქართუ ჯგუფში“ ვმუშაობდი. 2 წლის წინ, „თოლიას“ გენერალური დირექტორი „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტად გადაიყვანეს. მე მომიწია აქ გადმოსვლამ და საქმის გაგრძელებამ. უკვე 2 წელია, შპს „ქართუ უნივერსალის“ გენერალური დირექტორი გახლავართ.

— ეი. მთავარი, ნაყინის სიყვარული არ ყოფილა?

– არა. თუმცა, ნაყინი ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, „თოლიას“ გარდა, სხვა ნაყინს არ მივირთმევ... თავიდან მხოლოდ ნაყინს ვუშვებდით, მაგრამ ნაყინის წარმოება სეზონურია და კომპანია თვეების მანძილზე უფუნქციოდ რჩებოდა. ამიტომ შარშან, საკონდიტრო და გაყინული პროდუქტების – ნახევარფაბრიკატების დამზადება დავიწყეთ. მომავალში უფრო მეტ ახალ პროდუქტს შევთავაზებთ მომხმარებელს. მთავარია, რომ კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას.

— „თოლიას“ პროდუქციის რეალიზება მხოლოდ ქვეყნის შიგნით ხდება?

– დიახ. ახლა გავფართოვდით, ახალი ტერიტორიები შევიძინეთ. ერთ თვეში ქარხანას სერიოზული და მძლავრი საწარმოო კომპლექსი შეემატება. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ქვეყანაში საგადასახადო გარემო მოწესრიგდეს. თუ ყველანი, გადასახადებს გადავიხდით, ჩვენი მოსახლეობაც მსყიდველობითუნარიანი გახდება. ნორმალური და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ამ გზით შენდებოდა. ჩვენც ამ გზას უნდა გავყვეთ. ■

«ᲓᲔᲚᲢᲐ»
ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ
ᲥᲐᲠ-ᲨᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲚᲐᲛᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲘᲡ
ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ
ᲑᲠᲢᲧᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲣᲠᲕᲔᲑᲘ
ᲛᲘᲡ: ᲒᲚᲣᲮᲘᲫᲘᲡ Ქ.№9 Ტ: 92 32 08; 92 14 95.

დრომოჭმული საგზაო პოლიცია ახალმა სტრუქტურამ — საპატრულო პოლიციამ შეცვალა, ახალი მანქანებით, ახალი კადრებით დაკომპლექტებულმა... რა სიკეთეს მოუტანს იგი ჩვენს საზოგადოებას? — ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს უახლოეს მომავალში მივიღებთ. მანამდე კი, გეგმებზე სასაუბროდ და პროგნოზების მოსასმენად, საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილეს ზურაბ მიქაძეს შევხვდით.

საპატრულო პოლიცია — კანონისა და მოქალაქეების სადარაჯოზე

ლელა ჭანკოტაძე
სოფო ჭონიშვილი

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ყოველთვის არსებობდა საპატრულო სამსახური, მაგრამ მას სხვა დატვირთვა და ფუნქციები ჰქონდა. სტრუქტურა, რომელიც დღეს შეიქმნა, მისგან მკვეთრად განსხვავდება. ბევრმა ეს ამბავი ცუდად გაიგო — ეგონათ, რომ ეს არის საგზაო პოლიციის ბაზაზე შექმნილი სამსახური. როგორც იცით, საპატრულო პოლიციის ოფიციალური პრეზენტაცია 12 აგვისტოს გაიმართა. 13 აგვისტოდან, ის თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. დაკომპლექტდა ჯგუფები, რომლებიც ქალაქში გავიდნენ. როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, პოლიცია არასოდეს ყოფილა ისეთი ორგანიზებული, როგორიც დღესაა...

ზურაბ მიქაძე

— როგორ მოხდა საპატრულო პოლიციაში კადრების შერჩევა?

— მე ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ მათ გაიარეს ორკვირიანი სპეციალური მომზადება აკადემიის სასწავლო ცენტრში.

— კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობები აკისრია საპატრულო პოლიციას?

— ქალაქი დაიყო კვადრატებად. გვაქვს 5 სამოქმედო რაიონი: ვაკე-საბურთალო, დიდუბე-ჩუღურეთი, მთაწმინდა-კრწანისი, გლდანი-ნაძალადევი და ისანი-სამგორი. თითოეულ რაიონზე გამოყოფილია გარკვეული რაოდენობის საპატრულო ჯგუფები — როგორც ფეხით მოსიარულე, ასევე მანქანით მოძრავი. მათი მოქმედების სქემა ასეთია: ნებისმიერი სამართალდარღვევის შემთხვევაში (მოცემულ კვადრატში), მათ უნდა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება — არა აქვს მნიშვნელობა, სისხლის სამართლის დანაშაული იქნება ეს, ადმინისტრაციული თუ საგზაო. რაც მთავარია, საპატრულო სამსახური მოძრავი, გადაადგილებადია.

— ეი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა მოქალაქის უსაფრთხოება დაცული იქნება?

— ეს ცოტა კატეგორიულად ჟღერს. მაგრამ პატრული მაქსიმალურად გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმ უბნებზე, სადაც მეტი დანაშაული ხდება ხოლმე. თუ პატრულს საკუთარი ძალებით პრობლემასთან გამკლავება გაუჭირდება, რადიოგადამცემის მეშვეობით დაუკავშირდება საპატრულო სამსახურის სხვა თანამშრომლებს და დასახმარებლად მოიხმობს მათ.

— რამდენი კაცი ზის თქვენს საპატრულო „ფოლკსვაგენში“?

— დღესდღეობით, სამ-სამი კაცი.

— რამდენს შეადგენს საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ხელფასი?

— საპატრულო პოლიციელი ერთი დღე მუშაობს, ორი დღე ისვენებს, ე.ი. გამოდის, რომ თვეში 10 დღე საქმიანობს. მისი ყოველთვიური ხელფასი 400 ლარს შეადგენს.

— ბევრი ქალი მუშაობს პატრულ-პოლიციელად?

— ბრძანებით დანიშნული ჯერ მხოლოდ 15 ქალია. დანიშვნები გრძელდება. ჩვენთან მუშაობა იოლი არ არის. ზოგი წავიდა ჩვენგან, რადგან სიმკაცრესა და არსებულ რეჟიმს ვერ შეეგუა. მაგალითად, ერთი წუთით დაგვიანებაც კი დაუშვებელია. საქმეც, მოგეხსენებათ, ძალზე საპასუხისმგებლო და საკმაოდ რთული-

ცაა. თითოეულ პატრულ-პოლიციელს უნდაც შეეძლოს ქუჩაში დანაშაულის აღკვეთა.

— ეი. თუ ქუჩაში ვინმემ ჩანთა გამომტაცა, პატრული დამეხმარება?

— თუ პატრული ამ ამბავს შეესწრება, უეჭველად დაგეხმარებათ.

— თუ ვერ შეესწრო?

— მიხვალთ პოლიციის განყოფილებაში და გააკეთებთ შესაბამის განცხადებას. თითოეული ადამიანის დაცვას პატრული ვერ შეძლებს, 2 მლნ ადამიანზე 2 მილიონი პატრული ხომ არ გვეყოლება?!.

— საპატრულო მანქანების საწვავით მომარაგება როგორ მოხდება?

— საპატრულო მანქანამ გაუჩერებლადაც რომ იმოძრაოს, დიდი რაოდენობის საწვავს მაინც ვერ დაწვავს, რადგან მაქსიმუმი 30-40 კმ/სთ სიჩქარით უნდა იმოძრაოს. შუქნიშნებთან, გზაჯვარედინებზე ჩერდებიან. ხალხმრავალ ადგილებში და მეტროს სადგურებთან მანქანებს აჩერებენ და ფეხით პატრულირებენ. ასე რომ, მანქანა მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ იმოძრავებს. ღამით, დროის გარკვეული ინტერვალებით, უბნების შემოვლას მოახდენენ. პირველი სექტემბრიდან, ქვეითი პატრული ხალხმრავალ და ცენტრალურ ქუჩებში გამოვა, რათა კონტროლი საზოგადოებრივ წესრიგზე უფრო სრულყოფილი იყოს. ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა. ეს პრობლემა ყოველთვის არსებობდა. წლების წინ, შევესწარი შემთხვევას, როცა გოგონას ქუჩაში ჩანთა გამოჰგლეჯეს ხელიდან; შემდეგ პოლიციელები იმ გოგოს ეხვეწებოდნენ — მძარცველი დავიჭირეთ, წამოდი, საჩივარი დავიწერეო, — მაგრამ დაზარალებულმა უარი განაცხადა, შეეშინდა და იმიტომ. არადა, თუ დაზარალებული არ არის, ბრალდებული როგორღა იქნება?..

— ეი. „კარმანშიკების“ პრობლემა მოიხსნება? თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წავიდა ის დრო, როცა ჯიბის ქურდებს პოლიციელები მფარველობდნენ?

— ცხოვრებაში არ შევხვედრივარ ისეთ პოლიციელს, რომელსაც ასეთი რამ უკადრია. არც არავის შერჩება ამ გზით ნაშოვნი ფული...

— ეი. პატრულთა პატიოსნების იმედად უნდა ვიყოთ?

— მარტო პატიოსნების იმედად ყოფნა მაინც არ ივარგებს. მათზე სერიოზული კონტროლი ხორციელდება და მომავალშიც განხორციელდება. ვინც პატრიოტია, ყველა გაახმაურებს საპატრულო სამსახურის ნებისმიერ დარღვევას, თუკი ასეთი დაფიქსირდება.

— როგორია პირველი დღეების შედეგები? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდით?

— მთავარია, პოლიციელებს საზოგადოების მხარდაჭერა ჰქონდეთ. ერთ რუსულ ფილმშია ასეთი სიუჟეტი. მილიციელი კითხულობს: ვინაა მოწმეო? — მე ვარო, — პასუხობს ერთი. — მეც ვარო, — პასუხობს მეორე... — მაინც რა მოხდაო? — კითხულობენ ბოლოს ერთხმად... აი, ასეთი მენტალიტეტია რუსეთში... ჩვენში პოლიციასა და ხალხს შორის ნდობა დაიკარგა და ეს ძალიან ცუდია. არადა, იცით, როგორი მონდომებული ხალხი მუშაობს საპატრულო სამსახურში?.. მორიგეობის მეორე დღეს ისვენებენ, მესამე დღეს კი, საკუთარი ინიციატივით, ისევ სამსახურში ცხადდებიან. ადმინისტრაციულ კოდექსს ჩაჰკირკიტებენ. მეცადინეობენ, რათა გაარკვიონ და ზუსტად იცოდნენ, რა დროს აქვთ მოქალაქის დაკავების უფლება, როგორ, რა მეთოდებით უნდა დააკავონ, რომელ პრობლემას როგორ გაართვან თავი და ასე შემდეგ. მათი მონდომება შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

როგორც ხშირად ხდება, გართულებების გარეშე არც ამ სიახლის შემოღებას ჩაუვლია. ბატონ ზურაბთან შეხვედრის მეორე დღეს, რედაქციაში ახალგაზრდა ქალი — ვიოლეტა ოძელაშვილი გვესტუმრა. მასზე, როგორც პატრულ-პოლიციელ ქალზე ქართულ პრესაში უკვე დაწერილა. ახლა კი, ის უმუშევარი დარჩა: მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ის პატრულად არ დაამტკიცა.

ვიოლეტა ოძელაშვილი

ვიოლეტა ოძელაშვილი:

— წლების განმავლობაში უმუშევარი ვიყავი. როცა საპატრულო სამსახურის შექმნის შესახებ შევიტყვე, ძალიან გამიხარდა. სპორტული მონაცემებიც მქონდა — წლების მანძილზე, აღმოსავლურ ორთაბრძოლაში ვვარჯიშობდი. ვარ 1987 წლის თბილისის ჩემპიონი ძიუდოში, ესტონეთის ღია პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე, ძალიან კარგად ვცურავ.

სტუდენტობის დროს, ვმონაწილეობდი შეჯიბრებებში დიდ დისტანციაზე სირბილში. ასე რომ, პატრულისთვის საჭირო ყველა მონაცემი მაქვს... გასაუბრების შემდეგ, საპატრულო სასწავლებელში ჩავირიცხე. სწავლების ორკვირიანი კურსიც წარმატებით გავიარე. გამოცდები და ნორმატივები უპრობლემოდ ჩავაბარე. გამოცდების დამთავრების შემდეგ, ჩვენი საბუთები შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა დასამტკიცებლად. ამასობაში, აგვიღეს ზომები, საპატრულოს ამერიკულის მსგავსი ფორმების შესაკერად. იმავე დღიდან – 12 ივლისიდან *(საცდელი პერიოდი, ძველი მანქანებით. – ავტ.)* შევუდექით მოვალეობის შესრულებას.

— საქმეს თავი კარგად გაართვით?

– დაგვყვეს ოცეულებად. მე მთაწმინდა-კრწანისის რაიონში მოვხვდი. ირაკლი ნამგალაძესთან ერთად, ფონიჭალის ტეკზე დილამდე ვიმორიგეევ. დიდი ბრძოლების გადატანა მოგვიხდა მძღოლებთან, რომლებსაც პროდუქტი მოჰქონდათ გასაყიდად: შემოდიოდნენ და პირდაპირ მაგიდაზე ყრიდნენ ფულს; გარკვეული ,,სტავკა'' არსებობდა, რომ უპრობლემოდ გაევლოთ ტეკი. ალბათ ქრთამი უნდა აგვეღო და ამ შემთხვევაში ჩაგვრიცხავდნენ საპატრულო სამსახურში... როცა სომხეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა, დილის 9-დან ღამის 11 საათამდე, ფეხზე ვიდექი. კოკისპირულ წვიმას არ მოვრიდებივარ. წუთით არ დამიწუწუნია. იმის გამო, რომ ქალი ვარ, არანაირი შეღავათი არ მითხოვია... ყოველდღე მივდიოდი უფროსობასთან და ვეკითხებოდი: მოაწერა მინისტრმა ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი-მეთქი? 30 ივლისს, ვანო ბერაძეს *(საპატრულოს უფროსი. – ავტ.)* ვკითხე: რატომ მომატყუეს-მეთქი? – უკვე ვიცოდი, რომ მესამე სიაშიც არ ვიყავი. ორჯერ მოვიდა სამინისტროდან იმ პატრულ-პოლიციელთა სია, რომელიც მინისტრმა დამტკიცა. მეგონა, მესამე სიაში მაინც მოვხვდებოდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ნუ შეგვაწუხეთ თქვენი ვიზიტებითო! – მითხრა ბერაძემ... მას შემდეგ, სასოწარკვეთილი ვარ. არ მესმის, რატომ ჩამომაცილეს საპატრულო პოლიციას. დახლოებით 70-72 პატრულის სახელი და გვარი არ აღმოჩნდა სიებში. რატომ?..

ამ რიტორიკული კითხვით დაასრულა ჩვენთან საუბარი ვიოლეტა ოძელაშვილმა და კვლავ ზურაბ მიქაძეს დავუკავშირდით, რათა კონფლიქტური სიტუაციის მიზეზი დაგვედგინა.

— რატომ არ მოხვდნენ დამტკიცებულთა სიებში ის პატრულ-პოლიციელები, რომლებმაც კურსები გაიარეს?

– მე სიების შესახებ წარმოდგენაც არა მაქვს. არანაირი სიები არ არსებობს. უბრალოდ, თითოეული პატრული ბრძანების საფუძველზე დაინიშნა. აკადემიის სასწავლო ცენტრში მომზადება ბევრმა მოქალაქემ გაიარა. შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში მოხვედრას თავისი წესი და რიგი აქვს. ვისი დოკუმენტაციაც წესრიგში იყო და ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნა, მისი პატრულად დანიშვნის შესახებ ბრძანება უცებ გაიცა. ეს ჩემი ვარაუდია. კონკრეტული პასუხი კადრების განყოფილებაში ექნებათ. ჩვენთან მოდის ბრძანება პირის პატრულ-პოლიციელად დანიშვნის შესახებ. შეიძლება, ვიოლეტა ოძელაშვილის საბუთებშიც რაიმე უზუსტობა იყო და ირაკლი ოქრუაშვილმა ჯერჯერობით ამიტომ არ მოაწერა ხელი ბრძანებულებას მისი დანიშვნის შესახებ.

სამწუხაროდ, მინისტრთან დაკავშირება, გასაგები მიზეზების გამო, ამ დღეებში ვერ მოვახერხეთ. ვფიქრობთ, ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრის გამოსვლამდე, საშუალება მოგვეცემა, გავარკვიოთ, თუ რა მიზეზით დაიწუნეს ზოგიერთი კურსებგავლილი პოლიციელი და ჩვენი რესპონდენტის შემდგომ ბედსაც ნათელი მოეფინება.

ფრაზა

ადამიანისთვის, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, ყველაზე აუტანელი, განმარტოებაა.

ბლეზ პასკალი

გენიალური

XX საუკუნის საშიში აფერისტები უწოდეს თბილისელ ცოლ-ქმარს

სანქტ-პეტერბურგის სასამართლოს განაჩენის თანახმად, მათ 750 მილიონი რუბლი მიითვისეს

მეგი ცანავა

ამბობენ, რომ ქართველ ცოლ-ქმარს — ვიტალი და მაია კაკაბაძეებს (სახელები შეცვლილია) დიდი შანსი აქვთ, ისტორიაში შევიდნენ, როგორც XX საუკუნის ყველაზე საშიში თაღლითები. რუსეთის ტერიტორიაზე მათ მიერ ჩატარებულ ათამდე გახმაურებულ მსხვილ აფერაზე სანქტ-პეტერბურგის პროკურატურაში 4 წლის მანძილზე იწერებოდა სისხლის სამართლის საქმის ტომები. თავად კაკაბაძეებმა კი, როგორც გამოძიების მასალებით ჩანს, სულ რაღაც 2 წელი მოანდომეს იმას, რომ რუსეთის უმსხვილესი კომერციული სტრუქტურები გაკოტრების პირას მიეყვანათ.

რუსმა სამართალდამცავებმა წყვილს, საოცრად მოხერხებული და წარმატებული აფერისტები უწოდეს. სავაჭრო სახლები, კომპანიები, ფირმები ერთიმეორის მიყოლებით ებმებოდნენ ქართველი ცოლ-ქმრის მიერ დაგებულ მახეში და ამის შედეგად, კოლოსალურ თანხებსაც ემშვიდობებოდნენ. პარალელურად იზრდებოდა კაკაბაძეების ქონება და საყოველთაო გაჭირვების ჟამს, საქართველოდან რუსეთში გადახვეწილი ცოლ-ქმარი იმ დროს სანქტ-პეტერბურგის უმდიდრეს ოჯახთა სიის თავში მოექცა... არცაა გასაკვირი – ქალაქის პროკურატურა და დაზარალებული

ორგანიზაციები კაკაბაძეებს კონკრეტულ თანხას – 750 მილიონ რუბლს ედავებოდნენ. საინტერესოა, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვის მიხედვით, რომელიც საქმის მასალებშია დაცული, ნათქვამია: „...სამწუხაროდ, ყველა დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენა შეუძლებელი აღმოჩნდა და ვფიქრობთ, დასახელებული თანხა მხოლოდ ზღვაში წვეთია...“ სანქტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ კაკაბაძეებს განაჩენი გამოუტანა...

პოლონელი ინსტრუქტორი

ვიტალი და მაია კაკაბაძეები თბილისელები არიან. მშობლიური ქალაქი მათ 1994 წელს დატოვეს და საცხოვრებლად რუსეთში, კერძოდ, როსტოვში გადაბარგდნენ. რამდენიმე წელიწადში სანქტ-პეტერბურგში გადავიდნენ. პირველ ხანებში, სასტუმრო „მოსკოვში“ მოეწყვნენ – მშვენიერი აპარტამენტი აიღეს და სულ მალე, თბილისიდან, მანამდე ნათესავების ამარა დატოვებული არასრულწლოვანი შვილებიც – ქალ-ვაჟი გამოიძახეს; ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ როსტოვში ყოფნისას, არცთუ ისე ურიგო თანხა დაეგროვებინათ. თავად კაკაბაძეები პროკურატურაში დაკითხვისას, თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებს წარმატებული ბიზნესით ხსნიდნენ. ამაში მათ არც სამართალდამცავები ეკამათებოდნენ, ოღონდ, აღნიშნავდნენ, რომ სიტყვა „ბიზნესი“ ბრჭყალებში უნდა ჩაესვათ, რამეთუ მათი წარმატება, სიცრუესა და სიყალბეზე იყო აგებული.

ჯერ კიდევ სასტუმრო „მოსკოვში“ ცხოვრებისას, ცოლ-ქმარმა შემთხვევით, მეზობელი ნომრის ბინადარი გაიცნო – პოლონელი მარიან ბელიაკი, კაცი (როგორც მას კაკაბაძეების საქმის მასალებში სამართალდამცავები ახასიათებენ) მეტისმეტად გაქნილი და მოხერხებული, საოცრად კომუნიკაბელური, მაღალი კლასის აფერისტი, გამოცდილი თაღლითი და წლების მანძილზე ინტერპოლის მიერ უშედეგოდ ძებნილი.

ბელიაკი შესანიშნავად გამოიყურებოდა. თავი ისე ეჭირა, როგორც ძალზე წარმატებულ ბიზნესმენს და, რა თქმა უნდა, გარშემო მყოფებთან სწორედ თავისი საქმის პროფესიონალად ასაღებდა თავს. მას მოსკოვში პრობლემები არ შეჰქმნია, რადგან იმ პერიოდში, რუსეთში ჩასული უცხოელი კრიმინალების შესახებ კომპიუტერული მონაცემები თითქმის არ არსებობდა. ბელიაკმაც კარგად იცოდა ეს და თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდა. თუმცა, სირთულეებს მაინც წააწყდა. პროფესიონალი თაღლითი რუსეთში „სამუშაოდ“ გახლდათ ჩასული, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ უცხო ქალაქში საჭირო კავშირების გარეშე ვერაფერს გახდებოდა. ვიტალი და მაია კაკაბაძეები მის ცხოვრებაში მაშინ გამოჩნდნენ, როცა სწორედ ამ კავშირების „გაჩარხვას“ ცდილობდა და შესაფერის კანდიდატურებსაც აქტიურად ეძებდა.

ბელიაკმა ცოლ-ქმარში თავიდანვე დაინახა პოტენციური პარტნიორები. ყოველდღიური საუბრებისას გაირკვა, რომ სამივეს ერთნაირი შეხედულებები და ზრახვები ჰქონდა, სამივეს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა: რაც შეიძლება მეტი ფული ეშოვა. საერთო ენის გამონახვის შემდეგ, ბელიაკმა კაკაბაძეები საქმის კურსში ჩააყენა. ისინიც შესანიშნავი მოსწავლეები აღმოჩნდნენ და სამეულმაც პირველი აფერა დაატრიალა.

მოქმედება პოლონელმა დაიწყო. ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში „საქმიანი“ განცხადება მიიტანა და ორი კვირის მანძილზე, ყოველ ნომერში მის გამოსაქვეყნებლად განსაზღვრული თანხა გადაიხადა. განცხადება კუბიდან ჩამოტანილი შაქრის ფხვნილის დიდი პარტიის გაყიდვას ეხებოდა. რეალურად, არანაირი შაქარი არ არსებობდა...

რამდენიმე დღეში მყიდველიც გამოჩნდა. მასთან შესახვედრად ვიტალი კაკაბაძე და მარიან ბელიაკი საჩქაროდ გაეშურნენ. საქმიანი იერითა და ტონით შესთავაზეს „გემიდან სულ ახლახან ჩამოტვირთული შაქარი“ ძალზე იაფად და მხოლოდ ერთი პირობით – მყიდველს მთელი თანხა წინასწარ უნდა გადაეხადა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ შეთანხმდნენ, გაფორმეს კონტრაქტი, მიიღეს ფული და... ამის შემდეგ, კლიენტი დიდი ხნის მანძილზე ამაოდ ელოდა დაპირებულ საქონელს...

„გაცურებული“ კლიენტის ყველა მცდელობა, სადმე შეხვედროდა ვიტალი კაკაბაძეს ან მის პოლონელ კომპანიონს, უშედეგოდ სრულდებოდა. მას შემდეგ, პროკურატურის მონაცემებით, სამეულმა „ოთხი-ხუთი გემის ტვირთის“ „გაყიდვაც“ მოახერხა...

რამდენიმე თვე რომ გავიდა, ბელიაკისა და კაკაბაძეების გზები გაიყარა. პოლონელი თაღლითი გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა და მიიმალა, თავის შეგირდებს კი, ანდერძად ფასდაუდებელი გამოცდილება დაუტოვა. თავის მხრივ, ცოლ-ქმარმაც შესანიშნავად აითვისა „საქმე“. დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსების გაცურება არცთუ ისე რთული ყოფილა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამწყებ ბიზნესმენს თავს უცხოელად წარუდგენ. იმ დროს, როცა ქვეყანაში ბიზნესი ფეხს იკიდებდა, ახალბედა კომერსანტები იოლად ენდობოდნენ უცხოელებს. პოლონელი ასე არიგებდა კაკაბაძეებს: „ყოველთვის უცხოელად გაასაღეთ თავი და უეჭველად დაგიჯერებენ, რაც არ უნდა უთხრათ“. ცხოვრებაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უდასტურებდა მათ ამ სიტყვებს.

კაკაბაძეებმა გადაწყვიტეს, რომ უკვე საკმარისი გამოცდილება დაგროვეს და დადგა დრო, საკუთარი „ბიზნესი“ გაეჩაღებინათ. თუმცა, დამოუკიდებელი მოქმედებისთვის მხოლოდ კომერსანტობის დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი გულუბრყვილო მოქალაქეებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა არ იყო საკმარისი. მსხვილი აფერები სათანადო მომზადებას მოითხოვდა. ცოლ-ქმარმაც არ დააყოვნა და შესაშური ენთუზიაზმით შეუდგა სამზადისს. პირველ რიგში, შექმნეს ფირმა, რომელიც მაია კაკაბაძის ქალიშვილობის გვარზე – ბიგვავაზე გააფორმეს და დაარეგისტრირეს. პეტერ-

ბურგის მიმდებარე დასახლებებიდან ერთ-ერთი – ზელენოგორსკი აირჩიეს და ოფისიც იქ გახსნეს. შემოიკრიბეს ძველი ნაცნობები, რომელთა შორის, როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, არც ერთი პატიოსანი მოქალაქე არ ერია. ისინი იყვნენ: სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ეჭვმიტანილი პირები, ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო რეალიზაციისთვის ნასამართლევი კრიმინალები.

კომერციული საქმის წარმართვა კაკაბაძეებს, მით უმეტეს, მათ მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, პრობლემებს შეუქმნიდა, როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან, ასევე კრიმინალებთან ურთიერთობისას. ხვდებოდნენ რომ გავლენიანი „კრიშის“ გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ და კაკაბაძეებიც აქტიურად შეუდგნენ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან კავშირების ძებნას.

კანონიერი ქურდის ფრთის ქვეშ

მალე შეძლეს კიდეც, იმ დროისთვის ერთ-ერთი საშიში კრიმინალური დაჯგუფების ლიდერის – გენადი კომაროვისა და მისი მეუღლის – სვეტლანას გაცნობა. მათთან დაახლოებაში დიდი როლი ითამაშა მაია კაკაბაძემ, რომელიც ადამიანებთან დაახლოების საოცარი უნარით გამოირჩეოდა და იცოდა, თუ როგორ უნდა მოეგო მათი გულები; მილიციელებთან საუბრისას სპეციფიკურ სლენგს მიმართავდა, ბანდიტებთან კი, მათთვის დამახასიათებელი ჟარგონით ლაპარაკობდა. კომაროვებთანაც მალე გაბა კონტაქტი, სვეტლანას გული მოიგო, მისდამი გამოჩენილი ყურადღებით და დაუმეგობრდა მას. თუმცა, როგორც პროცესზე გამომძიებელი აღნიშნავდა, თავალთმაქცობა არც სვეტასთვის იყო უცხო. მისი დასკვნით, ორივე ქალი „ჭეშმარიტად კრიმინალური ნიჭით“ იყო დაჯილდოებული.

კომაროვებთან დამეგობრება საქმეს მალე დაეტყო. მატერიალური ბაზა მზად იყო, ოფისი კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა, გაზეთებში გაჩნდა განცხადებები, რომლებიც იუწყებოდა, რომ ფირმა ხელსაყრელ ფასად სთავაზობდა ყველას უმაღლესი ხარისხის პროდუქციას – აუდიო-ვიდეო აპარატურას, ავტომანქანებს, შაქარს, სიგარეტს...

„საზღვარგარეთელი ბიზნესმენების“ პირველი მსხვერპლი, სანქტ-პეტერბურგში ახალგახსნილი სავაჭრო სახლი აღმოჩნდა. საქმის მასალების თანახმად, ამ ორგანიზაციამ კაკაბაძეებთან ურთიერთობის შედეგად 5,5 მილიონი რუბლი დაკარგა. როგორც გაირკვა, მათ შორის, უცხოური სიგარეტით მომარაგებაზე ხელშეკრულება დაიდო... კონტრაქტის ხელმოწერიდან ერთი თვეც არ იყო გასული, როცა ზემოთ ხსენებულ სავაჭრო სახლს კომპანია „ნპო“ მიჰყვა. კაკაბაძეები ამ კომპანიის ხელმძღვანელობას 10 ახალთახალ „ვაზ 21099“-ს დაჰპირდნენ, თანხა მიიღეს, მანქანები კი არსად ჩანდა...

როცა უკმაყოფილო კლიენტი ფირმას აკითხავდა, ცოლ-ქმარი მას ამშვიდებდა და ეუბნებოდა, რომ საქონელი სანქტ-პეტერბურგამდე ჯერ არ ჩასულა ან პრობლემები შეიქმნა განბაჟებასთან დაკავშირებით და სხვა ამგვარი. მეუღლეებისთვის მთავარი, დროის მოგება იყო და ამას ახერხებდნენ კიდეც.

გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ მაია კაკაბაძემ სხვაგვარადაც დაიჭირა თადარიგი: ამა თუ იმ ფირმის წარმომადგენელს ხელშეკრულების გაფორმებისას, უამრავ ქაღალდზე, დოკუმენტების ასლებზე აწერინებდა ხელს; ამასობაში თავბრუს ახვევდა და შეუმჩნევლად შეუცურებდა კონტრაქტის იმ პირს, რომელზეც მისთვის ხელსაყრელი პირობები იყო დაფიქსირებული. კერძოდ, მასში კაკაბაძე კლიენტს, თანხის ასპროცენტიანი წინასწარი გადახდის გარდა, მკაცრ ვადებს უწესებდა. ფული მყიდველს კაკაბაძეების საბანკო ანგარიშზე უნდა გადაერიცხა, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა; იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ამ ვადებს დაარღვევდა, ფირმას საჯარიმო სანქციები დაეკისრებოდა... ამის შესახებ თავდაპირველად მყიდველმა, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა. აქედან გამომდინარე, ვადებსაც არ იცავდა და უნებლიეთ არღვევდა კონტრაქტის მოთხოვნებს. ყველაფერს მხოლოდ მას შემდეგ ხვდებოდა, როცა „შეძენილი“ საქონლის ამაო ლოდინით გამწარებული, კაკაბაძეების ფირმაში მივარდებოდა და სასამართლოში ჩივილით იმუქრებოდა. სწორედ მაშინ, ცოლ-ქმარი კლიენტს კონტრაქტის მის მიერვე ხელმოწერილ პირს წააკითხებდა და მშვიდად უხსნიდა, რომ პრეტენზიების არანაირი საფუძველი არ გააჩნდა...

ასეთი ფანდის შედეგად, ზემოთ აღნიშნული კომპანია „ნპო“, როგორც საქმის მასალებში წერია, 6 მილიონ 750 რუბლს დაემშვიდობა. ამას მოჰყვა სტავროპოლელი ბიზნესმენის სერგეი ლ-ს გაწბილებაც. ბიზნესმენმა კაკაბაძეების ფირმის ანგარიშზე 135 მილიონი რუბლი გადარიცხა, რომლის საფასურადაც, 50 ავტომანქანა „ვაზ 21099“ უნდა მიეღო. როცა კლიენტი მიხვდა, რომ მწარედ მოატყუეს, სტავროპოლელ ქურდებს დაუკავშირდა და საქმის გარჩევა სთხოვა, მაგრამ აქ კომაროვის გავლენამ გაჭრა და ამ გზით სიმართლის პოვნა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ, სერგეი ლ. იძულებული გახდა, პროკურატურისთვის მიემართა. როგორც ჩანს, ამ გზას სხვა კლიენტებიც დაადგნენ, რადგან სამართალდამცავებთან კაკაბაძეების ფირმის წინააღმდეგ ათამდე საჩივარმა მოიყარა თავი. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ქალაქის მერიაში სპეციალური სარეგისტრაციო პალატა შეიქმნა, რომელიც ვალდებული იყო, სანქტ-პეტერბურგში დარეგისტრირებული და მოქმედი კომერციული ორგანიზაციის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია შეეკრიბა.

მოულოდნელი ჩავარდნა

ცოლ-ქმარი დაფრთხა. იმ დროისთვის მათ კომაროვთანაც გაუფუჭდათ ურთიერთობა, თანხის გაყოფის მიზეზით, ამიტომ მისი მხარდაჭერის იმედი აღარ ჰქონდათ და ზელენოგორსკიდან საჩქაროდ გამგზავრება გადაწყვიტეს. გამოძიების ვარაუდით, მათ საზღვარგარეთ წასვლა ჰქონდათ განზრახული და აპირებდნენ კიდეც საამისოდ საბუთების მოწესრიგებას. მაგრამ სწორედ ამ მზადების პერიოდში, მოულოდნელად ჩავარდნენ. სამართალდამცავებისგან თავის დაღწევა მათ ვერ შეძლეს. 1997 წლის ოქტომბერში, კაკაბაძეები დააკავეს. ჩხრეკისას მათ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა (პისტოლეტი „ტტ“, ხელყუმბარა, სანადირო თოფები, ხანჯლები და ხმლები) აღმოაჩნდათ. ამის გამო პროკურატურამ, თაღლითობასა და დიდი რაოდენობით თანხის უკანონო მითვისების გარდა, ცოლ-ქმარს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაშიც დასდო ბრალი. გამოძიების ვარაუდით, მათ იარაღის უკანონო რეალიზაციაც ჰქონდათ განზრახული.

ცოლ-ქმარი თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მათი ადვოკატები საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნებას მოითხოვდნენ, იმ მოტივით, რომ ბრალი ამომწურავად არ იყო დადასტურებული, ზოგი მტკიცებულება კი, უსაფუძვლო იყო. საქმე მართლაც, ჯერ პროკურატურას, შემდეგ სასამართლო განხილვას დაუბრუნდა.

ძიებამ 4 წელი გასტანა. საბოლოოდ, სანქტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ ვიტალი და მაია კაკაბაძეები დამნაშავეებად ცნო და ორივე მათგანს 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ისინი ამჟამად რუსეთის ერთ-ერთ ციხეში იხდიან სასჯელს. სასამართლო პროცესზე მაია კაკაბაძემ დუმილის უფლება გამოიყენა, მისმა მეუღლემ კი, ჩვენება მისცა, მაგრამ ყველაფერი ცოლს გადააბრალა...

■

სასოფლო ცენტრის დახარბებული...

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის მკვიდრი, 1984 წელს დაბადებული კახა მატიაშვილი და ჭიათურელი, 1982 წელს დაბადებული ალექსანდრე ღულუნაშვილი სამართალდამცავებმა ქურდობისთვის დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ახალგაზრდებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის 90-ე კილომეტრიდან ბულდოზერი და ექსკავატორი გაიტაცეს. სამართალდამცავთა განცხადებით, ამის შედეგად, „სპივაპისა და პეტროფაკის" ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. მატიაშვილი და ღულუნაშვილი თეთრიწყაროს რაიონში დააკავეს.

თავდასხმა სასურსათო მაღაზიაზე

სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა დანაშაულის ფაქტზე აიყვანეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 1964 წელს დაბადებული გია მორჩილაძე. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მორჩილაძემ სასურსათო მაღაზიის დაყაჩაღება განიზრახა, დანით შეიარაღდა და გამყიდველ ქალებს – 57 წლის მალვინა ჟღენტსა და 44 წლის ლია ფოსურს წაადგა თავზე. იარაღის მუქარით იგი გამყიდველებს ნავაჭრ ფულსა და სხვა ნივთებს სთხოვდა. პოლიციამ მორჩილაძე დილის 6 საათზე, დანაშაულის ჩადენისას აიყვანა. ამჟამად იგი წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

ფირმის დირექტორს თანამშრომლთა ხელფასები წაართვეს

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" დირექტორს, სენაკელ, 1960 წელს დაბადებულ ნუგზარ ჩვამანიას უცნობი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ და მოკვლის მუქარით მას აღნიშნული საზოგადოების თანამშრომლებისთვის გასაცემი ხელფასი – 26 ათასი ლარი, ასევე ავტომანქანა „ვაზ 2121" წაართვეს. პოლიციამ ავტომანქანა მოგვიანებით, სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე აღმოაჩინა. რაც შეეხება ბოროტმოქმედებს, მათგან მხოლოდ ორის ვინაობა დაადგინეს. ეჭვმიტანილები – სენაკელი, წარსულში ნასამართლევი, 1973 წელს დაბადებული ლაშა გოგოლი და სენაკის რაიონის სოფელ თეკლათის მკვიდრი, 1978 წელს დაბადებული ტარას ფაჩულია აღმოჩნდნენ. პოლიციამ ისინი უკვე დააკავა. როგორც დაზარალებული აცხადებს, დაყაჩაღებაში ხუთი ბოროტმოქმედი მონაწილეობდა. დანარჩენი სამის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

ბანდიტური ჯგუფის წევრი, 26 წლის ქალბატონი აღმოჩნდა

დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამავე რაიონში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები აიყვანეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ისინი არიან: დუშეთის რაიონის სოფელ ერემისხევში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული ზვიად კუსრაშვილი და მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში მცხოვრები, ასევე ნასამართლევი, 1977 წელს დაბადებული სოფიკო ქენქაძე.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, მათ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, დროებით საქართველოში მცხოვრები ალექსანდრე მანელიანი დააყაჩაღეს – 300 დოლარი და პირადი ნივთები წაართვეს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური აწარმოებს. სამართალდამცავთა თქმით, ბანდიტური ჯგუფის წევრებს არაერთი დანაშაული აქვთ ჩადენილი და გამოძიება აქტიურად მუშაობს ამ ფაქტების დასადგენად.

მუხანგელ ახალგაზრდებს თანასოფლელების დაყაჩაღებაში ედებათ ბრალი

მცხეთა-მთიანეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ მუხრანში მცხოვრები 5 ახალგაზრდა დააკავეს. ისინი ქურდობასა და ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, დანაშაულებრივი ჯგუფის მსხვერპლს, სწორედ მუხრანის მოსახლეობა წარმოადგენს. შეიარაღებული ჯგუფის წევრები თანასოფლელთა ოჯახებს ესხმოდნენ თავს და მუქარითა და ძალადობის გამოყენებით სტაცებდნენ მათ ფულსა და ძვირფასეულობას.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაულებში ეჭვმიტანილები არიან: 21 წლის ლევან გაბაშვილი, 21 წლის არჩილ ყველაშვილი, 26 წლის ემზარ ხვთისაშვილი, 35 წლის კახაბერ ბიბლიაშვილი და 21 წლის გია ბიბლიაშვილი. სამინისტროს ცნობით, 2003 წლის 14 იანვარს, ლევან გაბაშვილი, გია ბიბლიაშვილი და ვინმე ზურაბ ზურაბიანი მუხრანში მცხოვრებ როზა ბითიაშვილის ოჯახს დაესხნენ თავს.

2003 წლის 5 ივლისს, ლევან გაბაშვილმა და არჩილ ყველაშვილმა თანასოფლელის – ჯუმბერ გოგიაშვილის ბინა გაქურდეს. 2004 წლის პირველ ივლისს ჩადენილ დანაშაულში კი, ემზარ ხვთისაშვილი კახაბერ ბიბლიაშვილი და ლევან გაბაშვილი მონაწილეობდნენ. აღნიშნულ დღეს მათ თანასოფლელის – მანანა სოსებაშვილის ბინა გაქურდეს.

2004 წლის 18 ივლისს, ჯგუფის წევრებმა კვლავ ჩაიდინეს დანაშაული. ამჯერად, ლევან გაბაშვილმა და გია ბიბლიაშვილმა გაქურდეს თანასოფლელის სერგო დალაქიშვილის ბინა. ჩხრეკისას, სამართალდამცავებმა, არჩილ ყველაშვილის სახლიდან 5,8 გრამი მარიხუანა, ხოლო კახაბერ ბიბლიაშვილის ბინიდან – 5,4 გრამი იგივე ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს.

70 წლის ქალი ნარკოტიკების რეალიზაციაში ამხილეს

ლენტეხის რაიონის მკვიდრი, 70 წლის დოდო თავადოს ასული ლიპარტელიანი ნარკოტიკების რეალიზაციაში ამხილეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ლიპარტელიანის საკარმიდამო ნაკვეთიდან 20 ძირი კანაფი (საერთო წონით 4,230 კგ) ამოძირკვეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ლენტეხის ჯგუფი აწარმოებს.

ამავე ბრალდებით დააკავეს ხონელი, სამხედრო დასახლებაში მცხოვრები, 20 წლის გიორგი ბენიძეც. მას სამართალდამცავებმა 6,66 გრამი მარიხუანა აღმოუჩინეს.

13-14 წლის მოზარდები საქმის კარჩეკისას რანით დაჭრეს

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მცხოვრები, არასრულწლოვანი – 15 წლის კახაბერ ბატიაშვილი პოლიციამ სამი მოზარდის დაჭრის გამო დააკავა. როგორც გაირკვა, ბატიაშვილს სოფელ ბარალეთში შელაპარაკება მოუხდა ახალქალაქელ და ერევნელ ბიჭებთან. ჩხუბისას, ბატიაშვილმა სამივე მათგანს დანით სხეულის დაზიანება მიაყენა. 14 წლის გევორქ ბერუჯანიანმა ჭრილობა მხარის არეში მიიღო, 13 წლის ვაე ბერუჯანიანი და ერევნელი, 15 წლის ვიქტორ კამალიანი კი გულმკერდისა და მუცლის არეში დაიჭრნენ. არასრულწლოვნები საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო ბატიაშვილი – იზოლატორში. საქმეს პროკურატურა იძიებს.

საერთაშორისო ტურნირებზე ქართველ წყალში მხტომელ ბავშვებს 70 ოქროს მედალი აქვთ აღებული. მათი გულშემატკივრები ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებს უკვე სათვალავში აღარ აგდებენ. სპეციალისტთა აზრით, დროის უმცირეს მონაკვეთში ასეთი მაღალი მაჩვენებელი ყველაზე დიდი და განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი ხელმიუწვდომელია, ამიტომაც უცხოელი ექსპერტები ჩვენს გუნდს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. 20 მოზარდისგან შემდგარ გუნდს მამა-შვილი ალეძსანდრე და ირაკლი ბართაიები ხელმძღვანელობენ. მათი აღსაზრდელები მორიგი ვარჯიშის დროს მოვინახულეთ. ვარჯიში 5 საათი გრძელდება და ულამაზეს სანახაობას წარმოადგენს.

მომავალი ქართველი ოლიმპიელები

უკვე ათობით მედლის მფლობელები არიან

ლელა ჭანკოტაძე

ირაკლი ბართაია:

– 1995 წლის სექტემბრიდან, მე და მამაჩემმა გაპარტახებული დარბაზი – ვაკის საცურაო აუზი აღვადგინეთ, რათა საქართველოში წყალში ხტომა აგვეღორძინებინა. დავიწყეთ ბავშვების შერჩევა. დაახლოებით 1300 ბავშვიდან 20 პერსპექტიული მოზარდი შევარჩიეთ. 12 მათგანს დღეს უკვე საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. 1999 წლიდან დავიწყეთ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა. პირველი გასვლა საბერძნეთში გვქონდა, სადაც იუნიორთა ტურნირი ჩატარდა. ჩვენმა აღსაზრდელმა ბრინჯაოს მედალი აიღო. ეს ჩვენთვის პირველი გამარჯვება და შესაბამისად, უდიდესი სიხარულის მომტანი მოვლენა გახლდათ. ასეთ შედეგს არც ველოდით, რადგან „ლაგუნა ვერეზე“ მხოლოდ ზაფხულობით გვქონდა ვარჯიშისთვის საჭირო შედარებით ნორმალური პირობები – დანარჩენ დროს დარბაზში ვვარჯიშობდით, ლეიბებსა და ბატუტებზე ვარჯიშით ვკმაყოფილდებოდით, რადგან აუზში წყალი არ ესხა... 2001 წლიდან, ეს პრობლემა მოიხსნა: დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრი გაიხსნა და უკვე 3 წელია, რაც ზამთარშიც შეგვიძლია აუზით სარგებლობა. შესაბამისად მეტ წარმატებასაც მივაღწიეთ. ახლა გვპირდებიან, რომ სექტემბრიდან ვაკის დახურული აუზი გაიხსნება, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველაფრით, რაც კი ჩვენს ბავშვებს ვარჯიშისთვის სჭირდებათ. ბუნებრივია, ჩვენი მუშაობაც უფრო შედეგიანი იქნება.

— კონკრეტულად მიამბეთ თქვენი გუნდის მიღწევების შესახებ.

– 20-ზე მეტ საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდით. მალტასა და გერმანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატებზეც გამოვედით. გერმანიიდან სულ ახლახან დავბრუნდით. უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენთ და რუსეთის, უკრაინის, ინგლისისა და გერმანიის გუნდებთან ერთად, უძლიერეს გუნდად ვითვლებით. რუსეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთის, სომხეთის, ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირებზე ჩვენი ჯამური მონაგარი 130 მედალს შეადგენს. გუნდურ შეჯიბრებებში აღებული გვაქვს 13 თასი. ერთი თვის წინ ვიყავით ავსტრიაში დიდ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 6 ოქროს, 6 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი ავიღეთ და გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ. დიდი უპირატესობით გავუსწარით დანარჩენ მონაწილე გუნდებს. ეს ნამდვილი სენსაცია გახლდათ, რადგან მხოლოდ 5 ბავშვით შევძელით ასეთი შედეგის მიღწევა.

— პირველი ოქროს მედალი რომელ წელს აიღეთ?

– ეს იყო 2000 წელს. საბერძნეთში ვიტალი მამულაშვილმა 3 ოქროს მედალი აიღო, – ერთ, სამ და ხუთმეტრიან კოშკურებიდან ხტომაში. მას შემდეგ, არც ერთი ტურნირი არ დამთავრებულა ისე, რომ 5-6 ოქროს მედალი არ აგვეღო. დაფინანსების მხრივ, მაქსიმალური მხარდაჭერა გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე ინვენტარის უქონლობა. აუცილებელია თანამედროვე ტრამპლინები და კოშკურები. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული დანადგარებია: ერთი ტრამპლინი 13-14 ათასი ლარი ღირს. სამაგიეროდ, მისი გამოყენება 10-12 წლის განმავლობაშია შესაძლებელი. ჩვენ ვვარჯიშობთ ტრამპლინებზე, რომელთა შესყიდვა 80-იანი წლების ბოლოს მოხდა – წარმოიდგინეთ, როგორი ძველი და გამოუსადეგარი ტრამპლინები იქნება. ტურნირებზე 2-3 დღით ადრე ჩავდივართ ხოლმე. ბავშვები ელასტიკურ ტრამპლინებთან შეჩვევასაც ვერ ასწრებენ.

— მოულოდნელი გამარჯვება თუ გქონიათ?

– ყველა შეეჩვია ჩვენს გამარჯვებებს და ალბათ, მოულოდნელობადაც აღარ თვლიან. მაგრამ იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მდგომარეობაში გვიწევს ცხოვრება, ყოველი წარმატება მოულოდნელია. წყალში ხტომა განსაკუთრებით რთული სპორტის სახეობაა, ძალიან დიდ შრომას მოითხოვს. ტრადიციები და დიდი ფინანსებია საჭირო, ამ სახეობაში ქვეყანამ წარმატებას რომ მიაღწიოს. ისეთი ქვეყანაც მრავლადაა, სადაც ყველა პირობა აქვთ, მაგრამ რეალიზაციას ვერ ახდენენ, ნიჭიერი სპორტსმენების არყოლის გამო. უცხოელი მწვრთნელები გაოცებული გვეკითხებიან ხოლმე: საიდან გყავთ ამდენი ტალანტი?!. ისინი ხვდებიან, რომ ჩვენი ბავშვები დიდ სპორტშიც უდიდეს წარმატებას მიაღწევენ.

მე მჯერა, რომ ისინი მომავალი ოლიმპიური ჩემპიონები არიან. ამას უცხოელი სპეციალისტებიც აღიარებენ.

— ოლიმპიადაზე როდის ვიხილავთ თქვენს აღსაზრდელებს?

– ყველაზე უფროსი ჩვენს გუნდში 15-16 წლისაა. ამიტომ მხოლოდ პეკინის

ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი გვაქვს, როცა ისინი უკვე 18 წლის ასაკს გადაბიჯებენ. საქართველოს ისტორიაში პირველად შევძლებთ, წყალში ხტომაში ოლიმპიადაზე წარვადგინოთ არა მარტო ცალკეული სპორტსმენი, არამედ მთელი გუნდი. 1960 წლიდან მოყოლებული, საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ერთი, იშვიათად — ორი წყალში მხტომელი მიდიოდა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ჩემი აზრით, 6 ბავშვს აქვს საჭირო ლიცენზიის აღების შანსი, რაც ურთულესი საქმეა. სპეციალისტები მიხვდებიან თუ რას ნიშნავს ერთ სახეობაში 6 სპორტსმენით გამოსვლა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. მაშინ კი სერიოზული დაფინანსება დაგვჭირდება... ახლა მხოლოდ იმ ქვეყნებში მივდივართ, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა და წასვლა შედარებით იაფი ჯდება. არადა, წელიწადში მინიმუმ 60 ტურნირზე გვიწვევენ. ყველა ქვეყანა ცდილობს, მაღალი დონის ტურნირი ჩაატაროს, ამიტომ უძლიერეს სპორტსმენებს იწვევს. ყველგან განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევენ და საოცარი ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენს გამოსვლებს.

— ცოტა რამ იმაზეც გვითხარით, თუ როგორ მუშაობდით



შედეგის მისაღებად ზოგს 8 წელი დასჭირდა, ზოგს — მხოლოდ ორი

ბავშვებთან, რომლებმაც მაღალ შედეგებს მიაღწიეს.

— როცა სელექცია დავიწყეთ, რამდენიმე ჯგუფი გვქონდა. ერთ-ერთი იყო ე.წ. ჯანმრთელობის ჯგუფი — მასში ის ბავშვები ირიცხებოდნენ, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ. დღეს რამდენიმე მათგანი უკვე ოქროს მედლის მფლობელია. წარმოიდგინეთ მშობლის სიხარული, რომელმაც შვილი სამკურნალოდ მიიყვანა ცურვაზე და აღმოჩნდა, მას დიდ სპორტში გზის გაკვალვა შეუძლია!.. შედეგის მისაღებად ზოგს 8 წელი დასჭირდა, ზოგს — მხოლოდ ორი.

— ნებისმიერ ბავშვს შეუძლია თქვენს ჯგუფში მოხვედრა?

— რა თქმა უნდა. თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ ვამჩნევთ, რომ წყალში ხტომაში შედეგს ვერ მიაღწევს, ვურჩევთ, სპორტის სხვა სახეობაში გადავიდეს. მაგალითად, გოგონები სინქრონულ ცურვაზე გადაგვყავს, ბიჭები — წყალბურთზე.

— სექტემბრიდან ახალი ჯგუფის აყვანას თუ აპირებთ? ამბობენ, რომ თქვენს ჯგუფში მოხვედრა უკვე შეუძლებელია...

— 10-12 ნიჭიერი ბავშვი თუ შეგროვდება, ჯგუფს აუცილებლად ავიყვან. ჩვენ გვყავს მწვრთნელები, რომლებიც ეძებენ ტალანტებს და შემდეგ ჩვენთან მოჰყავთ. მშობელმა უნდა შეძლოს უმნიშვნელო საფასურის გადახდა. 14 წლიდან კი მის შვილს, წარმატების შემთხვევაში ხელფასი დაენიშნება. ჩვენ მას ყველა პირობას შევუქმნით. სულ მალე ხელფასიან სპორტსმენთა რიცხვი 15-ს მიაღწევს. მე მჯერა, რომ ისინი მომავალი ოლიმპიური ჩემპიონები არიან. ამას უცხოელი სპეციალისტებიც აღიარებენ. ასე რომ, მომავალში ჩვენი წყალში მხტომელი ბიჭები და გოგონები მთელ მსოფლიოს აალაპარაკებენ.

სოკო

ჰრობლემად ჰომ ეს გვექცეს . . .

ზაფხულის მზე ძალას იკრებს და ჩვენც აუზებსა და გართობისკენ გვიწევს გული. მაგრამ ზაფხულის დადგომასთან ერთად თავს იჩენს, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული პრობლემა — სოკოვანი დაავადება. ამ დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება, ჭარბი ოფლიანობა, არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები და სხვა. ამასთან, ზამთრის შემდგომ პერიოდში ორგანიზმის იმუნური (დამცავი) სისტემა ისედაც დასუსტებულია და შესაძლებელია „მიძინებულმა“ სოკომ გაიღვიძოს და გააქტიურდეს. ამის შედეგად კი ზიანდება არა ერთი ორგანო, მათ შორის ფრჩხილები, ფეხის ტერფები, ზოგადად კანი და რაც მეტად მნიშვნელოვანია, სოკო ადვილად აღწევს სასქესო ორგანოების ლორწოვანში და იწვევს ვაგინალურ კანდიდოზს.

ლოკალიზაციის მიხედვით სოკოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ვულვოვაგინიტის შემთხვევაში — გამონადენი, ქავილი, წვა; ტერფის სოკოვანი დაავადების დროს — ფეხის თითებშუა კანის დაზიანება, ქავილი, სუნი; ფრჩხილების მიკოზების დროს — ფრჩხილის ზედაპირის დაზიანება, აქერცვლა, ფერის შეცვლა, მტვრევადობა და სხვა.

ყოველივე ამან კი შეიძლება გააფუჭოს თქვენი ამაღლებული განწყობილება, ვერც პრიალა და ლამაზი ფრჩხილებით იამაყოთ, ვერც საცურაო აუზს ესტუმროთ და გაირუჯოთ, ვეღარც საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ სასიამოვნოდ დრო.

ნუ შეშინდებით! სოკოვანი დაავადების პრობლემის მოგვარებაში პრეპარატი „მიკოფლუ“ (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ. ახალი თაობის სისტემური მოქმედების პრეპარატი „მიკოფლუ“ სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე. „მიკოფლუს“ მხოლოდ ერთი კაფსულა (150მგ) კვირაში ერთხელ (ოთხი კვირის მანძილზე) უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

ახლა სწორედ ის დროა, როცა სოკოსთან ბრძოლა ყველაზე ადვილი და შედეგიანია!

GMP
ჯი-ემ-პი

მიკოფლუ®
პრეპარატის მიღებასა გიდანით ანოტაციას

ამბობენ, ზღვა გრძნობებს ამძაფრებსო. იქნებ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ჩემს რესპონდენტებს სიყვარული სწორედ ზღვაზე ეწვიათ. ისინი თავიანთი სასიყვარულო ამბებით, ალბათ, უამრავ ადამიანს გაახსენებენ ზღვასთან დაკავშირებულ დაუვიწყარ თავგადასავალს.

სიყვარული ზღვაზე

ლელა ჭანკოტაძე

თეა, *23 წლის:*

— ქორწილის შემდეგ, მე და მამუკამ ბათუმს მივაშურეთ. იმდენი ფული არ გვქონდა, რომ საქორწინო მოგზაურობაში საზღვარგარეთ წავსულიყავით, ამიტომ გვინდოდა, ბათუმი ჩვენი ოცნების ქალაქად გვექცია, რათა იქ გატარებული ყოველი წუთი დაუვიწყარი გამხდარიყო... პირველსავე დღეს, უსიამოვნო ფაქტი მოხდა: 5 წლის ბიჭუნა გაუჩინარდა. მაშველები მას მთელ სანაპიროზე ეძებდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ, ერთ-ერთმა მაშველმა პატარა ბიჭი უვნებელი იპოვა. ისევე, როგორც ბევრმა სხვა დამსვენებელმა, მეც გულდასმით შევათვალიერე საშუალო ტანის ჩასკვნილი მაშველი. 27-30 წლის იქნებოდა. ძალიან მკაცრი სახე ჰქონდა და ძალიან ღონიერი ჩანდა. ისიც გავიგე, რომ ნიკა ერქვა. მერე პლაჟზე მას რამდენჯერმე მოვკარი თვალი. ერთხელ მისი დაჟინებული მზერაც დავიჭირე. მამუკას ვუთხარი კიდეც მგონი, იმ მაშველმა თვალი დამადგა, ალბათ, არ იცის, ერთად რომ ვართ-მეთქი... ერთხელაც მამუკამ მობილური ტელეფონი დაკარგა. თქვა: ნამდვილად ოთახში დამრჩებოდაო. სანაპიროზე მარტო დამტოვა, თვითონ კი ჩვენი ბინისკენ გაიქცა. 5 წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ყურში მამაკაცის ხშირი სუნთქვა ჩამესმა. ნიკა იყო. მითხრა: შენს ნივთებს ვუდარაჯებ, თუ გინდა, იბანავეო. მისი შემოთავაზება მივიღე. უფრო სწორად, ზღვაში იმიტომ ჩავედი, რომ მისგან დამეღწია თავი... რამდენიმე დღის შემდეგ ნიკას დაჟინებულ მზერას ყოველ წუთს ვგრძნობდი. ქალური ინტუიციით ვხვდებოდი, რომ მოვწონდი. თუმცა, ზოგჯერ მისი მზერა მაღიზიანებდა კიდეც: მე ხომ თაფლობის თვე მქონდა!.. მამუკას განსაკუთრებით წყლის ველოსიპედით სეირნობა უყვარდა. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ, ყვითელი ველოსიპედი იქირავა და წყალში შეცურა. ფიქრებში წავედი. მერე თვალებიც მივლულე, ხალხის ყვირილმა გამომაფხიზლა. იხრჩობა, უშველეთო! — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან. წამოვხტი, თვალებით მამუკას დავუწყე ძებნა თურმე, სწორედ ის იხრჩობოდა, ცურვა კი იცოდა, მაგრამ წყლის ველოსიპედი ამოსტრიალებია და ფეხი მილებს შუა გასჭედვია. მთელი სანაპირო შეჰყურებდა, როგორ მიცურავდნენ მისკენ მაშველები. მე კი თვალებზე ხელები ავიფარე და მოსალოდნელი უბედურების შიშით ვკანკალებდი. ბოლოს, ვიღაცამ იყვირა — გადარჩა, ცოცხალიაო! — და დავინახე, როგორ მოჰყავდა ნიკას და სხვა მაშველს გონდაკარგული ჩემი ქმარი... ორივენი ძალიან შეშინებული ვიყავით. ამ შემთხვევის გამო გადავწყვიტეთ, პატივი გვეცა მაშველებისთვის. მამუკამ ისინი რესტორანში დაპატიჟა. ნიკა არ მოვიდა... მე კი ველოდი, გული დამწყდა, ჩვენი წინადადება რომ არ მიიღო... მთელი ღამე თვალწინ მედგა ის, თუ როგორი გაშმაგებით იბრძოდა მამუკას გადასარჩენად... ეს ამბავი თბილისშიც შევატყობინეთ. დილით ადრე, დედაჩემმა დამირეკა და მითხრა: მამუკას დედა და ძმა მოდიან, სადგურში დახვდითო... მამუკა მათ დასახვედრად წავიდა. მე კი... სანაპიროზე რომ გავედი, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ვიცოდი, ნიკა დამინახავდა თუ არა, მოირბენდა, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ მინდოდა მისი ნახვა. მართლაც, ზურგიდან მომეპარა და საოცრად თბილი ხმით მითხრა: ზღვამ თაფლობის თვე ჩაგამწარათ, გულწრფელად თანაგიგრძნობთო... მერე საუბარი გავაბით. შემომთავაზა — თუ გინდა, კატერით გაგასეირნებო. მეც უყოყმანოდ დავთანხმდი. ვგრძნობდი, რომ ცეცხლს ვეთამაშებოდი, მაგრამ ეს სახიფათო თამაში მომწონდა. როგორც კი კატერმა ზღვის ტალღები გადასერა და ნაპირს საკმაო მანძილით დავშორდით, ნიკამ ძრავა გამორთო, ჩემკენ მთელი სხეულით მობრუნდა და მკითხა: არ გინდა, ღია ზღვაში ვიცურაოთო? — ცურვა კარგად არ ვიცოდი, მაგრამ ნიკა ხომ მაშველი იყო! ამიტომ გავბედე და წყალში კამერით ჩავედი. საოცარი შეგრძნება დამეუფლა. უდიდესი სიამოვნებაა, როცა წყალზე ტივტივებ და ზღვის ლივლივი თვალს გჭრის... ნიკა მიღიმოდა და ცდილობდა, შიშის დაძლევაში დამხმარებოდა. მეგონა, მაკოცებდა ან ჩემთან ფიზიკურ სიახლოვეს შეეცდებოდა, ის კი თითქოს ჩემს შიშველ სხეულს ვერც ამჩნევდა. თვალებში მომჩერებოდა და თავისი მზერით ჩემს სულში აღწევდა... კატერზე რომ ავედით, სიცილით მითხრა: ეს ჩემი საქორწინო საჩუქარია — მთელი ზღვა გაჩუქეო!.. მერჩია, ეთქვა, ჩემი გული გაჩუქეო, მაგრამ არ უთქვამს... ეს ამბავი მამუკას დავუმალე... ჩვენი ბოლო დღე ბათუმში კოშმარული აღმოჩნდა. საღამოს, მატარებლით თბილისში უნდა წამოვსულიყავით. დილით ბანაობა და ზღვასთან გამომშვიდობება მოვისურვეთ. ჩვეულებისამებრ, იმ ადგილას მივედით, სადაც მთელი 20 დღის განმავლობაში ვწვებოდით და მზეს ვეფიცხებოდით. იქვე იყო მაშველების სათვალთვალო კოშკურა. ამიტომაც ვხვდებოდი ხოლმე ნიკას ყოველდღე... როგორც კი მზეს მივეფიცხე, ნიკა მომიახლოვდა. ალბათ იფიქრა, მამუკა წყალშია ჩასული და ვერ დაგვინახავსო, ამიტომ ზურგზე ხელი გადამისვა და მხარზე მაკოცა. არ ვიცი, ასე რატომ მოიქცა. მერე შევატყვე, რომ მთვრალი იყო და შეიძლება, სასმელმა გაათამამა. მამუკას კოცნა არ დაუნახავს, მაგრამ იმ დროს მოვიდა, როცა ნიკა მეუბნებოდა — სულ შენზე ვფიქრობ, მგონი, ვნანობ, შენი ქმარი დახრჩობას რომ გადავარჩინეო... ვერ წარმოიდგენთ, მამუკა როგორ გაბრაზდა. მართალია, ნიკა უმტკიცებდა — ვიხუმრე, ცუდი არაფერი გამიფიქრებიაო, — მაგრამ ჩხუბი მაინც ატყდა. მეგონა, ერთმანეთს მოკლავდნენ, რადგან ორივეს ხელში ლუდის ბოთლები ეჭირა... მამუკამ ნიკას თავი გაუტეხა. რომ არა პოლიციის ჩარევა, რომელიმე მათგანი დაიღუპებოდა. მა-

გრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ნიკა მთელი ხმით ყვიროდა: შენი ცოლი მიყვარს, მე და თეას ერთმანეთი გვიყვარსო... ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამუკამ გადაწყვიტა, პასუხი ჩემთვისაც მოეთხოვა... როცა სასტუმროში მივედით, დედამისს გამოუცხადა: ეს ბოზი მომაცილეთ, თორემ მოვკლავო!.. ცხადია, შევეკამათე. სასტიკად მცემა. რომ არა ჩემი მაზლი, ალბათ მომკლავდა. მის მუშტებს ძლივს დავაღწიე თავი. სასტუმროს ადმინისტრატორმა სამზარეულოში დამმალა. საღამოს კი მითხრა, – წავიდნენ, შენი ნივთები ოთახში დატოვეს, შეგიძლია, ღამე იქ გაათენოო. ოთახიდან გამოსვლას არ ვაპირებდი – ნიკას ნაცემი და თვალდალურჯებული რომ ვენახე, თავს მოვიკლავდი. რას ვიფიქრებდი, თუ თვითონ მოვიდოდა? გვიან საღამოს, სასტუმროს ადმინისტრატორთან მივიდა, უნდოდა, ჩემი მისამართი გაეგო. მერე ჩემს ოთახში შემოვიდა. მახსოვს, როგორ შემოარტყა კედელს მუშტი, სახედალურჯებული რომ დამინახა. საწოლთან ჩაიმუხლა და მითხრა: არასდროს არავის აღარ მივცემ შენი დაჩაგვრის უფლებასო... ჯერ ისევ არყის სუნი ასდიოდა. თავზეც სისხლის კვალი ემჩნეოდა. თვალები ჩასისხლიანებოდა და ამაზრზენი დასანახავი იყო. მაგრამ ისე ნაზად გადამისვა თავზე ხელი და ისეთი სიყვარულით ჩამიხუტა, რომ ამქვეყნად ყველაზე ლამაზ და საოცნებო მამაკაცსაც გაუჭირდებოდა... ის ღამე სანაპიროზე გავათენეთ. ერთმანეთისთვის ძალიან ბევრი რამ გვქონდა სათქმელი... წელს ნიკა მაშველად თურქეთში მუშაობს. ჩვენ 4 თვით დავცილდით ერთმანეთს. უკვე 2 წლის ბიჭუნა გვყავს. ბედნიერები ვართ და ჩვენი სიყვარულის დასაცავად, თუნდაც მთელ ქვეყანას შევეჭიდებით...

ირაკლი, *65 წლის:*

პარტიის რაიკომის მეორე მდივანი გახლდით, ზღვაზე დასვენება რომ გადავწყვიტე და გაგრაში წავედი. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩემს მოგზაურობაში ის გახლდათ, რომ ყველასა და ყველაფერს ვემალებოდი. ამიტომ კომუნისტური ელიტისთვის განკუთვნილ სასტუმროში არ დავბინავდი და პატარა, სუფთა ოთახი ვიქირავე. ეს ალბათ, ბედისწერა იყო... დილით, გამოძინებული, აივანზე რომ გამოვედი, ეზოში მოფუსფუსე ქერა ქალი დავინახე. ვნებიანი ტუჩები და ზღვასავით ლივლივა თვალები ჰქონდა. თავაზიანად მომესალმა და ყავა თუ გნებავთ, ჩამობრძანდითო, – მითხრა. კიბის საფეხურები ისე ჩავირბინე, რომ მისი შიშველი მკლავებისთვის თვალი არ მომიცილებია. რომელი კაცი არ ინატრებდა, ეს ქათქათა, ხორციანი მკლავები ყელზე მარწუხებივით შემოხვეოდა?!. მეგონა, მაგიდას მიუჯდებოდა, ყავას ჩემთან ერთად მირთმევდა და მეც მისი ახლოს გაცნობის საშუალება მომეცემოდა. მაგრამ ყავა მომართვა, თვითონ კი გაუჩინარდა... მთელი დღე გული ვერ დავიმშვიდე. საღამო ხანს, ისევე მოვკარი თვალი. მერე ვიღაცამ დაუძახა და გავიგე, რომ ლალი ერქვა... დილით ისევ მივეჯაჭვე აივანს – იქნებ, ლალიმ თვალი მომკრას და ყავაზე მიმიპატიჟოს-მეთქი?! მეორე დღესაც იგივე გავაკეთე. მესამე დილასაც მისი მოდუღებული ყავით ვისიამოვნე... მეტის მოცდა აღარ შემეძლო, უნდა მეაქტიურა და ლამაზი ქალისთვის თავბრუ დამეხვია... მამაკაცები ასეთ დროს, კომპლიმენტებს და საჩუქრებს არ იშურებენ. მე სხვა ტაქტიკა შევიმუშავე. ჩავუსაფრდი და სანაპიროსკენ მიმავალს, ქურდივით ავედევნე... ქოლგა გაშალა თუ არა, მივუხალოვდი. ჩემს დანახვაზე, ლოყები შეეფაკლა და აღელვებაც დაეტყო. მეგონა, ისედაც სიფრიფანა კაბას გაიხდიდა და თავისი ქათქათა სხეულით მომაჯადოებდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ქვიშაზე მოკალათდა და ფეხები კაბის ქვეშ საგულდაგულოდ დამალა. მისი საქციელით დაბნეულმა, უხერხულად გავიღიმე, მერე კი ძალა მოვიკრიბე და ვკითხე: – თქვენ რა, კაბით აპირებთ ბანაობას-მეთქი? ერთხანს, ჩუმად ივჯდა. მერე თავისი ლურჯი თვალები



მომანათა და მითხრა: თქვენ წინაშე ვერ გავშიშვლდები, მერიდებაო. ამ ფრაზამ ჩემზე მომაჯადოებლად იმოქმედა. წარმოვიდგინე, რომ ინიციატივას ჩემგან ელოდა და მზად იყო, მისთვის კაბა მე გამეხადა... ისიც ვიფიქრე – რომ არ მოვწონდე, არც ჩემ წინ გაშიშვლებას მოერიდებოდა-მეთქი... ხომ არ გგონიათ, რომ უშნო ვარ და საკუთარი ნაკლის გამომზეურებას ვუფრთხიო? – ჩამესმა ლალის ხმა, ეს უკვე მეტისმეტი იყო: ქალი საალერსოდ მიწვევდა! უკან დახევა მისი დასაკუთრების ყველანაირ შანსს დამაკარგვინებდა. – რადგან ბანაობას არ აპირებთ, ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც კაბით ჯდომა უხერხული არ იქნება-მეთქი, – ჩავჩურჩულე და მაჯაში ჩავაფრინდი. აზრზე მოსვლაც არ ვაცალე, ისე გავიტაცე რესტორნისკენ, საიდანაც ალკოჰოლით თავბრუდახვეული, პირდაპირ ჩემს საწოლში აღმოჩნდა... ნებისმიერი მამაკაცისთვის, რომელიც მარტო თუნდაც ერთხელ ყოფილა წასული დასასვენებლად, ხანმოკლე რომანი თითქმის ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ყველას როდი შეუძლია, ზღვაზე დაწყებული რომანი ზღვაზევე დაასრულოს. მეც ასე დამემართა. ლალისთან გატარებულმა 10-მა დაუვიწყარმა დღემ საბოლოოდ დამახვია თავბრუ, აღარც რაიკომი მახსოვდა და არც ცოლ-შვილი. ლალისთან განშორება არ მინდოდა... მისთვის ჩემი სამსახურის შესახებ არაფერი მითქვამს – ალბათ იმიტომ, რომ ბოლომდე არ ვენდობოდი და შემეშინდა, ჩემთვის შანტაჟი არ მოეწყო. თანაც, მთელმა სამსახურმა იცოდა, რომ ზღვაზე კი არა, ლიკანში ვიყავი სამკურნალოდ წასული... ერთხელ დილით, ბალიშზე ქაღალდის ფურცელი აღმოვაჩინე. ლალის წერილი იყო. მწერდა: ახლა თუ არ გავიქეცი, მთელ ცხოვრებას გავიფუჭებ, რადგან შენს დავიწყებას ვეღარ შევძლებო... ერთი სიტყვით, ლალი წავიდა. სამახსოვროდ მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათი დამრჩა... დავბრუნდი თბილისში. დასვენების მაგივრად, თავი დავისაჯე. ლალის გაცნობით მყუდროება და სიმშვიდე დამერღვა. თვალს მოვხუჭავდი თუ არა, მისი მსხვილი ტუჩები და ქათქათა სახე მელანდებოდა. მოჯადოებულივით ვიყავი და თავს არ ვუმხელდი, რომ ის ქალი მიყვარდა. ცხადია, ოჯახში ცვლილებას მატყობდნენ. გამუდმებით ოთახში ვიკეტებოდი და 16 წლის ყმაწვილი კაცივით საათობით დავყურებდი ლალის სურათებს. არ ვიცოდი, სად მომეძებნა, რადგან არც მას უთქვამს რაიმე ისეთი, რაც მის პოვნაში დამეხმარებოდა. ორივენი კარგად შევინიღბეთ, რათა ზღვიდან წასულებს ერთმანეთთან მისასვლელი გზა არ გვცოდნოდა. მაგრამ ბედისწერაც ხომ არსებობს?! 15 ოქტომბერი იყო. დამაწინაურეს – პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გავხდი. ამის აღსანიშნავად მეგობრები რესტორანში შევიკრიბეთ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ-ერთი ჩემი ხელქვეითის გვერდით სახეგაბრწყინებ-



ული ლალი დავინახე. გაიცანით, ჩემი მეუღლეაო, – შორიდან ჩამესმა თანამშრომლის ხმა... მიკვირს, რომ არ დავეცი, ან გულმა რომ არ მიმტყუნა, ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის... მერე მე და ლალი განვმარტოვდით. თავდახრილი იდგა და კანკალებდა. შენი გაცნობით ცხოვრება დამენგრა, ქმრისგან გაქცევა და უგზოუკვლოდ დაკარგვა მინდაო, – მითხრა. მივხვდი, ვუყვარდი ისევე ძლიერ, როგორც მე მიყვარდა. საკუთარ თავზე გავბრაზდი: რას ვერჩოდი, თავი რატომ შევაყვარე-მეთქი? მეგონა, აღარასდროს ვნახავდი, მაგრამ თავს ვერ მოვერიე. ჯერ მის ოჯახში სტუმრობას მოვუხშირე, შემდეგ კი, გზააბნეული ბავშვივით, გულში ჩავიკარი და მიშველე-მეთქი! – ვუთხარი. მაშინ 40 წლის ვიყავი. ლალი – 27-ის. შვილი არ ჰყავდა, დასაკარგი არაფერი ჰქონდა, მე კი ავტორიტეტს, სამსახურს, ოჯახს და ღირსებას ვდებდი სასწორზე. მეგონა, ამას ვერ გააცნობიერებდა. იმაზე მეტად ღირსეული ქალი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. არ მინდა, მთელი ცხოვრება დაგინგრიო და ჩემი სიყვარული სანანებელი გაგიხადოო, – თქვა და ჩემთვის შეუვალ ციხესიმაგრედ იქცა. არ ვიცი, ქმარს რა უთხრა, რით დაიყოლია, მაგრამ სამსახური დაატოვებინა და მაღალმთიან რაიონში წაიყვანა. მაშინ ეს ამბავი პრესით და ტელევიზიით გაშუქდა. ახალგაზრდების მთაში დაბრუნება პარტიამ ჯეროვნად დააფასა. ლალი და მისი ქმარი წლის გმირებად იქცნენ. მხოლოდ მე ვიცოდი მათი წასვლის ნამდვილი მიზეზი. ქალი ჩემს სიყვარულს გაურბოდა. ღირდა თუ არა ამხელა მსხვერპლის გაღება?! ხომ არ შევცდით, სიყვარულისთვის რომ არ ვიბრძოლეთ და მთელ სამყაროს არ დავუპირისპირდით?..

ხათუნა, *35 წლის:*

– ექიმმა რომ მირჩია – შვილი ყოველ ზაფხულს ურეკში წაიყვანე, მაგნიტური ქვიშა მასზე სასიკეთოდ იმოქმედებსო, – ფული თითქმის ყველა ახლობლისგან ვისესხე და ასე გაჭირვებით, 5 წლის გოგონასთან ერთად ზღვაზე წავედი. ყველაზე იაფფასიანი ოთახი ვიქირავე და გადავწყვიტე, ნაყინიც კი არ მეყიდა, რომ ჩემი შვილი მასაჟისტთანაც მეტარებინა. მართლაც, ყოველდღე, მე და ანუკი ფეხით მივუყვებოდით საკმაოდ შორ გზას საავადმყოფომდე. სანამ ექიმთან რიგში ვიდექით, ეზოში გაჩერებულ უცხოურ ავტომანქანას ვხედავდით. მისი მძღოლი მოთმინებით ელოდა, როდის გამოვიდოდა შენობიდან ანუკის ტოლი გოგონა. ერთ დღესაც, იმ კაცმა დამიძახა. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მაინც მივედი და თავაზიანადაც გავუღიმე. ჩემი შვილიც მასაჟისტთან დადის, თუ ერთსა და იმავე დროს ექნებათ სეანსი, მანქანით მოგემსახურებითო, – მითხრა. ისიც შემომთავაზა, – ექიმს მე მოველაპარაკებიო. ერთი სიტყვით, მე და ანუკის ძალიან გაგვიმართლა. იმ დღიდან ექიმთან ძვირად ღირებული ავტომანქანით დავდიოდით. არც სიცხე გვაწუხებდა და აღარც ფეხები გვტკიოდა დაღლილობისგან. კაცს ვახო ერქვა. თითქმის არ ლაპარაკობდა და მთელი გზა ჩუმად იყო. თუმცა ვხედავდი, როგორ მათავლიერებდა ხოლმე სარკეში. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მანქანაში მარტონი დავრჩით, მითხრა: ბავშვისთვის მომვლელი მჭირდება; თუ საცხოვრებლად ჩვენთან გადმოხვალთ და ჩემს შვილსაც მიხედავთ, სოლიდურ გასამრჯელოს გადაგიხდითო... ეს ჩემთვის იმდენად მიმზიდველი წინადადება იყო, რომ მაშინვე დავთანხმდი, შემეშინდა, არ გადაეფიქრებინა... ლამაზ ბინაში მე და ანუკი კომფორტულად მოვეწყვეთ. პატარა ლიზის ცივ ნიავს არ ვაკარებდი, მამამისის საყვედური რომ არ დამემსახურებინა. ვახო შინ იშვიათად მოდიოდა. ჩვენთვის საკვები მოჰქონდა და ზოგჯერ ფულს მიტოვებდა, – ბავშვები კაფეში ასადილეო... ასე გავიდა 10 დღე. ჩემს მშობლებს შევატყობინე: ურეკში სამუშაო ვიშოვე და აქ ვრჩები-მეთქი... ერთ დღეს, ვახომ ბავშვები მანქანაში ჩასხა და სასეირნოდ წაიყვანა. საღამოს კი მათ გარეშე დაბრუნდა და მითხრა: სანატორიუმში დავტოვე, ახალი ძიძაც ვუქირავეო. – რატომ-მეთქი? – ვკითხე უნებურად. – თქვენი გული მინდა დავიპყრო, ამაღამ ერთმანეთის ალერსში უნდა გავათენოთო, – მიპასუხა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დაბნეულობისგან ხმა ვერ ამოვიღე... დილით კი, ვახო უკვე მთელი გულით და სულით მიყვარდა. არც ერთი მამაკაცი არ მომქცევია ისე ნაზად, ისე სათუთად, როგორც ვახო. არადა, ორჯერ ვიყავი გათხოვილი. თავი სიზმარში მეგონა. საწოლში ყველაზე ლამაზ მამაკაცთან ერთად ვიწექი, რომელსაც შეეძლო, ყველა პრობლემა თვალის დახამხამებაში გადაეწყვიტა... ურეკში კიდევ 2 თვე დავრჩი. ანუკი და ლიზი ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ. მე და ვახოც ისე ვცხოვრობდით, როგორც ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ქალი და მამაკაცი. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად მეშინოდა მისი დაკარგვის. ამბობდა, – თბილისში 2 სექტემბერს უნდა დავბრუნდეო. ამ დღის მოახლოება მზარავდა: არ ვიცოდი, რას მიქადდა მომავალი... ერთ საღამოს გამომიცხადა: ამაღამ ბავშვებთან სხვა ძიძა დარჩება, შენ ჩემთან ერთად წამოხვალო. არც მიკითხავს, სად მივდივართ-მეთქი, ვიცოდი, მორიგი სიურპრიზი მელოდა... იახტაზე ავედით და მთელი ღამე ზღვაზე გავატარეთ. იახტა ლურჯი იყო და როცა დაღამდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზღვაზე ვიწექით. ზღვა იყო ჩვენი სახლიც და საწოლიც. ცა ვარსკვლავებით რომ მოიჭედა, ვახომ ჩამჩურჩულა: ინატრე, რაც ყველაზე მეტად გინდა და აგისრულებო... მიყვარხარ-მეთქი, – ვუთხარი. – ეგ ნატვრა არ არისო, – თქვა და მეც გაუბედავად ვკითხე: მინდა, წინასწარ ვიცოდე, ჩვენი სიყვარული რით დასრულდება-მეთქი. ერთხანს დუმდა. მერე კი მითხრა: რატომ გიყვართ ქალებს ყველაფრის გაფუჭება? რისი გაგება გინდა ჩემგან? ნუთუ გგონია, რომ მიყვარხარ და მთელი ცხოვრების შენთან გატარებას ვგეგმავო?! იმწუთასვე, ზღვაც მეწამული გახდა და ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამაც ბრწყინვალება დაკარგა. შევიყვარე კაცი, რომელმაც ისევე დამიქირავა, როგორც ბინა, იახტა, მასაჟისტი და თუნდაც, ძიძა... მივდივარ-მეთქი, – ვუთხარი ავვისტოს მიწურულს და ბარგის ჩალაგება დავიწყე. – ძალიან მომენატრებით შენც და ანუკიცო, – თქვა. მივხვდი, გულწრფელად ამბობდა იმას, რასაც გრძნობდა... ფული გამოვართვი და ჩემს შვილთან ერთად თბილისში დავბრუნდი. მეორე დღეს, ვახომ დამირეკა. თუ ოდესმე გაგიჭირდეს, დამიკავშირდიო, – მითხრა და მობილურის ნომერი ჩამაწერინა. ის ფურცელი მაშინვე დავხიე. უკვე ვიცოდი, მას ცოლი ჰყავდა, რომელიც ამერიკაში იყო სამუშაოდ წასული, რათა თავისი ქმარ-შვილისთვის არაფერი მოეკლო. სწორედ იმ ქალის ნაშოვნი ფულით იყიდა ვახომ ჩემი სიყვარული... ■

როგორ უნდა მოიქცეს ახალგაზრდა, როცა მშობლები ცვლიან ერს ოჯახებიდან?

ახალგაზრდები ხშირად კამათობენ მშობლებთან, ისინი უკმაყოფილონი არიან მათი ძველმოდურობით და წუწუნებენ, რომ დედ-მამას შვილის არ ესმით. ვნახოთ, როგორ აგვარებდნენ მშობლებთან პრობლემებს პოპულარული ქართველი ადამიანები და რას ურჩევენ ისინი ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს.

სოფო ყარალაშვილი

ქრისტინე იმედაძე:

— უნდა მოატყუო, ვითომ შენი მეგობარი ცუდადაა და აუცილებელია ნახო. შეიძლება, პირდაპირ უთხრა მშობლებს, რომ შეყვარებულის სანახავად მიდიხარ. თუ ესეც არ გაჭრის, მაშინ ეტყვი, რომ აუცილებლად წასასვლელი ხარ — გეთანხმებიან თუ არა. ყველაზე დამაჯერებელი იქნება და აუცილებლადაც გაგიშვებენ, თუ მეგობართან წასასვლელად მეცადინეობას მოიმიზეზებ.

პანჩო *(ლევან მგალობლიშვილი):*

— მშობლები უნდა „დაბრიდო“ *(იცინის)*. თუ შეძლებ, უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ არ გიშვებენ. მე ბავშვობაში იმდენი მაქვს „ნაჭამი“, რომ არც ერთ ახალგაზრდას არ ვურჩევდი ტყუილის თქმას, ჯობია, მშობლებს დაუჯერო. მაგრამ თუ განსაკუთრებულ ადგილას მიდიხარ, მშობლებს პირობა უნდა მისცე, რომ კარგი ბიჭი იქნები და კარგად ისწავლი... თუ მაინც არ გაგიშვებენ, ბოლოს და ბოლოს, გაიპარები.

ია მანიუაშვილი *(„ემი“):*

— მე შეძლებისდაგვარად ვემორჩილებოდი მშობლებს, მაგრამ ყოველთვის მშურდა ჩემი მეგობრების, რომლებიც სახლიდან გაპარვას ახერხებდნენ. ერთხელ, როცა 17 წლის ვიყავი, მშობლებს 2 საათი ვეხვეწე — გვერდით კორპუსში დაქალთან გადავალ-მეთქი, — მაგრამ არ გამიშვეს. ჰოდა, ჩემს საწოლში თოჯინა ჩავაწვინე, რომელსაც ჩემნაირი თმა ჰქონდა, საბანი გადავაფარე და გავიპარე. მერე ჩემი თავი თვითონვე „გავყიდე“: რომ დავბრუნდი, კარზე დავაკაკუნე. დედამ გამიღო... იმ ღამეს დიდი ომი გადავიტანე. ახალგაზრდებს ვურჩევ, რომ ყოველთვის აიხდინონ სურვილები: მშობლების ნახევარსაათიან ჩხუბს აიტან, სამაგიეროდ, სასიამოვნო მოგონება დაგრჩება. ჩემი სახლი იმით იყო კარგი, რომ ორი კარი ჰქონდა: ერთ კართან ახლოს, ოთახში დედ-მამას ეძინა, მეორე კარიდან მე ვიპარებოდი. ხანდახან დაქალებიც შემომყავდა. მთელი ღამე ვერთობოდით და დილის 6 საათზე სახლებში ვაპარებდი.

ზვიო *(ზვიად ბლიაძე):*

— მე მთელი ბავშვობა ტყუილში გავატარე და ახლანდელ თაობას ვურჩევ, ჯერ აუხსნან მშობლებს, რომ კარგ „პონტში“ მიდიან და უნდა გაუშვან, თუ არა და, აუცილებლად გაიპარონ და გაერთონ. მშობლების ყაყანს მოევლება.

ეკა გაგიტაშვილი:

— მე დამჯერი ბავშვი ვიყავი, იმიტომ, რომ რამდენჯერაც მოვიტყუე, მშობლებმა

იმდენჯერ დამსაჯეს. ასე რომ, არც ერთ ახალგაზრდას არ ვურჩევ ტყუილის თქმას. აუცილებლად უნდა დაემორჩილონ მშობლებს.

ნუგზარ ერგემლიძე:

— ახალგაზრდას გააჩნია: თუ ის მშობლების ხარჯზე ცხოვრობს, სხვა გზა არა აქვს — უნდა დაემორჩილოს; თუ საკუთარი შემოსავალი აქვს, ეს უკვე სხვა

საქმეა, მაშინ მშობლებს ბოდიში მოუხადოს და სადაც უნდა, იქ წავიდეს.

ვახტანგ ჯაფარიძე, *ფსიქოლოგი:*

— ის წინადადება, რომლითაც ახალგაზრდა, მშობლებს მიმართავს, არ უნდა იწვევდეს უარყოფით ემოციებს. ყველა მშობელს აქვს საკუთარი კრიტერიუმები — რა თქმა უნდა, სუბიექტური; თუ მათი შვილის ქცევა ამ კრიტერიუმებში არ ჯდება, მაშინ ნდობა არ არის. როცა ახალგაზრდა თხოვნით მიმართავს მშობლებს, მან ყოველთვის იცის, დაახლოებით რას უპასუხებს დედ-მამა. აქედან გამომდინარე, ბავშვმა უნდა უთხრას დედას: ვიცი, რასაც მიპასუხებ — რომ იქ წასვლა საჭირო არ არის, — მაგრამ იქ კარგია. მთავარი ფაქტორი მაინც ნდობის მოპოვებაა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. სალვატორე კვაზიმოდო იტალიელი პოეტია.
2. ლუარსაბ თათქარიძე კალმახის ჭამით მოკვდა.
3. თუიუღი თურქული კლასიკური ლექსის ფორმაა.
4. პუშკინი სიმაღლეში 1 მეტრი და 58 სანტიმეტრი იყო.
5. კუნძულ ტაიტის იმპრესიონისტების კუნძულს ეძახიან.
6. ყველაზე მეტი (125) ოპერა ალესანდრო სკარლატიმ დაწერა.
7. უდაბნოში მცხოვრები – ასე ითარგმნება არაბულიდან სიტყვა „ბედუინი“.
8. ავღანელი ქალები მსოფლიოში ყველაზე შეუხედავ ქალებად ითვლებიან.



9. სიტყვა „დელფინი“ ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ძმას ნიშნავს.
10. დიდ ბრიტანეთში მობინადრე ყველა გედი სამეფო საკუთრებად ითვლება.
11. მომღერალი შერი თავის მეუღლეს გრეგ ოლმენს ქორწინებიდან 10 დღეში გაეყარა.
12. ეკატერინე მეორის შვილს პავლეს საკუთარი მმართველობის დროს, სიკვდილით არავინ დაუსჯია.
13. პირველი ბუნებრივი ნაკრძალი – იელოუსტოუნის ნაციონალური პარკი, 1872 წელს ამერიკაში შეიქმნა.
14. როგორც ბუნების იდუმალ მოვლენათა მკვლევარები ირწმუნებიან, ვამპირებს ნივრის სუნი აფრთხობთ.
15. თეთრი სახლის მშენებლობა 1800 წელს დასრულდა. მისი პირველი მკვიდრი, პრეზიდენტი ჯონ ადამსი იყო.
16. ქალაქი პანამა 1519 წელს ინდიელ მეთევზეთა სოფლის ადგილზე დაარსდა. „ბევრი თევზი“ – ასე ითარგმნება მისი სახელწოდება.
17. ერიკ კლაპტონის გიტარა ნიუიორკში, კრისტის აუქციონზე, რეკორდულ ფასად, 497.500 დოლარად გაიყიდა.
18. ყველაზე მაღალმა მთამ თავისი სახელწოდება ინდოეთის გენერალ-გუბერნატორის ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად მიიღო.
19. მძღოლებისთვის სავალდებულო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მართვის

მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი არსებობს. 2001 წელს განხორციელებული პროექტი — „არ დავუშვათ ბავშვის შეურაცხყოფა და ძალადობა ქალზე!“ — იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ანალოგიური მიზნების მქონე კომიტეტების შექმნის აუცილებლობა გაჩნდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის წყალობით შესაძლებელი გახდა, თბილისში ძალადობისგან ქალთა და ბავშვთა დაცვის კრიზისული ცენტრისა და თავშესაფრის ჩამოყალიბება. დღეისათვის სარეაბილიტაციო ცენტრსა და თავშესაფარს უამრავი ადრაც თავისთავად მწვავედ დგას ჩვენს დობის პრობლემა.

ელისო ამირეჯიბი

ქალადობა ოჯახში – პრობლემა, რომელსაც საქართველოში ჩქმალავენ

ემა ტუხიაშვილი

ქალბატონი მარინა, *ძალადობის მსხვერპლი და თავშესაფრის ბინადარი:*

– ერთადერთი ქალიშვილი მყავს. მარტო ვზრდიდი, რადგან მე და ჩემი მეუღლე უკვე დიდი ხანია, გავიყარეთ. არაფერი დამიკლია ჩემი შვილისთვის, რომ უმამობა არ ეგრძნო. საუკეთესო განათლება მივეცი, დამყავდა მუსიკაზე, სპორტზე. ბავშვობაში, მოსკოვში მხოლოდ იმისთვის წავიყვანე, რომ მისთვის ობრაზცოვის თეატრი მეჩვენებინა... ახლა ჩემი შვილი 2 შვილის დედაა და უმოწყალოდ გვცემს – როგორც მე, ასევე თავის შვილებს. უფროსი შვილიშვილი 9 წლისაა. აქედან 8 წელი მე ვზრდიდი, ამიტომ როდესაც დედა ცემით დააოსებს ხოლმე, ჩემთან მორბის. ჩემი შვილი ამაზე უფრო ღიზიანდება და შემდეგ, მეც მისწორდება ფიზიკურად... უმცროსი შვილი ჯერ პატარა ჰყავს – წლისაც არ არის, ამიტომ ვერავის ეტყვის, რომ დედამისი მოძალადეა.

— იქნებ, თქვენს შვილს ფსიქიკა აქვს შერყეული და მკურნალობა ესაჭიროება?

– ჯერ ძალიან ახალგაზრდა – 29 წლისაა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ავად იყოს, მაგრამ მე ვერაფრით დავამტკიცებ ამას. მშვენიერი მეუღლე ჰყავს (მისი მეორე შვილის მამა) და მას ადვილად არწმუნებს იმაში, რომ მეც და ჩემი უფროსი შვილიშვილიც ცილს ვწამებთ. ბავშვზე არანაირი იურიდიული უფლება არ მაქვს, რადგან ის არასრულწლოვანია და დედა ჰყავს. რამდენჯერაც გამოექცა დედას სახლიდან, იმდენჯერ მომიყვანა ჩემმა შვილმა პოლიცია სახლში, ბავშვიც წაიყვანა და ფიზიკურადაც გამისწორდა. საკუთარი შვილის მეშინია და მეშინია იმის, რომ ერთხელაც ჩემს შვილიშვილს ცემით სულს ამოხდის... მე ამ თავშესაფარს შევაფარე თავი. ბავშვი ვერ წამოვიყვანე, მაგრამ წამოვიღე 9 წლის ბიჭის ხელით დაწერილი წერილი, სადაც ის უარს ამბობს დედაზე, რადგან ის გამუდმებით უმოწყალოდ ურტყამს... წერს, როგორ უყვარს ბებია და როგორ უნდა მასთან ცხოვრება. ერთადერთი სურვილი მაქვს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, რაც შეიძლება მალე მიიღოს კანონი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ბავშვთა უფლებებს.

ელისო ამირეჯიბი, *ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი:*

– მსხვერპლთა რეაბილიტაცია გულისხმობს როგორც იურიდიულ კონსულტაციებს, აგრეთვე პრაქტიკულ იურიდიულ მხარდაჭერას, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სამედიცინო მომსახურებას და პოლიციის მუშაკებთან თანამშრომ-

ლობით, მოძალადეზე ზემოქმედებას. ძალადობის მსხვერპლთან ინტენსიურად მუშაობენ ექიმები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები და სოციალური მუშაკები.

— როგორც ვიცი, თქვენი თავშესაფრის მისამართი გასაიდუმლოებულია. რატომ?

— გასაიდუმლოებულია თავშესაფრის ადგილმდებარეობა იმისთვის, რომ ბინადარმა მშვიდად იგრძნოს თავი და არ ჰქონდეს იმის შიში, რომ მოძალადე მიაკითხავს და იქაც გაუსწორდება. მაგრამ აბსოლუტურად ხელმისაწვდომია ჩვენი კრიზისული ცენტრის მისამართი და ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი.

— მშობლებს შორის ვინ უფრო ხშირად გვევლინება მოძალადედ — დედა თუ მამა?

— ადრე სულ მეგონა, რომ ოჯახში მოძალადე ხშირ შემთხვევაში მამაკაცი იყო, მაგრამ გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ასაკთან ერთად, თუ კაცი ნელ-ნელა კარგავს აგრესორისა და მოძალადის თვისებებს, ქალი, პირიქით, იძენს. ბოლო 4 წლის განმავლობაში, კატასტროფულად გაიზარდა მკვლელ ქალთა რაოდენობა (თანაც, მკვლელობები უსასტიკეს ფორმებშია ჩადენილი) და დღეისათვის, მკვლელობათა საერთო რაოდენობის 25%-ს აღწევს. ვიდრე ამ ცენტრს გავხსნიდით, ინტენსიურად ვმუშაობდით ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და არასრულწლოვან პატიმრებთან. პრაქტიკამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ აგრესია, რომელიც შემდეგ, დანაშაულს იწვევს, ხშირ შემთხვევაში, ბავშვობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციების შედეგია. ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობელში დაგროვილი აგრესია შეიძლება ბავშვს დაატყდეს თავს, რომელსაც დაცვის არანაირი უნარი არა აქვს, ან ძალადობის მსხვერპლი, ზრდასრული შვილის უმწეო მშობელი გახდეს, რომელიც ასევე ვერ უწევს წინააღმდეგობას აგრესორს. ერთ-ერთი ჩვენი პაციენტი — ახალგაზრდა ქალი, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ ის მეუღლის ოჯახმა სათანადოდ ვერ შეაფასა. ამ მიზეზით გაჩენილმა აგრესიამ კი, ჯერ მეუღლის მიმართ იჩინა თავი, შემდეგ კი, მისგან გაჩენილ 3 შვილზე გადავიდა. სამივე ბავშვი ვაჟია და მხოლოდ იმის გამო, რომ ქალს უნდოდა, გოგო ჰყოლოდა, ბიჭებს აიძულებს, რომ გრძელი თმით იარონ... ძალიან კარგი, ჭკვიანი ბავშვები არიან. მათ შორის ყველაზე უფროსი, 11 წლისაა. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენად უხერხულია მათთვის, თანატოლებს შორის ყველაზე გრძელი თმით გამოჩენა?!. დიდი საშიშროება არსებობს, რომ მომავალში ისინი აგრესორებად ჩამოყალიბდნენ. ემოციები, რომელთა რეალიზებასაც ახლა ისინი ვერ ახდენენ, მომავალში ძალმომრეობად გადაიქცევა. ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ქალბატონები თვალს ხუჭავენ ძალადობაზე და მიაჩნიათ, რომ ნორმალურია, როდესაც ქმარი ცოლს ფიზიკურად უსწორდება. ჩვენ გვყავდა ახალგაზრდა ბინადარი — ქალბატონი, რომელიც 4 წლის განმავლობაში მეუღლის მხრიდან უსასტიკეს ძალადობას განიცდიდა. მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფმა მოგვმართა. ის ფიქრობდა, რომ ქმრისგან ცოლის ცემა კანონზომიერებაა, ვინაიდან ასე ხდებოდა მის ოჯახშიც... ჩვენთან ხშირად მოდიან ადამიანები, რომლებიც თვითმკვლელობის ზღვარს მიუახლოვდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც სუიციდის მცდელობის შემდეგ, პირდაპირ კლინიკიდან მოგვიყვანია ადამიანი. საკმაოდ რთულია, დააბრუნო ისინი ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმში, აღადგინო მათი კავშირი საზოგადოებასთან. საფუძვლიანი მუშაობა გვიწევს აგრეთვე პოლიციასთან, ვინაიდან ოჯახური ძალადობის მიმართ მის წარმომადგენელთა დამოკიდებულება საკმაოდ ინდიფერენტული იყო და უბრალოდ, არ მიაჩნიათ საჭიროდ საქმისათვის სერიოზული მსვლელობის მიცემა იმის გამო, რომ ქმარი ცოლს სცემდა. ამის საფუძველზე პოლიციაში შესულ განცხადებებზე ფაქტობრივად, არანაირი რეაგირება არ ხდებოდა. გვქონდა შემთხვევა, როდესაც ქმარმა ცოლი დანით დაჭრა,



თავიდან ყველა სკეპტიკურად უყურებდა ჩვენს წამოწყებას და თვალს ხუჭავდნენ მწარე სინამდვილის წინაშე...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

მოწმობების გაცემა პირველად საფრანგეთში შემოიღეს.

20. 1980-იანი წლების დასაწყისში, აშშ-ში ფართოდ გავრცელდა ქალის მკერდის სილიკონის პროთეზები. ეს სიახლე მოსწონდათ მამაკაცებს და ხელს აძლევდა ქალებს. მედიკოსებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი. მხოლოდ ერთი დაწესებულების თანამშრომლები იყვნენ უკმაყოფილონი ამ სიახლის შემოტანით. ეს უწყება კრემატორიუმი გახლდათ. სილიკონი არ იწვოდა და ანაგვიანებდა კრემატორიუმის კამერებს.

21. მერი სიურატი პირველი ქალი გახდა, რომელიც ამერიკაში ჩადენილი დანაშაულისთვის სიკვდილით დასაჯეს. მან აბრაამ ლინკოლნის მკვლელს ჯონ ბუტს თავისი სახლი დაუთმო.

22. 1925 წლის 10 ივლისს, აშშ-ის ქალაქ დეიტონში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელსაც „მაიმუნის პროცესი“ უწოდეს. განსასჯელი, 24 წლის მასწავლებელი ჯონ სკოუპსი იყო, რომელიც მოსწავლეებს დარვინის ევოლუციის თეორიას ასწავლიდა, რაც ტენესის შტატის კანონმდებლობით აკრძალული იყო. საბოლოოდ იგი დამნაშავედ ცნეს და 100 დოლარით დააჯარიმეს.

23. „შრომა ღვთისა და მშვიდობისათვის — ეს არის ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო მამაჩემის ცოდვების გამოსასყიდად“, — ამბობს მარტინ ბორმანი, შვილი იმ მარტინ ბორმანისა, რომელსაც ჰიტლერი საკუთარ ჩრდილს ეძახდა.

24. ჯგუფი „როლინგ სტოუნზ“ პირველი დასავლური ანსამბლი იყო, რომელმაც ჰონორარი მიიღო საბჭოთა კავშირში თავისი სიმღერების გამოშვებისთვის.

25. თავის დროზე, ამერიკელ ასტრონავტებს უცნაური პრობლემა შეექმნათ: ბურთულიანი კალმები კოსმოსში არ წერდა. მეცნიერებს 3 წელიწადი დასჭირდათ ისეთი კალმის შესაქმნელად, რომელიც უწონადობის პირობებში დაწერდა. P.S. რუსებს ამდენი არ უწვალიათ — მათ კოსმოსში ფანქრები წაიღეს. ■

ეს იყო ტრეფიკინგის ტიპური შემთხვევა: მათ უთხრეს, რომ მიჰყავდათ ჩაის შესაფუთად გურიაში და თვეში 800 დოლარს გადაუხდიდნენ...

მაგრამ პასუხი ამისთვის არავის მოუთხოვია და ერთადერთი გზა ხსნისა, თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება გახდა... ახლა უკვე გვყავს სპეციალური გუნდი, რომელიც სისტემატურად უტარებს ტრენინგს პოლიციელებს. ეს მეთოდი აპრობირებულია ევროპასა და ამერიკაში და საკმაოდ კარგი შედეგები მოაქვს. თუ პოლიცია დროულად ჩაერევა ამ პრობლემებში, დიდი შანსია იმისა, რომ მოძალადე განზრახვას ვერ მოიყვანს სისრულეში.

— რამდენ ხანს შეუძლიათ ბინადრებს თავშესაფარში დარჩენა და თქვენგან წასვლის შემდეგ, თუ გაქვთ ხოლმე მათთან ურთიერთობა?

მაია თავაძე, *ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი:*

— განსაზღვრული დრო — 3-5 თვეა. მაგრამ თუ ადამიანს სხვაგან წასასვლელი არა აქვს, თავშესაფარზე უარს ვერ ვეტყვით. მაგალითად, 19 წლის ბათუმელი გოგონა კრისტი უკვე რამდენიმე წელია, ამ თავშესაფარში ცხოვრობს (მას ფართო საზოგადოება იცნობს ია ფარულავას გადაცემიდან — „ჩემი მშვენიერი ლედი“). კრისტი ძალადობას მამინაცვლისგან განიცდიდა. საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. პატარაობიდანვე შრომობდა, არანაირი საბუთი არ გააჩნდა. როგორც თავად ამბობს, დედას გამუდმებით სთხოვდა, რომ გაჰყროდა ქმარს, რაზეც კატეგორიულ უარს იღებდა. ჩვენი რეგიონული კომიტეტის საშუალებით კრისტი ჩვენთან მოხვდა. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ზრდასრულ გოგოს საგნების აღქმის უნარიც კი არ ჰქონდა... ახლა ის აბსოლუტურად სხვა პიროვნებაა, საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორიც ჩვენ ყველანი. მუშაობს და დედას და დებსაც ეხმარება მატერიალურად. ყველა ჩვენს ბინადარზე სრულფასოვანი ინფორმაცია გვაქვს და ჩვენი ცენტრის არქივში ინახება, ასე რომ, მათი თავშესაფრიდან წასვლით ჩვენი ურთიერთობა ნამდვილად არ მთავრდება.

— როგორც ვიცი, რამდენიმე დღით თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლი უზბეკი გოგონებიც შეიფარეთ.

ელისო ამირევზიბი:

— რა თქმა უნდა, ტრეფიკინგი ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმართულებაა, მაგრამ ამ ეტაპზე ოჯახურ ძალადობაზე ვართ ფოკუსირებული. იმის გამო, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი თბილისში პრაქტიკულად არ არსებობს, გვთხოვეს, რომ რამდენიმე მათგანი — კონკრეტულად, ამ საქმის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე შეგვეფარებინა. ეს იყო ტრეფიკინგის ტიპური შემთხვევა: მათ უთხრეს, რომ მიჰყავდათ ჩაის შესაფუთად გურიაში და თვეში 800 დოლარს გადაუხდიდნენ. უზბეკეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, ამიტომაც ქალბატონებმა ლუკმაპურის შოვნა გადაწყვიტეს. თბილისში მათ პასპორტები ჩამოართვეს, გაუსაძლის პირობებში ამყოფებდნენ, შეაშინეს და ფსიქოლოგიურად „პატრონებზე“ დამოკიდებულებად აქციეს. მათი ასაკი 25-დან 29 წლამდე მერყეობდა, თუმცა საბუთებში 2-3 წელი მაინც მოკლებული ჰქონდათ. სულ 14 ქალბატონი იყო. ერთ-ერთი მათგანი — ორსული. როგორც ჩვენთან ამბობდნენ, ორმა მათგანმა მოახერხა იმ საშინელი პირობებიდან გამოქცევა და პოლიციელებს თავისი ადგილსამყოფელი აცნობა. უნდა გითხრათ, რომ რუსულად მხოლოდ ერთი მათგანი საუბრობდა, დანარჩენებმა, მშობლიური ენის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ. მათი ადგილსამყოფელი სრულიად საიდუმლოდ უნდა შეგვენახა, ამიტომ აივანზე გასვლასაც კი ვუკრძალავდით. როგორც შემდეგ გაირკვა, გურიის ნაცვლად ისინი ინდოეთსა და არაბეთში მიჰყავდათ. ახლა მათი დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ეს ამბავი ასე გახმაურდა, უზბეკ ქალებს სამშობლოში დაბრუნების შიში ჰქონდათ: როგორც გვითხრეს, მათი კანონები საკმაოდ მკაცრია და არაა გამორიცხული, რომ მომხდარის გამო, სასჯელიც გამოუტანონ. ერთ-ერთმა მათგანმა ლექსიც კი დაწერა, სადაც საკუთარ ოჯახს პატიებას სთხოვდა, თავისი უგუნური საქციელის გამო და ოჯახში დაბრუნების ნებას ითხოვდა.

— საკმაოდ კომფორტული და სუფთა ოთახები გაქვთ თავშესაფარში...

— კარგი იქნება, ამ პრობლემასთან ბრძოლაში სახელმწიფო რომ გვეხმარებოდეს... თავიდან ყველა სკეპტიკურად უყურებდა ჩვენს წამოწყებას და თვალს ხუჭავდნენ მწარე სინამდვილის წინაშე — ვითომდა, საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემა არ დგას... უახლოეს მომავალში, მივემგზავრებით პოლონეთში, რათა იქაურ თავშესაფრებს გავეცნოთ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, ამერიკელი სტუმრები გვყავდა და ვთხოვეთ, რომ გულახდილად შეეფასებინათ ჩვენი თავშესაფარი. გავოცდით, როდესაც გვითხრეს: ჩვენსა და თქვენს თავშესაფარს შორის ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავთო...

■

ფრაზა

ნუ იმსჯელებთ ადამიანებზე მხოლოდ მათი მეგობრების მიხედვით: არ დაგავიწყდეთ, რომ იუდას ყველა მეგობარი უნაკლო იყო...

ერნესტ ჰემინგუეი

გენიალური



როგორც მკითხველთა მესიჯებიდან ჩანს, მავნე ჩვევა მარტო სიგარეტის მოწევა და ფრჩხილების კვნეტა როდია. თურმე, ისეთი უცნაური მავნე ჩვევებიც ყოფილა, როგორებიცაა რუსული ენის არცოდნა, ცარცის ჭამა, ძეხვისა და ნაყინის ერთად მირთმევა ან აბაზანაში ღიღინი... ვინც „გზავნილებს“ მუდმივად ადევნებს თვალყურს, აუცილებლად ემახსოვრება 19 წლის გოგონას მესიჯი, სადაც თავისი გაჭირვების შესახებ გვიამბობდა. კერძოდ, იმაზე, რომ ჩვევად ჰქონია მატყუარა საწოვრის „თანხლებით“ ძილი. მას შეყვარებული ჰყავდა, გათხოვებას აპირებდა და ძალზე ნერვიულობდა. არ იცოდა, როგორ „გადაეგდო“ მატყუარა. გოგონა კვლავაც შეგვეხმიანა და აი, რა დაგვიმესიჯა:

„ვფიქრობ, ფსიქიატრიც ვეღარ მიშველის...“

მარი ხაფარიძე

„რა მეღამს უჭერ „სოსკას“?

„არ ვიცი, გახსოვართ თუ არა, დაახლოებით ერთი წლის წინ დაგიმესიჯეთ და ჩემი გასაჭირი გაგანდვეთ. მე ის გოგო ვარ, მატყუარა საწოვრის გარეშე რომ ვერ ვიძინებდი. ოჯახის წევრები სულ მეჩხუბებოდნენ, მაგრამ ჩემს მავნე ჩვევას არაფერი ეშველა. შეყვარებული მყავდა, რომელსაც ვერ ვუმხელდი ჩემს გასაჭირს. წელს, იანვარში გავთხოვდი. პირველი ერთი თვის განმავლობაში საშინლად ვიტანჯებოდი. მთელი ღამეები არ მეძინა იმის გამო, რომ მატყუარას ვერ ვიდებდი პირში. დღისით, მარტო თუ დავრჩებოდი, მაშინვე ჩანთას ვეცემოდი, სავარძელში ჩავესვენებოდი, მატყუარას პირში ვიტაკებდი და ისეთი სიამოვნებით ვწოვდი, ვერც კი წარმოიდგენთ. გავხდი, თვალის უპეები ჩამიშავდა უძილობით. სიზმრად თუ ცხადში, მატყუარა მელანდებოდა. ჩემი ქმარი ძალზე ნერვიულობდა. ერთხელ, გულში ჩამიხუტა და მითხრა: — ვხვდები, რაღაც გაწუხებს, მითხარი, იქნებ დაგეხმაროო... — ტირილი დავიწყე. ამან სულ გააგიჟა. ბოლოს, ავდექი და ვუთხარი, ასე და ასეა ჩემი საქმე, ახლა თუ გინდა, შინიდან გამაგდე-მეთქი. ვერ გაოგნდა, შემდეგ კი, იმდენი იცინა, ძლივს ვასულიერებდი. — სულ ეგ არისო? — მკითხა. — ჰო-მეთქი. — რამდენსაც გინდა, იმდენ მატყუარას მოგიტან, ოღონდ შენ მყავდე კარგადო. — ახლა, დასაძინებლად რომ ვწვებით, თავისი ხელით მიდებს პირში მატყუარას, — ჩემი პატარა ბაიაო, — მომეფერება, ჩამიხუტებს და ასე ვიძინებთ. რა თქმა უნდა, საიდუმლოს გულდაგულ მინახავს. მეც, მადლობის მეტი რა მეთქმის? აი, ასეთი მავნე ჩვევა მაქვს. ჰო, ის დამავიწყდა, ერთხელ თვითონაც დაინტერესა, რა „მეღამს“ უჭერ ამ „სოსკასო“? ჩაიდო ჩემი მატყუარა პირში და ისე სცადა დაძინება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... ნახვამდის“.

ეს წელზე მეტია, ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც ფილაი ჰქვია, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ათასობით ადამიანი იყრის თავს. მათ ერთი სურვილი ამოძრავებთ — სამუდამოდ მოიშორონ კბილის ტკივილი. ადგილობრივი მცხოვრებნი ირწმუნებიან, რომ XIX საუკუნის ბოლოს, ამ სოფელში ცხოვრობდა წმინდანი ბაბა ბუთხა ჯი, რომელსაც განკურნების საოცარი უნარი ჰქონდა. მისი ჯადოსნური ძალა დღესაც მოქმედებს და როგორც ამბობენ, სწორედ ამიტომ, ამ სოფელში არ იცით, რა არის კბილის ტკივილი. კბილმტკივანი ადამიანი დგება სახით ზემოაღნიშნული წმინდანის სახელობის ტაძართან და ერთი საათის განმავლობაში, ხმამაღლა აღავლენს მის სადიდებელ ლოცვას. მერე შესთხოვს, რომ სამუდამოდ განიკურნოს კბილის ტკივილისგან. შემდეგ, გარშემომყოფნი მის თავს ზემოთ ისვრიან 7 პატარა ქვას და იმეორებენ ბაბა ბუთხა ჯის სადიდებელ ლოცვას. ცერემონიის დამთავრებისთანავე უცხო ადამიანმა სოფელი უნდა დატოვოს და სიცოცხლის ბოლომდე დაემშვიდობება კბილის ტკივილის აუტანელ შეგრძნებასა და დანტისტის საბურღი მანქანის ამაზრზენ ხმაურს...

მაგრამ თუ ერთნი ათასობით კილომეტრს გადიან იმისთვის, რომ კბილის ტკივილს დაემშვიდობონ, ჩვენი მკითხველისთვის ეს შეგრძნება მოთხოვნილებად ქცეულა და ათასგვარ მიზეზს ეძებს, რომ კბილის ექიმს მიაკითხოს.

19 „რადნიო“ კბილი და სასიამოვნო ვიზიტები დანტისტთან

„ოთხმეტი წლის ვიყავი, როდესაც პირველად ამტკივდა კბილი. მთელი ღამე არ დამაძინა ტკივილმა. მეორე დილით დამიამდა და ეს ისეთი შვება იყო, რომ უდიდესი სიამოვნება ვიგრძენი. საღამოს კბილში ასანთის ღერი შევიჩხიკინე და ისევ ამტკივდა. შემდეგ ისევ გამიყუჩდა და ისევ მესიამოვნა. ასე განმეორდა რამდენჯერმე და კბილის ტკივილის შეგრძნება მავნე ჩვევად გადამექცა. ბოლოს, ის კბილი ისე გამოფუჭდა, რომ აუცილებელი გახდა ექიმთან მისვლა და ამოღება. ძალით ავიტკივე კბილი და ექიმს მივაკითხე. აუჰ! გაცილებით დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა თავისი „პლოსკო“ ჩამავლო კბილში და მოარყია. შემდეგ გავიდა ხანი და დავიწყე მეორე კბილის წვალება. მანამ არ მოვეშვი, ვიდრე ისიც ამოსაღები არ გახდა. ასე და ამგვარად გამოვემშვიდობე რამდენიმე კბილს. ახლა 26 წლის ვარ და ნახევარზე მეტი ხელოვნური კბილი მაქვს. ჩემი „რადნიო“ მხოლოდ 19 კბილი დამრჩა და ნელ-ნელა იმათაც დანარჩენების გზას გავუყენებ. ვიცი, რომ უცნაური ჩვევაა, მაგრამ მე მომწონს. სხვა რამ რომ ამტკივდეს, შესაძლოა გავვიჟდე,

მაგრამ კბილი რომ მტკივა, უზომოდ კმაყოფილი ვარ... ნიკო''.

დეპრესია ეს არის ადამიანის სულიერი მდგომარეობა, როდესაც ის შინაგან დისკომფორტს განიცდის. ასეთ დროს ზოგი ტირის, ზოგს კარგ ხასიათზე აყენებს (დაუჯერებელია, არა?), ზოგიერთს თავის მოკვლის სურვილიც კი უჩნდება. ჩვენი შემდეგი რესპონდენტი კი... თუმცა, ჯობს თვითონ თამუნას მოვუსმინოთ.

„როცა ტირილი მინდა, პანაშვიდზე მივდივარ...''

,,ძალზე დეპრესიული ადამიანი ვარ. სულ მცირე მიზეზიც კი საკმარისია, რომ თავი ამქვეყნად ყველაზე უბედური ადამიანი მეგონოს. ვთქვათ, ქუჩაში ფეხი გადამიბრუნდა. მორჩა! იმ დღეს ცუდად ვარ. ,,მე ხომ ბედი არ მაქვს,'' ,,მე ხომ არაფერში მიმართლებს'', ,,მე ხომ ყველაზე უბედური ვარ''... ეს არის ის ფრაზები, რომელსაც ყველაზე ხშირად ვამბობ. უზომოდ მინდა ხოლმე ტირილი, თუნდაც უმიზეზოდ, მაგრამ ვერ ვახერხებ ცრემლის ღვრას, რომ შვება ვიგრძნო. ასეთ დროს წარმოვიდგენ ხოლმე, რომ მოკვდი, სიკვდილის წინ კი, სათითაოდ გამოვემშვიდობები ყველა ახლობელს და ვიგონებ გულის ამაჩუყებელ ტექსტს; წარმოვიდგენ, როგორ ვწევარ კუბოში. მაგრამ ამ დროს გამახსენდება რამდენიმე ადამიანი, ვისაც ჩემი სიკვდილი გაუხარდება და უკვე სატირლად მომზადებული, შურისძიების წყურვილით ვივსები ხოლმე. ერთხელ, ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც კარის მეზობლის, ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე. გული ამომივდა და ისე ვიტირე, როგორც ჭირისუფალმა. უზომო შვება ვიგრძენი. ამის შემდეგ ჩვეად მექცა – როდესაც ტირილი მინდა, პანაშვიდზე მივდივარ, თანაც, სრულიად უცხო ადამიანებთან. მივალ, გულიანად ვიტირებ, თაიგულს მივიტან და შემდეგ შინ ვბრუნდები. როდესაც ვინმეს გარდაცვალების შესახებ ვიგებ, ძალაუნებურად მივდივარ და ვტირი. ხანდახან უბანუბან ჩამოვივლი ხოლმე და სადაც ერთად თავმოყრილ ხალხს დავინახავ, იქ მივდივარ. ზოგჯერ „მარშრუტკიდანაც'' ჩამოვსულვარ, სადარბაზოსთან ჩოჩქოლი თუ შემინიშნავს. ერთი სიტყვით, ძალზე ცუდ მდგომარეობაში ვარ. ფიქრობ, ფსიქოლოგი კი არა, ფსიქიატრიც ვეღარ მიშველის. აღარ ვიცი, რა ვქნა. შემდეგ ღამით მესიზმრებიან გარდაცვლილები, ვიღვიძებ და შიშით კარგა ხანს აღარ მეძინება. გამოსავალს კი ვერ ვპოულობ. პატივისცემით, თამუნა''.

აი, თურმე ასეთი მავნე ჩვეულებაც არსებობს... დარწმუნებული ვარ, თითოეულ ჩვენგანს მოწაფეობისას მშობლები გვიკიჟინებდნენ, ინგლისურს მიხედე, გერმანული ისწავლე, რუსული არ დავიწყდეს, საჭირო ენაო. ჰოდა, ჩვენს მომდევნო რესპონდენტს რომ მშობლებისთვის დაეჯერებინა, კურიოზულ სიტუაციაში არ აღმოჩნდებოდა.

ბევრი-ბევრი ჯატა და „სადისტი'' მამა-შვილი

,,ჩემი ,,მავნე ჩვეა'' ის არის, რომ არასოდეს ვსწავლობდი უცხო ენას. ვერ ვიტანდი ინგლისურ ენას სკოლაში, რუსულს – ჯარში, გერმანულს – უნივერსიტეტში. ყველა საგანში მაღალი შეფასება მქონდა, უცხო ენაში კი, სულ ,,ჩაწყობა'' მჭირდებოდა. ერთხელ, რუსული ენის ცუდად ცოდნის გამო, საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. წარმომობით სვანი ვარ (სვანურიც კი არ ვიცი წესიერად), მესტიაში გავიზარდე. მამაჩემი იქ ცნობილი მებაღე გახლავთ. ულამაზესი ბაღი გვაქვს, მის დასათვალიერებლად სტუმრებიც კი მოდიან ხოლმე. მეც მებაღეობა კარგად ,,დავამუღამე'' და თბილისშიც ამ საქმიანობას ვეწევი. კერძოდ, დიზაინერი ვარ და ცოცხალი მცენარეებით ეზოების დიზაინს ვაკეთებ. მოკლედ, ამ 5-6 წლის წინ მეგობართან ერთად მოსკოვში წავედი. სასტუმროში ვცხოვრობდით. ჩვენს სართულზე ორი რუსი ნაშა ცხოვრობდა და როგორც იქნა, ეს გოგონები ერთ საღამოს ნომერში დავპატიჟეთ. მე დამტვრეული რუსულით ძლივს ვაგებინებდი სათქმელს. თან ვსვამდით. აზარტში შევედი და გოგონები სვანეთში დავპატიჟე – ,,ვ სვანეტი პაეზუ, დარაგაია... სუდა პასმოტრიშ – კოშკი, ტუდა პასმოტრიშ – კოშკი''... ეს გოგო თვალებგაფართოებული მიყურებს. – ,,ზაჩემ ტაკ მნოგო კოშეკ?'' – მეკითხება... – ,,და, და, მნოგო კოშკი, მნოგო'' (მე სვანურ კოშკზე ველაპარაკები, ის კიდევ – კატებზე)... მერე სურვილი გამიჩნდა, მამაჩემის ზღაპრული ბაღით მომეწონებინა თავი და დავამატე: – ,,ს ოტცომ პაზნაკომლიუ, ონ უ მენია სადისტ'' (ასე გადავთარგმნე ,,მებაღე''), ,,ია ტოჟე ხაროში სადისტ''... – მოკლედ, ის გოგონები ოთახიდან ერთმანეთს ასწრებდნენ. ბოლოს ჩემმა მეგობარმა აუხსნა, რისი თქმაც მინდოდა და ისე დამცინეს, რომ შემრცხვა...''

ის, რომ დედამთილის მოწონებული რძალი ხართ, სულაც არ ნიშნავს, რომ დედამთილი თქვენს მავნე ჩვეებს უსიტყვოდ შეეგუება. შემდეგი რესპონდენტი 27 წლის ნათია, რომელსაც მავნე ჩვეის გამო ღამის ოჯახი დაენგრა.

„...ჯევს ნუ ღეჭავ, ფრჩხილებს ნუ იკვნეტ!..''

,,სტუდენტი ვიყავი, როდესაც ჩემს მეგობარ გოგოსთან სტუმრად მივედი. იქ დამხვდა ერთი ქალბატონი, რომელიც მათი კარის მეზობელი ყოფილა. ამ ქალს ძალზე მოვეწონე და იმ დღის შემდეგ მთხოვნელს მთხოვნელზე მიგზავნიდა, რომ მის შვილს ცოლად გავყოლოდი. დათო (მისი შვილი, ახლა კი – ჩემი მეუღლე) იმჟამად რუსეთში იყო და მე თვალითაც არ მყავდა ნანახი. სადედამთილო მეხვეწებოდა, ოღონდ დაგვთანხმდი და დათოს იმ დღესვე ჩამოვიყვანთ თბილისშიო. მე ვუარობდი, როგორ დაგთანხმდეთ, იქნებ სულაც არ მომეწონოს თქვენი შვილი-მეთქი?! მაგრამ ასეთ დროს სურათებს გამარბენინებდა ხოლმე, საიდანაც მართლაც, ძალზე კარგი გარეგნობის ბიჭი შემომცქეროდა. მაგრამ მთავარი, გარეგნობა ხომ არ არის? მოკლედ, ჩემთან რომ ვერაფერი გააწყვეს, დათოს დაურეკეს და მოტყუებით ჩამოიყვანეს თბილისში. შემდეგ მე მიმიპატიჟეს შინ. უარი არ მითქვამს, რადგან ინტერესით ვკვდებოდი – როგორი იყო სინამდვილეში ეს ბიჭი. გავიცანით ერთმანეთი და მივხვდი, რომ დათოს მოვეწონე. რამდენიმე დღეში ის უკან გაბრუნდა, მაგრამ ხშირად მირეკავდა, მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი. თანაც გამაფრთხილა, დედაჩემთან ნუ იტყვი, შენთან კავშირი რომ მაქვსო. თურმე დედისთვის უთქვამს, ნათია არ მომეწონა და მისი სახელი არც კი მიხსენოო... როგორც ჩანს, კარგად იცოდა საკუთარი დედის ხასიათი. მეც არავის ვუმხელდი, მეგობრებმაც კი არ იცოდნენ ჩემი სიყვარულის შესახებ. ასე შორიდან გვიყვარდა ერთმანეთი მთელი 7 თვის განმავლობაში. დათო საბუთებს აწესრიგებდა, ბინა იქირავა, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვა და მხოლოდ ამის შემდეგ შემომთავაზა, მასთან ჩავსულიყავი. მეც ყველასგან მალულად მოვაგროვე საბუთები, მივიღე ვიზა რუსეთის საკონსულოში, ავიღე თვითმფრინავის ბილეთი და დათოსთან ჩავედი. აეროპორტში ყვავილების უზარმაზარი თაიგულით მელოდა ჩემი მომავალი მეუღლე. იმ საღამოსვე პატარა ქორწილი გადავიხადეთ ერთ-ერთ რესტორანში, სადაც მისი ოცდაათამდე მეგობარი იყო დაპატიჟებული. შემდეგ კი, ჩვენს ,,ბუდეში'' მივედით. სახლი ისე მოერთო და მოეკაზმა, იმდენი ბუშტი და ყვავილი, ტკბილეული და შამპანური დამახვედრა, რომ აღტაცება ვერ დავფარე. მხოლოდ მეორე დღეს შევატყობინეთ ოჯახებს, რომ დავქორწინდით. უზომოდ ბედნიერი ვიყავი. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. მე და დათო მოსკოვში ვცხოვრობთ. მაისში თბილისში ჩამოვედი, რომ ოჯახის წევრები მომენახულებინა. ბუნებრივია, დედამთილთან ვცხოვრობ... ახლა კი მავნე ჩვეების შესახებ: არც კი მეგონა, თუ ასეთ წვრილმანებზე ჩემი დედამთილი ყურადღებას გაამახვილებდა. ჯერ იყო და იმაზე ივიჯუჯღუნა, ფრჩხილებს რატომ იკვნეტო... შემდეგ, ჩემს საწოლ ოთახში სიგარეტის სუნი იგრძნო და გადაირია, რატომ ეწევიო? – ვიუარე, მაგრამ ვერ დავარწმუნე... შემდეგ იმაზე ამიხირდა, პურს ნუ ტეხ, დანით მოჭერიო. მე კიდევ, არ მიყვარს დანით დაჭრილი პური... ვფიქრობდი, ცოტა ხნით ვარ ჩამოსული, როგორც

მას მოსწონს, ისე მოვიქცევი-მეთქი, მაგრამ ჯუჯღუნის მიზეზი არ ელეოდა... ტუალეტში გაზეთს ნუ კითხულობ, ფეხი ფეხზე ნუ გაქვს გადადებული, კევს ნუ ღეჭავ, ცივი ყავა რატომ გიყვარსო?!. და რა ვიცი, ათასი რამ... დათოსთვის დაურეკავს და რაღაცები მოუტყუებია, თითქოს სულ დედაჩემთან ვარ და ღამეს შინ არ ვათევ. სიგარეტის მწეველი ქალი შინ როგორ უნდა გავაჩეროო? მაგრამ ერთმა სიცრუემ სულ გამაგიჟა: ნათიამ ტელეფონზე საუბრისას მეგობარს უთხრა, ბავშვის გაჩენას ჯერ არ ვაპირებო... — ასე უთქამს ჩემი მეუღლისთვის. დათომ ძალზე მისაყვედურა. თავი ვიმართლე, რადგან მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია და დათომაც კარგად იცის, როგორ მინდა, შვილი რომ მეყოლოს. მერე დედამთილმა მე მომიტანა ამბავი: — დათომ თქვა, ვეცდები, მანდ დავტოვო და ჩემთან აღარ ჩამოვიყვანოო. ამის გამო ძალზე ვიჩხუბეთ. ერთმანეთს ათას რამეში ვდებდით ბრალს და სიმართლის მოსმენა არც ერთს არ გვინდოდა... ახლა სასწრაფოდ მივემგზავრები ჩემს საყვარელ მეუღლესთან. სხვაგვარად, შესაძლოა, ოჯახი დამენგრეს... ახლა თქვენ განსაჯეთ, მე უფრო მავნე ჩვევები მაქვს თუ ჩემს დედამთილს. არც კი ვიცოდი, „გზაში“ ამ რუბრიკის არსებობის შესახებ. ახლა ვნახე, ძალზე მომეწონა და ჩემს ამბავსაც გიმესიჯებთ. დედას ვთხოვ, ყველა ნომერი გამომიგზავნოს... პატივისცემით, ნათია“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ და ვნახოთ, კიდევ როგორი მავნე ჩვევა შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს.

თხოვნა ქართველ კომპოზიტორებს

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ სულ ისეთი ბიჭები მომწონს, რომლებიც არ იმსახურებენ ჩემს სიმპათიას. რატი — „მონსტრუკა“, საზიზღარი ხარ, რომ არ მირეკავ. იაკო“.

„ჯიგო, შენ ხარ ჩემი მავნე ჩვევა. ხომ ვიცი, რომ ჩემს თავს ვავნებ, შენ რომ გაპატიო, მაგრამ მანც ვერ გელევი. სულ ვამბობ, ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნება-მეთქი, მაგრამ... შენი ოცნების ქალი“.

„იცით, ჩემი მავნე ჩვევა რა არის? — საჭმლის დაყნოსვა. დედამთილი ამის გამო მსაყვედურობს და მეუბნება, რომ ოჯახის ყველა წევრი მივაჩვიე ამას. მართლაც, ისე არიან მიჩვეული საჭმლის დაყნოსვას, რომ ყველგან მეძებარი ძაღლებივით იქცევიან. ნ-ა“.

„ჩემს ნაცნობს ძალზე ცუდი ჩვევა აქვს. 1. როგორც კი გაიღვიძებს, მაშინვე ყავა და სიგარეტი უნდა ჰქონდეს მზად. თუ არა აქვს, მტრისას... გაგიჟდება და მორჩა... ყოველდღე ამბობს, ხვალიდან აღარ მოვწევო, მაგრამ აღარ დაადგა საშველი. 2. თუ ბიჭი ხარ, შინ გაჩერდი, როცა ის სახლს ალაგებს. არავის უშვებს შინ და თუ ოდნავ მიუახლოვდი, მტრისას... კივის და რას კივის! ამის შემდეგ სულ დაგეკარგება შესვლის სურვილი. აი, ასეთი მავნე ჩვევა აქვს ლელას. ისე, ლელა, შენც ხომ იცი, რომ სიგარეტი მავნეა? ნინი“.

„დედაჩემი მკერავია და შესაკერი აქვს თუ არა რაიმე, მაინც საკერავ მანქანასთან ზის. ალბათ საქმეს ელოდება. ამ ბოლო დროს, ცოტა გადაეჩვია. ქეთა“.

„მავნე ჩვევა ბლომად მაქვს. მიყვარს, როცა ბიჭებს ვაწვალებ და ვანერვიულებ. მიყვარს, როცა რაღაცას ვაფუჭებ. ერთხელ, ქობულეთში იმის გულისთვის დამაჯარიმეს, რომ კატერი გავიტაცე და გავაფუჭე“.

„მავნე ჩვევად მქონდა ფრჩხილების კვნეტა. ყველა მეჩხუბებოდა, მაგრამ ახლა ისეთი დიდი ფრჩხილები მაქვს, რომ...“

„ჩემი მავნე ჩვევა ტყუილია და ამ ტყუილებმა ანგელოზივით გოგო დამაკარგვინა. გაგა“.

„ძალიან ლამაზი ვარ, კაცებს ძალიან მოვწონვარ, ფლირტზე უარს ვერ ვამბობ. არადა, ქმარი მყავს. პრობლემას კი სინდისის ქენჯნა მიქმნის“.

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ ძალიან კეთილი ვარ და ვიყავი თითით საჩვენებელი ქმარი. ჩემი სიკეთე უკან არასდროს მიბრუნდება — მხოლოდ ნერვიულობა და ურთიერთობების დანგრევა მხვდება. აი, ასეთი უბედური ვარ და ეს არის ჩემი მავნე ჩვევა. ნინი, კარგად დაფიქრდი და ნუ მოუსმენ სხვას. დამიჯერე, ძალიან ბევრს დაკარგავ. სერგო“.

„ყოველთვის, როდესაც ვინმე მომეწონება, რაღაც ისეთს ვაკეთებ, რომ იმ ადამიანს ვკარგავ. იაკ ასე დავკარგე. იკა, ჩემო სიხარულო, მინდა იცოდე, რომ უზომოდ მომენატრები“.

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ მიყვარს ბექა და ვერ ვივიწყებ. ის კი სიყვარულის ღირსი არ არის. ლია“.

„ერთ ჩემს მეგობარს ძალიან მავნე ჩვევა აქვს. ძალზე კარგი პიროვნებაა, თან გადაგყვება, ბოლოს კი, ისეთ მწარე სიტყვას გეტყვის, რომ გულს მოგიკლავს. მას სურს, ამ მავნე ჩვევას გადაეჩვიოს, მაგრამ ვერ ახერხებს“.

„ერთი ბიჭი გავიცანი. ბერდია ჰქვია. ხშირად მირეკავდა. ახლა კი ტელეფონი გამორთული აქვს. მე კი ყოველ საღამოს ველი მის გამოჩენას. ბერდო, გამოჩნდი! XX-XX-03“.

„მაშ, მავნე ჩვევა, არა? მგონი ჩემნაირი მავნე ჩვევა არავის აქვს. თავისუფალ დროს მოვიხელთებ თუ არა, ვიწყებ სხვადასხვა უცნობი ტელეფონის ნომრის აკრეფას. მერე, თუ ბიჭის ხმა მომეწონება, მესიჯების გაგზავნას ვიწყებ. იცით, ბედის ირონია რა არის? ყველა მათგანი სამტრედიელი აღმოჩნდება ხოლმე, თანაც ერთმანეთის ნაცნობი. რომ წარმოვიდგენ, რა შეიძლება იფიქრონ ჩემზე, საშინლად ვბრაზდები საკუთარ თავზე. თანაც, უსიამოვნებაც საკმაოდ ხშირად შემხვედრია. ვკობია, გადავეჩვიო ამ მავნე ჩვევას, თუ არადა, მალე ჩემს ტელეფონს საერთოდ გამოვეშვიდობები. ხატია“.

„ჩემი მავნე ჩვევა ის არის, რომ ცარცს ვჭამ, ყველა მიშლის. არადა, იცით, რა გემრიელია? რომ ჩავკვნეტ, მერე ენაზე ისე დნება, როგორც თაფლი. წინათ უფრო გემრიელ ცარცს აკეთებდნენ, ახლა ცოტა გაფუჭეს, მაგრამ სხვას ვერ ვშოულობ. სპეციალური პატარა საფულეც კი შევიძინე იმისთვის, რომ ცარცი თან ვატარო და ჩანთაში ნივთები არ გამიფუჭოს. სადაც მომესურვება, იქ ვიგემრიელებ ხოლმე პირს. იცით, ყვასთან ერთად რა გემრიელია? ნებისმიერ ნამცხვარს სჯობს. ბუნებრივია, როცა მარტო ვარ ან ძალზე ახლობლებთან ერთად, მაშინ ვაძლევ თავს ამის უფლებას. გასინჯეთ, არ ინანებთ“.

„ჩემი მავნე ჩვევა ახლობლებს ძალზე სასაცილოდ ეჩვენებათ. მიყვარს ტორტი ავჯიკით, ნაყინი ძეხვთან ერთად, საზამთრო — ყველთან და პურთან, პომიდორი — კარაქიან პურთან, ხაჭაპური და ხიზილალა ერთად, ჩაი და შებოლილი თევზი, ნამცხვარი და ყველი, მჭადი და ფორთოხალი... ასეთი უცნაური გემოვნება მაქვს. ასე სხვები თვლიან, თორემ ჩემთვის ასე უფრო გემრიელია. ნინო“.

„ჩემი მავნე ჩვევაა აბაზანაში ღიღინი. თუმცა, შემდეგ, აზარტში რომ შევდივარ, ღიღინი ხმამაღალ სიმღერაში გადაიზრდება ხოლმე. განსაკუთრებით მიყვარს ფიგაროს არიის ან „ღვინოვ, კახურო“-ს შესრულება, თუმცა რუსულ სიმღერებსაც უხდება აბაზანის აკუსტიკა. ერთი თხოვნა მაქვს ქართველ კომპოზიტორებთან: შექმნან სპეციალური, „საბაზანო“ სიმღერა, შესაბამისი ტექსტით. მაგალითად: ახლა თავზე წყალს დავისხამ და წავისვამ შამპუნს, მიყვარს, როცა ხმას ვაყოლებ წყლის მხიარულ შხაპუნს... კოტე“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ — ბედის ირონია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გეშვიდობებით. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

მიირთვით საზამთრო

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

საზამთროს რბილობის დიდი ნაწილი (85%) წყალია. ეს ბაღჩეული განთქმულია შარდმდენი თვისებებით. ის ორგანიზმს მარილებისგან, წიდებისა და ქვიშისაგან ასუფთავებს და ზედმეტი სითხისგანაც ათავისუფლებს. გარდა ამისა, ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტს, უზრუნველყოფს მას ადვილად ასათვისებელი შაქრით, რკინით, ფოლიუმმჟავით, მაგნიუმით, იცავს სისხლნაკლებობისგან, სისხლძარღვების სკლეროზისა და სიმსივნეების წარმოქმნისაგან. საზამთრო დიდი ხანია, მიჩნეულია სამკურნალო დიეტის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, შარდ-კენჭოვანი დაავადების, საშარდე გზების ანთებების სამკურნალო და სიმსუქნის საწინააღმდეგო საშუალებად.

საზამთროთი გაწმენდის მიზანი ორგანიზმის შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მომზადებაა. ამ პროცესის დროს ჩქარდება ორგანიზმიდან ზედმეტი ქოლესტერინის გამოდევნა. მაგრამ მას უკუჩვენებებიც აქვს: პროცესის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის თირკმელ-კენჭოვანი დაავადების დროს (თუ ქვის სიდიდე აღემატება 4 მმ-ს). გაწმენდის დროს, 1 კვირის განმავლობაში ვეგეტარიანულ დიეტას იცავენ. საზამთროთი ორგანიზმის გაწმენდის მეთოდი მარტივია: მთელი კვირისათვის მოიმარაგეთ საზამთრო და ჭვავის პურის ორცხობილა. პროცესის დროს ტკივილს ან სპაზმებს თუ იგრძნობთ (რასაც ორგანიზმიდან პატარა ქვებისა და ქვიშის გამოდევნა იწვევს), 10-15 წუთით თბილ აბაზანაში ჩაწექით.

უკეთესია აბაზანა 17-დან 19 საათამდე მიიღოთ, რადგან ამ პერიოდში გააქტიურებულია თირკმლებისა და შარდის ბუშტის ბიორიტმი. ორი თვის მანძილზე, დღეში ნახევარი საზამთრო უნდა მიირთვათ. წმენდის ეფექტურობაზე შარდის ცვლილებები მეტყველებს. როგორც წესი, პირველ ორ დღეს მასში წარმოიქმნება დიდი რაოდენობის თეთრი ნალექი, რომელიც თანდათან მცირდება და ბოლოს შარდი ღია ყვითელი ფერის ან თითქმის გამჭვირვალე ხდება. მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სახსრების მდგომარეობა — უმჯობესდება მათი მოძრაობის უნარი, ქრება ანთებითი პროცესი.

გაწმენდის პროცესის დამთავრების შემდეგ თქვენ სიმსუბუქეს, შრომისუნარიანობის ამაღლებას და ხალისის მომატებას იგრძნობთ.

ნუ დარჩებით მარტო

სტრესის თეორია კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში შეიმუშავა. სიტყვა „სტრესი“ დაძაბულობას ნიშნავს. სამწუხაროდ, მან მყარად დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ლექსიკაში.

რა არის სტრესი?

სტრესი ორგანიზმის, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დამცველ რეაქციათა ერთობლიობაა, რომელიც სხვადასხვა სტრესული ფაქტორის საპასუხოდ წარმოიქმნება. ასეთი ფაქტორი ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია: სამსახურში გადაღლა, ნებისმიერი სახის ემოცია, კონფლიქტი, უძილობა, გარემო პირობები, ხმაური, ოჯახური უსიამოვნებანი და თქვენ წარმოიდგინეთ, სასიამოვნო ცვლილებებიც კი... მათი გავლენით ორგანიზმში ინტენსიურად გამომუშავდება სტრესის ჰორმონი — ადრენალინი.

დაავადებათა მიზეზი ნერვიულობაა

ყველა ადამიანის ორგანიზმში არის სტრესის ოპტიმალური დონე, რომელიც განისაზღვრება ადამიანის ემოციური მდგრადობით, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მემკვიდრეობითობით. სტრესულ სიტუაციაზე ადამიანის რეაქციის საერთო მოდელი ასეთია: თავდაპირველად დგება ე.წ. შოკის ფაზა, როდესაც ადამიანმა უნდა შეაფასოს სიტუაცია, მისი საშიშროების ხარისხი, ჩამოაყალიბოს თავისი ქცევის ახალი სტრატეგია; მეორე ფაზაა — წინააღმდეგობის ფაზა. ამ დროს ორგანიზმი იკრებს ძალას. ამ პერიოდის ხანგრძლივობა ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. დაბოლოს, ყველაზე ძლიერი და ამტანი ადამიანის წინაშეც კი დგება მესამე — გამოფიტვის ფაზა, როდესაც თვითშეგრძნება და შრომისუნარიანობა პროგრესულად მცირდება, რაც საბოლოოდ ჯანმრთელობის გაუარესებით გამოიხატება; უკვე დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ სტრესი წარმოადგენს ბევრი დაავადების (გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის, ინფექციური, ენდოკრინული, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, შარდ-კენჭოვანი) მიზეზს.

როგორ გავუმკლავდეთ

უამრავი ფარმაკოლოგიური პრეპარატის გარდა არსებობს სტრესთან ბრძოლის სხვა ეფექტური ხერხებიც:

- სვით მეტი სითხე, რადგანაც სტრესის ფიზიოლოგიური შედეგი ორგანიზმის გაუწყლოებაა — უმჯობესია დაუმტკბარი ხილის წვენები;
- შეამცირეთ რაციონში ცხოველური ცხიმები (ცხიმიანი ხორცი, ყველი, არაჟანი, კარაქი). მიიღეთ, რაც შეიძლება მეტი ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული;
- აუცილებელია B ჯგუფის ვიტამინების მიღება და წონის კონტროლი;
- ფიზიკური ვარჯიშები ამაღლებს სისხლში ენდორფინების დონეს, რაც კარგი გუნება-განწყობილების საფუძველია;
- გაუზიარეთ საკუთარი ემოციები ახლობლებს — ეს დაძაბულობის მოხსნაში დაგეხმარებათ;
- სტრესის დასაძლევად კარგია ღრმა სუნთქვითი ვარჯიშები;
- რაც მთავარია, გახსოვდეთ, რომ მარტო არ ხართ და თქვენ გვერდით მყოფ ადამიანებს სჭირდებით. დაივიწყეთ უსიამოვნებანი და დაეხმარეთ მათ. მარტოობის განცდა სტრესს აძლიერებს.

■

ალკოჰოლური მექანიკა

რამდენიც არ უნდა გველაპარაკონ, რომ „სმა ჯანმრთელობისთვის მავნებელია“, ადამიანები სვამდნენ, სვამენ და კვლავაც დალევენ ალკოჰოლურ სასმელს.

ნუთუ მსმელი ადამიანი თავის თავს მხოლოდ ვნებას აყენებს? იქნებ მაინც არის ალკოჰოლურ სასმელებში რაღაც დადებითი?

ობიექტურნი თუ ვიქნებით, ალკოჰოლი ჩვენთვის ლამის მშობლიურ პროდუქტს წარმოადგენს. მისი გარკვეული რაოდენობა გამუდმებით წარმოიქმნება მსხვილ ნაწლავში დეღილის ბიოქიმიური პროცესის შედეგად. ასე რომ, ალკოჰოლს, როგორც იტყვიან, აკვნიდანვე ვიცნობთ. სწორედ ამ ენდოგენური (შიგნით წარმოქმნილი) ალკოჰოლის გაუვნებლობისათვის გამომუშავდება ღვიძლში სპეციალური ფერმენტი — ალკოჰოლდეჰიდროგენაზა. ამ ფერმენტის რაოდენობა ევოლუციის პროცესში ცვალებადობდა, ნაწლავში წარმოქმნილი ალკოჰოლის რაოდენობის შესაბამისად. თუმცა, ეს ფერმენტი მამაკაცებს ქალებთან შედარებით ყოველთვის მეტი აქვთ. ამით აიხსნება ის ცნობილი ფაქტიც, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო სწრაფად თვრებიან.

რა თქმა უნდა, ადამიანის ღვიძლი ბუნებრივად იმ რაოდენობით ალკოჰოლს ვერ გადამუშავებს, რამდენსაც მოვიხმართ ხოლმე. ალკოჰოლი, რომელიც გადალახავს ღვიძლის ბარიერს, პირველ რიგში ცენტრალურ ნერვულ სისტემას „ურტყამს“, რადგან თავისი არსით ნერვულ შხამს წარმოადგენს (იტყვიან ხოლმე — სასმელი თავში „ამივარდაო“). შედეგად, ნერვულ უჯრედთა შეუქცევადი დაღუპვა ხდება, ირღვევა ორიენტაცია სივრცეში („სად ვარ?“ „არაფერი მახსოვს“), იკარგება მოძრაობის კოორდინაცია, ქვეითდება რეაქციების სიჩქარე და ა.შ.

როგორც ახალგაზრდობაში

ბევრი საქმიანი მოლაპარაკება წარმატებული მხოლოდ ზომიერი დოზით ალკოჰოლის თანხლებისას ხდება. ხომ შეგიმჩნევიათ? — საკმარისია, დალიოთ და გეჩვენებათ, რომ ყველაფერი შეგიძლიათ, ყველაფერს იოლად მიაღწევთ. მოკლედ, ადამიანს ახალგაზრდული ხედვის ილუზია უბრუნდება.

ეს ყველაფერი კი ღვიძლის ფუნქციის, უფრო სწორად, დისფუნქციის ბრალია. ღვიძლის „მოვალეობაა“ სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების, მათ შორის ჰორმონების დაშლა. ღვიძლის ეს ფუნქცია ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის — ჰორმონების დაუშლელობით ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება. მაგრამ როდესაც ალკოჰოლის ზემოქმედებით ღვიძლი ჰორმონთა ლიკვიდაციას წყვეტს, ჰორმონები სისხლში გროვდება და მათი კონცენტრაცია ასაკოვანი მსმელის ორგანიზმშიც კი ახალგაზრდა ორგანიზმის დონემდე შეიძლება გაიზარდოს. სწორედ ამიტომ ეჩვენება ნასვამ ადამიანს ყველაფერი იოლად.

ალკოჰოლი — მონუსხვის საშუალება

ცნობილი ფაქტია, რომ ნასვამ მამაკაცებს ერთმანეთის ხვევნა-კოცნის სურვილი უჩნდებათ. ფხიზელ გონებაზე ასეთი ქცევა მათთვის მიუღებელი იქნებოდა. მაშ რა აიძულებს ადამიანს მსგავსი ქმედებისაკენ ნასვამ მდგომარეობაში? თურმე სიმთვრალისას ორგანიზმში ჭარბად გამოიყოფა მამაკაცური სასქესო ჰორმონი — ტესტოსტერონი. ეს ჰორმონი პასუხისმგებელია სქესობრივ ლტოლვაზე, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში! სწორედ ამიტომ, ინტიმური სიახლოვის სურვილით შეპყრობილი ქალი დაბალ ტონალობაში იწყებს საუბარს. სხვათა შორის, ქალებში სექსუალურ სიცივეს, ფრიგიდულობის განსაკუთრებით მძიმე ფორმებს ზოგჯერ ტესტოსტერონის ინიექციებით მკურნალობენ.

ალკოჰოლიც, ფაქტობრივად, იმავე ფუნქციას ასრულებს. ექიმები სექსუალური ლტოლვის გასაუმჯობესებლად პაციენტს მცირე დოზით კარგი ღვინის დალევას ურჩევენ ხოლმე. ალბათ ახლა გასაგებია, რატომ აძალებენ ხოლმე მამაკაცები წვეულებებზე ქალებს სასმელს და რატომ უყურებენ ქალები ეჭვის თვალით მამაკაცებს, რომლებიც საერთოდ არ სვამენ.

მთვრალთა ჩხუბის ბიოქიმია

უმეტესწილად, ნასვამ, „მოსიყვარულე“ მამაკაცს მცირე მიზეზიც ჰყოფნის იმისთვის, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს. ამ შემთხვევაში უკვე ე.წ. ჩხუბის ჰორმონები — ადრენალინი და ნორადრენალინი იწყებს გამოყოფას. ღვიძლი ისევ ალკოჰოლის გადამუშავებითაა დაკავებული.

ადრენალინი და ნორადრენალინი სისხლში უკვე მოცირკულირე ტესტოსტერონთან „ჯოჯოხეთურ“ ნარევს იძლევა, რომელიც მკვეთრად ზრდის სუბიექტის აგრესიულობის დონეს. ასეა მოწყობილი ჩვენი ბუნება. მოკლედ, ძმური ხვევნა-კოცნიდან ჩვენი მამაკაცები მოულოდნელად ჩხუბზე გადადიან. ამასვე მოწმობს კრიმინალური სტატისტიკა: ადამიანები ყველაზე ხშირად მთვრალ მდგომარეობაში სჩადიან დანაშაულს.

ალკოჰოლი დაუნდობელია. ჩვენ ვსვამთ, რათა ახალგაზრდობა დავიბრუნოთ, მაგრამ შედეგად მხოლოდ ახალგაზრდულ შეცდომებს ვღებულობთ. ■

კითხვა + პასუხი



კითხვა: ჩემს მეუღლეს ბოლო რამდენიმე თვეა, დაუქვეითდა მადა, ძალიან ცოტას ჭამს, არადა, ფიზიკურადაც და გონებრივადაც ძალიან დატვირთულია. რას მირჩევთ? საშიში ხომ არ არის? საჭირო თუ არა მადის მოსამატებელი წამლების მიცემა?

პასუხი: ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ზოგი ცოტას ჭამს და ამის გამო დისკომფორტს სულაც არ განიცდის, ზოგს კი ყოველთვის კარგი მადა აქვს. სხვა საქმეა, როცა ადამიანს ჰქონდა კარგი მადა და უეცრად დაუქვეითდა. თუ ატყობთ, რომ თქვენი მეუღლე ცუდად იკვებება, წონაშიც დაიკლო და ცუდად გამოიყურება, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს გამოსაკვლევად.

კითხვა: საშიშია თუ არა C ჰეპატიტით დაავადებულ ქალთან კონტაქტი მეუღლისათვის? შეიძლება თუ არა, დაავადება ოჯახის სხვა წევრებს გადაედოთ? როგორ გადადის C ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსი? როგორ შეიძლება ამ დაავადებისგან თავის დაცვა?

პასუხი: დასნებოვნების ძირითადი გზა, დაავადებული ადამიანის სისხლიდან ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ვირუსის მოხვედრაა. C ჰეპატიტით დაავადებულთა 90% ნარკომანი და ჰომოსექსუალისტია. შეიძლება ადამიანი სამედიცინო მანიპულაციების დროსაც დასნებოვნდეს. დაავადება გადადის ჰეპატიტით დაავადებულთან ან ვირუსმატარებელთან სქესობრივი კონტაქტის შემთხვევაში.

საყოფაცხოვრებო კონტაქტის გზით ვირუსი არ გადადის, თუმცა გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვა აუცილებელია. სამწუხაროდ C ჰეპატიტისაგან თავდაცვის ეფექტური გზა არ არსებობს, რადგან ჯერ არ შექმნილა მისი საწინააღმდეგო ვაქცინა. ამიტომ დაავადების თავიდან აცილების ძირითადი გზა თქვენი ოჯახის წევრის ინტენსიური მკურნალობა და პირადი ჰიგიენის დაცვაა.

კითხვა: ორი წელია, გათხოვილი ვარ, მაგრამ არ მქონდა ბავშვის გაჩენის საშუალება და ამიტომ თავს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებით — „მარველონით" ვიცავდი. ახლა მინდა, პატარა ვიყოლიო. მეუბნებიან, რომ კონტრაცეპტივის მიღების შემდეგ, ჩასახვის მომენტამდე აუცილებლად უნდა გავიდეს გარკვეული დრო. გთხოვთ, ამიხსნათ, რისთვისაა ასეთი შესვენება საჭირო?

პასუხი: თუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას იყენებდით და შემდგომ დაორსულება გადაწყვიტეთ, ორგანიზმს მართლაც უნდა მისცეთ დრო მოსამზადებლად. ჩვეულებრივ, ექიმები კონტრაცეპტივების მიღების შემდეგ მინიმუმ 2-3 თვის განმავლობაში შესვენებას ურჩევენ ქალებს. ეს დრო იმისთვისაა საჭირო, რომ ორგანიზმმა საკუთარი ჰორმონების გამომუშავების პროცესი აღიდგინოს — აქამდე ხომ იგი ხელოვნური ჰორმონების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა! გარდა ამისა, საკვერცხეებშიც უნდა ამოქმედდეს ყველა აუცილებელი პროცესი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფრო მოკლე ვადაში სრულყოფილი კვერცხუჯრედი მომწიფებას ვერც მოასწრებს.

კითხვა: მყავს 8 წლის ვაჟი. რა შეიძლება იყოს ამ ასაკში გულის შუილისა და ნევროზის მიზეზი?

პასუხი: დღეისათვის ბავშვებში მეტისმეტად გახშირდა ფუნქციური ხასიათის შუილი. იგი გულის ორგანული დაზიანებით (მანკით) კი არ არის გამოწვეული, არამედ ნევროზის ფონზეა განვითარებული — ნერვული აგზნებისას ძლიერდება, ხოლო დამშვიდებისას ზოგჯერ სრულებით ქრება. ასეთ ბავშვებს ნევროზის საწინააღმდეგო მკურნალობას უნიშნავენ ხოლმე, რაც მდგომარეობას იოლად ასწორებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბავშვებში გულის შუილი მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციური შეიძლება იყოს. ძალიან ხშირად ეს სიმპტომი გულის სარქველთა თანდაყოლილ ან შეძენილ ორგანულ დაზიანებაზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში მკურნალობის დაგვიანება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს.

რაც შეეხება ნევროზს, მისი გახშირების მიზეზი ემოციურად დატვირთული, რთული გარემოა, თუმცა ზოგჯერ მასაც აქვს ფიზიოლოგიური საფუძველი (მაგალითად, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ანემია, ჰორმონული დარღვევა, ავიტამინოზი). საინტერესოა, ხომ არა აქვს ბავშვს კალციუმის დეფიციტი, როგორია ჰემოგლობინის დონე, ხომ არ აღენიშნება იოდდეფიციტის ნიშნები?.. — მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ ექიმი შეაფასებს. ასე რომ, გირჩევთ, გამოცდილ პედიატრს მიმართოთ.

კითხვა: რისი ბრალია ფრჩხილების მტვრევა და აქერცვლა? რომელ სპეციალისტს უნდა მივმართო?

პასუხი: ფრჩხილების ფორმისა და სტრუქტურის ცვლილებები უშუალოდ უკავშირდება ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს. როცა რაიმე მიზეზით ირღვევა ნივთიერებათა (კერძოდ, მარილოვანი) ცვლა, სწორედ მაშინ იწყება კანსა და მის დანამატებში პათოლოგიური ცვლილებები.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებიც. მათ გამოსარიცხად ენდოკრინოლოგის კონსულტაცია დაგჭირდებათ. კალციუმი ძვლებისა და ფრჩხილების სტრუქტურული საფუძველია. მისი ცვლის დარღვევა ფარისებრახლო ჯირკვლების პათოლოგიის დროს შეიძლება განვითარდეს. ეს დაავადებაც ენდოკრინოლოგის კომპეტენცია გახლავთ. ■

| ადამიანი, რომელიც კაპიტალს სხვისი ექსპლუატაციით აგროვებს | | | | | შაქარივით ტკბილი ნივთიერება | | | | |

სახის კანს უხდება საღამოა და არ ხორციანი კერძები

ეკა მინდაძე

თუ გინდათ, რომ კარგად გამოიყურებოდეთ, პირველ რიგში, კარგი სახის კანი უნდა გქონდეთ. თითოეული ქალი თავის გარეგნობას და ჯანმრთელობას ყოველდღე რამდენიმე წუთს მაინც უნდა უთმობდეს. იმის შესახებ, თუ როგორ მოვუაროთ და დავიცვათ სახის კანი, კოსმეტოლოგი ნინო ჯავახიშვილი მოგვითხრობს.

— თუ გინდათ, დაადგინოთ, ცხიმიანი კანი გაქვთ თუ არა, ღამით კარგად დაიბანეთ სახე, ხოლო დილით ხელსახოცი დაიდეთ ცხვირზე; თუ ქაღალდს ლაქა გაუჩნდება, მაშინ თქვენი კანი ცხიმიანია. თუ ვერ აღმოაჩენთ ცხიმოვან ლაქას, ე.ი. თქვენი კანი მშრალია. გარდა ამისა, თუ კანზე თმის საფარი უხვია, ესეც კანის ცხიმიანობის ნიშანია. თუ შუბლი დანესტიანებულია, ე.ი. თქვენი კანი ცხიმიანობისკენ იხრება. თუ შუბლი მშრალია და ცხიმიანობა მარტო ცხვირსა და ნიკაპზე შეინიშნება, ნორმალური კანი გქონიათ.

ცხიმიანი კანისთვის კარგია მჟავე გემოს შემცველი პროდუქტის ნიღაბი — მაგალითად, გახეხილი ვაშლი, კომში, ლიმონი, გატარებული ოხრახუშის მასა და სხვა ამგვარი. კენკროვანი და მჟავიანობის შემცველი პროდუქტის პირდაპირ კანზე დადება იწვევს კანის გაღიზიანებას, ამიტომ ამგვარი ნიღაბი კრემის ზემოდან დაიდეთ. მშრალი კანისთვის აუცილებელია არაჟნის, კვერცხის და ხაჭოს ნიღაბი გაიკეთოთ. სახისთვის აუცილებელია ტონიკის ხმარება, რომელიც ძალზე მარტივად თავადვე შეგიძლიათ დაამზადოთ: აიღეთ ჩვეულებრივი წესით მომზადებული ნაყენი — გვირილის, სალბის, გულყვითელას ან მრავალძარღვასი. მაგალითად, გვირილას 100 გ ნაყენს დაუმატეთ 1 ს/კ თეთრი ნატურალური ღვინო და ამ მასით დღეში რამდენჯერმე დაინამეთ სახე. კანისთვის არაჩვეულებრივია ჰერკულესის ნიღაბი. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, ჰერკულესის ფაფას დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი, ხოლო თუ მშრალი კანი გაქვთ, ნაცვლად ლიმონის წვენისა — ზეითუნის ზეთი. სახის კანისთვის კარგია სიმინდის ფქვილისგან მომზადებული ნიღაბიც: აიღეთ სიმინდის ფქვილი, დაასხით ცხელი წყალი, მიიღეთ ფაფისმაგვარი მასა და თუ ცხიმიანი კანისთვის გინდათ, დაუმატეთ ლიმონის რამდენიმე წვეთი, ხოლო თუ მშრალი კანი გაქვთ — თაფლი ან ზეითუნის ზეთი.

თუ ზღვაზე წასვლას აპირებთ, გირჩევთ, ეს სექტემბერს — ე.წ. ხავერდოვან სეზონს დაამთხვიოთ. ამ პერიოდში ულტრაიისფერი სხივები უფრო ნელდება, აქედან გამომდინარე, ამ დროს კანის დამწვრობის ალბათობაც უფრო ნაკლებია. ზღვის სანაპიროზე დილით 9-დან 11-მდე უნდა გახვიდეთ და საღამოს 6-დან 8-მდე. მზის სხივებისაგან კანის დაცვა აუცილებელია, რადგანაც მზე კანს აშრობს და წვავს. ზღვაზე პირველი სამი დღე აუცილებლად წაისვით დამცავი კრემი, ხოლო შემდეგ, გადადით გასარუჯ კრემზე. დაუშვებელია პირველსავე დღიდან გასარუჯი კრემის ხმარება. ასეთ შემთხვევაში, მზის სხივები უფრო ღრმა ფენებში აღწევს, რაც კანის გადაგვარებასა და დაბერებას იწვევს. გირჩევთ, კანი არ დაიწვათ მცხუნვარე მზით, რადგანაც დამწვრობა სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს. მაგრამ დამწვრობის შემთხვევაში, პირველ რიგში, აიღეთ 96%-იანი სპირტი და დაისხით კანის დამწვარ მონაკვეთზე. ამის შემდეგ, შეგიძლიათ იხმაროთ ნებისმიერი დამწვრობის მალამო. დამწვრობისას არავითარ შემთხვევაში არ იხმაროთ ზეთი ან კვერცხის ცილა — ამით კანი იხუთება და დამწვრობა უფრო ღრმა ფენებს მოედება. დამწვრობის დროს უებარია ცივი მაწონიც, რომელიც კანის გაგრილებასა და ქსოვილების აღდგენას უწყობს ხელს.

ზაფხულში ძალზე სასარგებლოა მინერალური წყლის დიდი რაოდენობით მიღება და სახის ჩამობანაც. განსაკუთრებით 40 წლის შემდეგ ყველასთვის აუცილებელია, მინერალების მიღება. აიღეთ ნებისმიერი მინერალური წყალი, ჩამოიბანეთ პირი და, რაც მთავარია, არ შეიმშრალოთ. კანისთვის ძალიან კარგია ნესვის რბილობის დადებაც — იმ ნაწილისა, რომელშიც თესლია. სასარგებლოა, კიტრის კანით სახის გაწმენდაც.

სახის კანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კვება. კანს აფუჭებს ისეთი საკვები, რომელშიც კონსერვანტებია, მაგალითად: წვენები, გაზიანი ტკბილი წყალი, მაიონეზი, შოკოლადი და ყავა. სხვათა შორის, მაიონეზი უნდა ფუჭდებოდეს ზუსტად 3 დღეში, მაგრამ ჩვენში თვეების განმავლობაში არ ფუჭდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასში უამრავი კონსერვანტია. რაც შეეხება ყავას — თუ სვამთ, ეცადეთ, მიირთვათ ხარისხიანი. კანისთვის სასარგებლოა ბალახებზე დამზადებული ნაყენი. კარგია გვირილის, ლიმონის, კუნელის ჩაი, კომშის ფოთლებისგან დაყენებული ჩაი და სხვა. კანზე უარყოფითად მოქმედებს პურ-ფუნთუშეული. ზაფხულში ეცადეთ, რაც შეიძლება ხშირად მიიღოთ მცენარეული საკვები. მიიღეთ მწვანე სალათა, ბოსტნეულის სალათა და რძის ნაწარმი. მოერიდეთ ხორციან კერძებს. ■



რომელი საღვთისმსახურო წიგნები გამოიყენება სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს

შორენა მერკვილაძე

ტაძარში აღვლენილი სხვადასხვა მსახურების დროს გამოიყენება საღვთისმსახურო წიგნები – ანუ საეკლესიო წიგნები: „სახარება“, „სამოციქულო“, „კონდაკი“, „თვენი“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“ და სხვა. საღვთისმსახურო წიგნები ინახება საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში მოთავსებულ სალაროში, სამღვდლო შესამოსელთან და საეკლესიო ნივთებთან ერთად.

„სახარება“ – არის წიგნი, რომელშიც აღწერილია მაცხოვრის ცხოვრება. „სახარება“ დაწერილია წმინდა მოციქულთა: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ. ამ წიგნს „სახარება“ ეწოდება, რადგან მასში მოთხრობილია სასიხარულო ამბავი, თუ როგორ გამოიხსნა იესო ქრისტემ ადამიანთა მოდგმა ცოდვის, წყევისა და მარადიული სიკვდილისგან. ამიტომ მათეს, მარკოზს, ლუკას და იოანეს მახარებლები ჰქვიათ. ოთხივე კანონიკურ „სახარებას“ ერთად ეწოდება ოთხთავი. „სახარება“, როგორც „საღმრთო წერილის“ სხვა წიგნები, დაწერილია სულიწმიდის შთაგონებით, ამიტომ მასში ყოველი სიტყვა არის სიტყვა ღვთისა. „სახარებას“ ყოველ წირვაზე კითხულობენ. მას კრძალვითა და ყურადღებით უნდა ისმენდეს ყველა მლოცველი. ამასვე შეგვაგონებს მღვდელი, როდესაც „სახარების“ წაკითხვის წინ ხმამაღლა ამბობს: „სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმინდა სახარებაᲐ!“

„სამოციქულო“ – არის საეკლესიო (საღვთისმსახურო) წიგნი, რომელშიც შესულია: „საქმე მოციქულთა“, პავლეს 14 ეპისტოლე და 7 კათოლიკე ეპისტოლე. ამ წიგნს კითხულობენ ყოველ წირვაზე.

„ჟამნი“ – არის წიგნი, რომელშიც მოთავსებულია წესი შუაღამის ლოცვისა, ცისკრისა, ჟამნებისა და სხვა.

„დავითნი“ – დავით წინასწარმეტყველის მიერ დაწერილი საგალობლების ანუ ფსალმუნების კრებულია. იკითხება თითქმის ყოველი ღვთისმსახურების დროს.

„თვენი“ – საეკლესიო წიგნია,რომელიც შეიცავს ლოცვებსა და საგალობლებს, თითოეული დღისთვის ცალ-ცალკე.

„პარაკლიტონი“ – მასში მოთავსებულია მოკლე საგალობლები, რვა სხვადასხვა ხმაზე დაწყობილი. „პარაკლიტონს“ უმეტესწილად კითხულობენ მწუხრზე და ცისკარზე.

„კურთხევანი“ – ღვთისმსახურების წიგნები, რომლებშიც თავმოყრილია საეკლესიო საიდუმლოებათა და სხვა საეკლესიო წესების შესრულების დროს წარმოსათქმელი ლოცვები.

„სადღესასწაულო“ – არის გამოკრებილი „თვენი“. „სადღესასწაულოში“ შეტანილია უმთავრესი დღესასწაულების საღმრთო მსახურება – ანუ სადღესასწაულო მსახურების წესები.

„კონდაკი“ (ბერძნულად – მოკლე) – ეწოდება სამღვდელმსახურო წიგნს, რომელსაც იყენებს მღვდელმთავარი და დიაკონი. მასში მოთავსებულია მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე წარმოსათქმელი ლოცვები და კვერექსები.

„ანფოლოგიონი“ – ეწოდება წიგნს, რომელიც შეიცავს საეკლესიო დღესასწაულებზე წარმოსათქმელ ლოცვათა თანამიმდევრობას.

„სანოტე წიგნები“ – საღვთისმსახურო წიგნები, რომლებიც განკუთვნილია გალობისთვის. „სანოტე წიგნებს“ საფუძველი ჩაუყარა იოანე დამასკელმა (675-753 წლებში), რომელმაც შემოიტანა ახალი საგალობლები, დაალაგა ისინი ნოტებზე, რომელთა მაგივრობას თავდაპირველად ანბანი ასრულებდა.

„ტიპიკონი“ – ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი. ცნობილია ორი სახის „ტიპიკონი“ (წესი): სამრევლო და სამონასტრო. „ტიპიკონი“ მღვდელმსახურთა წიგნია, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების წესებსა და მითითებებს, უძრავ და მოძრავ დღესასწაულთა განლაგების შესახებ. ამას ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის და სხვა.

„ირმოლოგიონი“ – ღვთისმსახურების წიგნი, რომელშიც მოთავსებულია მოძრავი და უძრავი დღესასწაულების საგალობლები.

„ოქტოიხოსი“ (რვა ხმათა) – საეკლესიო საგალობელთა წიგნი, სადაც მსახურებები დალაგებულია ხმათა მიხედვით. ყოველი კვირის მსახურება ერთ ხმაში სრულდება.

„მარხვანი“ – წიგნი, რომელიც შეიცავს დიდ მარხვაში წარმოსათქმელ ლოცვებსა და საგალობლებს.

„ზატიკი“ – საეკლესიო წიგნი,რომელშიც მოთავსებულია აღდგომიდან სულთმოფენობამდე და ყოველთა წმინდანთა კვირამდე წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები.

„ზატიკი მცირე“ – საეკლესიო წიგნი, რომელშიც შესულია ბრწყინვალე შვიდეულში წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები. ■

რას მოგვითხრობს „ახალი აღთქმა“ უფლის ფერისცვალების შესახებ? ფერისცვალებას წმინდა ეკლესია ყოველწლიურად 19 აგვისტოს აღნიშნავს. ეს დღესასწაული დაწესებულია უფლის ფერისცვალების მოსახსენებლად ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის განსადიდებლად.

შორენა მერკვილაძე

რას მოგვითხრობს „ახალი აღთქმა“ უფლის ფერისცვალების შესახებ?

უფლის ფერისცვალების შესახებ, მოთხრობილი აქვთ მათე, ლუკა და მარკოზ მახარებლებს, რომლებიც გვამცნობენ: მაცხოვარმა თავის მოწაფეთაგან სამი – პეტრე, იოანე და იაკობი წაიყვანა თან და ავიდა თაბორის მთაზე სალოცავად. დაღლილობის გამო მოციქულებს მიეძინათ. მაცხოვარი კი ლოცულობდა. ლოცვის დროს მან ფერი იცვალა: „გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი ტანისამოსი სინათლესავით თეთრი გახდა“ (მათე 17, 2). მას გამოეცხადა მოსე და ილია წინასწარმეტყველი, რომლებიც მაცხოვართან ლაპარაკობდნენ მის გამოსვლაზე (ე.ი. მაცხოვრის ჯვარზე ვნების შესახებ), რომლის შესრულებაც იერუსალიმში მოუწევდა. ძლიერმა ნათელმა მოციქულები გააღვიძა და მათ იხილეს უფლის დიდება და მასთან მდგომი მოსე და ილია წინასწარმეტყველები. პეტრე მოციქულმა ქრისტეს უთხრა: „უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა. თუ გნებავს, გავაკეთებ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთი ილიას, რადგან, არ იცოდა რა ეთქვა, იმიტომ, რომ ყველა შეშინებული იყო“ (მარკოზი 9, 11). ამ დროს ნათელმა ღრუბელმა დაფარა მოწაფენი და მათ მოესმათ ხმა

ზეციდან: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, ისმინეთ მისი“. შეშინებული მოციქულები პირქვე დაემხვნენ. იესო მიუახლოვდა მათ, შეეხო და უთხრა: „წამოდექით და ნუ გეშინიათ“. როდესაც მოციქულები ფეხზე წამოდგნენ, ვეღარავინ იხილეს, გარდა იესოსი.

მთიდან ჩამოსვლისას, მაცხოვარმა მოციქულებს უთხრა, რომ არავისთან არაფერი მოეყოლათ იმის შესახებ, რაც იხილეს, ვიდრე ძე კაცისა მკვდრეთით არ აღდგებოდა. მოციქულებმა ეს სიტყვები თავისთან დაიმარხეს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „რას ნიშნავს, მკვდრეთით არ აღდგება?“ ეს არის ის, რაც იესოს გარდაქმნის, მისი ფერისცვალების შესახებაა ცნობილი „ახალი აღთქმიდან“. სწორედ უფლის მიერ შექმნილ ამ უდიდეს სასწაულს იხსენიებს 19 აგვისტოს სადღესასწაულოდ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია.

როდის და რატომ მოხდა მაცხოვრის ფერისცვალება?

უფლის ფერისცვალება მოხდა მის ჯვარზე ვნებამდე ცოტა ხნით ადრე. როდესაც მოახლოვდა უფლის ჯვარცმის დრო, მაცხოვარმა საჭიროდ ჩათვალა, ეჩვენებინა თავისი ღვთაებრივი დიდება, რათა თავისი მოწაფეები რწმენაში განემტკიცებინა. ე.ი. მოციქულებს არ დაეკარგათ რწმენა, როდესაც ქრისტეს წამებისა და სიკვდილის მომსწრენი გახდებოდნენ, რომელიც სულ მალე უნდა აღსრულებულიყო გოლგოთაზე ჯვარცმის დროს. მაგრამ უფალი ადამიანებისათვის ღვთაებრივ ნათელს და დიდებას უჩვენებდა იმ ზომით, რა ზომითაც მათ შეეძლოთ ამის დატევნა: „თავის თავში ღმრთეებრივისა და კაცობრივის დამტევი უფალი ზოგჯერ კაცობრივ ბუნებას ისეთ დიდებას ანიჭებდა, როგორიც ადამიანებს შექმნის დროსაც კი, უბიწოებისა და უკვდავების მდგომარეობაშიც არ ღირსებიათ. დიდების ეს მდგომარეობა მან წარმოაჩინა საკვირველი ნიშანსასწაულებით, განსაკუთრებით კი ფერიცვალების დროს გამოუჩინა თავის რჩეულ მოწაფეებს, იმ ზომით, რისი ხილვის უნარიც შესწევდათ“ – წერს წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი. ამის შესახებ მითითებულია ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ „ტროპარსა“ და „კონდაკშიც“: „მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაი შენი ძალისაებრ მათისა“... („ტროპარიდან“). „მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და რაოდენ ძალ-ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაი შენი უჩვენე, რაითა, რაჟამს იხილონ ჯვარ-ცმაი შენი, გულის-ხმა-ყონ, ვითარცა ვნებაი შენი ნეფსით არს“ („კონდაკიდან“).

რატომ იხილა უფლის ფერისცვალება მხოლოდ სამმა მოწაფემ?

როგორც აღვნიშნეთ, უფლის ფერისცვალება იხილეს პეტრემ, იაკობმა და იოანემ, რადგან სწორედ მათ უნდა განემტკიცებინათ სხვა მოციქულები, როდესაც უფლის ჯვარცმას იხილავდნენ და როდესაც გამოიცდებოდა მათი რწმენა და იმედი ქრისტესადმი (როგორც ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ „კონდაკშია“ ნათქვამი) „...სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაი მამისაი“.

როგორ შეიძლება გავიგოთ პეტრე მოციქულის სიტყვები — „კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა...“ — რომელიც მან უთხრა მაცხოვარს, როდესაც უფლის ფერისცვალება იხილა?

„როდესაც პეტრემ უთხრა უფალს, რომ კარგი იყო მათი იქ ყოფნა, ამით მას უნდოდა, სამუდამოდ გაგრძელებულიყო ფერისცვალება, ანუ ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც იმჟამად დაეუფლა მათ. ეს სიხარული მომავალი საუკუნის, ცათა სასუფევლის ნეტარება იყო, რადგან მხოლოდ ღვთაებრივი ნათლის სხივებში იძენს ადამიანის გული სიხარულსა და მშვიდობას“ („ამით სძლიე!“).

რატომ იკურთხება ფერისცვალების სადღესასწაულო წირვაზე ხილი?

ფერისცვალების დღისთვის, მწიფობაში შედის მრავალი სახეობის ხილი: ეკლესიის ჩვეულების მიხედვით, მორწმუნეებს სადღესასწაულო მსახურების დროს, ტაძარში მიაქვთ ახალი ნაყოფი, რომელიც ეკლესიაში იკურთხება: „ამგვარი წესი მიანიშნებს იმას, რომ დედამიწაზე, ადამიანიდან დაწყებული და მცენარეული საფრით დამთავრებული, ყოველივე უფალს ეკუთვნის, ამიტომ საჭიროა ყოველგვარ საკვებზე კურთხევის მიღება, რადგან როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „უფლისაი არს ქვეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა“ („ამით სძლიე“).

სასწაული, რომელიც ყოველწლიურად აღესრულება ფერისცვალების დღესასწაულის დღეს...

უფლის ფერისცვალების დღესასწაულის დღეს – 19 აგვისტოს, სრულიად მოწმენდილ ცაზეც კი, უსათუოდ გამოჩნდება ხოლმე ღრუბელი და მთელი დღესასწაულის განმავლობაში ადგას თაბორის მთას. როგორც ცნობილია, ფერცვალებულ უფალს, რომელიც ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა თაბორის მთაზე, ღრუბელი დაადგა თავზე, რადგან ამ საღმრთო ნათელმა თვალნი დაუბნელა მოციქულებს – პეტრეს, იაკობსა და იოანეს.

■

თითოეული ჩვენგანი, ნებსით თუ უნებლიეთ, შეცდომებს ჩავდივართ. ზოგჯერ უნებურად ჩადენილი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ მთელი ცხოვრება ტვირთად გვაწევს... ამჯერად მოგითხრობთ ადამიანზე, რომელმაც ავტოავარიის შედეგად, ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ შემთხვევის შემდეგ ქველმოქმედებას მიჰყო ხელი, უამრავი სიკეთე დათესა, მაგრამ ჩადენილი დანაშაულის ღრმა განცდა არა და არ გაუნელდა და ბოლოს... თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრულად. რესპონდენტი, ბატონი გურამის (სახელი შეცვლილია) ოჯახის წევრი გახლავთ, რომლის ვინაობასაც, გარკვეული მიზეზების გამო ვერ გავამხელთ.

ავტოავარიის შემდეგ ექიმი ბერად აღიკვეცა

მარი ჯაფარიძე

— გურამი პროფესიით ექიმია. მოგეხსენებათ, ამ პროფესიის ადამიანებს ხელგაშლილად ცხოვრების საშუალება არა აქვთ, ამიტომ გურამმა შემოსავლიან საქმეს მოჰკიდა ხელი და საკმაოდ დიდ ფულსაც შოულობდა. თან, პარალელურად კლინიკაში ქირურგად მუშაობდა, რადგან თავისი სპეციალობის გარეშე გაძლება არ შეეძლო. ძალზე მორწმუნე ადამიანი იყო, თავისი პაციენტების მდგომარეობას მთელი არსებით განიცდიდა. ერთხელ, ძალზე მძიმე ავადმყოფი ჰყავდა, ორმოციოდე წლის ქალი, 4 შვილის დედა გახლდათ. ბავშვების დამტოვებელი არ ჰყავდა და იძულებული იყო, იქვე, პალატაში ჰყოლოდა. უმცროსი შვილი 2 წლის იყო და მთელი მედპერსონალი უვლიდა... რამდენიმე დღის შემდეგ, გურამმა ოთხივე ბავშვი შინ წაიყვანა და მთელი თვე ჩვენს ოჯახში ცხოვრობდნენ. გურამი კი, ავადმყოფის საწოლს არ შორდებოდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ შვილებისთვის დედა გადაერჩინა. მართლაც, ის ქალი გამოკეთდა და ვიდრე ფეხზე მყარად დგომას შეძლებდა, ისიც ჩვენთან მოიყვანა. შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა, გურამმა მისი უმცროსი გოგონა მონათლა და დღემდე ვმეგობრობთ. გურამს ავარია რომ მოუხდა, ეს ქალბატონი დასავით დაუდგა გვერდით და ამხნევებდა.

— **ავარია თბილისში მოუხდა?**

— დიახ, ყაზბეგის ქუჩაზე. ღამე იყო, გურამი სამი ღამის განმავლობაში გადაბმულად მორიგეობდა კლინიკაში. იმ ღამით კი, 12 საათზე წამოვიდა სამსახურიდან. არ ვიცი — შესაძლოა, ჩაეძინა კიდეც საჭესთან, შესაძლოა, საჭის მობრუნება ვერ მოასწრო და ახალგაზრდა ქალს დაეჯახა. მაშინვე გადმოხტა მანქანიდან, ქალი უკანა სავარძელზე დააწვინა და კლინიკაში წაიყვანა. ბევრი იბრძოლეს, რომ მისი სიცოცხლე გადაერჩინათ, მაგრამ უშედეგოდ... ეს ახალგაზრდა ქალი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ქუჩის მეძავი ყოფილა და შუაღამისას მორიგ კლიენტს ელოდა. ღმერთმა მაპატიოს, გარდაცვლილზე ასე რომ ვლაპარაკობ, მაგრამ დედამისმა ასე გამოგვიცხადა: ჩემი შვილი მეძავი იყო, მაგრამ მთელ ჩვენს ოჯახს არჩენდა. რადგან თქვენ მოკალით, ნება იბოძეთ და 10 ათასი დოლარი გადაგვიხადეთო!.. გადავუხადეთ. 2 თვის შემდეგ, ისევ მოგვადგა და კიდევ 5 ათასი გვთხოვა. გურამს ვუთხარი — ახლავე აქედან კინწისკვრით გავაგდებ-მეთქი! — მაგრამ ისე შემომხედა, რომ მაშინვე გადავიფიქრე... ერთ კვირაში კიდევ 5 ათასი მივეცით. პოლიციაშიც „ჩაიფარცხა“ საქმე, მაგრამ გურამი ძალზე დადარდიანდა და გულჩათხრობილი გახდა. ღამეებს სიგარეტის მოწევაში ათენებდა, რაღაცნაირად, უნებურად ამოიგმინებდა ხოლმე, თითქოს არც ესმოდა, რას ველაპარაკებოდით; კარგად რომ შევაჯანჯღარებდით, მხოლოდ მაშინ გვცემდა პასუხს... წვერი მოუშვა. მეგობრების თავყრილობებსა და საზეიმო შეკრებებს თავს არიდებდა. დღესა და ღამეს მუშაობაში ასწორებდა... შემდეგ შევიტყვეთ, რომ კლინიკაში პაციენტი საოპერაციოდ რომ დაწვებოდა, მის გადასახდელ თანხას გურამი იხდიდა ხოლმე, ავადმყოფს კი ეუბნებოდა, რომ გამოუჩნდა სპონსორი, რომელიც მის საოპერაციო თანხას კლინიკის ანგარიშზე რიცხავდა... ეხმარებოდა გაჭირვებულებს. უპატრონო ბავშვებს, რომლებიც ღამეს ქუჩაში ათევდნენ, შინ მოიყვანდა ხოლმე, დააპურებდა, დაბანდა, დააძინებდა, ტანისამოსს უყიდდა და ისე გაუშვებდა. 7-8 ბავშვი მუდმივად, კვირაში რამდენიმე ღამეს ათევდა ჩვენს ოჯახში.

— **უთქვენოდ ამის გაკეთება გაუჭირდებოდა...**

— რა თქმა უნდა. ამ უბედურებამდეც მიჩვეული ვიყავი, სისტემატურად კეთილი საქმის კეთებას... გურამი ხშირად მიდიოდა ბერებთან, სხვადასხვა მონასტერში და რამდენიმე დღით მათთან რჩებოდა. შემდეგ უფრო მოუხშირა და იქ ყოფნის პერიოდიც გაზარდა. ერთ დღეს კი გადაწყვიტა, რომ თვითონაც ბერად აღკვეცილიყო. ყველა საქმე და საბუთი, რომელიც მის ბიზნესს ეხებოდა, ცოლს გადააბარა, თვითონ კი, აუცილებელი ნივთები ჩაალაგა და წავიდა. ვუყურებდი, როგორ მოავლო თვალი ოთახს, ჩავიდა ეზოში, გააღო ავტოფარეხი და მანქანას „მოესიყვარულა“; შემდეგ დაკეტა კარი, გასაღები მეზობლის ბავშვს გამოატანა და მხრებში მოხრილი გავიდა ეზოდან... ოჯახის წევრები მივდივართ ხოლმე და ენახულობთ. ის კი მონასტრის ეზოს არ სცილდება. მის ადგილსამყოფელს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან გურამს არ სურს, თუნდაც ერთმა გარეშე ადამიანმა იცოდეს, სად არის. სახელისა და გვარის ხსენებასაც იმიტომ ვერიდები, რომ გურამი ყოველთვის ამბობს: მე იმიტომ კი არ წავსულვარ მონასტერში, რომ ჩემი კაიკაცობა დავამტკიცო და ქვეყანას გავაგებინო, ასე ვინანიებ ჩემს შეცდომას — მე გული მტკივა, ერთი ადამიანი უდროოდ რომ გავწირე საიქიოდ წასასვლელად და ღვთის წინაშე ვცდილობ ცოდვის გამოსყიდვასო... ■

ბიჭუნა სახის გარეშე

ძაღლის თავდასხმის შემდეგ, 7 წლის ბიჭს სახეზე ერთი მთელი ადგილიც კი არ შერჩა, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს

საბრძოლო ძაღლმა შვიდი წლის იგორ ვინოგრადოვს სკალპთან ერთად მთელი სახე წააცალა. ბიჭუნას არ შერჩა არც თმა, არც კანი, არც მიმიკური კუნთები, არც ტუჩები, ყურები და ცხვირი — არაფერი, გარდა მარცხენა ქუთუთოსი, ტკივილის, სისხლისა და ტანჯვა-წამებისა. მსგავსი ტრავმის მიღების შემდეგ, ჩვეულებრივ, ადამიანები იღუპებიან ხოლმე, მაგრამ ღია ჭრილობის ფართობის სიდიდის მიუხედავად, ბავშვთა ყბა-სახის ქირურგიის პროფესორმა ვიტალი როგინსკიმ გადაწყვიტა, რომ მათ ბიჭუნას შველა შეეძლოთ.

ნიღაბი

ეს უბედური შემთხვევა ოთხი წლის წინ, რუსეთის ქალაქ ფურმანოვში (ივანოვოს ოქლი) მოხდა. ტრავმის მიღების შემდეგ, იგორი ივანოვოს საავადმყოფოში წაიყვანეს, მერე კი მოსკოვის წმ. ვლადიმირის კლინიკაში გადაიყვანეს. ღია ჭრილობის სიდიდის გამო, ბიჭუნას ინფექცია იოლად შეეჭრა და ჩირქოვანი პროცესი განუვითარდა. ექიმებმა მისი მდგომარეობა შეაფასეს, როგორც უკიდურესად მძიმე. ბიჭს მთელი ამ ხნის მანძილზე გონება არ დაუკარგავს, თუმცა ჰქონდა ღრმა შოკი და საბოლოოდ ვერ აცნობიერებდა, რა დაემართა.

საავადმყოფოს ექიმთა მთელი პერსონალი საგანგებო თათბირზე შეიკრიბა, ინტერნეტით მსოფლიოს წამყვან კლინიკებსა თუ სპეციალისტებსაც დაუკავშირდნენ, მაგრამ პრაქტიკული რჩევა ვერსაიდან მიიღეს — თავის არეში რბილი ქსოვილების ასპროცენტიანი არარსებობის შემთხვევაში, მსოფლიო მედიცინა მისი აღდგენის შესაძლებლობას წარმოუდგენლად მიიჩნევდა. მაგრამ... ექიმები გარდაუვალი ამოცანის წინაშე იდგნენ — ბავშვისათვის სიცოცხლე უნდა შეენარჩუნებინათ. ინფიცირების საფრთხის შესაჩერებლად, სასწრაფოდ უნდა დახურულიყო თავის ქალის გაშიშვლებული ძვლები.

ამ მიზნით, ექიმებმა მუცლის ღრუს ბადექონის გამოყენება გადაწყვიტეს. ზევიდან კი სხეულიდან აღებული კანის ნაწილები დაადეს. ახლა საჭირო იყო სახის დაფარვა. სახის კანი ხომ უამრავი თავისებური პარამეტრით გამოირჩევა: ფაქტურით, ფერით, სისქით... ექიმებმა სახისათვის ყველაზე შესაფერისად ტერფის ზურგის კანი მიიჩნიეს, რომელიც გადაუნერგეს კიდეც.

კვლავ პრობლემად რჩებოდა ცხვირი. წინამხრის კანის ნაწილისაგან გააკეთეს სპეციალური „ნამზადი“, რათა შემდეგ მისგან ესთეტიკურად მისაღები ცხვირი მიეღოთ. ქუთუთოებისათვის ფორმის მისაცემად ექიმები თვალის კლინიკის კოლეგებს დაუკავშირდნენ. ოპერაციის შემდეგ ბიჭუნამ მარცხენა ქუთუთოს დახუჭვა შეძლო — რაც შესანიშნავი შედეგი გახლდათ. მარჯვენა ქუთუთოსთვის კი, კვლავ სპეციალური „ნამზადი“ გაკეთდა, რათა ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ, მისგან ქუთუთო შეექმნათ.

ბიჭის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან აღებული კანის ნაჭრებით შეკოწიწებული, უტუჩებო და უყურებო სახით უცხო ადამიანებთან კონტაქტი სრულიად წარმოუდგენელი იყო.

მაშინ, ძველ ფოტოსურათებსა და დედის მითითებებზე დაყრდნობით, სტომატოლოგიური კლინიკის მხატვარმა ბიჭუნას პორტრეტი შექმნა, რომლის მეშვეობითაც იგორს სილიკონისგან სპეციალური ნიღაბი დაუმზადეს. ბიჭუნა ბი-ეფის (ბაკალიტო-ფენოლის) წებოთი თავადვე იწებებს ნიღაბს. როცა პარიკსაც ინურავს და მზის სათვალესაც იკეთებს, ქუჩაში გასვლაც შეუძლია და ირგვლივმყოფები მას ჩვეულებრივ თერთმეტი წლის ბიჭუნად აღიქვამენ. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ყოველგვარ მიმიკაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მით უმეტეს, რომ ბიჭუნას ჯერჯერობით სახის მიმიკური კუნთები საერთოდ არა აქვს.

„ხელოვნურად შექმნილი სახე“

დღეისათვის იგორს უკვე რამდენიმე უნიკალური ოპერაცია სრულიად უსასყიდლოდ ჩაუტარდა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ 20 წლის ასაკისათვის მას ნამდვილი სახე ექნება. ჯერჯერობით, ბიჭუნა სასკოლო პროგრამას წარმატებით ეუფლება შინ. მშობლების წყალობით, მან საკუთარი ღირსების გრძნობაც შეინარჩუნა, თუმცა, უნდა ითქვას, ტრავმის პირველ თვეებში ის იმდენად ჩაიკეტა საკუთარ თავში, რომ სიტყვასაც კი არ ძრავდა...

იგორს კიდევ არაერთხელ მოუწევს მოსკოვში ჩასვლა და უამრავი სირთულის დაძლევა, მაგრამ ექიმებს იმედი აქვთ, რომ მას დროთა განმავლობაში ჩვეულებრივ სახეს დაუბრუნებენ. ■

არ გაუკეთო სხვას ის, რაც გსურს, რომ შენ გაგიკეთონ: შესაძლოა, თქვენი გემოვნება არ ემთხვეოდეს ერთიმეორისას.

ბერნარდ შოუ

ფრაზა გენიალური

ნოსტრადამუსმა ტრაგედია იწინასწარმეტყველა

ჯერ კიდევ „ათენი-2004“-ის გახსნამდე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ლეგენდარული ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება, რომლის თანახმადაც, ოლიმპიადის სტარტზე ან მისი მსვლელობის პერიოდში, საბერძნეთში დიდი ტრაგედია უნდა დატრიალებულიყო. აი, რას წერს წინასწარმეტყველი წიგნის – XXIV ერთ-ერთ კატრენში:

„იმ წელს დიდი ნომერი შვიდი აღსრულდება,

მაშინ ჰეკატომბის თამაშები გაიმართება,

დიდ ათასიან წლამდე ცოტა ხნით ადრე,

როდესაც საფლავებიდან მიცვალებულები ამოვლენ“.

კატრენის მეორე სტრიქონში რაღაც თამაშებზეა საუბარი, რომელსაც ნოსტრადამუსის შემოქმედებით დაინტერესებულნი 2004 წლის ოლიმპიადად მიიჩნევენ. წინასწარმეტყველმა ამ ღონისძიებას ჰეკატომბის თამაშები უწოდა. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ პერიოდში საბერძნეთში ეროვნული ფესტივალიც მიმდინარეობს, რომელიც ქალღმერთ ჰეკატას პატივსაცემად სისტემატურად იმართება. ამ დღესასწაულზე ძველი ბერძნები რიტუალურ მსხვერპლშეწირვას ასრულებდნენ, რომლის დროსაც 100 სულ პირუტყვს (ძველბერძნულად სიტყვა „ჰეკტა“ ასს ნიშნავს) კლავდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ მიიჩნევდნენ ნათელმხილველებითა და წინასწარმეტყველებით დაინტერესებული ადამიანები, რომ ოლიმპიადის გახსნისას ან მისი მსვლელობის პერიოდში საბერძნეთში ტრაგედია მოხდებოდა. სხვათა შორის, ტერაქტების შიშით ოლიმპიადაში მონაწილეობაზე არაერთმა ცნობილმა სპორტსმენმა განაცხადა უარი... ■

დებ იანჩულოვებზე პაპარაცები ნადირობენ

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, ათენში ჩასულ სპოროტსმენებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალათ. მათი ნაწილი საბერძნეთის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებით ერთობოდა, ნაწილიც უბრალოდ, ბრწყინვალე ბერძნულ პლაჟებზე ირუჯებოდა. მათ შორის იყვნენ ბულგარეთის ქალ ფრენბურთელთა ნაკრების წევრები ლენა და პეტია იანჩულოვები, რომლებმაც მზის აბაზანების მიღებისას ვერ გაითვალისწინეს, რომ საზოგადოებისა და ფოტორეპორტიორების ყურადღების ცენტრში მოექცეოდნენ. დებმა გახდაც ვერ მოასწრეს, რომ ფოტოგრაფებმა მათი სხეულები უამრავი რაკურსით აღბეჭდეს ფირზე და უმალვე თავიანთ გამოცემებში დასაბეჭდად გაამზადეს. ამგვარად, Xtra MSN-მა ორი ბულგარელი ლამაზმანის ფოტო გამოაქვეყნა და ისინი ლამის პლანეტის ყველაზე სექსუალურ გოგონებად მონათლა. სხვათა შორის, ადრე მათ ფაქტობრივად ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. გამოცემის მესვეურთა აზრით, ასეთი ლამაზი გოგონები მათ პლაჟზე იშვიათად თუ უნახავთ. თუ Xtra MSN-ის წარმომადგენელთა მოსაზრებას სხვებიც გაიზიარებენ, შეიძლება, უახლოეს მომავალში დები იანჩულოვების ფოტოები მამაკაცთათვის განკუთვნილ ყველა ცნობილი ევროპული ჟურნალის პირველ გვერდზე დაიბეჭდოს. ■

გერმანელი ფრენბურთელი ბოიფრენდს ეძებს

გერმანიის ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური წევრი, კატი რადზუვაიტი თურმე, ძალიან განიცდის იმას, რომ თავისი მოსაწონი მამაკაცი ჯერაც არ შეხვედრია. „მამაკაცის გაცნობა ძალიან მიჭირს. როგორც წესი, მათ ჩემთან ურთიერთობა მეტისმეტად უძნელდებათ (კატი სიმაღლით 196 სმ-ა). თუმცა, სიმაღლე ჩემთვის არავითარ როლს არ თამაშობს – მთავარია, კარგი ადამიანი შემხვდეს“, – ამბობს რადზუვაიტი, რომელსაც ორი სისუსტე ჰქონია – შოკოლადი და ფრენბურთი: „ფრენბურთმა ყველაფერი მომცა, რაც კი საჭირო ცხოვრებაში... სპორტის ამ სახეობაში რომ არ დამეწყო ვარჯიში, ახლა ჩემს ფოტოებს ჟურნალში არავინ განათავსებდა. რაც შეეხება სიშიშვლეს, ვფიქრობ, მამაკაცები ჩემი დანახვისთანავე მიხვდებიან – ჩვეულებრივი ქალი ვარ, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, რომ ვინმეს უყვარდეს. აი, დასრულდება ოლიმპიადა და პირად ცხოვრებასაც მივხედავ“.

კატი გერმანელ ქალ ფრენბურთელთა ნაკრებში ყველაზე მაღალი სპორტსმენია. გარდა ამისა, იგი გუნდის ლიდერია. ამიტომ რადზუვაიტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან ფაქტობრივად, იგი გუნდის დაცვის ბურჯია. სხვათა შორის, კატის დედა ასევე ცნობილი ფრენბურთელი იყო და ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონის ვერცხლის მედალოსანიც გახლდათ. მისი ქალიშვილი კი, ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობს და შესაძლოა, თანაგუნდელებთან ერთად, დედაზე უკეთეს შედეგს მიაღწიოს. ■

ბრიტანელ ტრიატლონისტებს ინტიმური ნაწილები დაუფარეს



უჩვეულო პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების წარმომადგენელი ტრიატლონისტები. როგორც გაირკვა, საცურაო კოსტიუმი, რომლითაც ისინი ასპარეზობას აპირებდნენ, სხეულის ინტიმურ ნაწილებს სათანადოდ ვერ ფარავდა. ბუნებრივია, მამაკაცთა აუდიტორიას ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა და ალბათ ბრიტანელთა სიშიშვლეზე ოლიმპიადის ორგანიზატორებიც თვალს დახუჭავდნენ (ცხადია, მაყურებელთა მიზიდვის მიზნით), მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ ფორმებში მოასპარეზე გოგონების დანახვაზე აუცილებლად აღშფოთდებოდნენ მაყურებელი ქალები. ამიტომ აუცილებელი გახდა საცურაო კოსტიუმების მოდიფიცირება. ეს საქმე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა იკისრეს. ამასთანავე, 43 წლის კრისტინა სპენსერმა, ახალი ფორმა თავადვე მოისინჯა. ამგვარად, ბრიტანელ ოლიმპიელ მოცურავეთა 16 კოსტიუმი სწორედ იმ ადგილებს ფარავს, რომელთა დანახვაც აუზზე მისულ მამაკაცებს ყველაზე მეტად გაუხარდებოდათ. ■

სექსი, სპორტული მიღწევები და ოლიმპიადა

დაიწყო ოლიმპიადა და კვლავ ყველა იმაზე ალაპარაკდა, თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს შეჯიბრების წინ აქტიური სექსი ათლეტს, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაში. ექიმთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ტურნირის მსვლელობისას სიყვარულით ტკბობა ქალ ათლეტებს დადებითად წაადგებათ. პირველ რიგში, ეს მძლეოსნებს – მორბენალებსა და მხტომელებს ეხება. „რაც უფრო მეტი იქნება ორგაზმი, მით უფრო იზრდება გამარჯვების შანსი“, – მიიჩნევს ცნობილი ებრაელი ექიმი ალექსანდრ ოლიშანსკი, რომელიც სპორტისა და სექსის სპეციფიკურ კავშირს 1996 წლიდან იკვლევს. აი, მამაკაც სპორტსმენებში კი, მისი აზრით, საქმე სულ სხვაგვარადაა და ყველაფერი ათლეტის ინდივიდუალურ მონაცემებზეა დამოკიდებული: ვისთვის, შეჯიბრების წინა ღამის სექსი სასარგებლოა, ვისთვის კი, შეიძლება, კატასტროფული სპორტული შედეგით დასრულდეს. სწორედ ამიტომ, საფეხბურთო მწვრთნელთა დიდი ნაწილი მოთამაშეებს ტურნირების მსვლელობისას, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან ინტიმურ კავშირს უკრძალავს. მაგრამ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, წინასწარ გაითვალისწინეს, რომ სპორტსმენთა შორის სექსუალურ ვნებებს თამაშები არ დააცხრობდა და 130000 უფასო პრეზერვატივი დაახვედრეს ათენში. აღსანიშნავია ისიც, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე თითოეულ ათლეტს 3-3 პრეზერვატივი დაურიგეს, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სპორტსმენები იძულებული იყვნენ, საკუთარი სახსრებით შეეძინათ ეს საჭირო საშუალება. ■

მარათონი საბრძოლო აღჭურვილობით

ერთ-ერთი პოლონური გაზეთის კორესპონდენტმა როდეკ ლენიარსკიმ მარათონული დისტანცია ძველი ბერძენი მეომრის აღჭურვილობით დაფარა. ამგვარად, 42 კმ-სა და 195 მეტრის სარბენად მას 5 საათი, 10 წუთი და 12 წამი დასჭირდა. რადეკს ლეგენდარული ძველი ბერძენი მებრძოლის ფიდიპიდესის მიღწევის გამეორება სურდა, რომელმაც ჩვ.წ.აღ-მდე 490 წელს, სპარსეთის ჯარზე გამარჯვების სასიხარულო ამბის ათენელთათვის საცნობებლად, სოფელ მარათონიდან სირბილით დაფარა აღნიშნული დისტანცია. პოლონელმა ჟურნალისტმა ჩათვალა, რომ თანამედროვე ათლეტთაგან განსხვავებით, ფიდიპიდესი ჯაჭვის პერანგით, მუზარადით, შუბითა და ფარით ხელში მირბოდა. ამიტომ მარათონიდან ათენამდე ლენიარსკიმაც ლითონის აღჭურვილობით ირბინა. ერთადერთი, რაც მას ფილიპიდესისგან ასხვავებდა, შუბის დაბლაგვებული წვეტი გახლდათ: მოგეხსნებათ, საბერძნეთში ამჟამად უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული და იმისთვის, რათა რადეკი პოლიციელთა ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილიყო, მან თავისი იარაღის პირი ჩაქუჩით გააუვნებელყო. მანძილის დაფარვის შემდეგ, ლენიარსკიმ აღმოაჩინა, რომ ფეხებზე კოჟრები გასჩენოდა, ხოლო წყურვილის მოსაკლავად, მინერალური წყლით სავსე 8 ბოთლი გამოეცალა. ამასთანავე, ლითონის მძიმე აღჭურვილობამ მას სხეულის სხვა ნაწილებიც უმნიშვნელოდ დაუზიანა.

იმავე მარშრუტით 29 აგვისტოს მარათონელები ირბენენ. ცხადია, ისინი პოლონელ კორესპონდენტზე გაცილებით უკეთეს შედეგებსაც უჩვენებენ. თანაც, ათლეტები ლენიარსკისაგან განსხვავებით ხომ მსუბუქი და მოსახერხებელი სპორტული ფეხსაცმლითა და ფორმებით იასპარეზებენ. სხვათა შორის, ამ გარბენის შემდეგ, რადეკმა ისიც განაცხადა, რომ ადრე მარათონული დისტანცია არასოდეს დაუფარავს და ყველაზე დიდი მანძილი – 18 კმ – 20 წლის წინ გაურბენია.

სვირინგები წარმატების მისაღწევად



მიმდინარე ოლიმპიური თამაშებისთვის ზოგიერთი სპორტსმენი საკმაოდ უჩვეულო ხერხით ემზადებოდა. ზოგი, „პლეიბოის“ პირველი გვერდისთვის განკუთვნილ ფოტოსესიაში მონაწილეობდა, ზოგი – ფეხებზე პედიკიურს იკეთებდა, ზოგიც სხვა ფორმით ცდილობდა ყურადღების მიქცევას. მაგალითად, გერმანელმა ათლეტმა, შტეფან კრეჩმარმა თავისი ტატუირებული სხეულით სცადა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვედრა და გერმანულ გაზეთ „ბილდისთვის“ მოწყობილ ფოტოგადაღებებშიც მიიღო მონაწილეობა. როგორც თავად სპორტსმენი ამბობს, მკერდზე გამოსახული ორი მტრედი – ერთი – გვირგვინით, მეორე – რქებით, ხოლო მათ შორის ცეცხლის ალი – მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა, ოღონდ კრეჩმარს ეს მნიშვნელობა არ გაუშიფრავს... სამაგიეროდ, მან საზოგადოებას ისიც აცნობა, რომ მარცხენა წვივზე ღვთისმშობლის ტატუირება აქვს. ამასთან, შტეფანმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ახალგაკეთებული სვირინგები მას ათენში წარმატების მიღწევაში დაეხმარება. ■

ლოთბაზარა მწვრთნელი ათენში არ გაუშვეს

ოლიმპიადაზე დასწრება ნებისმიერი ადამიანისთვის დიდი პატივია. ლატვიის ველოსიპედოსტა გუნდის მთავარი მწვრთნელი გინტიო ბიტიტისიც ოცნებობდა ათენში მოხვედრაზე და სანუკვარი აკრედიტაციაც მოიპოვა. მაგრამ ალკოჰოლის მოყვარული აღმოჩნდა, თვითმფრინავში სასმელი შეიტანა და გვარიანადაც მოილხინა. პრაღაში თვითმფრინავის გამოცვლა იყო საჭირო, მაგრამ ზომაზე მეტად შეზარხოშებული ბიტიტისისთვის ამ „რეკორდის“ დამყარება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ლატვიელი, როდესაც საპასპორტო კონტროლს გადიოდა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ იგი უმალვე მოხსნეს რეისიდან. ამ ინციდენტის შემდეგ, ბიტიტისი პრაღაში უგზო-უკვლოდ დაკარგულა, მაგრამ უკვე მეორე დღეს, გამოფხიზლებული გამოჩენილა. მიუხედავად ამისა, ლოთბაზარა მწვრთნელი ლატვიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მკაცრად დასაჯა და ათენში გასამგზავრებლად აუცილებელი აკრედიტაცია გაუუქმა. ■

ეროვნული ბიუსტჰალტერი

წარსულში ცნობილმა ინგლისელმა მოცურავემ შერონ დევისმა ოლიმპიადის სტარტის წინ, დიდი ბრიტანეთის სიმბოლიკა ახალი დანიშნულებით გამოიყენა – ბიუსტჰალტერისა და ქვედა საცვლის სახით მოირგო. შერონი ასეთი ხერხით თურმე, ბრიტანელი ათლეტების გამხნევებას აპირებს. თუმცა, ეროვნული დროშის ფერების ბიკინის ჩაცმას ის მაინც მოერიდა. სამაგიეროდ, 42 წლის მოცურავე „ათენი-2004“-ის გახსნამდე სიამოვნებით პოზირებდა აღნიშნული ბიუსტჰალტერით, გაზეთ „სანის“ ფოტოგრაფების წინაშე. ■

ამერიკელ კალათბურთელებს სპეცრაზმმა ვერ მიუსწრო...

საბერძნეთის ხელისუფლებამ, რამდენიმე ქვეყანას, კერძოდ – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ისრაელს, ოლიმპიადის მიმდინარეობისას საკუთარი შეიარაღებული დაცვის ყოლის უფლება მისცა, თუმცა ეს ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია. როგორც იაპონური გაზეთის – „ტოკიო სიმბუნისთვის“ ლონდონში მყოფი წყაროსაგან გახდა ცნობილი, საბრძოლო აღჭურვილობა საბერძნეთში დიპლომატიურ ბარგთან ერთად ჩაიტანეს, რადგან ის საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება. იმავე წყაროს ცნობით, საბერძნეთში ელოდებიან ამერიკულ სპეცრაზმს, რომელიც აშშ-ის ოლიმპიელების უსაფრთხოებაზე იზრუნებს; ბრიტანული საგანგებო პოლიციის 130-მდე თანამშრომელი კი, თამაშებზე ჩასულ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს დაიცავს.

მაგრამ საკუთარი სახელმწიფოსა და ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ესოდენ დიდმა მზრუნველობამ უჩვეულო მარცხის სიმწრისგან ვერ დაიცვა ამერიკელ კალათბურთელთა გუნდი ე.წ. „ოცნების ნაკრები“, რომელიც მუდამ ფავორიტად ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადების მთელი ისტორიის მანძილზე, ამერიკის ნაკრებს (არაპროფესიონალთა) აქამდე მხოლოდ ორჯერ წაუგია – 1972 და 1988 წლებში (ორჯერვე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ბრძოლისას). ამჯერად, სენსაციურ გამარჯვებას უძლეველ ამერიკელ „გიგანტებთან“ პაექრობისას, ანგარიშით 92:73, პუერტო-რიკოს გუნდმა მიაღწია და „ოცნების გუნდს“ ჩემპიონობაზე ნაკლებრეალური ოცნებებიღა დაუტოვა. ■

PEUGEOT 607

Peugeot 607 ესლავ განაახლეს

ფრანგულმა კომპანია „პეჟომ“ ბიზნესკლასის მოდელის – 607-ის მოდერნიზება განახორციელა და ამიერიდან, სამოდელო რიგის ამ ფლაგმანის სერიული ვერსია აღჭურვილი იქნება: სანავიგაციო სისტემით, ქსენონის მაშუქებითა და გაუმჯობესებული სარკეებით, რომელთა ერთ-ერთი ფუნქცია, უკან მოძრავი მანქანის მაშუქებისგან მძღოლის დაბრმავების თავიდან აცილებას წარმოადგენს. ყოველივე ამის მიუხედავად, Peugeot 607-ის ფასი უცვლელი რჩება: საბაზო მოდიფიკაცია – Reference 160 (2,2 ლ მოცულობის, 158 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი) ევროპაში 30.400 ევრო ეღირება. 607-ე მოდელის წინა მოდერნიზაცია შარშან განხორციელდა. მაშინ „პეჟოს“ ინჟინრებმა მანქანას, უკანა სავარძელზე მსხდომი მგზავრებისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების გვერდითი ბალიშები შემატეს, გაუმჯობესეს 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი, რომლითაც 607-ე მოდელის ყველაზე პოპულარული – 2,3 ლ მოცულობის, 133 ცხ.ძ-იანი ძრავათი აღჭურვილი მოდიფიკაცია კომპლექტდება.

HONDA CIVIC 2.0i SPORT

Honda და მისი „შეაღეჯრი“ Civic

ავტობაზარზე გამოვიდა მოდელი – Civic 2.Oi Sport, რომელმაც უნდა დაიკავოს ნიშა ეკონომიურ, მაგრამ არცთუ ისე სწრაფ, 110-ძალიან ვერსიასა და გაძლიერებულ, 200-ძალიან მოდელს შორის. 2 ლ მოცულობის Civic-ის სიმძლავრე 160 ცხ.ძ-ს შეადგენს. ამ 5-კარიანი მანქანის საბორბლე ბაზა 6 სმ-ით აღემატება 3-კარიანისას და ამის წყალობით, უკანა სავარძელზე მოკალათებული მგზავრები გაცილებით ხალვათად იგრძნობენ თავს. მისი საბარგულის მოცულობა, სხვა მოდიფიკაციებისას ემთხვევა – 370 ლ-ს შეადგენს, უკანა სავარძლის დაკეცვის შემთხვევაში კი – 1195 ლ-ს აღწევს. ახალი „სივიკის“ მაქსიმალური სიჩქარე 210 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ-ს კი მანქანა 8,8 წმ-ში ავითარებს. საწვავის საშუალო ხარჯი – ყოველ 100 კმ-ზე 7,5 ლ-ა. ევროპის ბაზარზე Honda Civic 2.Oi Sport 22.620 ევრო ეღირება. მის სტანდარტულ კომპლექტაციაში სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემა ESP, მსუბუქშენადნობიანი, 16-დუიმიანი საბორბლე დისკები და ნაწილობრივ ტყავით გაწყობილი სალონი შედის.

BMW ვენის გამოშვებას აპირებს

ე.წ. პრიმიუმკლასის სეგმენტში ამასწინანდელი დებიუტის შემდეგ (პირველი სერიის მოდელი), ბავარიული კონცერნი ახლა ვენის შემუშავებითაა დაკავებული. როგორც „ბე-ემ-ვეს“ გამგეობის წევრმა მიხაელ განალმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, ეს მანქანა ტევადობითა და ფუნქციონალურობით საავტომობილო ბაზარზე ახალ სტანდარტებს შემოიღებს. მისივე თქმით, პროექტის რეალიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და შესაძლოა, წარმოებაში ჩასაშვებად, 2006 წლის დამლევისთვის იყოს მზად. ამასთანავე, განალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაპარაკია ძვირად ღირებულ ავტომობილზე: ისევე, როგორც ბაზრის სხვა სეგმენტებში, BMW-ს პრიმიუმკლასის შექმნის პრეტენზია ექნება. ეს გეზი ბავარიელი ავტომწარმოებლებისთვის ჯერჯერობით წარმატების მომტანია: მათი ბოლოდროინდელი სიახლეები – სპორტული ყველგანმავალი X3, Mini-ს ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტი და მე-6 სერიის კუპე – მომხმარებელთა ფართო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ■

მეტისმეტად მშვიდობიანი Colt

ევროპის ბაზარზე ახალი მანქანის რეალიზაცია დაიწყო. Mitsubishi Colt იაპონური კომპანია „მიცუბიშისა“ და ამერიკული კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერის“ ერთობლივი ნაწარმია. მას იგივე პლატფორმა აქვს, რაც ოთხადგილიან Smart Forfour-ს, რომელსაც ჰოლანდიის ქალაქ ბორნში მდებარე ქარხანა აწარმოებს. „კოლტი“ 5 სახეობის ძრავათი შეიძლება აღიჭურვოს; მათგან 2 – დიზელისაა, 3 კი – ბენზინის. ავტომობილის საბაზო ვერსია (3-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა, რომლის სამუშაო მოცულობა 1,1 ლ, ხოლო სიმძლავრე 75 ცხ.ძ-ა) ევროპაში 11.990 ევრო ღირს, რაც ანალოგიური მახასიათებლების მქონე Smart-ზე 1.000 ევროთი ნაკლებია. მანქანა 4-ცილინდრიანი, 1,3 და 1,5 ლ მოცულობის ბენზინის აგრეგატებით შეიძლება აღიჭურვოს. Mitsubishi Colt არსებითად, მინივენს წარმოადგენს, რომლის სიგრძე 3,87 მ-ს შეადგენს და საკმაოდ ხალვათი სალონი აქვს. უკანა სავარძელი არა მარტო იკეცება, არამედ შეიძლება მთლიანად მოიხსნას და მისი ადგილი სატვირთო დანაყოფად გადაიქცეს. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-33)



მკვლელობის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე, გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

ანდროს ფირმის ადვოკატი არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლაღიძეს მიმართავს. ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამომძიებელი სულიკო ჟვანია იძიებს, რომელსაც მეგისთან პირველი შეხვედრისას, გაცოფებული ანდრო ყელში სწვდება... მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი შეყვარებული კახა სუთიძე მიადგება. კახა მას, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს. მეორე დილით, კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: აქაოდა, ადვოკატის შეცვლა თავად ანდროს აქვს გადაწყვეტილი. სიმართლის გასარკვევად, მეგი მაშინვე ანდროსთან მიდის. მაგრამ ანდრო მის ადვოკატობაზე უარს არ ამბობს. ამით კმაყოფილი ქალი, არჩილ ხომასურიძის სანახავად ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და სრულიად მოულოდნელად, მას სთხოვს, ბათუმში წამიყვანეო. მაგრამ იქ ჩასულებს, ადვოკატი საავადმყოფოში აღარ დახვდებათ, თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. მეგი მოუთმენლად ელოდება იმ მომენტს, როცა სასტუმროში განმარტოვდება, რათა ხომასურიძის საბუთებს გაეცნოს, მაგრამ საქაღალდეში მხოლოდ ცარიელ ფურცლებს წააწყდება... საბუთები მოიპარეს.

მეგი ეჭვს მაშინვე კახაზე მიტანს, თუმცა თავადვე ხვდება, რომ ამის დამტკიცებას ვერაფრით შეძლებს. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით, საბუთების ნაწილი მისი საწოლის ქვეშ აღმოჩნდება. მეგი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ვინც მას დოკუმენტები შეუცვალა, საკმაოდ ვერაგული ჩანაფიქრი აქვს...

თბილისში დაბრუნებული მეგი ლიკას მეუღლის, ვახოს სანახავად გასწევს. ეს უკანასკნელი წლების მანძილზე ანდრო სვანიძესთან მუშაობდა. ის აფრთხილებს მეგის, რომ ქალი სახიფათო საქმეს შესჭიდებია და ურჩევს, თავი დაანებოს ანდროს დაცვას. თუმცა ამავე დროს, მისი წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

მეგიმ სასტუმროში დოკუმენტების უცნაური გაქრობისა და შემდეგ, მათი შემთხვევით პოვნის ამბავი ვახოს მოკლედ უამბო.

— მდა-ა!.. — კეფა ნება-ნება მოიფხანა შეფიქრიანებულმა ვახომ. — ეგ შენი კახა ყველაზე დიდი მამაძაღლი უნდა იყოს, ხომ იცი?! ნაღდად ორმაგ თამაშს თამაშობს და აქეთ თუ იქით, ყველას „მოსრიალებაც“ აქვს გადაწყვეტილი... ჰოდა, ალბათ, უკვე „მოსრიალებულიც“ ეყოლებოდა, შენ რომ ყოველ ნაბიჯზე ფეხებში არ ედებოდე!.. ჰო, მართლა, საქაღალდე სადღა გაქვს?.. ერთი ისიც მაჩვენე! — დაუმატა ბოლოს მან.

— ვერ გაჩვენებ, არ მაქვს, — მშვიდად უპასუხა მეგიმ.

— აბა, რა უყავი?

— კახას დავუტოვე მანქანაში. მინდა, მართლა დაიჯეროს, რომ საქაღალდე საერთოდ არ გადამიშლია და არც ის ვიცი, რომ შიგ, საბუთების ნაცვლად, ცარიელი ფურცლები დევს... თუ მართლა დაიჯერა, დარწმუნებული ვარ, მალე იმ საქაღალდეს თავადვე მომართმევს და შიგ უკვე, სხვა თუ არაფერი, კატო კვაჭანტირაძის საბუთები მაინც იქნება...

— ყოჩაღ, პატარავ! — ტაში შემოჰკრა გაოცებულმა ვახომ. — თუმცა, რაღა პატარა? შენც უკვე დიდი „შენძრეული“ ვინმე ხარ, ხომ იცი?!. — დაუმატა მან შემდეგ.

— აბა, აბა! გამოთქმები შეარჩიე! — გაღიზიანდა მეგი.

— რა დროს გამოთქმების შერჩევაა?!. — სკამზე პატარა ბიჭივით აცმუკდა ვახო. — ასეთი „ზახოდის“ გაკეთება ჩემნაირ ჯიბიდან გავარდნილ მეგრელსაც კი არ მოუვიდოდა ასე უცბად თავში და შენ როგორღა „მოტვინე“?!.

— მთელი გუშინდელი დღე და ღამე მეც ნახევრად მეგრელის გვერდით ვიყავი და ეტყობა, ტვინი გამიფართოვდა... — დაცინვით აუხსნა მეგიმ. — კახას ხომ ღედა მეგრელი ჰყავს...

— მართლა?!. — ყურები ცქვიტა ვახომ. — რა გვარის ქალია?

— პერტაია... შეიძლება, შენც გსმენია,

ქალაქში ერთ-ერთი ცნობილი გინეკოლოგია...

— აბა, აბა!.. — გამხიარულდა ვახო. — სულ გინეკოლოგებში არ მაქვს საქმე?! პერტაია... პერტაია... — დაფიქრდა ის შემდეგ. — სახელი რა ჰქვია ქალბატონ პერტაიას?

— მარიკა.

— მარიკა?.. ნამდვილად იცი?

— რას ჰქვია, ნამდვილად ვიცი?!. — იწყინა მეგიმ. — კახა სუთიძის დედის გვარს რა დამავიწყებს?!.

— ჰო... შენც მართალი ხარ... — მაშინვე დაეთანხმა ვახო. — ლიკა და ანი გუშინაც იხსენებდნენ, ერთ დროს შენ და კახას როგორ მაგრად... — სათქმელის დასრულების ნაცვლად, საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუხახუნა მან. — მაგრამ მაინც, იცი, რა?..

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ იმედია, მეტყვი, — გააწყვეტინა მეგიმ.

— რომ ვერ ვხვდები, მართლა უნდა გითხრა თუ არა?!. — შუბლი გამეტებით მოისრისა ვახომ.

— მითხარი და მაშინვე მიხვდები!..

— ა! უყურე ახლა ამას! — თვალები გადაუბრიალა ვახომ მეგის. — მერე ადგება და კიდევ მისაყვედურებს, ,,შენძრეულს'' რატომ მეძახი?!. აბა, ,,შენძრეულის'' გარდა ვინ გამბედავდა, ჯერ ამბავი მითხარი და მერე მიხვდები, უნდა გეთქვა თუ არაო?!. მაგრამ ჯანდაბას, გეტყვი!.. რადგან გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც ანდრო სვანიძეს შეაკვდე, ალბათ, მისი მთავარი საიდუმლოს ცოდნის უფლებაც გაქვს!.. თანაც...

— გეხვეწები, რა, ნუ დამღალე! — გააწყვეტინა მეგიმ.

— ანდრო რომ ცოლთან გაყრილია, ალბათ, უკვე იცი, ხომ? — როგორც იქნა, დაიწყო ვახომ.

— კი, ვიცი.

— ის თუ იცი, რატომ გაეყარა?

— არა, მაგრამ მე ეგ დეტალი დიდად არც მაინტერესებს!

— მე მით უმეტეს, არ მაინტერესებდა, მაგრამ მაინც გავიგე... უფრო სწორად, ეს ამბავი თავად ანდრომ მითხრა... მოკლედ, ერთხელ ჩვენი ანდრო ცოლმა ძალიან მაგრად გააცურა, რა...

— უფრო კონკრეტულად?

— უფრო კონკრეტულად, ანდროს შვილი სინამდვილეში ანდროს შვილი არ არის, რა...

— რაო?!. — გაუკვირდა მეგის. — ანდროს ცოლმა რქების დადგმა გაუბედა?

— საერთოდ, ქალმა არ მოინდომოს, თორემ, ანდრო სვანიძეს კი არა, ირანის შაჰს დაადგამს რქებს, აბა!.. — ეს უადგილო შედარება აშკარად მოსწრებულად მოეჩვენა ვახოს და შემდეგ დაუმატა: — მაგრამ ლანას ქმრისთვის ნამდვილად არ უღალატია — უბრალოდ, ის ბავშვი არც მისია...

— ვახო! — გაოცებით მიაშტერდა მამაკაცს მეგი. — მაპატიე, მაგრამ ცოტა ხომ არ აურიე?.. თუ ბავშვი არც ანდროსია და არც მისი ცოლის, აბა, მათთან საიდან გაჩნდა?.. ა-ა?.. ალბათ, იშვილეს, ხომ?..

— არა!

— აბა, ციდან ჩამოუფრინდათ?

— თითქმის... — მშვიდად უპასუხა ვახომ. — თავის დროზე, ლანა ნამდვილად ანდროსგან იყო ფეხმძიმედ და ცოლ-ქმარი ბიჭის გაჩენასაც გულისფანცქალით ელოდა. ბიჭი მართლა გაჩნდა, ოღონდ, მაშინვე დაიღუპა...

— დაიღუპა?! — გააწყვეტინა მეგიმ. — გამოდის, რომ ანდროს ბიჭი მართლაც, ნაშვილებია!

— ეგრე გამოდის... ოღონდ, ანდრომ კარგა ხანს არ იცოდა, რომ სამშობიაროდან სხვისი შვილი გამოატანეს...

— მართლა?.. ახლა მაინც თუ იცის?

— ახლა — კი. თავის დროზე კი, ის ამბავი ლანას დედამ, მარიკა პერტაიამ და კიდევ ერთმა ექთანმა მის ზურგს უკან ,,გააჩალიჩეს''.

— მარიკამ?.. კახას დედამ?!. — მოულოდნელად სახეზე ალმურმა გადაჰკრა მეგის.

— ჰო, ლანას დედა და მარიკა პერტაია დაქალები ყოფილან. ლანამ სწორედ მის ხელში იმშობიარა. ძალიან მძიმე მშობიარობა ჰქონია, მერე სისხლის დენაც დასწყებია... მარიკა პერტაია იძულებული გამხდარა, სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინა და საშვილოსნო ამოეღო... ამასობაში კი, ბავშვიც დაღუპულა... მოკლედ, რომ იტყვიან, ნამდვილი ცოდვის კითხვა დატრიალებულა. როცა ასე თუ ისე ყველა გონს მოსულა, ლანას დედა მარიკას მუხლებში ჩავარდნია: არ დამღუპო; ანდრო რომ გაიგებს, ბავშვი დაიღუპა და ლანას მეტი შვილი აღარ ეყოლება, მაშინვე მიატოვებს, ამიტომ რამე ახლავე უნდა მოვიფიქროთო!.. იმავე ღამეს, მარიკას ხელში ერთ გოგოს უკანონო შვილი, თანაც — ბიჭი გაუჩენია... ჰოდა, მარიკასაც ბევრი აღარ უფიქრია, იმ გოგოს მოლაპარაკებია და საბოლოოდ, მისი ბიჭი ლანასთვის მიუყვანიათ...

— მოიცა! — უნებურად გააწყვეტინა თვალებგაფართოებულმა მეგიმ. — ანდროს ბიჭი ახლა რამდენი წლისაა?

— ასე, ცხრის ან ათი წლის უნდა იყოს... — უპასუხა ვახომ. — მაგრამ შენ ბავშვის ასაკი რაში გაინტერესებს?!

— არც არაფერში... — უცბად ირგვლივ გიჟივით მიმოიხედა მეგიმ. — ისე გკითხე... მთელი ეს ამბავი ანდრომ როგორღა გაიგო?

— როგორ და, მარიკა პერტაია თავის ექთანს პირდაპირ ანდროსთან ,,ჩაუშვია'': საიდუმლოს შენახვაში დიდ ფულს დამპირდა, მაგრამ უკვე მთელი წელია, მიღორებსო... ანდრო კინაღამ გაგიჟებულა. იმ დროს ლანა და ბავშვი დასასვენებლად ჰყოლია გაგზავნილი და ამიტომ სიდედრს დასდგომია თავზე, იარაღით ხელში!.. იმ უბედურსაც ყველაფერი ულიარებია და ახლა სიძეს ჩავარდნია მუხლებში: ლანამ არაფერი იცის და გულს ნუ გაუხეთქავო!.. ანდროს მართლა არაფერი უთქვამს ლანასთვის — უბრალოდ, ერთ დღეს ამდგარა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წამოსულა სახლიდან... ამბობენ, წასასვლელად მას სხვა მიზეზებიც ჰქონდაო, თუმცა, ამას ახლა არა აქვს არსებითი მნიშვნელობა... ბავშვი უკვე იმდენად ჰყვარებია, რომ დღემდე ნამდვილ მამობას უწევს...

— მოიცა, მოიცა! — ხელის აწევით შეაჩერა ვახო მეგიმ. — მგონი, რაღაც მაინც ვერ გავიგე...

— არ მესმის, რა არის აქ გაუგებარი?

— რა და თავიდან მითხარი — ანდრო ცოლმა მოატყუა და იმიტომ გაეყარაო. ახლა მეუბნები, რომ ცოლსაც არაფერი სცოდნია... მაინც, რომელია მართალი?

— ო-ო... აი ამას კი, ჩემო ლამაზო, დანამდვილებით მხოლოდ ანდრო თუ გეტყვის და იმას უნდა მიაკითხო...

— შენთვის არ უთქვამს?

— არა. მაგრამ რადგან ანდროს ცოლს მეც საკმაოდ კარგად ვიცნობ, ეჭვიც არ მეპარება, რომ პირველი წუთებიდანვე ყველაფერი იცოდა...

— ანდროს, შემთხვევით, ბავშვის ნამდვილი დედის სახელი ხომ არ უხსენებია? — ხმა აუკანკალდა მეგის.

— არა, იმიტომ, რომ დღემდე არ იცის... სიდედრს მისთვის მარტო ის უთქვამს, რომ ის გოგო მარიკა პერტაიას ბიჭის ნაცნობი იყო, ვიღაცამ შეაცდინა, მარიკამ კი, სამადლოდ, თავის კლინიკაში ამშობიარა და მერე ბავშვის კარგ ოჯახში კარგ ფულად გაშვილებასაც დაჰპირებიაო... თუმცა, ამ საქმეში მტყუან-მართლის გარჩევა მაინც ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ იმ ექთანს, ვინც ანდროსთან მარიკა პერტაია ,,ჩაუშვა'', შვილი დაუფიცია — ის გოგოც ჩემსავით გააბრიყვეს, ფული მისცეს კი არა, იმაშიც კი დაარწმუნეს — შენი შვილი დაბადებისთანავე მოკვდაო. საწყალმა ეს რომ გაიგო, მთელი სამშობიარო კივილით აიკლოო...

უცბად, მეგი გიჟივით წამოხტა ფეხზე და სკამის საზურგეზე გადაკიდებულ ხელჩანთას დასწვდა:

— სასწრაფოდ უნდა წავიდე!.. — ძლივსღა ამოღერღა მან.

— რა ფერი გადევს?! — შეწუხდა ვახო. — ეს ამბავი შენზე ასე თუ იმოქმედებდა, საერთოდ არ მოგიყვებოდი!.. რა

ხართ მაინც ეს ქალები?! ყველაფერი მაშინვე გულთან ახლოს მიგაქვთ!..

— უნდა წავიდე! — ისევ ჯიუტად გაიმეორა მეგიმ.

— მოიცა! ამ შუაღამისას მარტოს როგორ გაგიშვებ?! — ფეხზე წამოდგა ვახოც, ცეკვაში გართულ ცოლს ხელი მბრძანებლურად დაუქნია და მერე ისევ მეგის მიუბრუნდა: — არ მეტყვი, ასე უცბად მაინც რა გეცა?

— არაფერი... — ნელ-ნელა დამშვიდდა მეგი. — უბრალოდ, გამახსენდა, რომ ამაღამ კიდევ ერთ ახალ საქმეს უნდა გადავხედო. ხვალ პირველი მოსმენა მაქვს დანიშნული...

— მერე მაგაზე ნერვიულობ?!. — თვალები ეშმაკურად მოწკურა ვახომ. — მთელი ღამე წინ არ გაქვს?.. ჩაწექი ლოგინში და იკითხე და იკითხე! მე შენ გეტყვი, კაცი მოგიწვება გვერდით და სხვა რამის გაკეთებას მოგთხოვს!..

მეგიმ მანქანა თავისი სახლის სადარბაზოსთან გააჩერებინა. ლიკას დაჟინების მიუხედავად — ვახო ბინამდე მივაცილებსო, — მაინც იქვე დაემშვიდობა ყველას და კიბეს გულდამძიმებული აუყვა. სადარბაზოში უწინდებურად ბნელოდა, თუმცა საკუთარ ბინას მიახლოებულმა მეგიმ წინასწარ მომარჯვებული პატარა ფარანი აანთო და... კართან მდგარი კახა სუთიძე დაინახა. მას ხელში კატო ბებიას საქაღალდე ეჭირა.

— შენ აქ რა გინდა? — ყრუ ხმით ჰკითხა მას შემცბარმა მეგიმ.

— შენს ბინას ვდარაჯობ... — არხეინად უპასუხა კახმა.

— მე არ მეხუმრება! — ხმა გაიმკაცრა მეგიმ.

— აი, ეს დაგრჩა ჩემს მანქანაში და მოგიტანე! — საქაღალდე სასწრაფოდ გაუწოდა კახამ. — ორ საათზე მეტია, რაც გელოდები...

— მერე რას მელოდები?.. ვერ წახვედი?.. თუ ეს ხვალამდე ვერ მოიცდიდა?!. — საქაღალდე ხელიდან უხეშად გამოჰგლიჯა მეგიმ.

— ეს — კი, მაგრამ მე ველარ მოვიცადე. დღესვე მინდოდა შენი ნახვა!.. თუმცა, ვერ ვხვდები, ასე რატომ მეუხეშები?.. — იწყინა კახამ.

— აჰ, ვერ ხვდები, ხომ?.. — ჩანთიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო მეგიმ და ერთ-ერთი კარს უჩვეულოდ სწრაფად მოარგო. — კარგი, შემობრძანდი და ყველაფერს აგიხსნი!..

შინ შესულმა მეგიმ ასხმულა იქვე მდგარ ტუმბოზე ხმაურით მიაგდო, ჩანთაც ზედ მიაყოლა და სასტუმრო ოთახში შევიდა. კახა მას ფეხდაფეხ მიჰყვა.

— დაბრძანდი! — სავარძელზე ანიშნა მეგიმ კახას. თავად, მის პირდაპირ ტახტზე დაჯდა, ძველებურ საქაღალდეს თასმა შეხსნა: — უკვე ნახე, ხომ, რა იყო ამ საქაღალდეში?..

— კი... — თითქოს დარცხვენილმა უპასუხა კახამ. — ვაღიარებ, რომ ვნახე. ცარიელი ფურცლები იდო...

— მაშინ სხვა რამეების აღიარებაც მოგიწევს...

— ვიცი... — გააწყვეტინა კახამ. — საქაღალდე მე შეგიცვალე... უფრო სწორად — ჩემი დავალებით, სხვებმა შეგიცვალეს... თუმცა ახლა, რამდენიმე დოკუმენტის გარდა, ყველაფერი ისევ შიგ დევს...

— ის დოკუმენტები რა იქნა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩჩა კახამ. — მგონი, საერთოდ, აღარ არსებობს...

— „მგონი“ თუ მართლა აღარ არსებობს?..

— აზრზე არა ვარ!.. და მართალი გითხრა, დიდად აღარც მაინტერესებს!..

— ოჰო! — მოჩვენებითად გახალისდა მეგი. — ეს უკვე მართლაც, რაღაც ახალია!.. აბა, ახლა რით ხარ დაინტერესებული?.. ვინმე ახალი ბიზნესმენის „ჩაძირვით“ ხომ არა?..

— მეგი, არ გინდა, რა... — ნერვიულად მოისრიმა შუბლი კახამ. — მე შენთან მართლა სულ სხვა რამის გამო მოვედი...

— კერძოდ?

— დიდი სათხოვარი მაქვს...

— მართლა?.. მერე რაღას უცდი?.. მიდი, მთხოვე, იქნებ, ძველებურად გავბრიყდე და მართლა შეგისრულო!..

— ალბათ, გახსოვს, რომ დედაჩემი... — დაიწყო კახამ, მაგრამ მეგიმ აღარ აცალა:

— დედაშენი როგორ არ მახსოვს?!. იმდენად კარგად მახსოვს, რომ შენ წარმოიდგინე, ერთი საათის წინაც მასზე ვლაპარაკობდი...

— მართლა?.. — გაუკვირდა კახას. — მაინც ვისთან ლაპარაკობდი?

— აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!. შენ ის მითხარი, ახლა როგორ ბრძანდება ქალბატონი მარიკა?.. ხომ არაფერი გასჭირვებია?..

— ჩემს მტერს გაუჭირდეს ისე, როგორც ახლა დედაჩემს უჭირს!.. — ამოიოხრა კახამ. — დღეს საღამოს ექიმებმა იმედი საბოლოოდ გადაუწურეს...

— რას ამბობ?!. ასეთი რა დაემართა?

— კიბო.

— კიბო?!. — შეცბა მეგი. — რამდენი ხანია, რაც...

— წელიწადზე ცოტა მეტია. ნახევარი წელი მოსკოვში ვმკურნალობდით. მერე ისევ თბილისში ჩამოყვანა მთხოვა... უარი ველარ ვუთხარი... დღეს კი, კლინიკაში ანალიზების პასუხზე რომ მივედი, მკურნალმა ექიმმა პირდაპირ მითხრა — შინ წაიყვანე, ველარაფერს ვუშველიო...

— კი, მაგრამ მე აქამდე რატომ არაფერი მითხარი? — შეწუხდა მეგი.

— რა ვიცი, აბა?!. — მხრები აიჩჩა კახამ. — თავად არ გიკითხავს და მეც ვიფიქრე, ზედმეტად აღარ გავაღიზიანებმეთქი...

— მეტი რაღა უნდა გამაღიზიანო?! თანაც, დედაშენი ხომ, შენგან განსხვავებით, ბოლომდე თავაზიანად მექცეოდა!.. თუმცა, მხოლოდ იმდენად თავაზიანად, რამდენადაც იმ სულელ გოგოს უნდა მოჰქცეოდა, რომელიც მისმა შვილმა ერთხელ შემთხვევით „იხმარა“ და მერე თავიდან ველარაფრით მოიცილა..

— ძალიან გთხოვ... — გააწყვეტინა კახამ. — წარსულს ნულარ გაიხსენებ!..

— არ გამოვა, ძვირფასო! წარსული თუ დავივიწყე, დედაშენიც წარსულში უნდა დავტოვო. შენ კი აქ სწორედ მისთვის თუ მის მაგივრად ხარ მოსული, რაღაცის სათხოვნელად — ასე არ არის?

— კი, ასეა... — ამოიოხრა კახამ. — ექიმმა მითხრა — მისი დღეები დათვლილია, ნებისმიერ წუთს შეიძლება დაბრმავდეს ან მეტყველების უნარი წაერთვასო — არადა, შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამე აქვს სათქმელი.

— ჩემთვის?.. — შეცბა მეგი. — არ უთქვამს, რა?

— არა!.. მთელი საღამო მევედრებოდა — მეგი მომიყვანე, მის უნახავად არ მომკლაო!.. — უცბად, თვალის უპეები აუწყლიანდა კახას.

— შენ და ცრემლი?!. — თვალებს არ დაუჯერა მეგიმ და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაუმატა: — კარგი, გადაეცი დედაშენს, რომ ხვალ 4 საათისთვის ვინახულებ...

— სად?.. ჩვენთან?.. — მეგის ასე ადვილად დათანხმებამ საბოლოოდ დაბნია კახა. თავად მეგის კი ამაზე მხოლოდ ირონიულად გაეღიმა:

— ისე, მე ნეიტრალურ ადგილზე მერჩივნა, მაგრამ რა გაეწყობა?!. ერთხელ კიდევ დავიბიჯებ გულზე და კარზე თავად მოგადგებით...

მეორე დღეს, მეგი ლოგინიდან დილაადრიან წამოხტა და ანდროსთან წასასვლელად თავი საგანგებოდ მოიწესრიგა. შემდეგ ტანსაცმლის კარადიდან რამდენიმე კაბა გამოიღო და სარკის წინ რიგრიგობით მოიზომა. საბოლოოდ, ყველაზე უფრო დეკოლტირებულსა და შემოტმასნილზე შეაჩერა არჩევანი და საკუთარი გამოსახულება სარკეში აშკარად კმაყოფილმა შეათვალიერა. თუმცა, მალევე მოიღუშა.

„რას აკეთებ?! — გულში შეუძახა საკუთარ თავს და კაბა სასწრაფოდ გაიხ-



ადა. — ციხეში პატიმრის სანახავად მიდიხარ თუ პაემანზე შეყვარებულთან?!. არც ერთთან და არც მეორესთან! — მაინც იპოვა ბოლოს გამოსავალი. — დღეს მე ჩემი შვილის გამზრდელის სანახავად მივდივარ...“ — მოულოდნელად გაუელვა თავში და ინსტიქტურად იქვე სკამზე ჩამოჯდა.

უცბად, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ ნერვიულად დააკაკუნა.

— ნეტავ, ეს ვინღა ეშმაკია ამ დილაუთენია?! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მეგიმ, კბებს კარადაში უხეშად შეუძახა, საშინაო ხალათი შემოიცვა და ჰოლში გავიდა. კარის გაღებამდე, ჩვეულებისამებრ, საჭვრეტელში გაიხედა და ხასიათი საბოლოოდ გაუფუჭდა: კართან თავდახრილი კახა იდგა.

მეგიმ საკეტები ერთიმეორის მიყოლებით გადაატრიალა და კარი ხმაურით გამოაღო. მის დანახვაზე კახა უცნაურად მოიბუზა:

— ხომ არ გაგაღვიძე?

— არა! — უხეშად მიახალა მეგიმ. — მაგრამ არ მესმის, ამ დილაადრიან რამ მოგიყვანა!..

— მაპატიე... — საათზე ახლაღა დაიხედა კახამ. — მთელი ღამე არ მიძინია და ეტყობა, დროის შეგრძნებაც დავკარგე...

— კარგი, შემოდი და ამიხსენი, რა მოხდა, — როგორც იქნა, განზე გადგა მეგი და დაუპატიჟებელი სტუმარი შინ შეუშვა.

— წუხელ... უფრო სწორად კი — გამთენიისას, დედაჩემი კინაღამ ხელიდან გამოგვეცალა... — უცბად, თვალების უპეები აუწყლიანდა კახას. — „სასწრაფოს“ ექიმებმა ძლივს გამოიყვანეს მდგომარეობიდან...

— რას მეუბნები?! — შეწუხდა მეგი. — ახლა როგორ არის?

— ახლა არა უშავს... როგორც კი მოიხედა, მაშინვე თავისთან მიმიხმო და შემომევედრა — ახლავე მომიყვანე მეგი, თორემ, შეიძლება, საღამომდე სული აღარც გამყვესო... — თავადაც მაევედრებელი თვალებით შეხედა კახამ მეგის.

— მესმის, მაგრამ... — დაიბნა მეგი. — ამ დილით რომ ანდრო სვანიძე მყავს სანახავი?.. უკვე გამომძიებელსაც ველაპარაკე...

— მეგი, ძალიან გთხოვ!.. — გააწყვეტინა კახამ. — რამე რომ მოხდეს, მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს, რომ მომაკვდავ დედას ბოლო თხოვნა ვერ შევუსრულე!..

— კარგი, კარგი!.. — ჰოლში ნერვიულად გაიარ-გამოიარა მეგიმ. — ერთ წუთს მაცალე და რაღაცს მოვიფიქრებ... ანდა, იცი, რა?.. დაბლა ჩადი და მანქანაში დამელოდე.

— კი... რა თქმა უნდა... ახლავე!.. — დაბნეული ბავშვივით ალუღლუღდა გახარებული კახა და სასწრაფოდ გარეთ გავარდა...

— მოიცა! — კიბესთან დაეწია მას მეგი. — არ დამელოდო!.. წადი და დედაშენს მიხედე. მე ტაქსით მოვალ.

— არ მომატყუებ?.. — გულუბრყვილოდ ჰკითხა კახამ.

— მატყუარები შენკენ მოიკითხე! — შეუღრინა გაღიზიანებულმა მეგიმ. — რადგან გითხარი, მოვალ-მეთქი,.. ესე იგი, მოვალ!..

კახას წასვლის შემდეგ, მეგიმ შემოსასვლელი კარი ჩაკეტა, საძინებელში შებრუნდა, კარადიდან ამჯერად მუქი ლურჯი პერანგი და გრძელი ქვედაბოლო გამოიღო და სწრაფად ჩაიცვა. „ხუმრობა ხომ არ არის?!. — გულში ნელ-ნელა იბოღმებოდა სარკის წინ მდგარი მეგი. — ჩემი ნახვა თავად მარიკა პერტაიამ ინება!.. მართალია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ დღეები დათვლილი აქვს, მაგრამ ჩემთვის ხომ ესეც დიდი პატივი უნდა იყოს!.. დარწმუნებული ვარ, თავად სწორედ ასე ფიქრობს!.. მაგრამ რაც უნდა, ის იფიქროს! ახლა ჩემი ჯერი დგება!.. ჰოდა, ვნახოთ ერთი, ეყოფა ქალბატონს გამბედაობა, ბოლოს და ბოლოს, მეტყვის თუ არა სიმართლეს?!.“

ერთი საათის შემდეგ მეგი უკვე სუთიძეების ბინის კართან იდგა და ნაცნობ ზარის ღილაკს დაბნეული ათვალიერებდა. „დარეკე, რაღას უცდი!“ — შეუღრინა უცბად გულში საკუთარ თავს და ზარის ღილაკს გამეტებით დააჭირა თითი.

ბინის კარი სწრაფად გაიღო და ზღურბლზე უცნაურად სახეგაცისკროვნებული კახა გამოჩნდა.

— არ მესმის, ასე სწრაფად რამ გაგაბედნიერა?.. — გაღიზიანება ვეღარ დაფარა მეგიმ. — ერთი საათის წინ ხომ ჩემი სახლიდან ცოცხალმკვდარი გამოგისტუმრე?!

— შენმა მოსვლამ, საყვარელო!.. — პირზე ნაძალადევი ღიმილი მაინც არ მოიშორა კახამ. — თორემ, მეტი გასახარი ამ ოჯახში კარგა ხანია, აღარაფერი ხდება... მობრძანდი!

მეგიმ კარის ზღურბლს მძიმედ გადაბიჯა. კახა კი მას მაშინვე შუა ოთახში შეუძღვა.

— სადაც გენებოს, იქ დაბრძანდი. მე კი ახლავე დედაჩემს მოვიყვან! — ოთახიდან სწრაფად გავარდა კახა.

მეგიმ მას გაკვირვებული მზერა გააყოლა, შემდეგ ჟურნალების მაგიდასთან მდგარი ორი სავარძლიდან ერთ-ერთში ფრთხილად ჩაჯდა და ოთახს ფარული მზერა მოავლო.

საქართველოში ჩავლილ სამოქალაქო ომსა და შემდგომი ნგრევის ათწლეულს სუთიძეების ქონებისთვის პრაქტიკულად ვერაფერი დაეკლო. ოთახის კედლები ისევ ძვირფასი ტილოებით იყო მოფენილი, კარადა — ძვირად ღირებული საუცხოო ჭურჭლით გამოტენილი, ძველებური გერმანული როიალის თავზე კი, მინიატურული ანტიკვარული ქანდაკებებიც ისევ ისე იწონებდა თავს... „სწორედ ამათზეა ნათქვამი — ქვეყანა ინგრეოდა და ტურა ქორწილსა შვრებოდაო... — გაიფიქრა დაბოღმილმა მეგიმ. — ადამიანების უმეტესობამ პურის ფულისთვის ოჯახებიდან უკანასკნელი ნივთებიც კი გაიტანა გასაყიდად, ამათ კი, ადრე ნაგროვები ქონებისთვის მგონი, ახალი ნაძარცვიც შეუმატებიათ...“

ეს უსიამოვნო ფიქრი კიდევ უფრო უსიამოვნო ჭრიალმა გააწყვეტინა. მეგიმ მაშინვე კარისკენ მიიხედა და გაშეშდა: ინვალიდის ეტლში, რომელსაც კახა ფრთხილად მოაგორებდა, ერთ დროს ულამაზესი, ახლა კი, უკურნებელი სენისგან დაუნდობლად „გამოხრული“ მარიკა პერტაია იჯდა და ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდა მეგის. დედა-შვილის ამ უცნაური მსვლელობის შემხედვარე მეგი ფეხზე სწრაფად წამოხტა.

— დაჯექი, საყვარელო, დაჯექი! — მისუსტებული ხმით უთხრა მარიკამ და შემდეგ, შვილს ახედა: — მეც სავარძელში ჩამსვი, მეგის პირდაპირ... მერე კი, აქედან მოუსვი!..

გაგრძელება იქნება

შოთა მილორავა, გოგი ცაბაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი და ვაჟა აზარაშვილი

60-70-იან წლებში პოპულარული სიმღერების — „ყვავილებში დამეკარგე“, „ოქროსვარსკვლავიანო“, „ისევ ის ბალი“ — 33 ოპერეტის, და მარინა ვლადიზე დაწერილი სიმღერა „ჯადოქრის“ ავტორის, შოთა მილორავას გასახსენებლად მის ცოლ-შვილს ვესტუმრეთ. მეუღლის — ლამარა მილორავასა და ქალიშვილის — ბაია მილორავას მოგონებები, დიდი შემოქმედისა და არაჩვეულებრივი პიროვნების პორტრეტის შტრიხებს გადმოგვცემს.

მაჩინა ვლადის ბაქტიჭოვა,

ედუარდ შევარდნაძის ფეხქვეშეე შვილი და...

XX საუკუნის სიმღერა

ნუცა თოფჩიშვილი

ქალბატონი ბაია:

— მამა მუსიკალურ ოჯახში იზრდებოდა. დედა და დედის ძმა — ნინო და ვასო შარაშიძეები მომღერლები იყვნენ. ვასო შარაშიძე მოსკოვში, დიდი თეატრის, ოდესის და კიევის საოპერო თეატრების მომღერალი გახლდათ, ნინო კი, ავქსენტი მეგრელიძის ქალთა გუნდში მღეროდა. როდესაც კოტე ფოცხვერაშვილმა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ჩამოაყალიბა, ვინაიდან მამას კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონდა, ბებიაჩემმა ამ ანსამბლში მიიყვანა. ასე აღმოჩნდა ქალებს შორის ერთი პატარა ბიჭი, რომელიც ჩონგურზე უკრავდა. ერთერთ კონცერტზე გამოაცხადეს — ახლა ვუნდერკინდი მუსიკოსი დაუკრავსო,— და 6 წლის მამა ანსამბლის წევრებმა ხელში აყვანილი გამოიყვანეს. თან დარბაზი გააფრთხილეს — ტაში არ დაუკრათ, პირველად გამოდის და არ შეშინდესო... მერვეკლასელმა შოთა მილორავამ ჩონგურზე დაკვრით აღებული პირველი ხელფასით მამამისს კოსტიუმი უყიდა. იმავე წელს, პიონერთა ბანაკში ყოფნისას, მარში დაწერა და მთელი ბანაკი ამ მუსიკით იღვიძებდა...

მუსიკალური სკოლის დამთავრების შემდეგ, მუსიკალურ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. 25-ე (ახლანდელ 53-ე) სკოლაში სწავლისას, ოპერა დაწერა. მისი კლასელები იხსენებენ — ყველას ჩვენ-ჩვენი პარტია მოგვცა და გვამღერებდაო. დამრიგებელი ჰყავდათ — ნინო მასწავლებელი, რომელთანაც ყოველ 27 იანვარს, მისი სიკვდილის ბოლომდე დადიოდა და პეტრე გრუზინსკის ტექსტზე დაწერილი „სიმღერა მასწავლებელზე“ სწორედ მას მიუძღვნა. მამა, გარდა იმისა, რომ მუსიკალურ ნაწარმოებებს წერდა, არაჩვეულებრივად უკრავდა, მაგრამ ხელის ტკივილი აწუხებდა, ამიტომ საფორტეპიანოს ნაცვლად, კონსერვატორიაში საკომპოზიტორო ფაკულტეტზე ჩააბარა. მისი პედაგოგი ანდრია ბალანჩივაძე იყო.

— რომელი ნაწარმოებით დაიწყო მისი პროფესიონალური კარიერა?

— იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო მარეხ გოძიაშვილის ტრიო. მამა ძირითადად მისთვის წერდა. დიდი წარმატება ხვდა წილად სიმღერებს: „ყვავილებში დამეკარგე“, მარეხ გოძიაშვილის შესრულებით, „ჩემო კარგო“, რომელსაც არაჩვეულებრივად ასრულებდა გიული ჩოხელი და ძაგნიძის და ჩხიკვაძის დუეტის აჟღერებული „ოქროსვარსკვლავიანო“. ჩემდა გასაოცრად და სამწუხაროდ, ამ პოპულარული სიმღერების ნოტები არ შემორჩენილა. როცა მარეხს მივმართე, ასე ამიხსნა: მივიდოდით ტრიოს წევრები შოთასთან, ერთ ოთახში პეტრე გრუზინსკი ლექსს წერდა, მეორეში შოთა ინსტრუმენტს მიუჯდებოდა; შეთხზავდნენ სიმღერას, ჩვენ ინსტრუმენტზე ავაწყობდით და ახალი სიმღერაც იბადებოდაო... ასე რომ, უამრავი სიმღერა, ნოტების ნაცვლად, მხოლოდ კასეტაზე ჩაწერილი სახით დაგვრჩა.

— ქალბატონო ლამარა, როგორია მარინა ვლადიზე დაწერილი სიმღერის — „ჯადოქარი“ — შექმნის ისტორია?

— 1964 წელს იტალიაში წავედით სამოგზაუროდ. მოსკოვიდან მივფრინავდით. იმ წელს მოსკოვის კინოფესტივალში მარინა ვლადი მონაწილეობდა და ჩვენს სალონში მოხვდა. თვითმფრინავი რომ აფრინდა, სტიუარდესამ ადუღებული წყალი გადაისხა. დამწვრობა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ეკიპაჟი იძულებული გახდა, უკან, მოსკოვის აეროპორტში დაბრუნებულიყო. მარინა ვლადის ჩანთაში მალამოები და წამლები აღმოაჩნდა. სანამ დავფრინდებოდით, ეცა სტიუარდესას, გააშიშვლა და უმკურნალა. მე და შოთაც ვეხმარებოდით: შოთაზე მარინას ასეთმა აქტიურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იტალიაში რომ ჩავედით, აღმოჩნდა, რომ მარინას ჩანთები დაიკარგა და ქუჩაში უფულოდ დარჩა. შოთა ამბობდა — რა დროს არა მაქვს ფული, მარინა რომ დავპატიჟოო?! მოგეხსენებათ, მაშინ საბჭოთა ტურისტებს ე.წ. კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთ გროშებს აძლევდნენ, ტაქსის დაქირავებასაც არ ეყოფოდა. უცხოელებთან ხომ ლაპარაკიც აკრძალული გვქონდა!.. თბილისში რომ დავბრუნდით, ამ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა შოთამ პეტრე გრუზინსკისა და ლევან ჭუბაბრიას ტექსტზე დაწერა სიმღერა „ჯადოქარი“.

— თავად კინოვარსკვლავმა თუ შეიტყო ამ სიმღერის ამბავი?

— შეიტყო. მოსკოვში ანსამბლ „ორერას“ გასტროლების დროს, ნანი ბრეგვაძეს შეხვდა და უთხრა: გავიგე, ჩემზე სიმღერა დაწერილაო, — და ნოტები სთხოვა, მაგრამ სამწუხაროდ, ნანის ნოტები არ ჰქონდა.

— როგორც ცნობილია, ბატონი შოთა ნაყოფიერად მუშაობდა მუსკომედიის თეატრში. სულ რამდენი ოპერეტის ავტორია?

— 33 ოპერეტა დაწერა. მათგან გამორჩეულად უყვარდა „სიმღერა თბილისზე“, რომელიც თბილისის 1500 წლისთავს

მიუძღვნა. სხვათა შორის, ამ ოპერეტა-შია სიმღერა – „ისევ ის ბაღი“, რომელ-იც ლიბრეტოს ავტორის ლევან ჭუბაბრიას დიდი მონდომების შედეგად, შოთამ მერე ცალკე ააჟღერა და ნანი ბრეგვაძის შეს-რულებით ძალიან პოპულარული გახდა – 2002 წელს, იგი XX საუკუნის სიმ-ღერად აღიარეს. მუსკომედიის თეატრი შოთას მეორე სახლი იყო. მართალია, რეპეტიციებზე ისეთი მკაცრი იყო, რომ ორკესტრანტებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ სამაგიეროდ ყველას პატრონი და გულშემატკივარი გახლ-დათ. შინამდე ხელფასის მესამედი თუ მოჰყვებოდა, დანარჩენს რიგში ჩამდგარ თანამშრომლებს ასესხებდა ხოლმე. უარს არავის ეუბნებოდა. მთელ ორკესტრსა და დასს შინ ვერ დაპატიჟებდა – ვერ დაეტეოდნენ, ამიტომ ყოველი პრემიერის შემდეგ, პურმარილს ვამზადებდი და თე-ატრში მიმქონდა.

— გარდა შემოქმედებისა, ბა-ტონი შოთა კონსერვატორიაში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეო-და...

ქალბატონი ბაია:

– მისი პედაგოგი შალვა მშველიძე გახლდათ, რომელსაც მამა ძალიან ემად-ლიერებოდა: მან მასწავლა ყველაფერი და განსაკუთრებით, შრომისმოყვარეობაო, – ამბობდა. შალვა როგორც პედაგოგი, დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა, უცოდ-ინარს ნიშანს არ დაუწერდა. ასეთი იყო მამაც. მის სტუდენტებს თითო სემეს-ტრში 5 პარტიტურა უნდა მოემზადები-ნათ. სანამ არ ისწავლიდნენ, ნიშანს არ წერდა. მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, არც ერთ მის მოსწავლეს 5-ზე ნაკლები არ მიუღია. თურმე, მანანა შევარდნაძე *(პროფესიით მუსიკისმცოდნეა. – ავტ.)* მისი სტუდენტი ყოფილა. ეს ჩვენ არ ვიცოდით. ერთხელ, ნანული შევარდნაძემ დედას დაურეკა და სთხოვა: მანანა 8 თვის ფეხმძიმეა, წითელ დიპლომს იღებს, ხუთიანი უნდა, შოთა კი ნიშანს არ უწერს; ალბათ არ იცის, ედუარდის შვილი რომ არის (მაშინ შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი იყო), თორემ ხომ დაუწერდაო?!. დედამ უთხრა – როგორ არ იცის, მაგრამ შოთა ხუთიანს ისე არ დაწერს, თუ სტუდენტმა საგანი არ მოამზადა; ასწავლის და აუცილე-ბლად დაუწერსო. მამა შინ რომ მოვიდა, ვეცით და ვეუბნებით: ჯერ ერთი, ფეხმძ-იმედაა, მერე – ცეკას პირველი მდივნის შვილია და დაუწერე ხუთიანი-თქო. – რას ლაპარაკობთ? ედუარდ შევარდნაძე რომ შემხვდეს და თავისი შვილის ამ-ბავი მკითხოს, რა ვუთხრა – არ იცოდა შენმა შვილმა და ხუთიანი დავუწერე-მეთქიო?.. მოკლედ, სანამ ხუთივე პარ-ტიტურა არ ასწავლა, ფრიადი არ დაუ-წერა... ვატო კახიძეც მისი სტუდენტი იყო. მამას ძალიან უყვარდა და უნი-ჭიერეს მუსიკოსადაც თვლიდა. ერთხ-ელ ვატომ მითხრა, მოსკოვის კონსერვა-ტორიაში რომ წავედი სასწავლებლად, სულ მეშინოდა, თბილისის კონსერვატო-რიაში ნასწავლი, იქ არ დავჩაგრულიყავი, მაგრამ კურსზე პარტიტურის კითხვაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავიო...

— ბატონი შოთა უხვად იყო დაჯილდოებული იუმორის გრძნო-ბით და ასეთივე მეგობრებიც ჰყავდა. იქნებ, გაიხსენოთ ერთი ამბავი მაინც.

ქალბატონი ლამარა:

– თანამედროვე მუსიკის ახალგაზრ-და კომპოზიტორების კონცერტზე იყო წასული. შინ რომ დაბრუნდა, ვეკითხები – როგორ მოგეწონა-მეთქი? გაიქცა მე-ორე ოთახში – გავყევი, ისევ გამექცა... ბოლოს, კაბინეტში „დავიჭირე“; არ ვეშ-ვები, პასუხს ვთხოვ. მომიბრუნდა და მითხრა: რატომ არის დარბაზები ცარი-ელი? იმიტომ, რომ აღარა გვყავს მოცარ-ტი და სალიერიო... როგორც ჩანს, არ მოეწონა, ცუდის თქმა კი არავისზე არ უყვარდა და ასე გამოხატა თავისი აზრი. დიდი მეგობრობა აკავშირებდა რევაზ ლაღიძესთან. გარდა იმისა, რომ ერთ კორპუსში ვცხოვრობდით, რეზო ჩვენი ვაჟის ტუკიას (რეზოს) ნათლიაც იყო. ნადირობა უყვარდა ძალიან. ერთხელ, კოსტიუმში გამოწყობილი ბიძინა კვერ-ნაძე და შოთა ეზოში ჩავიდნენ და სან-ადიროდ გამზადებული რეზო დახვდათ. – დაჯექი, შოთა, მანქანაში და ჩვენთან ერთად წამოდიო, – უთხრეს პეტრე გრუზ-ინსკიმ და მისმა ბიძამ, ცნობილმა მონა-დირემ. შოთა უარზე იყო – ასე სად წამოვიდეო? – მაგრამ მაინც დაიყოლია რეზომ. წითელი ხიდით აზერბაიჯანში გადავიდნენ, ადგილზე მივიდნენ და საშინე-ლი წვიმაა. რეზო ეუბნება – გადმოდიო. – სად გადმოვიდე ამ ტალახშიო?! პე-ტრემ ორი თოფი მიაწოდა: თუ დათვი მოგადგათ, ეს თოფი ესროლეთ, თუ მგე-ლი – ეს თოფიო. – რაო? დათვი და მგელიო?! – და შოთაც და ბიძინაც, ორივენი გადმოცვივდნენ მანქანიდან...

ქალბატონი ბაია:

– მამამ მოსკოვში კონკურსზე სამი სიმღერა გაგზავნა. ჩვენ ეს არ ვიცოდით. ერთხელ რეკავს ტელეფონი და მამაკა-ცი რუსულად გვეუბნება: ტიხონ ხრენი-კოვის *(საბჭოთა კავშირის კომპოზიტორ-თა კავშირის თავმჯდომარე. – ავტ.)* დავალებით ვრეკავ, შოთას სიმღერა პირვე-ლი პრემიით დაჯილდოვდაო. შინ დაბ-რუნებულ მამას ახალი ამბავი ვახარეთ. ნახევარი საათი არ არის გასული და ისევ რეკავს ტელეფონი. მამამ აიღო ყურმილი და მამაკაცი რუსულად ეუბ-ნება: ტიხონ ხრენიკოვის დავალებით ვრეკავ, თქვენმა ორმა სიმღერამ მეორე და მესამე პრემია მიიღო. მამა ეუბნება – ... და პირველიცო. – არა, ამის შესახ-ებ არაფერი ვიცითო. თურმე, რა მომხ-დარა: ნათესავი გვყავდა, ბორია დემე-ტრაძე. მამასთან შეხუმრებული იყო და პირველად იმას დაურეკავს... მორის ფოცხიშვილთან უყვარდა მუშაობა. ერთხ-ელ კონკურსზე სიმღერა უნდა წარედგ-ინათ. დრო 12 საათამდე ჰქონდათ. გაუარა მამამ მორისს ტაქსით. მორისი წინ ჩა-ჯდა, მამა უკან ზის, მუხლებზე სანოტო ფურცლები აქვს გაშლილი და სიმღე-რის წერას ამთავრებს. თავისთვის გაიძა-ხის – „ცუმ, ცუმ, ცუმ...“ გაოგნებული ტაქსის მძღოლი უკან აპარებს თვალს. მამა კი უცებ შეხტება, რაღაცას წაიმღ-ერებს და წერას აგრძელებს. მორისი მიუბრუნდა ტაქსის მძღოლს და ეუბნება – ნუ გეშინია, ხალხს არ ერჩის – თავისთვის ზის ხოლმე და ასე იძახისო.

— ხელოვანი ადამიანების უმე-

დიდი მეგობრობა აკავშირებდა რევაზ ლაღიძესთან (მარცხნიდან: შოთა მილორავა, არჩილ კერესელიძე, რევაზ ლაღიძე)

ტესტი ერუდიციაზე

1. ვინ შეასრულა თარაშ ემხვარის როლი მხ/ფ-ში „მთვარის მოტაცება“?

ა) ოთარ მეღვინეთუხუცესმა;
ბ) გეიდარ ფალავანდიშვილმა;
გ) ირაკლი უჩანეიშვილმა.

2. რისგან ამზადებდნენ თავდაპირველად გიტარის სიმებს?

ა) თმის ღერებისგან;
ბ) ნაწლავებისგან;
გ) მატყლისგან.

3. ტალეირანი ამბობდა: „ყავა ჯოჯოხეთივით ცხელი უნდა იყოს, ტარტაროზივით შავი, ანგელოზივით წმინდა და... ტკბილი“. რომელია გამოტოვებული სიტყვა?

ა) თაფლივით;
ბ) სიყვარულივით;
გ) დედასავით.

4. 1953 წელს ინგლისელებმა მასობრივად დაიწყეს ტელევიზორების შეძენა. რა იყო ამის მიზეზი?

ა) ამ წელს პირველად გამოვიდა ფერადი ტელევიზორები;
ბ) ამ წელს გადაიღეს პირველი სატელევიზიო ფილმი შერლოკ ჰოლმსის შესახებ;
გ) სურდათ, ელისაბედ მეორის მეფედ კურთხევა ეხილათ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

შოთა მილორავა, ქალიშვილთან ბაიასთან (მარცხნივ), მეუღლესთან – ქალბაგონ ლამარასთან (მარცხნიდან მეორე) შვილიშვილებთან და დასთან ბარბალესთან ერთად

ტესობა ოჯახში მძიმე ხასიათით არის ცნობილი. ბატონი შოთა როგორი მეუღლე და მამა იყო?

ქალბატონი ლამარა:

– ერთადერთი, რასაც ითხოვდა, ოჯახში ხმამაღალი ლაპარაკი არ ყოფილიყო. საკმარისი იყო, ბავშვებს გავჯავრებოდი, მაშინვე შენიშვნას მაძლევდა – როგორ შეიძლება, ბავშვებს უყვიროო?!. როცა ტუკიაზე შევჩივლებდი – რაღაც დააშავა-მეთქი, – შევიდოდა კაბინეტში და რაღაცის წერას იწყებდა. მერე ვნახავდი ტუკიას ფეხსაცმელში ჩადებულ წერილს, სადაც თბილი სიტყვებით ჭკუას არიგებდა, სთხოვდა, გაკვეთილები არ გაეცდინა, კარგად მოქცეულიყო...

ქალბატონი ბაია:

– როგორც ყველას, ჩვენც გვიჭირდა დილით, სკოლაში წასვლის წინ გაღვიძება. დედა რომ სთხოვდა – გააღვიძე ბავშვებიო, – შემოვიდოდა და გვიყურებდა; მერე გავიდოდა და დედას ეტყოდა – სძინავთ და ვერ გავაღვიძებო... თან ამატებდა – ძილი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოაო. შვილიშვილებზე დიდი ამაგი ჰქონდა. ჩემი შვილი გიორგი და ძმისშვილი მიხო პატარები რომ იყვნენ, მამას ჰკითხეს – ბაბუ, სტალინი უფრო ცუდი იყო თუ ლენინიო? მამამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა – არ მოვსწრებივარ და არ ვიცი. ბავშვები რომ გავიდნენ, მისაყვედურა – ბავშვებს სიძულვილს რატომ ასწავლით? რა იციან მაგათ სტალინი და ლენინი? ეტყობა, მათი თანდასწრებით ლანძღავთ, გაიზრდებიან და თავად გაარკვევენ, ვინ ვინ იყოო...

— ბატონ შოთას ქეიფი თუ უყვარდა?

– მამას ძალიან უყვარდა მეგობრებთან ყოფნა. საძმო შექმნეს, კოკა გუდიაშვილმა, მამია ჩორგოლაშვილმა, ვაჟა აზარაშვილმა, მორის ფოცხიშვილმა და მამამ. დათქმული ჰქონდათ დღეები – იკრიბებოდნენ და ქეიფობდნენ. განსაკუთრებით უყვარდა კლასელებთან ყოფნა. ხშირად უხდებოდა თამადობა. ერთხელ ორმა მეგობარმა სთხოვა თამადობა. უარი ვერც ერთს ვერ უთხრა და სხვადასხვა ადგილზე გაშლილ ორ სუფრას უთამადა: ერთ სუფრაზე სადღეგრძელოს რომ იტყოდა, ტაქსით მეორე სუფრისკენ მიიჩქაროდა და იქ ამბობდა სადღეგრძელოს... ისე დამთავრდა ორივე სუფრა, ვერავინ ვერაფერი გაიგო. საერთოდ, სულ ეჩქარებოდა და ამიტომ ტაქსით დადიოდა. ერთხელ მეზობლის ბავშვმა თქვა – შოთა ბიძიამ ტაქსი იყიდაო...

— მისი სიცოცხლის ბოლო დღეებს ხომ ვერ გაიხსენებთ?

– შურის გრძნობა საერთოდ არ ჰქონდა. ახალგაზრდა იქნებოდა თუ მისი ტოლი, მნიშვნელობა არ ჰქონდა – თუ კარგი იყო, ყველანაირად აღიარებდა. სიკვდილის ბოლო დღეებში, ინსტრუმენტზე გუგული თორაძის ბალეტ „გორდას“ ნოტები ჰქონდა გაშლილი. ამ ნაწარმოებს მთელი კვირა უკრავდა და სულ გაიძახოდა – გუგული გენიოსი იყო, დაუფასებელი წავიდა ამ ქვეყნიდანო...

— ბატონი შოთას შემოქმედებაც ხომ არაა ცოტა მივიწყებული? როგორ მიგაჩნიათ?

– ცხოვრებამ ასე მოიტანა: ქვეყანა არეული იყო, ხელოვნებისთვის არავის ეცალა. კომპოზიტორთა კავშირმა ორჯერ მოუწყო შემოქმედებითი საღამო. ახლა 80 წელი უსრულდება და ალბათ, გაიხსენებენ. მაგრამ ჩვენი ბრალიცაა – მამაჩემის არც ფირფიტა და არც საესტრადო სიმღერების კრებული არ არსებობს. თვითონაც არ აქცევდა ამას ყურადღებას. რომ გარდაიცვალა, ტელევიზიაში მისი სიმღერები კასეტაზე ჩამიწერეს და მხოლოდ ეს დამრჩა.

■

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ №32

ამერიკული სამთავრობო ინსტრუქციის ტყვეობიდან ვაშინგტონელი მშვენიერი მირანდას ტყვეობამდე...

„მოგზაურის დღიურებმა“ მგონი, პოპულარულიც გამხადა. რამდენჯერმე ბაზარში მიცნეს, ერთხელ ბენზინი უფასოდ ჩამისხეს — „კოლეგა“ ხარ, ამერიკაში მძღოლად გიმუშავიაო... უბნის ბიჭები მთხოვენ, მეტი დაწერე ამერიკელ გოგონებზეო... ახლახან ერთი ძველი უბნელი შემხვდა, მისაყვედურა: დავიჯერო, ცნობილ პიროვნებებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეხვედრიხარ? დაწერე მათზე, მაგრად მაინტერესებსო...

სამწუხაროდ, ამერიკაში ცნობილი და პოპულარული ადამიანებისთვის შორიდან თუ მომიკრავს თვალი. ერთადერთი, სენატორი ჯეფრი კერი გახლდათ, რომელთან შეხვედრაც, როგორც გახსოვთ, იმით შემოიფარგლა, რომ მისი ტვირთი ტრაილერით ქალაქ შარლოტიდან ვაშინგტონში გადავიტანე...

აკაკი გეგენავა

დაცვის ბიჭებთან ერთად

ჩემი ტრაილერი სენატორის სახლთან ისე დაიტვირთა, რომ კაბინიდან ჩამოსვლის უფლებაც კი არ მომცეს. დაცვის ერთ-ერთი წევრი, შავკანიანი ჯონი გვერდით მომიჯდა და მანიშნა, დაცვის მანქანას გავყოლოდი. ამ ავტომობილს სპეციალური ციმციმა ჰქონდა ჩართული და ამით წინ მიმავალ ტრანსპორტს ანიშნებდა, გზა დაეთმო ჩვენთვის. თუმცა, დიდი სიჩქარით არ მივდიოდით. ერთხანს, არაფრად ჩამიგდია, გზის „გამკვალავი“ რომ მიმიძღოდა წინ. მერე და მერე გავღიზიანდი. როგორია? — გინდა თუ არ გინდა, სხვის ნებაზე უნდა იარო! არადა, ყოველთვის დიდი სიჩქარით დავაქროლებლდი ტრაილერს, ახლა კი მეგონა, კუც გამისწრებდა. ლამის სუნთქვა შემეკრა. ვეღარ მოვითმინე და ჩემს იძულებით თანამგზავრს შევჩივლე:

— ასე ნელა არასოდეს მივლია. ასეთი ტემპით ვაშინგტონში როდის ჩავაღწევთ?..

— რას იზამ? ამას ინსტრუქცია მოითხოვს. წესდებას ვერ დავარღვევთ... — მიპასუხა აუღელვებლად ჯონმა და რადიოიმიმღებისკენ წაიღო ხელი, სასურველი პროგრამა რომ მოეძებნა. ეტყობა, ამით აპირებდა ჩემს ხასიათზე მოყვანას.

— დიდი ხანია, კერის დაცვაში მუშაობ?.. — ვკითხე.

— მას შემდეგ, რაც ჯეფრი კერი ვირჯინიის შტატის სენატორი გახდა. შეიძლება ითქვას, დავმეგობრდით კიდეც... — ამაყად მიპასუხა ჯონმა და განმიმარტა, რომ მისი მოვალეობა სენატორის ოჯახის დაცვაა...

— სენატორი ავტომანქანით წამოვა?

— არა, ნახევარ საათში ვერტმფრენით გამოემგზავრება ოჯახთან ერთად. ვაშინგტონში რომ ჩავალთ, ისინი იქ დაგვხვდებიან.

— შენი ოჯახი სად იქნება, ჯონ? — სხვა „ტალღაზე“ გადვიტანე შეკითხვები.

— შენ რა ყველაფერი გაინტერესებს, რას აპირებ? — როგორც ჩანს, ჯონი გამეხუმრა, მე კი ეს სერიოზულად მივიღე და ჯონს განვუმარტე, — ავი განზრახვით არ მიკითხავს-მეთქი.

ჩემმა სიტყვებმა სენატორის მცველი გვარიანად გაამხიარულა. — ნუ ნერვიულობო, — დამამშვიდა, — რომც გინდოდეს, მაინც არაფერი გამოგივა, სრული კონტროლის ქვეშ გვყავხარო. მცველმა ეს საქმითაც დაადასტურა — საუზმის დრო რომ დადგა, მანქანა გამაჩერებინეს, მაგრამ კაბინიდან ჩამოსვლის უფლება არ მომცეს. კაფედან ჰამბურგერები და წვენები მომიტანეს. ბოდიშიც არ მოუხდიათ, — ჩვენი დაცვის ქვეშ იმყოფები და ასეა საჭიროო...

ხოლო როცა ტუალეტში წასვლა მოვითხოვე, დაცვის ორი ბიჭი ამომიდგა აქეთ-იქიდან. მართალია, ძალზე უხერხულ სიტუაციაშიც აღმოვჩნდი, მაგრამ თურმე ამასაც „წესდება“ ითვალისწინებდა.

ერთი სიტყვით, ჩემს (უფრო სწორად, სენატორის) დაცვას უყურადღებოდ არც ერთ მომენტში არ დავუტოვებივარ. თითოეულ წვრილმანსაც კი აკვირდებოდნენ. ნამდვილად არ მეგონა, ასეთი საშიში თუ ვიქნებოდი სენატორისთვის და ამ კითხვით ჯონს მივმართე.

— არა, საშიში ნამდვილად არა ხარ, მაგრამ ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ამაში გვიხდიან ფულს. მოითმინე, ვაშინგტონში ჩავალთ და მერე ჩიტივით თავისუფალი იქნები...

— მანამდე ხომ სული ამომხდა! — წამოვიყვირე ეშაფოტზე ასაყვანი უდანაშაულო კაცივით...

რაც მართალია, მართალია, ასე შებოჭილად თავი ცხოვრებაში არ მიგრძნია. ერთბაშად ყველაფრის ხალისი დავკარგე, თითქოს ლაპარაკის უნარიც წამერთვა. დაძაბული ვეჯექი საჭეს და ხმას არ ვიღებდი.

— რა მოხდა, აკაკი, აღარაფერი გაინტერესებს?! — ჯონი აშკარად შეაშფოთა ჩემმა სიჩუმემ — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მთელი ხუთი საათი ისე გავიდა, ხმა არ ამომიღია...

— რა ვიცი, რაღაც ვერა ვარ ხასიათზე... — უფრო ჩემთვის ჩავილაპარაკე.

— მიდი, ნუ გერიდება, მკითხე, რაც გინდა, თორემ ამხელა გზაზე შეიძლება ჩაგვეძინოს... — ისევ თავის თავს დარდობდა ჯონი (რომ ჩასძინებოდა, ვერ გამაკონტროლებდა). მაგრამ მეც მომბეზრდა დუმილი და „დაკითხვა“ განვაგრძე:

— ჯონ, მოგწონს შენი სამსახური?

— ცუდი არ არის. უბრალოდ, ბევრი დრო მიაქვს. ოჯახში იშვიათად მიწევს ყოფნა.

— სამაგიეროდ, შენი სენატორი თუ პრეზიდენტი გახდა, მაგრად გაგიმართლებს...

— ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია!

რომელიც თან არსებობს რეალობაში, თან – არა... ეს არის ქალი-მირაჟი, რომელიც შევეცადე, თანამედროვე პერსონაჟად მექცია... გამოფენის საიმიჯო ფოტოებია „მარლენ დიტრიხის სერია"; მისი გმირი ულამაზესი ქალბატონი, კომპოზიტორი დალი ჩიტალაძე გახლავთ, რომელიც 10 წელი ამერიკაში ცხოვრობდა. მას ასაკი არ ეტყობა და რაც ვიცნობ, სულ ასეთი მომხიბვლელია. მე მის შინაგან სილამაზეს თაყვანს ვცემ. ის ძალიან დახვეწილია. ყოველთვის იცის, როგორ უნდა ჩაიცვას და როგორ წარმოადგინოს საზოგადოებაში საკუთარი თავი. მისი გარდერობი ჩემთვის ხელოვნების ნიმუშივითაა. „კრისტიან დიორის სილუეტის" სერიის გმირიც ეს ქალბატონი გახლავთ. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ დალი ჩემი მუზაა. გამოფენაზე ასევე წარმოვადგინე „ეკატერინე ჭავჭავაძის სერია", რომელიც მის სახლ-მუზეუმში, ზუგდიდშია გადაღებული. ამ ფოტოების გმირები, მოდელები – კრისტი ყიფშიძე და სოფო ხუბერაშვილი არიან. მათი კოსტიუმები სპეციალურად ამ გადაღებისთვის შეიქმნა. კიდევ მაქვს შეყვარებული ბავშვების ფოტოები, რომლებიც მისალოცი ბარათის სტილისაა და ისინიც რეტროა. ვერნისაჟზე წარმოდგენილი მაქვს აგრეთვე ირინა ონაშვილის საკმაოდ ცნობილი ფოტოების სერია, სადაც მას აბსოლუტურად განსხვავებული იმიჯი აქვს. მაშინ მას ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობდა, რადგან „მის საქართველოს" ტიტულს ჯერ არ ფლობდა. ჩემი 4 წლის ბიჭის ფოტოებიც მაქვს – ის ანგელოზის სახით წარმოგვიდგება.

— გამოფენაზე წარმოდგენილი სერიების გარდა, სხვა სტილის ფოტოებზე თუ მუშაობ?

– რა თქმა უნდა. გადავიღე ქეთა თოფურიას, მარიკა თხელიძის და სხვა მომღერლების აუდიოალბომებისთვის განკუთვნილი სერია. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გამოვიდა. მაგრამ გასული საუკუნის ქალბატონების სილამაზის წინ წამოწევა, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი თემაა. სხვათა შორის, ასეთი სტილის ფოტოები მთელ მსოფლიოში მოდაშია. თუმცა მათი გადაღება ყველაზე რთულია, რადგან მათზე მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინო, რომ მაკიაჟი, ჩაცმულობა, სტილი და აქსესუარები ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ერთიმეორეს. თუ ამას ვერ მიაღწიე, ისეთ ნამუშევარს ვერ მიიღებ, როგორიც ჩაფიქრებული გაქვს. საქართველოში მხატვრული ფოტოგრაფიის სკოლა არ გვაქვს. აქ ეს ხელოვნება არ ისწავლება და არც დაფასებულია სათანადოდ. მოდელი ან შემკვეთი, რომელსაც მხატვრული ფოტოების გადაღება სურს, იმდენს არ იხდის, რამდენიც საჭიროა, ამიტომ შეუძლებელია, რომ ფოტოგრაფს სამუშაო ჯგუფი ჰყავდეს, ის იძულებულია, სტილისტისა და ვიზაჟისტის ფუნქციებიც თავად შეითავსოს. მას მრავალმხრივი ნიჭი უნდა ჰქონდეს, რათა სხვისი დაქირავება არ დასჭირდეს, რადგან შემოსული თანხა ყველაფერს ვერ გასწვდება. ამის გამო, მეც მარტო ვუმკლავდები ამ რთულ საქმიანობას...

— როგორც ვიცი, ეს შენი პირველი პერსონალური გამოფენაა. ფოტოხელოვნებას კი უკვე კარგა ხანია მისდევ...

– საერთოდ, ბევრ გამოფენაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ეს ჩემი პირველი პერსონალური პროექტია. უკვე 10 წელია, ფოტოხელოვანი ვარ. ვფიქრობდი, რომ მომზადების პროცესისთვის უფრო მეტი დრო უნდა დამეთმო, რათა იდეა და პროექტი კარგად მომწიფებულიყო. მინდოდა, რომ ყველაფერი ძალიან ორიგინალური ყოფილიყო. საიმიჯო ფოტო („მარლენ დიტრიხი") აბრუშემზე გადავიტანეთ, სხვადასხვანაირი მაქმანით მოვრთეთ და მოსაწვევში ჩავდეთ. მგონი, ლამაზი გამოვიდა. ჩაფიქრებული მქონდა, რომ ჩემს გამოფენაზე მოსულ ადამიანს თავი აბსოლუტურად სხვა სამყაროში ეგრძნო...

— საუბარში აღნიშნე, რომ საქართველოში ფოტოხელოვნების შესწავლა არ ხდება. შენ სად და როგორ დაეუფლე ამ პროფესიას?

– ეს ხელოვნება კონკრეტულ სასწავლებელში არ შემისწავლია. ძალიან მინდოდა თეატრალურში ჩაბარება და ფოტოგრაფიაზე საერთოდ არ ვფიქრობდი, უბრალოდ, ჩემთვის ვხატავდი. შემთხვევით, ვიღაც ფოტოგრაფმა, როგორც მოდელი, ისე გადამიღო და ჩემი ნახატებიც ნახა. მან მითხრა – კარგი ხედვა გაქვს და იქნებ, ფოტოები გადაიღოო. მათხოვა ფოტოაპარატი, რომელიც სოფელში წავიღე და უამრავი სურათი გადავიღე. როგორც პირველი ნამუშევარი, მართლაც, ძალიან კარგი გამოვიდა და გადავწყვიტე, ამ საქმისთვის საფუძვლიანად მომეკიდა ხელი. ასეთი ტიპის შემოქმედებითი სამუშაო უფრო მეტ თავისუფლებასთან და საკუთარი თავის რწმენასთან ასოცირდება. თავდაპირველად, ავტოპორტრეტების სერია მქონდა და 15-16 წლის გოგონა უკვე გამოცდილი ფოტოგრაფების წინაშე იმდენად ამბიციურად წარვდექი, რომ გაოცებული მიყურებდნენ... მერე გავთხოვდი და მოსკოვში ვცხოვრობდი, სადაც ფოტოხელოვნების ძალიან დიდი პრაქტიკა გავიარე...

— უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები გაქვს?

– გასული საუკუნიდან ჩვენს საუკუნეში გადმოვინაცვლებ და ახლანდელი ქალბატონების ფოტოებს გადავიღებ, სადაც, რა თქმა უნდა, ისევ მათი სილამაზე იქნება წარმოჩენილი. კიდევ უამრავი პროექტი მაქვს ჩაფიქრებული, რომლებზეც წინასწარ საუბარი არ მსურს.

— ირმა, თავდაპირველად, სახელწოდება „ფანტომის" არსი აგვიხსენი...

– „ფანტომი" ილუზიას ნიშნავს. ფანტომი ჩემს წარმოსახვაში არის ქალი, რომელიც თან არსებობს რეალობაში, თან – არა... ეს არის ქალი-მირაჟი, რომელიც შევეცადე, თანამედროვე პერსონაჟად მექცია... გამოფენის საიმიჯო ფოტოებია „მარლენ დიტრიხის სერია"; მისი გმირი ულამაზესი ქალბატონი, კომპოზიტორი დალი ჩიტალაძე გახლავთ, რომელიც 10 წელი ამერიკაში ცხოვრობდა. მას ასაკი არ ეტყობა და რაც ვიცნობ, სულ ასეთი მომხიბვლელია. მე მის შინაგან სილამაზეს თაყვანს ვცემ. ის ძალიან დახვეწილია. ყოველთვის იცის, როგორ უნდა ჩაიცვას და როგორ წარმოადგინოს საზოგადოებაში საკუთარი თავი. მისი გარდერობი ჩემთვის ხელოვნების ნიმუშივითაა. „კრისტიან დიორის სილუეტის" სერიის გმირიც ეს ქალბატონი გახლავთ. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ დალი ჩემი მუზაა. გამოფენაზე ასევე წარმოვადგინე „ეკატერინე ჭავჭავაძის სერია", რომელიც მის სახლ-მუზეუმში, ზუგდიდშია გადაღებული. ამ ფოტოების გმირები, მოდელები – კრისტი ყიფშიძე და სოფო ხუბერაშვილი არიან. მათი კოსტიუმები სპეციალურად ამ გადაღებისთვის შეიქმნა. კიდევ მაქვს შეყვარებული ბავშვების ფოტოები, რომლებიც მისალოცი ბარათის სტილისაა და ისინიც რეტროა. ვერნისაჟზე წარმოდგენილი მაქვს აგრეთვე ირინა ონაშვილის საკმაოდ ცნობილი ფოტოების სერია, სადაც მას აბსოლუტურად განსხვავებული იმიჯი აქვს. მაშინ მას ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობდა, რადგან „მის საქართველოს" ტიტულს ჯერ არ ფლობდა. ჩემი 4 წლის ბიჭის ფოტოებიც მაქვს – ის ანგელოზის სახით წარმოგვიდგება.

— გამოფენაზე წარმოდგენილი სერიების გარდა, სხვა სტილის ფოტოებზე თუ მუშაობ?

– რა თქმა უნდა. გადავიღე ქეთა თოფურიას, მარიკა თხელიძის და სხვა მომღერლების აუდიოალბომებისთვის განკუთვნილი სერია. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გამოვიდა. მაგრამ გასული საუკუნის ქალბატონების სილამაზის წინ წამოწევა, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი თემაა. სხვათა შორის, ასეთი სტილის ფოტოები მთელ მსოფლიოში მოდაშია. თუმცა მათი გადაღება ყველაზე რთულია, რადგან მათზე მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინო,

— სერ, აქ დარჩენის უფლება არა გაქვს, მანქანა უნდა დატოვო!

— მე ყოველთვის ტრაილერში მძინავს! — მხრები ავიჩეჩე.

— მესმის, მაგრამ ვაშინგტონში სხვა შტატებისგან განსხვავებული კანონებია!

— ესე იგი, არ უნდა დავიძინო?

მცველს გაეღიმა ჩემს უცნაურ შეკითხვაზე.

— ძილს არავინ გიშლის, მაგრამ ამის გაკეთება სასტუმროში მოგიწევს. აქვე ახლოსაა...

არჩევანი არ დამიტოვეს. მცველს ვთხოვე, მოვწესრიგდები-მეთქი. საამისოდ 15 წუთი(!) მომცეს. მეც რამდენადაც შემეძლო, სწრაფად გამოვიცვალე ტანსაცმელი და სასტუმროსკენ გავეშურე.

— ერთი დღე-ღამე 100 დოლარი, ადგილები ჯერჯერობით გვაქვს! — თავაზიანად ამიხსნა ადმინისტრატორმა. მართალია, სასტუმრო ძვირი არ ღირდა, მაგრამ მაინც დავურეკე ბოსს.

— პრობლემა არ არის, აკაკი, ფირმა აგინაზღაურებს! — მითხრა ბოსმა.

სრულიად მოულოდნელად, სასტუმროშივე მოვაგვარე ხვალინდელი ექსკურსიის საკითხიც. პირველ სართულზე, ვესტიბიულში ჩემი ყურადღება მიიქცია წარწერამ საექსკურსო მომსახურების შესახებ. ნომერში ასვლამდე, ამ პატარა ბიუროს მივაკითხე. მინის მიღმა მშვენიერი წითურთმიანი გოგონა იჯდა. ისე გამიღიმა, თითქოს მთელი ცხოვრება მიცნობდა. მეც ერთიანად გავიბადრე.

— აკაკი გეგენავა! ჯორჯიიდან! — წარვუდგინე თავი და დავძინე, — ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება მინდა. იმედი მაქვს, დამეხმარები.

— მირანდა სმიტი, — ისევ გაიღიმა წითურთმიანმა ანგელოზმა. — სიამოვნებით შემიძლია შემოგთავაზო ერთდღიანი მოგზაურობა ვაშინგტონში — მხოლოდ 50 დოლარი დაგიჯდება... ბილეთები ჩვენს სასტუმროში ყველაზე იაფი ღირს. ავტობუსი სასტუმროს ეზოდან გადის დილის 9 საათზე...

არც დავფიქრებულვარ, ისე ამოვიღე 50-დოლარიანი და მირანდას გავუწოდე. გოგონამ სწრაფად შეავსო ბილეთი და გამომიწოდა. ბილეთი გამოვართვი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ... მირანდამ გაოცებით შემომხედა. ვერ გარკვეულიყო, რატომ არ მივდიოდი.

— ხურდა არ გეკუთვნის! — ამ სიტყვებზეც გაიღიმა.

— იცი, მირანდა, მე პირველად ვარ ვაშინგტონში. არ მინდა, მარტომ დავათვალიერო ამერიკის დედაქალაქი. მინდა, გვერდით ვინმე ახლობელი მყავდეს. ჩემიანები ძალიან შორს არიან, ოკეანის გაღმა. შენ ისე გამიღიმე, ახლობლად მიგიღე. ძალიან მინდა, ექსკურსიაზე ხვალ ერთად წავიდეთ, მეორე ბილეთსაც ვიყიდი შენთვის...

ეს კი ვთქვი, მაგრამ ასე მეგონა, მე კი არა, ჩემი ხმით ვიღაც სხვა ლაპარაკობდა. თანაც მირანდასკენ გახედვისაც მეშინოდა. დარწმუნებული ვიყავი, უარს მეტყოდა...

ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და მირანდას შევხედე. დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მერე ისევ მომაჯადოებლად გამიღიმა და... არა, ამას სასწაული ერქვა:

— რატომაც არა, დიდი ხანია, ვაშინგტონის ქუჩებში არ მისეირნია. თანაც, ხვალ გამოსასვლელი დღე მაქვს...

მექანიკურად ამოვიღე 50-დოლარიანი და მეორე ბილეთისთვის გავუწოდე.

— არა, ნუ წუხდები, საექსკურსიო ბიუროს თანამშრომლებს უფასო მომსახურება გვაქვს... ხვალ ცხრას რომ 10 წუთი დააკლდება, აქ იყავი, თორემ ავტობუსში უკანა ადგილები შეგვხვდება...

არ მახსოვს, როგორ გამოვვარდი გარეთ, იქვე, სასტუმროს წინ, ყვავილების ჯიხურს მივადექი, ლამაზი თაიგული შევარჩიე და მირანდას მივართვი.

ძალიან გაუხარდა... მივხვდი, რომ ხვალ ულამაზესი დღე გველოდა...

P.S. როგორ „ვიმოგზაურეთ“ მე და მირანდამ უცხოელ ტურისტებთან ერთად ვაშინგტონში, ამას „გზის“ 36-ე ნომრიდან შეიტყობთ. ■

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

19 სექტემბრიდან ყოველ კვირადღეს ტელეკომპანია „მზეზე“,
„ეტალონი“ — ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

*პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.*

შეხვედრამდე „მზეზე“

ცოტა ხნის წინ ვარშავაში, სამხრეთ კავკასიის კულტურის დღეები ჩატარდა, რომლებშიც საქართველოდან ზუმბა-ზაზა კორინთელი მისი მეგობრები და ქართული ორთაბრძოლების პლასტიკის თეატრი მონაწილეობდნენ. როგორ მოხდა ამ ორი ჯგუფის შერწყმა, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ფესტივალი, რა აქვთ დაგეგმილი ზუმბასა და მის მეგობრებს ოქტომბრისთვის კახეთში — ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„sto dola“ da „RvinobisTvis festivali“ zumbasagan

ლელა ჭანკოტაძე

— ზაზა, რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა ფესტივალში და რამდენ ხანს გაგრძელდა იგი?

— სამხრეთ კავკასიის კულტურის დღეები სამი დღე გრძელდებოდა. მონაწილეობდა სამი სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

— ვინ იყო ამ ფესტივალის ორგანიზატორი?

— ორგანიზატორი, ვარშავის უნივერსიტეტი გახლდათ, რომელსაც ფინანსური დახმარება ვარშავის მერიამ გაუწია. ეს ფესტივალი ვარშავაში უკვე მესამე წელია ტარდება.

— თქვენ თუ მონაწილეობდით წინა წლებში?

— არა, წინა წლებში არ ვმონაწლეობდით.

— სად მოხდა ფესტივალის გახსნა?

— გახსნა იყო ვარშავის ყველაზე დიდ სტუდენტურ კლუბში, რომლის სახელწოდებაა „სტო დოლა“. დანარჩენ ორ დღეს კი, ფესტივალს ძველი ვარშავის თეატრმა უმასპინძლა.

— რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდა წილად ფესტივალის გახსნა?

— ფესტივალი ჩვენ გავხსენით, წარმოვადგინეთ ერთობრივი სპექტაკლი, ორთაბრძოლების პლასტიკის თეატრთან ერთად.

— რას გვეტყოდი ორთაბრძოლების პლასტიკის თეატრზე და ვინ არის მათი ხელმძღვანელი?

— მათ ხელმძღვანელი არ ჰყავთ. უბრალოდ, ეს გახლავთ მეგობართა წრე; ისინი წლების განმავლობაში დადიოდნენ სოფლებში და მოხუცებისგან სწავლობდნენ შემორჩენილ ქართულ საბრძოლო ილეთებს, რომლებიც დღესდღეობით ქორეოგრაფიაშია გამოყენებული, ზოგი კი საერთოდ მივიწყებულია. აქედან გამომდინარე, მათ ჩამოაყალიბეს ორთაბრძოლების ხელოვნების სკოლა, რომელიც უკვე 7 წელია ფუნქციონირებს.

— ისევ ვარშავის ფესტივალს დავუბრუნდეთ. პირველ დღეს, თქვენს შემდეგ ალბათ, ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები გამოვიდნენ, არა?

— დიახ. ფესტივალის გახსნის დღე, აზერბაიჯანმა დისკოთეკითა და გარემიქსებული სიმღერებით დააგვირგვინა. მეორე დღე, კინოჩვენებას დაეთმო: ნაჩვენები იყო სერგო ფარაჯანოვის ფილმი — „სურამის ციხე“. ბოლო დღეს კი, ჩვენი მასტერკლასი შედგა — ანუ მცირე ლექციები ტრადიციული კულტურის შესახებ. თვალსაჩინოებისთვის წაღებული მქონდა ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები — ფანდური, სალამური, დოლი... ბიჭებმა წარმოადგინეს ქორეოგრაფიული ელემენტები, აჩვენეს ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთებიც. მასტერკლასის შემდეგ, „ზუმბას“ კონცერტი გაიმართა.

— ეი. ფიქრობთ, რომ ამ ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა?

— ფესტივალს რა მიზანიც ჰქონდა, მიღწეულია. ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი კულტურის, ქართული ტრადიციების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. ბოლო დღეს, კონცერტზე გვყავდა პროფესიონალი მსმენელი — სულ დაახლოებით 100 კაცი. ესენი იყვნენ მუსიკათმცოდნეები და ხელოვნებათმცოდნეები, რომელთაც მართლა აინტერესებდათ ჩვენი მუსიკა. პირველ დღეს კი, 20000-კაციანი დასწრება იყო.

— თქვენი მეუღლეც მონაწილეობდა ამ ფესტივალში, არა?

— დიახ, მონაწილეობდა.

— როგორ ფიქრობთ — ქალისთვის ცოტა ძნელი ხომ არ არის დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრა?

— ამაში არაფერია განსაკუთრებით ძნელი. კახეთში ყოფნისას ქალები გავიცანი, ისე უკრავდნენ დოლზე, რომ პირდაპირ შემშურდა...

— ამ ფესტივალში თქვენი მონაწილეობისთვის საჭირო დაფინანსება ვინ იკისრა?

— პოლონეთში ყოფნის ხარჯები ვარშავის მერიამ უზრუნველყო. საქართველოდან კი, კულტურის სამინისტრომ და მთავრობამ დაგვაფინანსა. ერთ-ერთი

ფესტივალი ჩვენ გავხსენით

ჩემი მეუღლე, რომ დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს, ამაში საკვირველი არაფერია

არასამთავრობო ორგანიზაციაც დაგვეხმარა.

— სულ რამდენი კაცი იყავით წასული?

— თერთმეტი.

— ახლა მომავალ — კახეთის ფესტივალზეც გვიამბეთ, რომელიც ოქტომბერში გაქვთ დაგეგმილი.

მასტერკლასის შემდეგ „ზუმბას“ კონცერტი გაიმართა

— კახეთის ფესტივალი დაიწყება 8 ოქტომბერს და 17 ოქტომბრამდე გასტანს. ეს არის კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კვირეული, რომლის მიზანია ქართული მევენახეობისა და ღვინის კულტურის წინა პლანზე წამოწევა, ინვესტორებისა და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებისთვის ჩვენი ტრადიციების გაცნობა. ფესტივალი ტარდება კახეთის სხვადასხვა რაიონში: მირზაანში, თელავში, წინანდალსა და სიღნაღში. ფესტივალს ჩვენ გავხსნით — მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში. პირველი სამი დღე, რომელსაც პირობითად „ღვინობისთვე“ ვუწოდეთ, ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენვე გავუკეთებთ ორგანიზებას თბილისიდან იმ სტუდენტების კახეთში ჩაყვანას, ვისაც სურვილი აქვთ, გაეცნონ ქართული მევენახეობის ტრადიციებს. ასეთი ფესტივალის ჩატარება აუცილებელია. ამით საკუთარ თავს ვეხმარებით იმაში, რომ არ დაგვავიწყდეს, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა კულტურა გვაქვს. შევიძენთ ვენახს და პირველ დღეს — 8 ოქტომბერს, სტუდენტებთან ერთად დავიწყებთ ყურძნის კრეფას. გვინდა, რომ ყველა კუთხიდან იყვნენ ჩასული ოჯახები და ყველამ თავისებურად გამოხატოს რთვლის რიტუალთან დაკავშირებული ტრადიციები. ჩასული სტუდენტებისთვის და სტუმრებისთვის მდელოზე გაიშლება კარვები, ასე რომ, სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში ერთდროულად საქმეს და დასვენებას ვთავაზობთ... რთვლის მეორე დღეს დავიწყებთ ყურძნის დაწურვას. ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მზადდება მარანი, სადაც დაიდგმება საწნახელები, ჩაიყრება ქვევრები. ყურძენს დაწურავენ მიწვეული სტუმრები და სტუდენტები. ვინც რამდენს დაწურავს, დაღვინების შემდეგ, იმით მისი სახელობის ღვინოს ჩამოვასხამთ და 50-100 ბოთლს გადავცემთ... ჩვენ ასევე მოვიძიეთ გადაშენების პირას მისული ყურძნის ჯიშები და ფესტივალის მიმდინარეობისას, ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში 1500-მდე ნერგს დავრგავთ.

— შემდგომში ვინ მოუვლის ამ ვაზს? კონკრეტულად ვინმეს ჩააბარებთ?

— მუზეუმს ჰყავს ხელმძღვანელობა, ვაზის გახარებასა და მოვლაზე ადგილობრივი მცხოვრებლებიც იზრუნებენ.

— თუ შეგიძლია, დაგვიკონკრეტო, თუ ვინ იქნებიან მიწვეულ სტუმრებს შორის?

— ეს იქნება ღია ფესტივალი. კონკრეტული პიროვნებების დაპატიჟება და მოსაწვევები არ იქნება. საერთო სახალხო დღეობაა, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. დაგვპირდნენ ავტობუსებსაც, რომლებიც რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს მოემსახურება.

— ამ ყველაფერს ვინ აფინანსებს?

— სპონსორები ჩვენ თვითონ მოვძებნეთ: გენერალური სპონსორია ღვინის კომპანია „ჯი-ვი-ესი“. როცა საქმე ეროვნულ ტრადიციებს შეეხება, ისინი არასოდეს იხევენ უკან. მხარში გვიდგას და გვეხმარება „ჯი-პი-აიც“.

— კახეთში ამ ფესტივალის ჩატარება ტრადიციად ხომ არ დამკვიდრდება?

— მირზაანში ტარდება დღესასწაული — „მირზაანობა“, რომელსაც ყოველ წელს ზეიმობენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ჩვენც ვეცდებით, რომ ამ დღეს ყოველთვის მათ გვერდით ვიყოთ.

— შენ თვითონ თუ იცი ვაზის მოვლა?

— კახელებზე უკეთესად არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ ვისწავლო, რადგან ძალიან მიყვარს ეს საქმე.

— ღვინის დაყენება თუ იცი?

— ვახერხებ. ბებია-ბაბუისგან მაქვს გამოყოლილი ვაზის სიყვარული. პატარა რომ ვიყავი, მაშინაც ვმონაწილეობდი ასეთ რიტუალებში. შინაგანი მიდრეკილება და დიდი სიყვარული მაქვს ყველაფრისადმი, რაც კი ჩვენს ფესვებს უკავშირდება. სიმღერაც ისევე მიყვარს, როგორც ვაზი და მასთან დაკავშირებული ტრადიციები.

— ღვინის სმა თუ გიყვარს?

— მიყვარს, მაგრამ — კარგი ღვინის...

— სიმთვრალე როგორი გაქვს?

— კარგი. „ბულკივით“ სიმთვრალე მაქვს.

— თამადობა თუ შეგიძლია?

— შემიძლია და თუ ამირჩევენ, ყოველთვის სიამოვნებით ვთამადობ ხოლმე...

■

ბიჭებმა ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთებიც აჩვენეს

საერთაშორისო ფესტივალი, ბერძენი ბაბუაებით დაკომპლექტებული ქართული ხალხური ანსამბლი და ჩვენებური კერძები ათენის ცის ქვეშ

კიდევ ერთი ლამაზი დღესასწაულის მომსწრენი გავხდით ათენელი ქართველები. 2004 წლის 10 და 11 ივლისს, ე.წ. „დედოფლის ბაღი“ რიგით მეორე, კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობდა.

პირველი ფესტივალის შესახებ, რომელიც ა.წ. 14 მარტს გაიმართა ქალაქ ათენის ევალეოს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცენტრ „იანის რიცოსში“, „გზის“ №18-ში მოგითხრობდით. მაშინაც და ახლაც მისი ორგანიზატორები იყვნენ: ევროკავშირის პროგრამების ასოციაცია — „ევქსინი პოლი“, გაეროსთან არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის — „დევნილთა, იძულებით გადაადგილებულთა და ემიგრანტა“ — ბერძნული ოფისი და სხვები. ფესტივალის პროგრამაში მონაწილეობდა, საბერძნეთში მცხოვრები და მოღვაწე ბევრი უცხოელი ხელოვანი, ხალხური თვითშემოქმედების კოლექტივები: საქართველოდან, ბულგარეთიდან, ალბანეთიდან, უკრაინიდან, სირიიდან, ერაყიდან და მექსიკიდან. ამჯერად ფესტივალი ღია ცის ქვეშ მიმდინაროებდა.

ლიგია მუმკულიანი ათენი

ფესტივალი გაიხსნა საბერძნეთში მოღვაწე უცხოელ მხატვართა შემოქმედების გამოფენით. მასში მონაწილეობდა 20-მდე ხელოვანი, წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი ნამუშევარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ათენში მოღვაწე ქართველ მხატვართა ნამუშევრებმა განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმოდგენილი იყო 6 შემოქმედის: რევაზ (კობა) გელაძის, ლევან გოგიტიძის, ავთანდილ თოფურიას, რომან ტვილდიანის, გოგი ტულუშისა და ირმა ქვლივიძის ნამუშევრები. მათ გარდა, ათენის ქართული ინსტიტუტის რეკომენდაციით ექსპოზიციაზე წარდგნენ: ფრანგი ფერმწერი ჰელენ გოდარი და ახალზელანდიელი თვითნასწავლი ხელოვანი დავიდ ჯეიმს რასვტრონი.

გამოფენის შემდეგ, ღია ცის ქვეშ გაიმართა გალა-კონცერტი. ქართველებმა ხალხური ცეკვის ორი კოლექტივი წარმოადგინა. ერთ-ერთი მათგანია საბავშვო ანსამბლი „არგო“ ქალაქ თესალონიკიდან, რომელიც 1998 წელს ამ ქალაქის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის, ელევთერიუ-კორდელიუს მერის ბატონი ლევთერის ლაფაზანიდის ხელშეწყობით შეიქმნა, ხოლო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ასევე ბერძენი — ქალბატონი ათინა ისლამიდი გახლავთ. საოცარი ის ფაქტია, რომ მთელი ანსამბლი ნორჩი ბერძენი მოცეკვავეებითაა დაკომპლექტებული და მხოლოდ ერთადერთი ქართველი სოლისტი — ლევან ლურსმანაშვილი ჰყავს... მეორე, ათენში ჩამოყალიბებული ქორეოგრაფიული ანსამბლი — „დიოსკურია“ გახლავთ, რომელიც ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი ავთანდილ მიქაბერიძის ხელშეწყობით წლეულს ჩამოყალიბდა. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი — ქალბატონი ეკა გიგოლაშვილი, ხოლო ქორეოგრაფი — შმაგი ჯიმშერაშვილი გახლავან; სოლისტები: ნატო დათიაშვილი, დიმიტრი გოგოლაშვილი და ეკა ჭყოიძე.

აქაური ქართველებისა და მთელი აუდიტორიის დიდი მოწონება ხვდა წილად ქართული სიმღერების ქალთა

ირმა ქვლივიძე

ანსამბლს, ბელა მოსიაშვილის, ნანული სისაურის, ნანა და ლალი შავიძეების შემადგენლობით, რომლებმაც წარმოადგინეს ქართული სიმღერების პოპური, ვიოლინისა და გიტარის თანხლებით.

ფესტივალის აღმოჩენა ნიჭიერი ნორჩი მომღერლები – 9 წლის მერი-ემილი კუზული და 12 წლის ომარ მარგველაშვილი იყვნენ.

ფესტივალის დღეებში ყველას ჰქონდა საშუალება, გასცნობოდა დახვეწილი გემოვნებით მოწყობილ ქართულ პავილიონს. ქართული წიგნების, სუვენირებისა და პლაკატების გარდა, იქ მოსულთ გულუხვად მასპინძლობდნენ გემრიელი ქართული კერძებითა და სამარკო ღვინოებით. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მზარეულმა რევაზ შაორშაძემ.

ქართველთა მონაწილეობას ფესტივალში და მთელი პროგრამის მომზადებას, ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ მიქაბერიძე ხელმძღვანელობდა. მას ტრადიციისამებრ, მხარში ედგნენ საზოგადოებების – „დიოსკურიისა“ და „კოლხეთის“ წევრები: თემურ ფოჩხუა, შორენა შენგელია, ნინო ბაჯელიძე, კრისტი ანასტასიადი, ვერიკო ქაროსანიძე, ცეზარ ჯალაბაძე, თეა წულაია, ბელა მოსიაშვილი, ანა ყურშავიშვილი, მაკა ჯოლოხავა და სხვები.

ფესტივალი დამთავრდა რევაზ ლაღიძის სიმღერით – „თბილისო“, რომელიც ქართველების სავიზიტო ბარათად იქცა.

დღეებში ყველას ჰქონდა საშუალება, გასცნობოდა დახვეწილი გემოვნებით მოწყობილ ქართულ პავილიონს. ქართული წიგნების, სუვენირებისა და პლაკატების გარდა, იქ მოსულთ გულუხვად მასპინძლობდნენ გემრიელი ქართული კერძებითა და სამარკო ღვინოებით.

სცენაზე იდგნენ საბერძნეთში მოღვაწე ქართველ შემოქმედთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, ყველაზე პატარა მათ შორის, 3 თვის ანა-მარია ვეფხვიაშვილი *(ამ წერილის ავტორის ქალიშვილი. – რედ.)* გახლდათ, რომელიც მთელი კონცერტის განმავლობაში, მშვიდ ძილს მისცემოდა, ხოლო დოლის ხმაზე თვალები გაახილა და ბოლო წუთამდე მომღერლებთან ერთად ღიღინებდა...

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი ღორის ხორცს მიიჩნევდნენ დელიკატესად ძველ საბერძნეთში?

ა) რომელიც ბევრი ჭამისგან მოკვდებოდა;

ბ) რომელიც 200 კგ-ზე მეტს იწონიდა;

ნ) რომელიც ბევრს ღრუტუნებდა.

2. პერიკლე ამბობდა: „თუ ძალს მამაკაცთა საზოგადოებაში არ ახსენებენ, ეს მის... მეტყველებს“. რომელია გამოტოვებული სიტყვა?

ა) უმწიკვლობაზე;

ბ) სილამაზეზე;

გ) განათხოვრობაზე.

3. 1984 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ანტიალკოჰოლური კა მპანია გაჩაღდა, რუსეთში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ღვინო და არაყი გაეყიდათ მხოლოდ...

ა) სპეციალიზებულ მაღაზიებში;

ბ) საღამოს 11 სთ-ის შემდეგ;

გ) ბარებსა და რესტორნებში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

P!NK — ეს თავისებური მუსიკალური იერო-გლიფი, ამერიკელი მომღერლის ალისია მურის სასცენო ფსევდონიმი გახლავთ. მისმა მჭახე ვარდისფერმა სამოსმა, ნეონის თმამ, სცენურმა თავზეხელაღებულობამ და აგრესიულ-სექსუალურ მანერაში შესრულებულმა სიმღერებმა P!NK (ვარდისფერი) თანამედროვე პოპკულტურის პიედესტალზე აიყვანა.

P!NK: „მე ვამაყობ შენით!“

P!NK-ვარსკვლავი მილენიუმმა შვა. მანამდე ამ გოგონას მუსიკალური ტალანტის შესახებ, მხოლოდ მის მშობლიურ ქალაქ პენსილვანიაში მცხოვრები ნაცნობ-მეგობრების ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. სწორედ მათ მონათლეს ალისია „ვარდისფრის“ სახელით, ვინაიდან მას სახე ყოველთვის ვარდისფრად ეფაკლებოდა, როცა საზაფხულო ბანაკში ყოფნისას, რომელიმე მეგობარი მისთვის ხუმრობით შარვლის ჩახდას ცდილობდა. სამაგიეროდ, დღესდღეობით არანაირ შარვალს აღარ აქვს ადგილი მის ცხოვრებაში! მას ხომ ძირითადად ქსოვილის ვიწრო ზოლის მსგავსი ქვედატანები აცვია... ძლიერი, გამოხატველობითი ხმის წყალობით, მომღერალი სულ რაღაც სამწელიწად-ნახევარში შთამბეჭდავი ჯილდოების (Grammy, Brit Awards, MTV და Nickelodeon Kid`s Choice) მფლობელი და საოცრად პოპულარული ვარსკვლავი გახდა.

გარდა ამისა, პინკი თავისი გამომწვევი ქცევითაცაა ცნობილი. მას შემდეგ, რაც ცნობილი მომღერალი გახდა, მას არაერთხელ აუფორიაქებია საზოგადოება თავისი თავხედური გამოხდომებით. თავდაპირველად, მან პრესის მეშვეობით აშშ-ის ხელისუფლების პროვოცირება სცადა, როცა მათგან ამერიკელი ქალბატონებისთვის აბორტის თავისუფლად გაკეთების ნებართვა მოითხოვა. გარკვეული ხნის მერე, კრაველის ქურქების დემონსტრაციულად დაწვის აქციით, ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავრობის მიერ ცხოველებთან მიმართებაში გატარებულ არაჰუმანურ პოლიტიკას არ ეთანხმებოდა. მისი შემდგომი გამოხდომა კიდევ უფრო კადნიერი გახლდათ: მან აშშ-ის პრეზიდენტს ექსტაზის ლეგალიზებისა და ამ ნარკოტიკული ნივთიერების სკოლის სასადილოებში გავრცელების საკითხის განხილვა შესთავაზა; რაც მისი აზრით, მოზარდთა შორის მოსწრების მაჩვენებლის ამაღლებას შეუწყობდა ხელს. მართალია, პინკის ეს აქციები, მხოლოდ და მხოლოდ უვნებელ ეპატაჟს წარმოადგენდა, ვინაიდან თავად მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ამქვეყნად ყველაზე მეტად ყოველდღიური არსებობის უფერულ ჩარჩოში მომწყვდევის ეშინია.

დაუოკებელი ენერგია და ახირებული ხასიათი, პინკს მამისგან ერგო მემკვიდრეობად. მისტერ მური ვიეტნამის ომის ვეტერანი გახლდათ და თავის გოგონას ნახევრად ხუმრობით (სხვათა შორის, ნახევრად სერიოზულადაც!) ბავშვობიდანვე ასწავლიდა, თუ როგორ უნდა ეცხოვრა: „თუკი შენ გვერდით გამოჩნდება ვინმე, ვინც საფრთხეს შეგიქმნის, მოკალი იგი“. ვინაიდან მისის მურის მეუღლეს ყველგან და ყველაფერში თავისი გაჰქონდა, ცოლმა მას ხუმრობით სასამართლოს ბოქაული შეარქვა. მაგრამ როცა მისის მური საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მისი ქმარი ახალგაზრდა თეთრხალათიანი ექთანებისადმი ლტოლვას ვერაფერს მოუხერხებდა, მას გაეყარა. ვიდრე ცხრა წლის ალისიას მშობლები „საომარ მდგომარეობაში“ იმყოფებოდნენ, გოგონა დროის დიდ მონაკვეთს ქუჩაში ატარებდა. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო მან მოწევა და მისი ასაკისათვის სრულიად შეუფერებელ გასართობ ადგილებში სიარული.

ალისიამ იმავე პერიოდში ისწავლა ხეებზე ოსტატურად ძრომიალი, სქეიტბორდით სრიალი, ლანძღვა-გინება და რაც მთავარია – საკმაოდ კარგად სიმღერაც. სკოლაში სწავლას ალისია გულს ვერ უდებდა. ერთადერთი, რაც სიხარულს ანიჭებდა, სასკოლო

პინკი პანგტინგტონ-ბიჩის პლაჟზე

7 წლის ალისია მურმა ჯერ არც კი იცოდა, თუ როგორი კარიერა ელოდა წინ

როკჯგუფი გახლდათ, სადაც ყველას გასაკვირად, თეორკანიანი გოგონა რეპს მღეროდა. ცამეტი წლის ასაკში, პინკი უკვე ადგილობრივი საცეკვაო მოედნების ვარსკვლავად იქცა, სადაც თავდავიწყებით ცეკვავდა ბრეიქ-დანსს; ხოლო თოთხმეტი წლისამ უკვე სიმღერების წერას მიჰყო ხელი. კიდევ ერთი წლის შემდეგ, გოგონა შინიდან წავიდა და მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო (ხშირად პანკების კომუნებშიც სახლობდა ხოლმე) და სკოლაში სიარულსაც დაანება თავი. ვიდრე მისი თანატოლები ალგებრულ ფორმულებს იზუთხავდნენ, პინკი „მაკდონალდსში“ იატაკებს რეცხავდა, საღამოობით კი, ნარკოტიკებით გაბრუებული იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აეწყო თავისი მუსიკალური ბიზნესი ისე, რომ აქედან მოგება ჰქონოდა. 1996 წლის მადლიერების დღესასწაულზე მას ფორტუნამ გაუღიმა: ერთ-ერთ წვეულებაზე პინკი ხმის ჩამწერი კომპანიის „ლა ფეი რეკორდსის“ თანამშრომელს შეხვდა, რომელმაც მას ჰიპ-ჰოპ-ბენდ „ბასიქ ინსტინქტში“ ვოკალისტის ადგილი შესთავაზა. ამ მომენტში მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ აღარასოდეს გაეკარებოდა ნარკოტიკებს და ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რათა მუსიკალურ ასპარეზზე წარმატებისათვის მიეღწია.

ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც პინკმა ჩაიფიქრა. როცა ზემოხსენებული ჰიპ-ჰოპ-ბენდი დაიშალა, მომღერალი ჯგუფ „ჩოისში“ გადავიდა. ის სხვადასხვა კოლექტივისთვის წერდა სიმღერის ტექსტებს, ისწავლა ხმის იმიტირება, შეიმუშავა საკუთარი იმიჯი და საბოლოოდ შეეჩვია სცენის სოფიტების ნათებას. ყოველივე ამის შემდეგ, პროდიუსერების დახმარებით, პინკი სოლო პროექტზე მუშაობას შეუდგა. 2000 წლის აპრილში გამოსული პინკის სიმღერა – There U Go – სულ რაღაც ერთ თვეში ოქროს სინგლად იქცა. მალე ამას მომღერლის სადებიუტო ალბომი Can`t Take Me Home მოჰყვა, ხოლო სამ თვეში, მან კიდევ ერთი დისკი Most Girls გამოუშვა, შემდეგ კი, კრებული – You Make Me Sick. 2001 წელს, მომღერალმა კრისტინა აგილერასთან, მაიასთან და ლილ კლიმთან ერთად ჩაწერა სიმღერა Lady Marmelad, რომელიც გახმაურებული მიუზიკლის, „მულენ რუჟის“ საუნდტრეკად იქცა. ამ სიმღერის წყალობით, ექსცენტრიკული მომღერლის სახელი ჩვენი პლანეტის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი გახდა ცნობილი.

ერთხელ, პინკმა თავისი გრიმიორის უბის წიგნაკში ჩაიხედა, სადაც შემთხვევით თვალი მოჰკრა ცნობილი მომღერლის, ლინდა პერის ტელეფონის ნომერს. პინკი ბავშვობიდან აღმერთებდა მას: მან დაუფიქრებლად აკრიბა მომღერლის ტელეფონის ნომერი და სიყვარულისა და მისი შემოქმედების უდიდესი პატივისცემის გამომხატველი ხუთწუთიანი შეტყობინება დატოვა ავტომოპასუხეზე. მოგვიანებით, ლინდა პერის საპასუხო სატელეფონო ზარი გაისმა... ამის შედეგად კი, პინკმა და ლინდამ ერთობლივად ჩაწერეს 15 სიმღერა და ალბომი – M!ssundaztood – გამოუშვეს. ამ დისკის გამოსვლის შემდეგ, კრიტიკოსები წერდნენ, რომ „ვარდისფერი“ გოგონას შემოქმედებითი ჟანრული პალიტრა საგრძნობლად გამდიდრდა. ალბომზე მუშაობისას პინკი და ლინდა ერთად ცხოვრობდნენ; ბოროტმა ენებმა არ დაახანეს და გაავრცელეს ხმა იმის თაობაზე, რომ პინკი ლესბოსელი გახლდათ. ბევრისთვის სამწუხაროდ, ეს მითი მომღერალმა მაშინვე განაქარვა. სრულიად განსაკუთრებულ სიტუაციაში – პირდაპირ მოედანზე, სადაც ამერიკული ექსტრემალური თამაშები (X-Games) მიმდინარეობდა – მან გაიცნო მრბოლელი კერი ჰარტი, მეტსახელად „მოტოტრიუკაჩი“ ჰარტ-დამანგრეველი. პინკის დანახვაზე, სვირინგებიანმა სუპერბაიკერმა, მასთან მისალმების ნიშნად, ერთ-ერთი ურთულესი ტრიუკის დემონსტრირება გადაწყვიტა, მაგრამ უკანა სალტოს გაკეთება არ გამოუვიდა და სასტიკად დაიმტვრა – მოგვიანებით, ექიმებმა მას 14 მოტეხილობა დაუფიქსირეს. თავგანწირვის სანაცვლოდ, სუპერბაიკერმა მშვენიერი მომღერლის მხურვალე სიყვარული დაიმსახურა. თუმცა, მათი რომანი საკმაოდ უცნაურად ვითარდება: პინკი ლოს-ანჯელესში სამ მილიონად შეძენილ ორსართულიან ვილაში თავის ერთგულ ტერიერთან და ორ ვირთხასთან – ტელმასა და ლუიზასთან ერთად ცხოვრობს.

ჰარგს მთელი სხეული მოსვირინგებული აქვს

ოვრობს; წერს მუსიკას და ხშირად დადის გასტროლებზე, კერის კი, სახლი ლას-ვეგასში აქვს. ვარსკვლავი მოტომრბოლელს საკმაოდ იშვიათად იწვევს შინ; არც ერთად ცხოვრებაზე თანხმდება, რადგან სიყვარულზე მეტად, თავისუფლებას აფასებს. ერთი მხრივ, ეს ჰარტს ძალზე აღიზიანებს და ამის გამო რამდენჯერმე სკანდალიც კი მოუწყო პინკს. მეორე მხრივ – თავადაც ქარივით თავისუფლად ქროლა და მოგზაურობა იზიდავს. ის იმითაც ბედნიერია, რომ თავისი სატრფოსთვის დედამიწის ნებისმიერ წერტილში ყვავილების გაგზავნა შეუძლია. მართალია, ერთი ხანობა პრესაში გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, თითქოს მომღერალი როკჯგუფ „რენსიდის“ წევრს ლარს ფრედერიკსენს ხვდებოდა, მაგრამ ლარსი საზოგადოების თვალთახედვიდან ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. კერი კი, კვლავაც პინკის გვერდითაა...

სავარაუდოა, რომ პინკს პირად ცხოვრებაზე სერიოზულად დასაფიქრებლად დრო არც კი რჩება. ამ ბოლო ხანებამდე, მომღერალი თავისი ახალი კრებულის – Try This – ჩაწერითა და რეკლამირებით იყო დაკავებული. პინკი ძალზე ამაყობს ამ ალბომით, ისევე, როგორც ყველაფრით, რაც კი მანამდე გაუკეთებია. ამჟამად ვარსკვლავი ფილმში – „ჯენისის სახარება“ – გადასაღებად ემზადება, სადაც მან ლეგენდარული როკმომღერლის ჯენის ჯოპლინის როლი უნდა შეასრულოს. გარდა ამისა, პინკს აქვს კიდევ ერთი ნატვრა – ამქვეყნად ყველაფერზე მეტად, მას როკოპერის დაწერა უნდა. ამის შემდეგ კი, პარიზში გამგზავრება, ეიფელის კოშკზე ასვლა, ქვეყნიერებისთვის იქიდან გადმოხედვა და კრუასანებით პირის ჩატკბარუნება სურს. ■

მეიონს ნოულზმა პირადი ცხოვრემა გვერდზე გადადო



მომღერალმა გაურკვეველი დროით გადადო ქორწინება რეპერ ჯეი ზესთან, რათა მთელი დრო და ენერგია კინოროლზე მუშაობას მოახმაროს. „ის კვლავ ძლიერაა შეყვარებული და გათხოვება უნდა, – უთხრა ვარსკვლავის მეგობარმა ერთ-ერთ ჟურნალისტს, – მაგრამ იმისათვის, რათა საქორწინო ზეიმი მეტისმეტად ნაჩქარევი და პომპეზურობას მოკლებული არ გამოვიდეს, გადაწყვიტა, ჯერ ფილმზე მუშაობა დაასრულოს“. მკითხველს შევახსენებთ, რომ 22 წლის მომღერალი მართლაც, ძალზე დაძაბულად შრომობს: გარდა იმისა, რომ ჯგუფის – Destiny's Child – ვოკალისტი ბევრ კონცერტში მონაწილეობს, მას კინოშიც აქტიურად იღებენ და სამოდელო საქმიანობასაც მისდევს. ■

ევა ჰერტიგოვამ პლაქიდან პირდაპირ გადასაღემ მოედანზე გადაინაცვლა

სუპერმოდელი სარდინიაში თავის ბოიფრენდთან გრეგორიო მარსიასა და „ფორმულა 1“-ის შეფ ფლავიო ბრიატორესთან ერთად ისვენებდა, მაგრამ პლაჟზე ნებივრობას მცირე დრო დაუთმო, რადგან გადასაღებ მოედანზე უნდა გამოცხადებულიყო. 31 წლის ჩეხი ლამაზმანი ერთდროულად სამ ჰოლივუდურ ფილმში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. ევას კინოდებიუტი შედგება ბიოგრაფიულ ფილმში – „მოდილიანი“, რომელშიც მას პარტნიორობას გაუწევს სახელგანთქმული მსახიობი ენდი გარსია; სუპერმოდელი ითამაშებს რეჟისორ აბელ ფერარას სურათში – Go go Tales, სადაც მთავარ როლს ჰარვი კეიტელი შეასრულებს; ხოლო ფილმში – Twisted Tango – ევა ტანგოს მოცეკვავეს განასახიერებს. ■

ზათხულის ყვლაზე გამოტჩეული პრემიერა პრესას დაუმალეს



საუბარია 20th Century Fox-ის ახალ ბლოკბასტერზე – „უცხო, მტაცებლის წინააღმდეგ“, რომლის წინასაპრემიეროდ, ამერიკულ პრესაში დიდი ვნებათაღელვა ატყდა. საქმე ის გახლავთ, რომ კინოკომპანიამ ჩვეულ პრაქტიკას უღალატა და გაქირავებში გამოსვლამდე, პრესის წარმომადგენელთათვის არც ერთი ჩვენება არ მოაწყო. ამან ბევრი ამერიკელი ჟურნალისტი გააოცა, ზოგიერთმა მათგანმა კი ისიც თქვა – სურათი იმდენად „უგვანო“ გამოვიდა, რომ მის მწარმოებლებს შეეშინდათ, პრემიერა არ ჩაშლოდათო. ერთ-ერთმა კი დასძინა: ყველაზე საინტერესო ეპიზოდები და შთამბეჭდავი ეფექტები შემქმნელებმა ტრაილერში უკვე უჩვენეს, რაც შეეხება ფილმის სხვა ეპიზოდებს – არანაირ ინტერესს არ გამოიწვევსო... ■

მიიჩვი ყვავილას გაფცემას აპირებს

ორიოდე კვირაში, ბიორკის ახალი ალბომი გამოვა, რომლის სახელწოდებაა – Medulla. კრიტიკოსები მას უკვე „გიჟურს“ უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ისევე, როგორც ბიორკის წინამორბედი ნამუშევრები, Medulla-ც ძალზე „პირადული“ და ამდენად, საკმაოდ მოსაწყენი კრებულია. MTV-ზე გაკეთებული კომენტარის მიხედვით – მომღერალი ზედმეტად იძირება საკუთარ თავში... ამავე დროს იუწყებიან, რომ ამ ალბომის ჩაწერისას, ბიორკს არა იმდენად მუსიკაზე, არამედ საკუთარ ვოკალურ მონაცემებზე გადაუტანია აქცენტი: ის ჩვეულებისამებრ და უფრო მეტადაც ხმის ექსპერიმენტებს მისდევს. თავად მომღერლის თქმით, სიტყვა Medulla, რაღაცაში ღრმად წვდომას ნიშნავს და მანაც სწორედ ამიტომ აირჩია საკუთარი ალბომისთვის ეს სახელწოდება: „ჩემი ამოცანაა, ხმის სიღრმისეული წვდომა მოვახერხო“, – აღნიშნა ბიორკმა. პრესის წარმომადგენელთა თქმით, როგორც ჩანს, მომღერლის ახალი ნამუშევარი ჩვეულებისამებრ, ძალზე თავისებური, უჩვეულო გამოვიდა და იდუმალი ისლანდიელი შემსრულებლის ფანატებს სიხარულს მოუტანს. ■

სინდი კროუფორდმა ცდუნებას ვერ გაუძლო

რამდენიმე წლის წინ, სუპერმოდელი აქტიურად მონაწილეობდა ხმაურიან კამპანიაში, რომლის სახელწოდება იყო – „მირჩევნია, ქუჩაში შიშველი გავიდე, ვიდრე ქურქი ჩავიცვა!“ – და თავის ასევე სახელგანთქმულ კოლეგებთან – ნაომი კემბელთან, კეიტ მოსთან, ელ მაკფერსონთან, კლაუდია შიფერსა და კრისტი ტარლინგტონთან ერთად, სამოსის დასამზადებლად ბუნებრივი ბეწვის გამოყენებას აპროტესტებდა. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, კროუფორდმა მაშინდელ პრინციპებს უღალატა, რადგან ცოტა ხნის წინ დათანხმდა, გახდეს კომპანია Blackglama-ს სახე, რომელიც ნატურალური ბეწვის ქურქებს აწარმოებს. სინდი უკვე რამდენიმე ფოტოსესიაშიც მონაწილეობდა და მისი სურათები მალე გამოჩნდება საჟურნალო პოსტერებზე; ამით ის გაიმეორებს თავისი ძველი და ახალი კოლეგების – მარლენ დიტრიხის, ბეტ დევისის, რიტა ჰეივორტისა და ჟიზელ ბიუნდჩენის მაგალითს. ფოტოსესიების დროს, სინდი აღნიშნული ფირმის მიერ შეკერილი 5 ქურქის დემონსტრირებას ახდენდა და კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ხუთივე საჩუქრად მას დარჩა. ■

რობერტ დე ნირო იტალიის მოქალაქე გახდემა



ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სახელგანთქმულმა მსახიობმა, რომელმაც დადებითად უპასუხა მისი ისტორიული სამშობლოს კულტურის ძეგლთა დაცვის მინისტრის ჯულიანო ურბანის ინიციატივას, იტალიის მოქალაქეობა მიანიჭონ ამერიკელ კინოვარსკვლავს. დე ნიროსადმი მოქალაქეობის მინიჭების საზეიმო ცერემონია სექტემბერში, ვენეციის კინოფესტივალის დროს გაიმართება. ცხადია, მსახიობი აშშ-ის მოქალაქეობასაც შეინარჩუნებს. დე ნიროს წინაპრები თურმე, სამხრეთ იტალიაში მდებარე სოფელ ფერაცანოში ცხოვრობდნენ. ამერიკაში ისინი XIX საუკუნეში გამგზავრებულან. ამერიკაში, ვარსკვლავის დიდი ბაბუის ჯოვანი დი ნიროს გვარს მცირედი სახეცვლილება განუცდია და დე ნიროდ ქცეულა... თავად მსახიობი 1943 წელს, ნიუ-იორკში, მხატვრების ოჯახში დაიბადა. 15 წლის ასაკიდან მონაწილეობდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში და სამსახიობო ხელოვნებას სტელა ადლერისა და ლი სტრასბერგის სკოლაში ეუფლებოდა. მის კინოკარიერაში პირველ დიდ წარმატებად, რეჟისორ მარტინ სკორსეზეს მიერ 1967 წელს გადაღებულ ფილმში – „ტაქსის მძღოლი“ – შექმნილი სახე იქცა. დე ნიროს მნიშვნელოვანი ეკრანული პერსონაჟები ქართველი მაყურებლებისთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ■

ძალზე დამღლელია იმ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის მართალია...

აგატა კრისტი

ფრაზა გენიალური

კვირის (23 - 29 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თუ ჭკვიანურად არ მოიქცევით, ამ კვირაში, შეიძლება კარიერაში წინსვლის საკმაოდ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გამოგეცალოთ ხელიდან. ოჯახის წევრებს თქვენს პრობლემებს თავზე ნუ მოახვევთ, ეცადეთ, საკუთარი ძალებით გაუმკლავდეთ მათ.

მამაკაცი: პირად ურთიერთობებში პრობლემები შეგექმნებათ. მათ თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემებიც გარდაუვალია.

კუნრო – 21/IV-21/V

ქალი: უსახსრობას არ უჩივით, კვირის ბოლოს კი, სიურპრიზი გელით. სასიყვარულო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება, მაგრამ არც ამჟამინდელი მდგომარეობით ხართ უკმაყოფილო.

მამაკაცი: საქმეები ისე გაანაწილეთ, რომ კვირის დასაწყისში მეტი დატვირთვა გქონდეთ. თუ წარსულის შეცდომებს გაითვალისწინებთ, დიდ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

მარჯვი – 22/V-21/VI

ქალი: ადრე დაწყებული საქმე ამ კვირაში დამთავრდება და კარგ შემოსავალსაც მოგიტანთ. თავი შეიკავეთ საზიარო თანხების ხარჯვისაგან და გაუფრთხილდით ოჯახის ბიუჯეტს.

მამაკაცი: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან არაჩვეულებრივი წარმატებით სარგებლობთ და წინ რომანტიკული თავგადასავალიც გელით. შეიძინეთ სუნამო, რომელიც საზეიმო განწყობილებას შეეფერება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: სასიყვარულო ფრონტზე ურთიერთობის გამწვავებაა მოსალოდნელი. ამ კვირას, პრაქტიკულად უფულოდ გაატარებთ და თქვენი ყველა უსიამოვნების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იქნება.

მამაკაცი: გასაკეთებელი საქმეების ნუსხა უნდა ჩამოწეროთ და თანმიმდევრულად შეუდგეთ მის შესრულებას. ამ კვირაში, შეიძლება ძველმა სიყვარულმა შეგახსენოთ თავი, მაგრამ გრძნობებს ნუ აჰყვებით, შესაძლოა, ამან დალაგებული ცხოვრება აგირიოთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: საქმეებში მეგობრები და ოჯახის წევრები გეხმარებიან. შესაძლოა, ეს დახმარება საქმიანი კონტაქტების დამყარებაში გამოიხატოს. იყავით მაქსიმალურად მობილიზებული და წარმატებაც არ დააყოვნებს.

მამაკაცი: ოჯახის წევრები სანერვიულოს არ გაკლებენ და მათთან ურთიერთობისას დიდი მოთმინება და რკინის ნერვები გჭირდებათ. მდგომარეობა მალე გამოსწორდება და თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი უკეთესობისკენ შემობრუნდება.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ნებისმიერ საქმეში დიდი ყურადღება გამოიჩინეთ. ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. მოერიდეთ ჭარბი რაოდენობით კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებას; თქვენთვის სასურველ მამაკაცს ბუნებრიობა ყველაზე დიდ ღირსებად მიაჩნია.

მამაკაცი: ყურადღებით იყავით – რატომღაც ყველა, თქვენს მოტყუებას ცდილობს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან. დაეხმარეთ ახლობლებს. ერიდეთ სიბნელეს და მარტოობას. პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია სასიამოვნო სიახლე.

მამაკაცი: მოულოდნელად მიიღებთ ფულს. ერიდეთ მაქინაციებს, სარისკო და სავაჭრო საქმეებს. არ გაგიმართლებთ კარტის თამაშისას. სამაგიეროდ, ადვილად მოხიბლავთ მანდილოსნებს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: სამსახურში პრობლემები გელით, თუ სიფიცხეს გამოიჩენთ და კარგად არ გაერკვევით, რას მოითხოვენ თქვენგან, ამიტომ შექმნილი მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას შეეცადეთ.

მამაკაცი: ვარსკვლავები დროის უმეტესი ნაწილის ოჯახურ გარემოში გატარებას გირჩევენ. ნუ დაიშურებთ ენერგიას სახლის ინტერიერის კეთილმოწყობისთვის, შეიძინეთ ფლოსტები და დატკბით ოჯახური სიმყუდროვით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: პრობლემები, რომელიც აღარ გახსოვდათ, კვლავ შეგახსენებთ თავს. გამოიჩინეთ სიფრთხილე და ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ. ერიდეთ კონფლიქტებს და აგრესიულ ქმედებებს. არ დაგეგმოთ მეგობრებთან შეხვედრები.

მამაკაცი: ახალი წინადადება, რომელსაც ძველი მეგობარი შემოგთავაზებთ, სარფიანი აღმოჩნდება. ნუ დაკარგავთ დროს, იმოქმედეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: საინტერესო გარემოში მოხვდებით და კარგადაც გაერთობით. მიეცით თავს უფლება, მოიქცეთ ისე, როგორც გული გიკარნახებთ – ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ყვავივით 300 წელი ხომ არ ცოცხლობს?!

მამაკაცი: ყველა საქმე მოიცდის – დროა, დასვენებაზე იფიქროთ. შორეულ ადგილას გამგზავრებას თუ გადაწყვეტთ, მეგზურად აუცილებლად ქერა ქალი აირჩიეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ცხოვრება სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ. იყავით მზად ახალი ცხოვრების დასაწყებად. გადაწყვიტეთ, რა გჭირდებათ სრული ბედნიერებისათვის და იმოქმედეთ. იღბალი თქვენ მხარესაა.

მამაკაცი: დაისვენეთ და იფიქრეთ საკუთარ სიამოვნებაზე, მაგრამ საოჯახო ბიუჯეტის შევსებაზეც იზრუნეთ. კვირის ბოლო დღეებში, შეეხმიანეთ მეგობრებს. ნუ დაიშურებთ კომპლიმენტებს მანდილოსნებთან ურთიერთობისას.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: თავი დაანებეთ სარკასტულ შენიშვნებს და მწარე კომენტარებს. გააკონტროლეთ ემოციები და დაუფასეთ ოჯახის წევრების მოთმინება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში რაღაც არახელსაყრელი ცვლილებები გელით – მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, პირნათლად უნდა შეასრულოთ თქვენი მოვალეობები – საჭირო გეზიდან ნებისმიერი გადახვევა ან სამსახურის გაცდენა შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგიჯდეთ.

						ს	პაემანი	კ	ნატ-ლოპას სახეობა	კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი	ქ	ი	„იესოს საზოგადოების“ წევრი
						კ	ა	რ	ა	მ	ბ	ო	ლ	ი
					ბილიარდის წითელი ბურთი	ქ	ა	ნ	ი	კვამლი	ბ	ე	ე
					დედამიწის ქერქის წიაღისეული შრე	ო	ნ	ა	გ	რ	ი	ინგლისური ლუდი	ზ
					გარეული ვირი	რ	დ	შუადღის ტრაპეზი	... ჟირარდო	ერაყის ფულის ერთეული	ნ	ქვემეხის ლულის სამაგრი დაზგა	უ
					რბილი ავეჯი	ფ	ე	ს	ა	დ	ი	ლ	ი
ბ	საცალ-ფეხო გზა	წყლის დიდი სივრცე	ა	საძრკვლად გადებული გათლილი ძელი	დ	ი	ვ	ა	ნ	ი	ციხის საწოლი	ა	ტ
ი	ვ	ო	ნ	ა	ი	ლ	უ	ლენინის ნამდვილი გვარი	ი	ნ	ა	ფ	ი
ლ	ეგვიპტის დედაქალაქი	კ	ა	ი	რ	ო	ბუნებრივი წყალსაცავი	ტ	იაპონელი ფანტასტი	ა	ბ	ე	კოპიტი
ი	რ	ე	ლ	კ	ე		ერთგვარი ქუდი	ბ	ე	რ	ე	ტ	ი
კ	თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი	ა	... ღოღობერიძე	კრემიანი ნამცხვარი	ისტორიულად ჩამოყალიბებული წესჩვეულები	ტ	რ	ა	დ	ი	ც	ი	ა
ი	ტ	ნ	ა	ი	ლ	ო	ფ						
ჯადოქრობა	ა	ე	რ	ტკბილი კარტოფილი	ბ	რ	დიდი ფორმატის სქელი წიგნი						
მ	ნ	ზევსის დედა	ო	ტროპიკული ხილი	ა	ტ	ნარნარი ფრენა						
ა	კ	ა	კ	ი	ტ	ი	ტ						
გ	ე	თოფის სამიზნე	ი	რ	ა	რ	ტბა სამხრეთ ამერიკაში						
ი	რ	ა	ვ	ე	ტ	ა	ს						
ა	ი	ლ	ი	ნაცია ... ვეკუა	ი	ო	ხანჯალი						



48-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა.

ჭეშმარიტი ადამიანების ძოსნრეკული ჭეშმარიტები

ნალის მიერ მოტანილი წარმატება

ერთი ამერიკელი მეცნიერი კოპენჰაგენში დიდ ფიზიკოსს ნილს ბორს ეწვია და გაოცდა, როდესაც ლაბორატორიაში მისი მაგიდის თავზე ნალი დაინახა.

— ბატონო პროფესორო, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ნალს წარმატება მოაქვს? — ჰკითხა ამერიკელმა.

— რას ბრძანებთ, მეგობარო! — ღიმილით მიუგო ბორმა, — ამისთანა სისულელეს კაცი როგორ დაიჯერებს?!. ოღონდ ეს კი მითხრეს — ნალს წარმატება მოაქვს იმისდა მიუხედავად, გჯერათ თუ არა თქვენ ეს ამბავი.

„რატომ ვარ ცოცხალი?“

როდესაც გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი ბერლინში ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორი იყო, ერთ-ერთმა ავტორმა გამოუგზავნა ლექსი, რომლის სათაური იყო: „რატომ ვარ ცოცხალი?“

რამდენიმე დღის შემდეგ, ლესინგმა ავტორს ლექსი უკანვე გაუგზავნა და თან მისწერა: „ცოცხალი იმიტომ ხართ, რომ ლექსი პირადად არ მოგიტანიათ“.

წარმოუდგენელი ამბავი

სახელგანთქმულმა გერმანელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰერმან ჰესემ თავისდა გასაოცრად შეიტყო, რომ ერთი ჟურნალის გამომცემელს თანხმობის გარეშე დაებეჭდა მისი ჭაბუკობის დროინდელი პირველი ნოველები. მწერალმა მას წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამის გამო საყვედურობდა. რამდენიმე დღის შემდეგ, გამომცემელმა შეატყობინა, რომ 30 წლის წინ, ჰესემ მას ამ ნოველების გამოქვეყნების ნება წერილობით დართო, რასაც საკუთარი ავტოგრაფითაც ადასტურებდა. მწერალი ჟურნალის გამომცემელს შეხვდა და ჰკითხა, იმ წერილის ნახვა თუ შეიძლებაო?

— სამწუხაროდ, შეუძლებელია, — მიუგო გამომცემელმა.

— რატომ?

— წერილი კარგა ხნის წინ, ავტოგრაფების კოლექციონერს მივყიდე.

— რა გაეწყობა, — მიუგო ჰესემ. — მაშინ ჩემი ბოლო წერილი დამიბრუნოთ.

— სამწუხაროდ, ესეც შეუძლებელია, — მიუგო გამომცემელმა, — უკვე მივყიდე ავტოგრაფების სხვა კოლექციონერს.

ანეკდოტები

***

ორი „პუტანკა“ საუბრობს:

— იცი, მე რომანტიკული სექსი მომწონს, — ამბობს ერთი.

— მე კი, სპორტული სექსის მომხრე ვარ, — ეუბნება მეორე.

— ეგ როგორია?

— როგორია და, წვები კაცთან და... მერე ეუბნები, რომ შიდსი გაქვს...

— კი, მაგრამ მანდ სპორტული რა არის?

— შენ გარბიხარ და ის გინებით მოსაკლავად მოგდევს.

***

დიასახლისმა მოახლე დაითხოვა. გამწარებულმა მოახლემ პირში მიახალა:

— თქვენ ბოროტი და უქნარა ქალი ხართ და თან... ლოგინში მე გაცილებით გჯობივართ...

— ვინ გითხრა, შე გათახსირებულო, ვინ?!. ჩემმა ქმარმა?!.

— არა. თქვენმა მძღოლმა!..

***

— რა გაცინებს ასე გულიანად, ჯიმშერა?

— ჩემს თავს ანეკდოტებს ვუყობი...

— მერე?

— ერთი იმნაირი გევიგონე, სულ რომ არ ვიცოდი.

***

— მსხალს ჭამ და... რაღატომ ტირი, ვალოდა?.. — ეკითხებიან ოსს.

— მეტი აღალა მაქვს, სენი წილიმე და...

***

— ისევ გამოტყვერი, არა, მიხო?!. აირჩიე: ან მე, ან — არაყი! — ყვირის მაყვალა.

— ქალოო... არაყი ბევრია?!. — ყოყმანობს მიხო.

***

გურგენა მსუქანია და ძალიან გამხდარ მეზობელს ეკითხება:

— როგორ ახერხებ წონის შენარჩუნებას?

— სექსის შემდეგ ვჭამ ხოლმე.

— მომკვდარხარ შიმშილით და ეგაა..

***

ქუთაისის ბირჟაზე:

— ვერ მეტყვით, ელგუჯა ბანძელაძე სად ცხოვრობს?

— ა, ასე დოუყევი პირდაპირ, მერე მარცხნივ მოუხვიე და სწორედ იარე. მეხუთე-სახლია მისი.

— ნომერს ვერ მეტყვით?

— მე არ ვიცი მაგი... მარა... ჭიშკარზე ეწერება.

***

პოლიციაში ტელეფონი რეკავს.

— ალო! — ყვირის ქალი. — ახლა ჩემთან ანზორია და ბუხუტია შემოიჭრნენ ბინაში, გაუპატიურებას მიპირებენ. სასწრაფოდ მოდით და ბუხუტია წაიყვანე-ეთ!

***

ორი ლოთი — ქალი და კაცი მესამეს ეძებს. ქალი გამვლელს სთავაზობს:

— მესამე იქნები?

კაცმა აათვალიერ-ჩაათვალიერა და ცხვირის აბზუებით ეუბნება:

— პირველიც არ ვიქნები.

***

დილით ქალები ეზოში გამოდიან. ხედავენ, ნაგავსაყრელზე კაცი გდია.

— უი, საწყალი, ვინ გადააგდო ნეტავ?.. ამის გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლებოდა... — ოხრავს შინაბერა.

***

— ძვირფასო, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ცხვირი?

— კითხულობს პირველ ღამეს პატარძალი.

— ბავშვობაში ბევრს ვტიროდი და...

— ...და ცოტას შარდავდი, არა?..

როგორი ნებისყოფის პატრონი ხართ?

ნებისყოფა ყურადღების კონცენტრირების საფუძველს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, რამდენადაც ძლიერი ნებისყოფა გაქვთ, იმდენად ნაყოფიერია თქვენი მუშაობაც, სწავლაც და ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობაც. როგორი ნებისყოფა გაქვთ პირადად თქვენ, ამას ტესტის შეკითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად შეიტყობთ

ყოველ პასუხში — „დიახ“ — დაიწერეთ 2 ქულა; „არ ვიცი“ („შესაძლოა“ ან „ყოფილა შემთხვევა“) — 1 ქულა; „არა“ — 0 ქულა.

1. შეგიძლიათ თუ არა, ბოლომდე მიიყვანოთ თქვენ მიერ დაწყებული უინტერესო საქმე, მიუხედავად იმისა, რომ დრო და გარემოებები საქმიანობის შეწყვეტის და შემდგომში გაგრძელების საშუალებას იძლევა?

2. შეგიძლიათ თუ არა, ძალების დიდი დაძაბვის გარეშე დაძლიოთ შინაგანი წინააღმდეგობა და გააკეთოთ თქვენთვის უსიამოვნო რამ (მაგალითად, იმორიგეოთ დღესასწაულზე)?

3. როცა სამსახურში ან ყოფაში გექმნებათ კონფლიქტური სიტუაცია, შეგიძლიათ თუ არა, იმდენად აიყვანოთ ხელში თავი, რომ სიტუაცია მაქსიმალურად ობიექტურად შეაფასოთ?

4. თუკი დიეტას იცავთ, შეგიძლიათ თუ არა, ნებისმიერ კულინარიულ ცდუნებას გაუმკლავდეთ?

5. თუკი წინა საღამოს დაგეგმეთ მეორე დილისთვის ჩვეულებრივზე ადრე ადგომა, შეძლებთ თუ არა ამ განზრახვის შესრულებას?

6. მოწმის ჩვენების მისაცემად, დარჩებით თუ არა მომხდარი დანაშაულის ადგილზე?

7. წერილის მიღების შემდეგ, მაშინვე წერთ თუ არა საპასუხო ბარათს?

8. თუკი თვითმფრინავით მოსალოდნელი მგზავრობა და სტომატოლოგთან ვიზიტი წინასწარვე ძალიან გაფრთხობთ, შეძლებთ თუ არა, მოერიოთ თავს და უკანასკნელ მომენტში ხელი არ აიღოთ განზრახვაზე?

9. დალევთ თუ არა ძალზე უსიამოვნო წამალს, რომლის მიღებასაც დაჟინებით გირჩევთ ექიმი?

10. შეასრულებთ თუ არა ცხელ გულზე მიცემულ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის შესაძლოა, დიდი გარჯა დაგჭირდეთ? ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხართ თუ არა სიტყვის პატრონი?

11. უყოყმანოდ გაემგზავრებით თუ არა მივლინებაში თქვენთვის უცხო ქალაქში, თუკი ამას საქმის ინტერესები მოითხოვს?

12. განუხრელად იცავთ თუ არა დღის რეჟიმს: დილით ადგომა, მოწესრიგება, საუზმე, სამსახური, დალაგება და სხვა საქმეები?

13. დროულად აბრუნებთ თუ არა წიგნს ბიბლიოთეკაში?

14. სასწრაფო და მნიშვნელოვანი საქმის შეწყვეტას, ყველაზე საინტერესო ტელეგადაცემაც კი ვერ გაიძულებთ. ასეა თუ არა, ეს?

15. შეგიძლიათ თუ არა, შეწყვიტოთ ჩხუბი იმ შემთხვევაშიც, თუკი მოწინააღმდეგის სიტყვებმა ძალზე გატკინათ გული?

დაჯამეთ ქულები

9-12 ქულა: საკმაოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანი ხართ. აკეთებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის საინტერესო და იოლად შესასრულებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას თქვენთვის ზიანის მოტანა შეუძლია. ზერელედ უდგებით მოვალეობების შესრულებას, რასაც თქვენთვის ხშირ შემთხვევაში, უსიამოვნება მოაქვს. ყველაფერს ერთი საზომით უდგებით: „რა მჭირდება ყველაზე მეტად მე?“ ძალზე მტკივნეულად აღიქვამთ ნებისმიერი თხოვნისა თუ მოვალეობის შესრულებას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარტო სუსტ ნებისყოფასთან, არამედ ეგოიზმთანაც. შეეცადეთ, სწორედ ამ კუთხით შეაფასოთ საკუთარი თავი, ეს შესაძლოა, ირგვლივმყოფებთან დამოკიდებულების შეცვლასა და თქვენი ნეგატიური თვისებების აღმოფხვრაში დაგეხმაროთ. თუკი ამის გაკეთებას შეძლებთ, მოგებული თავადვე დარჩებით.

13-21 ქულა: თქვენი ნებისყოფა შეიძლება, საშუალო მაჩვენებლით შეფასდეს. თუკი წინააღმდეგობა გვხვდებათ, მის დაძლევას ცდილობთ, მაგრამ როცა ამჩნევთ, რომ ამ დაბრკოლების გადასალახავად შემოვლითი გზაც არსებობს, აუცილებლად იყენებთ მას. თუკი ვინმეს სიტყვას მისცემთ, თავს არ მოიკლავთ, მაგრამ დანაპირების შესრულებას კი ეცდებით. უსიამოვნო სამუშაოსაც შეასრულებთ, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ბევრი წუწუნის შემდეგ. საკუთარი ნებით არავითარ შემთხვევაში არ იტვირთებთ დამატებით მოვალეობას. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითად აისახება ხელმძღვანელობასთან თქვენს ურთიერთობაზე და დიდად სახარბიელოდ არც ირგვლივმყოფთა თვალში გახასიათებთ. თუკი ამ ცხოვრებაში უფრო მეტის მიღწევა გსურთ, გამოიმუშავეთ ნებისყოფა.

22-30 ქულა: ნებისყოფასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ გაქვთ. ულალატო ადამიანი ხართ და თქვენზე დაყრდნობა ნამდვილად შეიძლება. თქვენ არც დამატებითი დავალებები გაშინებთ და არც შორეული მივლინებები; სხვათა შორის, ისეთ საქმეებსაც ეჭიდებით, რომელთა შესრულებასაც სხვები თავს არიდებენ. თუმცა, გირჩევთ, ერთი რამ აუცილებლად გაითვალისწინოთ: ზოგჯერ, თქვენი მტკიცე და შეურიგებელი პოზიციით არაპრინციპულ საკითხებთან მიმართებაში, ძალზე აბეზრებთ თავს ირგვლივმყოფებს. მტკიცე ნებისყოფა ნამდვილად ძალიან კარგი თვისებაა, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ისეთი თვისებების ქონა, როგორებიცაა: მოქნილობა, შემწყნარებლობა და სიკეთე.

ქალი დივანს „შეეზახდა"

ფლორიდაში „სასწრაფო დახმარების" ექიმებს ჭარბწონიანი პაციენტის ჰოსპიტალიზაცია იმ დივანთან ერთად მოუხდათ, რომელზეც ავადმყოფი იწვა.

რამდენიმე დღის წინ, დილით ადრე, 40 წლის გეილ გრინსს, რომლის წონა დაახლოებით 270 კგ იყო, სუნთქვა გაუძნელდა. მისმა ნათესავებმა „სასწრაფო" გამოიძახეს. თუმცა „სასწრაფო დახმარების" ბრიგადის წევრებს აზრადაც არ მოუვიდოდათ, თუ ამდენად გაუძნელდებოდათ პაციენტის ბინიდან გამოყვანა. როგორც აღმოჩნდა, ქალი 5 წლის განმავლობაში ლოგინიდან არ ამდგარა და მისი კანი – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – შეეზარდა დივანის გობელენს. მისი განცალკევება კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი გობელენს ნაკუწ-ნაკუწ დაჭრიდნენ – ამის დრო კი ნამდვილად არ იყო: ავადმყოფი ჰაერის უკმარისობისაგან იხრჩობოდა. ექიმები, ფაქტობრივად შეუსრულებელი მისიის წინაშე აღმოჩნდნენ. თანაც პაციენტის ბინაში ისეთი მძიმე ჰაერი და უსიამოვნო სუნი იდგა, რომ იქ გაჩერება აირწინაღის გარეშე შეუძლებელი იყო. ბრიგადის წევრები რიგრიგობით გარბოდნენ გარეთ, რათა სუფთა ჰაერი წამით მაინც ჩაესუნთქათ.

„სასწრაფო დახმარების" მანქანა ბუმბერაზი პაციენტის გადასაყვანად არახელსაყრელი აღმოჩნდა, ამიტომ ექიმებს ავადმყოფის მოთავსება სატვირთო ავტომობილზე მოუხდათ. ქალი მანქანაზე დივანთან ერთად მოათავსეს. როგორც ექიმები ამბობენ, ავადმყოფის გადაყვანისას, არა მარტო მან, არამედ მთელმა მედპერსონალმა ნამდვილი ტანჯვა-წამება გამოიარა – ქალი ისე საშინლად ყარდა, მის შორიახლო გაჩერება ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო.

„სამაშველო ოპერაცია" ტრაგიკულად დამთავრდა – ქალი, მიუხედავად მედპერსონალის ძალისხმევისა, გარდაიცვალა. ექიმები ამბობენ, რომ მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში არასოდეს ჰქონიათ.

71 წლის საპატარძლო გათხოვებას ჩქარობს

ჩილეში მცხოვრებ 71 წლის ქალბატონს, იმის დასადასტურებლად, რომ ორსულად არ არის, ექიმისგან ცნობის აღება მოუხდა.

2004 წლის მაისში ანა სელისი დაქვრივდა. მალე, მან გადაწყვიტა, თავის ახალ ბოიფრენდს – 80 წლის ალბერტო გალარდოს ცოლად გაჰყოლოდა. თუმცა, ჩილეში არსებული კანონების მიხედვით, მეუღლის სიკვდილის მომენტიდან 7 თვის მანძილზე ქალს გათხოვება ეკრძალება, რათა ამ პერიოდში გამოვლინდეს – ფეხმძიმედ არის თუ არა.

ვინაიდან ანა სელისმა ამდენს ხანს მოცდა არ ისურვა, იძულებული გახდა, ექიმისგან აეღო ცნობა, რომელიც დადასტურებს, რომ სელისმა დიდი ხანია, რაც შვილოსნობის ასაკს გადაებიჯა. მისი მომავალი მეუღლე კი, თავის მხრივ, დაქორწინებას ესწრაფვის და ამბობს, რომ საყვარელ ქალთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მანამ სურს მოასწროს, „სანამ ჯერ კიდევ ცოცხალია".

ჩოგბურთის ბურთი – ხვრინვისგან თავის დასაღწევად

ავსტრალიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მიაგნეს საშუალებას, რომელიც ადამიანებს ხვრინვისგან განკურნავს. ამაში მათ საღამურზე მიკერებული ჩოგბურთის ბურთი დაეხმარება. როგორც ორგანიზაციის Astin Health-ის მკვლევარები ირწმუნებიან, ადამიანთა 80% გვერდზე გადაბრუნებისას ხვრინვას წყვეტს. პრობლემის გადაჭრის საიდუმლო კი ის არის, რომ მძინარე ადამიანს ზურგზე წოლის საშუალება არ მიეცეს. სწორედ ამისთვის არის საჭირო პიჟამის ზურგზე მიკერებული ჩოგბურთის ბურთი. საინტერესოა, რომ ხვრინვისგან განკურნების მსგავსი მეთოდი ჯერ კიდევ 1908 წელს ერთ-ერთმა ამერიკელმა გამოიგონა. მაგრამ ავსტრალიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მთავარია, ბურთი საღამურზე სწორად იყოს მიმაგრებული, რადგან არასწორად მიკერებული ბურთი შეიძლება ისეთნაირად შემობრუნდეს, რომ ადამიანს ზურგზე წოლაში ხელი არ შეუშალოს. ამიტომ, წელზე შემორტყმული რბილი ქამარი (ანუ ქსოვილის ვიწრო ზოლი), პაციენტს მხრებს უკან უნდა გადავუტაროთ და მის საღამურს, ზურგის მხარეს მივაკეროთ. ბურთი კი ქამარზე მიმაგრებულ ტომსიკაში უნდა მოთავსდეს.

მსოფლიოს მილიონერები

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ფული ადამიანს რყვნის, მაშინ გამოდის, გასულ წელს რუსეთის საზოგადოებას ოთხასი ათასზე მეტი თანამოქალაქე „უიმედოდ დაუკარგავს". საინვესტიციო ბანკის – Merrill Lynch-ის მონაცემების მიხედვით, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა კაპიტალი მილიონ დოლარს აჭარბებს, რუსეთში 80-დან 84 ათასამდე გაიზარდა. თუმცა ეს არა ნაღდ ფულს, არამედ მხოლოდ აქციებსა და საბანკო ანგარიშებს ეხება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფონზე რუსეთის მილიონერები არცთუ ისე შთამბეჭდავია: აშშ-ში ექსპერტებმა 2 მილიონ 272 ათასი მილიონერი დაითვალეს, დიდ ბრიტანეთში – 383 ათასი. სოციალისტურ ჩინეთშიც კი – 236 ათასი მილიონერია. თანაც, თუ ამერიკაში უმდიდრეს ადამიანთა რიცხვი ბოლო დროს 14%-ით გაიზარდა და ჩინეთში – 12%-ით, რუსეთში ეს რიცხვი მხოლოდ 5%-ს შეადგენს.

ფოტოკუჩიოზები





№17(77) 19.VIII-1.IX 2004

ოჯახის მეუნიალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ფარისებრი ჯირკვლის ქირურგიული მკურნალობა

მთავარი თემა: თირკმლის ქრონიკული უკმარისობა

რატომ ვცივდებით ზაფხულში

რატომ იღლებიან ბავშვები?

ყველაფერი ლიპოსაქციის შესახებ

მაგნიტური ქვიშა და იმედის ქალაქი

ციტომეგალოვირუსი – ფარული საფრთხე

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის